



რუსეთი – საქართველო
ურთიერთობის ძირითადი
მიმართულებები

თბილისი 2014

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი
რუსეთის საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭო

**საქართველო – რუსეთი:
ურთიერთობების ძირითადი
მიმართულებები**

თბილისი
2014

საერთო რედაქცია:

მამუკა არეშიძე – კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის „საქართველო-რუსეთის დიალოგის ხელშეწყობის“ პროექტის კოორდინატორი

ივან ტიმოფეევი – რუსეთის საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოს პროგრამების დირექტორი, პოლიტ. მეცნ. კანდიდატი

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრისა და რუსეთის საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოს პუბლიკაცია

წიგნი გამოქვეყნებულია კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის „საქართველო-რუსეთის დიალოგის ხელშეწყობის“ პროექტის ფარგლებში შვეიცარიის მთავრობის მხარდაჭერით

წიგნზე მუშაობდნენ: ბიოლ. მეცნ. კანდიდატი **ნ. ქიზიყურაშვილი**, ა. ელისევი

კომენტარები გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგ მისამართებზე:

www.iccn.ge; welcome@russiancouncil.ru

პუბლიკაციაში გამოთქმული აზრები ავტორთა პირადი შეხედულებები და კვლევითი პოზიციებია და, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრისა და რუსეთის საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოს პოზიციებს



Copyright 2014 by ICCN, RIAC

ISBN 978-99940-805-7-1

საავტორო უფლებები დაცულია. ცალკეული სტატიის გამოყენების დროს აუცილებელია წიგნის დასახელებისა და შესაბამისი ავტორის სახელის მითითება

შინაარსი

წინასიტყვაობა	5
შესავალი	7

ბარე მოთამაშეები

ბამუკა არეშიძე

„მსხვილი მოთამაშეების“ პოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიაში.....	11
---	----

ანდრეი სუშენცოვი

საგარეო ფაქტორები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში	27
--	----

უსაფრთხოება/ტერორიზმი

სერგეი მარკადონოვი

რუსეთი და საქართველო რადიკალური ისლამის წინააღმდეგ: საერთო საფრთხეები და კოოპერაციის შესაძლებლობები	39
---	----

ბადრი ნაჰყები

ტერორიზმის პრობლემა კავკასიაში და რეგიონის ქვეყნების შესაძლებლობები – წინ აღუდგნენ ამ პრობლემას.....	52
---	----

დემოგრაფია/მიგრაცია

ირინა ბადურაშვილი

მოსახლეობის მიგრაცია საქართველოდან რუსეთში: სამიგრაციო პროცესების მართვის გაუმჯობესება, როგორც ფასეული სტრატეგია ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობისა რეგიონის ძირითად მიმღებ ქვეყანასთან	60
---	----

ვლადიმერ იონცავი

დემოგრაფიული ფაქტორი რუსეთისა და საქართველოს
ურთიერთობების გაუმჯობესების კონტექსტში 79

ურთიერთობების ისტორიული ასპექტები

ნანა გიგელაშვილი

რუსულ-ქართული ურთიერთობები – შემდგომი
სტაგნაცია თუ პოზიტიური დინამიკა 94

ლევან გიგინეიშვილი

რუსულ-ქართული ურთიერთობები მე-19-20-ე საუკუნეებში:
ისტორიულ-კულტურული ნარკვევი 109

კულტურულ-ცივილიზაციური ურთიერთობები

ზაზა აბაშიძე

ქართულ-რუსული ურთიერთობები –
მართლმადიდებლური ტრადიცია 134

ალა იბზკოვა

რუსეთი და საქართველო: რატომ ვჭირდებით
ჩვენ ერთმანეთს 144

ეკონომიკა

ელენა ზავიალოვა

რუსეთისა და საქართველოს ურთიერთქმედება
ეკონომიკის სფეროში 156

ირაკლი მურცხვალაძე

ქართულ-რუსული სავაჭრო-ეკონომიკური
ურთიერთობები 168

წინასიტყვაობა

თქვენ წინაშეა კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის მიერ საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობების შესახებ სტამბულის პროცესის ფარგლებში გამოცემული მორიგი პუბლიკაცია. სტამბულის პროცესის ფუძემდებელი და განმახორციელებელი ცხოვრების უკანასკნელ დღეებამდე პროფესორი გიორგი ხუციშვილი გახლდათ. პირველი წიგნი, სახელწოდებით „რუსეთი–საქართველო: კრიზისიდან გამოსვლის გზები“, 2010 წელს გამოვიდა, ხოლო მომდევნო ორი გამოცემა – სამუშაო რვეული საქართველო–რუსეთის ურთიერთობების განვითარების ახალ გზებზე და წინამდებარე ანალიტიკურ სტატიათა კრებული, რუსეთის საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოსთან თანამშრომლობით – შესაბამისად, 2014 წლის მარტში და სექტემბერში გამოქვეყნდა.

„სტამბულის პროცესის“ სახელით ცნობილი საქართველო–რუსეთის საექსპერტო დიალოგი ინიცირებულია ICCN-ის მიერ 2008 წლის ნოემბერში, შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილების გლობალური პარტნიორობის (GPPAC) საერთაშორისო ქსელის თანადგომით და ფინანსური მხარდაჭერით და გახლავთ უპრეცედენტო თავისი ხანგრძლივობის თვალსაზრისით.

2008 წლიდან დღემდე ჩატარდა თოთხმეტი საექსპერტო შეხვედრა, რომელშიც ორივე მხრიდან მონაწილეობა მიიღო ორმოცდაათამდე ცნობილმა ექსპერტმა. შეხვედრების თემატიკა მოიცავდა საკითხთა ფართო სპექტრს: უსაფრთხოება, ეკონომიკა, კულტურა, ისტორია და ცივილიზაციური ურთიერთობები, საგარეო და საშინაო ფაქტორების ზემოქმედება ორმხრივ ურთიერთობებზე.

„სტამბულის პროცესის“ ერთ-ერთი მთავარი მიღწევა პროცესში სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელთა ჩართულობაა. ეს შესაძლებელი გახდა საქართველოში 2012 წელს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რის შედეგადაც „სტამბულის პროცესის“ რამდენიმე მონაწილემ წამყვანი თანამდებობა დაიკავა ქვეყნის მთავრობასა და პარლამენტში. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველო–რუსეთის ურთიერთობების საკითხებში საქართველოს პრემიერის სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობის დაარსება და ამ თანამდებობაზე „სტამბულის პროცესის“ მონაწილის, ცნობილი ქართველი ექსპერტის და საქართველოს ყოფილი ელჩის რუსეთის ფედერაციაში, ზურაბ აბაშიძის დანიშვნა. სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელთა ჩართულობამ განსაკუთრებული წონა შესძინა როგორც თავად პროცესს, ისე მიღებულ რეკომენდაციებს, ვი-

ნაიდან საექსპერტო დიალოგის საბოლოო მიზანს გადაწყვეტილების მიმღებთათვის საექსპერტო აზრის მიწოდება წარმოადგენს.

2013 წ. პროფესორ გიორგი ხუციშვილის ინიციატივით და შვეიცარიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო ICCN -ის ახალი „საქართველო-რუსეთის დიალოგის ხელშეწყობის“ პროგრამა, რომლის მიზანია ქვეყნებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენა და განვითარება. „სტამბულის პროცესის“ საექსპერტო დიალოგი არის ამ პროგრამის ძირითადი მიმართულება. ახალი პროგრამის ფარგლებში საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლობის ფორმატში ICCN-ის პარტნიორი გახდა რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭო (PCMD).

ამ ორი ორგანიზაციის თანამშრომლობის შედეგი წარმოდგენილი პუბლიკაციის გარდა, 2014 წლის აპრილში გამოცემული ერთობლივი სამუშაო რეგულია, სახელწოდებით: „რუსულ-ქართული ურთიერთობები: განვითარების ახალი გზების ძიებაში“. ამ ნამუშევრის პრეზენტაცია გაიმართა მოსკოვში 2014 წლის აპრილში საქართველოს და რუსეთის საექსპერტო წრეების, პრესისა და დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით. ახალი პროგრამის ფარგლებში, შვეიცარიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით და რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭოსთან (PCMD) თანამშრომლობით, შედგა ოთხი საექსპერტო შეხვედრა „სტამბულის პროცესის“ ფორმატში. ამ შეხვედრების შედეგია ანალიტიკურ სტატიათა კრებული, რომელსაც სიამოვნებით ვთავაზობთ ჩვენს მკითხველს.

მამუკა არეშიძე

საქართველო-რუსეთის დიალოგის
ხელშეწყობის პროგრამის
კოორდინატორი

შესავალი

ბოლო ექვსი წლის განმავლობაში არსებული პოლიტიკური უთანხმოებების გამო საქართველოსა და რუსეთს შორის ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობები შეწყვეტილია, მიუხედავად ამისა, ეს ორი ქვეყანა თანამშრომლობს; დაწყებულია ნორმალიზაციის პროცესი, მიღწეულია საგრძნობი შედეგი - დაიწყო პოლიტიკური დიალოგი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანსა და რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეცწარმომადგენელს შორის. ქართული პროდუქციის ნაწილი ისევაა წარმოდგენილი რუსეთის ბაზარზე; სოჭის ოლიმპიადის დაწყებამდე ქვეყნები წარმატებულად თანამშრომლობდნენ კონტრტერორიზმის სფეროში და სხვა.

ამასთან ერთად, ექსპერტთა სულ უფრო დიდი ნაწილი ხაზს უსვამს იმას, რომ ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზების დღის წესრიგი თანდათან იჭურება. ორივე მხარე მიუახლოვდა ე.წ. „წითელ ზოლს“ - ფუნდამენტურ პოლიტიკურ წინააღმდეგობებს - რომლის გადალახვისთვისაც ისინი ჯერჯერობით მზად არ არიან. ისმის კითხვა: რა გზით შეიძლება შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლა?!

სწორედ ამ კითხვით მივმართეთ მოცემულ კრებულში შესული სტატიების ავტორებს. მათ წინაშე დასახული იყო ამოცანა, აღწერათ ორი სახელმწიფოს ურთიერთობებში არსებული სიტუაცია, ეცადათ მათი გაუმჯობესების პრაქტიკული წინადადებების ფორმულირება. ამასთან, მნიშვნელოვანი იყო, შეფასებები მიგველო როგორც რუსული, ასევე ქართული მხრიდან და ყველა ასპექტი განხილულიყო ერთდროულად ორი მკვლევარის მიერ.

შემთხვევით არ ყოფილა შერჩეული კრებულის სტატიათა თემატიკა. ჩვენ მიზნად დავისახეთ, გვეჩვენებინა მკითხველისთვის, რომ მიუხედავად 2008 წლის სამხედრო კონფლიქტისა და შემდგომი დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტისა, რუსეთ-საქართველოს შორის კავშირი სხვადასხვა სფეროში არათუ შენარჩუნდა, არამედ ვითარდება კიდევ ასეთი ტიპის თანამშრომლობა შესამჩნევია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ტრანსნაციონალური პროექტების დონეზე, უსაფრთხოებასა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში, ეკონომიკაში, კულტურაში, მოსახლეობის მიგრაციული პროცესების

რეგულირებისა და საერთო ისტორიული მემკვიდრეობის თემაზე. კრებულში შეგნებულად არ ჩავრთეთ სტატიები იმ პოლიტიკური საკითხების თაობაზე, რომელთა გარშემოც გაცხოველებული დისკუსიები და კამათი მიმდინარეობს.

საბოლოოდ მივიღეთ ექვსი წყვილი სტატია შემდეგ თემაზე: „გარე მოთამაშეები“, „უსაფრთხოება და ტერორიზმი“, „ეკონომიკა“, „ურთიერთობის ისტორიული ასპექტები“, „დემოგრაფია და მიგრაცია“, „კულტურულ-ცივილიზაციური ურთიერთობები“. პროექტის მიმდინარეობის პროცესში გაიმართა ერთობლივი შეხვედრები რუსეთში, საქართველოსა და თურქეთში, ეს გაკეთდა იმისათვის, რომ ყველა ავტორს კონკრეტულ თემაზე საკუთარი იდეების კოლეგასთან შეჯერების საშუალება ჰქონოდა.

ერთ-ერთი ბლოკი „გარე მოთამაშეების“ თემას ეხება, აქ წარმოდგენილი სტატიების ავტორები ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონი (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) ერთდროულად რამდენიმე გავლენიანი „მოთამაშის“ დაპირისპირების არეალია. ესენია – რუსეთი, ევროკავშირი, თურქეთი, ირანი და ა.შ. ამასთან, საქართველომ გააკეთა თავისი არჩევანი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის სასარგებლოდ. ეს იდენტობაზე დაყრდნობილი ფასეულობათა არჩევანია. თუმცა, ეს ნაბიჯი არ უნდა ნიშნავდეს თანამშრომლობაზე უარის თქმას არც საქართველოსა და არც რუსეთის მხრიდან.

„უსაფრთხოება და ტერორიზმი“-ს შესახებ სტატიათა ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საქართველოს და რუსეთს სჭირდებათ ერთობლივი ძალისხმევა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ხანგრძლივი პერსპექტივის თვალსაზრისით ეს შესაძლებელია მხოლოდ მჭიდრო თანამშრომლობისა და ურთიერთდობის საფუძველზე.

ეკონომიკური განვითარების საკითხებზე სტატიების ავტორები თვლიან, რომ აუცილებელია იმ სფეროებში ურთიერთობების გაღრმავებაზე ფოკუსირება, სადაც თანამშრომლობა უკვე შემდგარია. ასეთად რუსი მწარმოებლები ენერგომატარებლების, ელექტროენერჯისა და რძის ნაწარმის პროდუქციის მოწოდებას თვლიან. ქართველი ექსპორტიორებისათვის პერსპექტიულ პროდუქტად ალკოჰოლური სასმელები, ჩაი, ხილი და ეთერზეთები ითვლება. ექსპერტების აზრით, ექსპორტ-იმპორტის პროცედურების გამარტივება ორივე ქვეყნის

ხელისუფალთა მხრიდან, ეკონომიკური თანამშრომლობის ზრდას შეუწყობს ხელს.

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ტურიზმის სფეროს განვითარება, რადგან რუსი ტურისტების რიცხვი საქართველოში ყოველწლიურად იზრდება (ამას 2012 წელს შემოღებული უვიზო რეჟიმის ფაქტორიც უწყობს ხელს). ექსპერტები თვლიან, რომ რუსეთის მხრიდანაც სავიზო რეჟიმის მოხსნა გაააქტიურებს ორმხრივი ტურიზმის პროცესს და გაზრდის ეკონომიკურ მაჩვენებელს.

„ისტორიული ურთიერთობების ასპექტები“-ს თემაზე შექმნილი სტატიების ავტორთა აზრით, ორი ქვეყნის ხალხთა ისტორიული კავშირები არ დარღვეულა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ ევროპული განვითარების ვექტორის სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი. ეს კავშირები შენარჩუნებულია და იმისათვის, რომ ისინი არ შესუსტდეს, მოსკოვმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს კულტურული მიმზიდველობის, ეკონომიკური შესაძლებლობების, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გამოყენების ზრდას.

საქართველოს მოქალაქეების დროებითი სამუშაო მიგრაცია რუსეთში უახლოეს წლებშიც მნიშვნელოვან როლს შეინარჩუნებს ქვეყნის სოციალური განვითარების თვალსაზრისით, რადგან მრავალი ოჯახის კეთილდღეობის ძირითად წყაროდ რჩება. ასეთია „დემოგრაფია და მიგრაციის“ თემაზე შექმნილი სტატიების ავტორთა დასკვნა. კეთილმეზობლური ურთიერთობების ჩამოყალიბების საქმეში, ასევე მნიშვნელოვანია ორივე ქვეყანაში დიასპორული ორგანიზაციების ფორმირების, განვითარების ხელშეწყობა და მხარდაჭერა.

„კულტურულ-ცივილიზაციური ურთიერთობები“-ს თემაზე სტატიების ავტორები თანხმდებიან, რომ ორი ქვეყნის ისტორიული ურთიერთობების პოზიტიური მაგალითია ქართულ-რუსული საეკლესიო კავშირები. ეს კავშირები, ავტორთა აზრით ხელს შეუწყობს დიალოგის გააქტიურებას და პოლიტიკური ჩიხიდან გამოსვლის გზების ძიებას.

სტატიების შინაარსის მოკლე მიმოხილვიდანაც ჩანს, რომ ერთი ავტორის მიერ გამოთქმული რიგი მოსაზრებები სხვა ავტორთა ნაშრომებშიც ფიგურირებს. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ავტორთა შორის სერიოზული აზრთა სხვადასხვაობაც იყო. ამიტომ კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ იმას, რომ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები ავტორთა პირადი შეხედულებებია და რიგ შემთხვევაში არ

ემთხვევა საერთაშორისო საქმეებში რუსეთის საბჭოსა და კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის პოზიციებს.

იმედი გვაქვს, რომ ავტორთა მიერ სტატიებში შემოთავაზებული რეკომენდაციები პრაქტიკულად განხორციელდება და ხელს შეუწყობს რუსეთ-საქართველოს შორის ორმხრივი ურთიერთობების გაუმჯობესებას.

რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭოს პროგრამული დირექტორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

ი. ნ. ტიმოფეევი

რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭოს პროგრამული კოორდინატორი

ა. მ. ელისევი

„მსხვილი მოთამაშეების“ პოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიაში

სსრკ-ის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ არენაზე გადაიკვეთა მსხვილი მოთამაშეების ინტერესები – რუსეთის, თურქეთის, ირანის, აშშ-ის, ევროკავშირისა და NATO-სი. ამიერკავკასიაში გავლენების მოსაპოვებლად ისინი არ იშურებენ არც კაპიტალდაბანდებებს და არც სამხედრო-პოლიტიკურ ძალისხმევას.

ერევანში 2014 წლის გაზაფხულზე ვიზიტისას ვლადიმერ პუტინმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთი არ აპირებს სამხრეთ კავკასიიდან წასვლას და რჩება იქ მთავარ მოთამაშედ. თავის მხრივ, კავკასიაში დამკვიდრების სურვილი არაერთხელ გამოთქვა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა. კერძოდ, მან აღნიშნა სარკინიგზო მაგისტრალის, ბაქო-თბილისი-ყარსის მშენებლობის მნიშვნელობა, რომელიც შეაკავშირებს თურქეთის ქალაქ იგდირსა და აზერბაიჯანულ ანკლავს – ნახიჭევანს. ეს მარშრუტი შეაერთებს ჩინეთსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს, სამხრეთ კავკასიას, თურქეთსა და ევროპასთან. თურქეთი ცდილობს, გახდეს ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე როგორც მცირე და ცენტრალური აზიის ქვეყნებში, ისე სამხრეთ კავკასიაში. „ჩვენ ძალიან მტკიცედ ვართ განწყობილნი“, – განაცხადა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა.

იმისთვის, რომ ევროპამ სრულად დაუჭიროს მხარი თურქეთის ეკონომიკურ პროექტებს, აუცილებელია, ამ უკანასკნელმა გადალახოს ერთი დაბრკოლება – გახსნას საზღვარი სომხეთთან. 2009 წელს თურქეთი შეეცადა, გადაედგა ნაბიჯები ამ მიმართულებით და მაშინ გაფუჭდა მისი ურთიერთობა მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან – აზერბაიჯანთან. ახლა, მხარს უჭერს რა ახალ ურთიერთობებს თეი-

რანსა და ვაშინგტონს შორის, ანკარას მიაჩნია, რომ ამერიკელები საპასუხოდ მხარს დაუჭერენ მათ პოზიციას მთიანი ყარაბაღის შესახებ.

რაც შეეხება ევროპას, ევროკავშირის ლიდერები ყოველთვის ხაზს უსვამენ თავისი ინტერესების არსებობას სამხრეთ კავკასიაში. ეს კვლავ დაადასტურა საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა თავისი ვიზიტისას რეგიონში 2014 წლის მაისში.

სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფო სისხლხორცეულად დაინტერესებულია ურთიერთობების მოგვარებით ყველა „მსხვილ მოთამაშესთან“. ამასთან, ისინი ცდილობენ, საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენონ მათ შორის წარმოქმნილი წინააღმდეგობები. ეს როგორ გამოსდით, სხვა საქმეა, მით უფრო, რომ ძირითად მოთამაშეთა შორის ბევრ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა.

სომხეთი ორიენტირებულია რუსეთზე, საქართველო – დასავლეთზე, აზერბაიჯანი კი ცდილობს, ითამაშოს ორ ფრონტზე, იხრება დასავლეთისკენ და მხარს უჭერს მჭიდრო კავშირს თურქეთთან. სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ სცენაზე უაღრესად რთული ურთიერთობები აქვს აზერბაიჯანს სომხეთთან და საქართველოს რუსეთთან. მიუხედავად „შავი ლაქებისა“ რუსულ-ქართულ ისტორიაში (1801, 1921 წლები და ა.შ.), შეიძლება ითქვას, რომ ორ ქვეყანას შორის განსაკუთრებული ურთიერთობები ჩამოყალიბდა. მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთმა რატომღაც გადაწყვიტა, მხარი დაეჭირა სეპარატიზმისთვის საქართველოს ტერიტორიაზე და ამ ორ ქვეყანას შორის დამბულობის ხარისხი გაიზარდა.

საქართველო-რუსეთი

1994 წლის 3 თებერვალს, სოხუმის დაცემიდან ხუთი თვის შემდეგ, რუსეთის სახელმწიფო მეთაური, ბორის ელცინი ერთდღიანი ვიზიტით თბილისში ჩამოფრინდა რუსულ-ქართული ხელშეკრულების ხელმოსაწერად, რომელიც ორ ქვეყანას შორის მეგობრობას, კეთილმეზობლობასა და თანამშრომლობას შეეხებოდა. ელცინის ეს ნაბიჯი მოსკოვის პრესამ შეაფასა როგორც რუსული პოლიტიკის შეცდომა და უწოდა მას „ელვისებური ვიზიტი ჩიხში“.

ელცინის ვიზიტს საქართველოში წინ უძღოდა გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება საქართველოს ისტორიულ მიწებზე ყველა დევნილის დაბრუნების შესახებ.

ბორის ელცინისა და ედუარდ შევარდნაძის ხელშეკრულება მეგობრობაზე, კეთილმეზობლობასა და თანამშრომლობაზე ითვალისწინებდა საქართველოში სამი რუსული სამხედრო ბაზის შექმნას და რუსი მესაზღვრეების დისლოკაციას საქართველო-თურქეთის საზღვრის გასწვრივ. რუსეთმა პირობა დადო, დახმარება აღმოეჩინა საქართველოსთვის არმიის ორგანიზებასა და აღჭურვაში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების მოგვარების შემდეგ. ხელშეკრულებასთან ერთად ხელი მოეწერა 25 სამთავრობოთაშორისო დოკუმენტს, მათ შორის, ორმხრივ ეკონომიკურ შეთანხმებას, რომელსაც განსაკუთრებული ღირებულება ჰქონდა საქართველოსთვის, რადგან მისი ეკონომიკა სამოქალაქო ომის შემდეგ უმძიმეს მდგომარეობაში იყო.

ჩარჩო-ხელშეკრულების რატიფიცირება მხოლოდ ქართულმა პარლამენტმა შეძლო, რუსმა პარლამენტარებმა დოკუმენტი დაბლოკეს. ელცინის სახელმწიფო დუმის ყველა ფრაქციის ლიდერმა შეშფოთება გამოთქვა ხელშეკრულების ხელმოწერის გამო და გააფრთხილა რუსეთის ხელისუფლება, რომ შემდეგში ქართული არმიის შექმნა და აღჭურვა კავკასიაში დესტაბილიზაციას გამოიწვევდა.

მოსკოვის კონკრეტული ნაბიჯების მოლოდინში საქართველო 1993 წელს გახდა „დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის“ ორგანიზაციის წევრი, მიუერთდა დსთ-ის ჩარჩო-ხელშეკრულებას კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ და ხელი მოაწერა შეთანხმებას თავის ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ბაზების 25 წლის ვადით დატოვებაზე.

სამი წლის განმავლობაში რუსეთის დუმა ბლოკავდა ჩარჩო-ხელშეკრულების რატიფიკაციას. მაშინ ე. შევარდნაძემ გადაწყვიტა, კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გაერო ჩაერთო.

ვითარების გართულებასთან ერთად აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოში, სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ სივრცეში ახალ-ახალი მოთამაშეები გაჩნდნენ – გაერო, აშშ, ევროკავშირი და NATO. რუსეთი ერთპიროვნულად ვეღარ აკონტროლებდა რეგიონში სიტუაციას.

საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში შუამავალი – მშვიდობისმყოფელის როლი ერგო რუსეთს, პროცესში ჩაერთვნენ ევროკავშირი, გაერო და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია. მაგრამ სიტუაცია რეგიონში უარესდებოდა, რადგან კრემლმა აქტიურად დაიწყო მოქმედება თავისი პოზიციების გასამყარებლად აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

მაგალითისთვის, 2000-იანი წლების დასაწყისში რუსეთმა მასობრივად დაიწყო რუსული პასპორტების გაცემა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებზე. 2003 წლისათვის სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთა 56% რუსეთის მოქალაქე გახდა. პასუხად ე. შევარდნაძემ შექმნა სამთავრობო კომისია საქართველოს NATO-ში ინტეგრაციისთვის.

2003 წლის ბოლოსთვის რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებდა რუსული პასპორტების ბლანკების დამზადებას აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთათვის, ხსნიდა რა ამას საქართველოსთან სავიზო რეჟიმის თანდათანობითი შემსუბუქებით და, ასევე, ამ პრობლემის ჰუმანიტარული ასპექტით. ცდილობდა რა, შეწინააღმდეგებოდა მძლავრ ჩრდილოელ მეზობელს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, გაეყვანა რუსული სამხედრო ბაზები ქვეყნის ტერიტორიიდან არაუგვიანეს 2006 წლის 1 იანვრისა. ამ გადაწყვეტილებამ სერიოზულად დამაბა რუსულ-ქართული ურთიერთობები.

რუსეთმა სამხრეთ ოსეთში გაგზავნა მძიმე შეიარაღების ახალი პარტია, ასევე, სამხედრო ინსტრუქტორები იმ მიზნით, რომ ოსური დანაყოფებისგან შეექმნათ ექვსი რეგულარული 500-კაციანი ბატალიონი.

განმეორებით საპარლამენტო არჩევნებზე საქართველოში 2004 წელს გაიმარჯვა მ. სააკაშვილის და ნ. ბურჯანაძის გაერთიანებულმა ბლოკმა „ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები“, მიიღეს რა ხმების 76,04%. 2004 წლის აპრილში, ევროკომისიის პრეზიდენტთან, რომანო პროდისთან შეხვედრისას ბრიუსელში მ. სააკაშვილმა გამოთქვა საქართველოს ევროკავშირში შესვლის სურვილი.

2005 წელს, ვ. პუტინთან სანკტ-პეტერბურგში შეხვედრის შემდეგ მ. სააკაშვილმა გადაწყვიტა მკვეთრად შეეცვალა ქვეყნის საგარეო პოლიტიკა და ევროინტეგრაციისაკენ აიღო გეზი. საქართველოს ახალი ლიდერების გამოსვლებში მაშინ გაისმა ხაზგასმული ანტირუსული რიტორიკა.

საპასუხოდ, ვ. პუტინმა ხელი მოაწერა დირექტივას, რომელიც განსაზღვრავდა რუსეთის ხელისუფლების ყველა შტოს ძირითად მიმართულებებს და ამოცანებს სამხრეთ ოსეთის პოლიტიკურ, სამხედრო და სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობაში. ამ დოკუმენტების მოქმედება მიმართული იყო სამხრეთ ოსეთში რუსული ინტერესების შესანარჩუნებლად.

რუსეთმა სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას გადასცა T-72 ტიპის 70 ტანკი, 20 „გრადის“ ტიპის სარაკეტო რეაქტიული სისტემა, 30 თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, 200-ზე მეტი სარაკეტო კომპლექს „იგლას“ გადამტანი საზენიტო რაკეტა და, ასევე, დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა.

2004 წლის ივნისში ე.წ. სამხრეთ ოსეთის პარლამენტმა თხოვნით მიმართა სახელმწიფო დუმას, ეცნო რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და მიეღო ზომები იქ მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების დასაცავად.

2005 წლის შემოდგომაზე NATO-ს საბჭომ დაამტკიცა ინდივიდუალური პარტნიორობის მოქმედების გეგმა საქართველოსთან (IPAP).

კრემლმა მიიღო საპასუხო გადაწყვეტილება და შეწყვიტა საქართველოში ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის ექსპორტი. ქვეყანა აღმოჩნდა მკაცრი ზამთრის ტყვეობაში. დაპირისპირების ზონაში გახშირდა სროლები, იღუპებოდნენ მშვიდობიანი მცხოვრებლები. რუსეთმა შეაჩერა ვიზების გაცემა საქართველოს მოქალაქეებისთვის, გამოაცხადა ემბარგო ქართული ღვინის, მინერალური წყლისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რუსეთში შეტანაზე.

რუსულ-ქართული დიპლომატიური ურთიერთობების გაცივების შემდეგ, 2006 წელს რუსეთის სხვადასხვა ქალაქიდან დაიწყო საქართველოს მოქალაქეთა დეპორტაცია, მათ შორის, დედაქალაქიდანაც. 2006 წლის ნოემბრის დასაწყისისთვის სულ გამოაძევეს დაახლოებით საქართველოს 3 ათასი მოქალაქე.

ზოგი რუსი სამართალდამცველი ამ ქმედებას უწოდებდა „კოლექტიური დასჯის პოლიტიკას“. სანკტ-პეტერბურგისა და მოსკოვის სპეცმომსახურებში დაიღუპა საქართველოს ორი მოქალაქე. მოგვიანებით სარატოვის ოლქში კიდევ ერთი ადამიანი გარდაიცვალა.

მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებამ კოდორის ხეობაში შეიარაღებული ფორმირებები შეიყვანა, რუსეთმა ცალმხრივად შეაჩერა საავიაციო, საავტომობილო, საზღვაო, სარკინიგზო მიმოსვლა და საფოსტო შეტყობინება.

2006 წლის ნოემბერში ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოსურ ნაწილში ჩატარდა რეფერენდუმი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შესახებ და ასევე საპრეზიდენტო არჩევნები.

2006 წლის ბოლოს რუსეთის სახელმწიფო დუმამ მიიღო განცხადება, რომელიც მოუწოდებდა კრემლს, ეცნო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა.

აშშ-ის სენატმა კენჭი უყარა კანონპროექტს საქართველოსა და უკრაინის NATO-ში გაწევრიანების შესახებ. ამის კვალდაკვალ აფხაზეთმა თხოვნით მიმართა რუსეთს, ეცნო მისი დამოუკიდებლობა საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ კავშირში გაერთიანებამდე.

2008 წლის 8 აგვისტოს დაიწყო ომი საქართველოსა და რუსეთს შორის. რუსეთმა შემოიყვანა არმია სამხრეთ ოსეთში იმ მიზეზით, რომ უნდა დაეცვა თავისი მოქალაქეების ინტერესები. ომი გახდა საბაზი, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობისა. მაგრამ ისინი მხოლოდ ფორმალურად გახდნენ დამოუკიდებელნი, ფაქტობრივად კი პროტექტორატებად იქცნენ.

ორი „რესპუბლიკის“ აღიარების შემდეგ საქართველომ გაწყვიტა დიპლომატიური კავშირი რუსეთთან და მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის ხელშეკრულება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ ძალადაკარგულად ცნო.

გადაწყვეტილების მიღებისას ქართული მხარე ხელმძღვანელობდა საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 18 ივლისის დადგენილებით „საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული სამშვიდობო ძალების“ შესახებ და „საქართველოს ტერიტორიის რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპაციის“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 28 აგვისტოს დადგენილებით, ასევე, საქართველოს მთავრობის 2008 წლის 27 აგვისტოს საგანგებო განკარგულებით.

ამ გადაწყვეტილების მიღებისას საქართველოს მთავრობამ დაადასტურა თავისი ერთგულება ექვსპუნქტიანი შეთანხმებისადმი, რომელსაც საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის შუამავლობით მიაღწიეს 2008 წლის აგვისტოში. გაცხადდა, რომ მას მიიჩნევენ ერთადერთ მოქმედ დოკუმენტად აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან დამოკიდებულებაში.

რუსეთთან დიპლომატიური, ეკონომიკური, ჰუმანიტარული და სხვა ურთიერთობების გაუარესება აისახა ორ ქვეყანას შორის არსებულ საზღვრებზე.

დღეისათვის შეთანხმებულია რუსულ-ქართული საზღვრის გამყოფი ხაზი ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთისა და ინგუშეთის მონაკვეთზე. მაგრამ უფრო პრინციპული საკითხები, რომლებიც ეხება უზნებს, სადაც განლაგებულია უმნიშვნელოვანესი ტრანსსასაზღვრო სატრანსპორტო კომუნიკაციები, კვლავაც გადასაწყვეტია. ზოგადად, საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობები გამწვავებულია

მსოფლიოს მიერ არაღიარებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებელი რესპუბლიკების“ არსებობით და საქართველოსა და მათ შორის გავლებული პირობითი საზღვრების „ბორდერიზაციით“.

რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო სამსახურების ძალებით გრძელდება ეკლიანი მავთულების გაბმა ე.წ. საზღვრებზე, რომლებიც, ფაქტობრივად, საქართველოს ძირითადი ტერიტორიების სიღრმეშია მოქცეული. ამასთან, რუსეთი ცდილობს, მიუახლოვდეს საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ ენერგომაგისტრალებს. კერძოდ, იმ ადგილას, სადაც ენერგომაგისტრალი ბაქო-სუფსა გადის, დააყენეს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის აღმნიშვნელი ბანერი.

სამხრეთ კავკასიური საექსპერტო თანამეგობრობა (არა მხოლოდ) თვლის, რომ რუსეთი დაინტერესებულია სამხრეთ კავკასიაში გამავალი ენერგომაგისტრალების კონტროლით, რათა თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს საქართველო და აზერბაიჯანი, ეს კი, თავის მხრივ, შემაკავებელი ფაქტორი იქნება მათი დასავლელი პარტნიორებისთვის.

თურქეთი და სამხრეთ კავკასია

საუკუნეების განმავლობაში სამხრეთ კავკასია იყო დაპირისპირების არენა თურქეთსა და ირანს, შემდეგ კი თურქეთსა და რუსეთს შორის. დაპირისპირებას სამხრეთ კავკასიაში აქვს არა მხოლოდ რეგიონული, არამედ გლობალური ხასიათი, რომელიც დაკავშირებულია რეგიონში პარიტეტისა და მშვიდობის შენარჩუნებასთან. ეს ფაქტორი რეგიონს როგორც მოსკოვის, ისე ანკარისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

მთავარი მეტოქეობა რუსეთსა და თურქეთს შორის დაკავშირებულია კასპიის ენერგორესურსების ტრანსპორტირებასა და თურქეთის მიერ სამხრეთკავკასიური საკომუნიკაციო საშუალებების კონტროლთან. ცდილობს რა მოწყვიტოს სამხრეთ კავკასია რუსეთს, თურქეთი ახორციელებს შემდეგ პროექტებს:

- თანამშრომლობა სამხედრო სფეროში (განსაკუთრებით, აზერბაიჯანთან);
- აქტიური ეკონომიკური პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში (საინვესტიციო პოტენციალის ფართოდ გამოყენება);

- თანამშრომლობის გაღრმავება საგანმანათლებლო და კულტურულ სფეროებში;
- სავიზო რეჟიმის მაქსიმალურად შემსუბუქება;
- აზერბაიჯანის ინტერესების აქტიური ლობირება;
- სომხეთთან ურთიერთობის ახალი ფორმატის დემონსტრირება;
- მყარი პარტნიორული ურთიერთობების შექმნა საქართველოსთან.

1990-იან წლებში თურქეთი შეეცადა თავისი კავკასიური პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი ჩრდილოეთ კავკასიაში გამოეყენებინა. ამის გამო იმდენად მძაფრად შეეჯახა რუსეთისა და თურქეთის ინტერესები ამ რეგიონში, რომ ეს უკანასკნელი იძულებული გახდა დაეტოვებინა ჩრდილოეთ კავკასია და მთელი ყურადღება სამხრეთ კავკასიაზე გადმოეტანა (მათ შორის, რუსეთის მიერ კონტროლირებად აფხაზეთში). 2008 წლის მოვლენების შემდეგ თურქეთმა აფხაზეთშიც შეამცირა თავისი გავლენები, თუმცა სამხრეთ კავკასიისათვის ბრძოლა ამ ორ ქვეყანას შორის გრძელდება.

რუსეთისათვის სამხრეთ კავკასიაში თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლა არ ნიშნავს მხოლოდ კონკრეტულ ქვეყანასთან დაპირისპირებას. რუსეთი უპირისპირდება NATO-ს, რომლის წევრიცაა თურქეთი და, რომელიც ცდილობს თავისი გავლენის გავრცელებას სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში.

უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთი NATO-ს ერთადერთი წევრია, რომელსაც ყოფილ რუსეთის იმპერიასა და სსრკ-სთან აქვს ისტორიული, კულტურული, რელიგიური და ენობრივი კავშირები. NATO-ს წარმომადგენელი და კავკასიაში ისტორიული მოთამაშე – თურქეთი მთავარი მუქარაა რუსეთის ყოფნისა ამ რეგიონში.

ირანი და სამხრეთ კავკასია

ირანი ტრადიციული მოთამაშეა სამხრეთ კავკასიურ პოლიტიკურ ველზე. XIX საუკუნის შუა ხანებში დასუსტებული ირანის აქტიურობა რეგიონში მკვეთრად დაეცა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ირანმა დაიწყო ხელიდან გაშვებულის დაბრუნება და უკანასკნელ ათწლეულში მისმა აქტიურობამ პიკს მიაღწია. ირანს, რომელიც ისლამური

რეგოლაციის შემდეგ დასავლეთისთვის პრობლემად იქცა, რეგიონულ პოლიტიკაში დაბრუნებაში რუსეთი დაეხმარა.

საქართველოსა და აზერბაიჯანში პროდასავლელი ხელმძღვანელების მოსვლის შემდეგ შეიქმნა დასავლეთზე ორიენტირებული ვირტუალური ღერძი, რომელიც აბალანსებს რუსეთზე ორიენტირებულ პოლიტიკურ ღერძს და რომლის ერთ-ერთი სუბიექტი ირანია.

დღესდღეობით ირანს უმდიდრესი ეკონომიკური, ენერგეტიკული და ადამიანური პოტენციალი გააჩნია. მაგრამ ეს პოტენციალი შეზღუდულია, ერთი მხრივ, დასავლეთის სანქციებით და, მეორე მხრივ – ირანის მეზობლების ამბიციებით (თურქეთის და არაბული ქვეყნების). აქედან გამომდინარე, ირანი იძულებულია, გააქტიურდეს იქ, სადაც წინააღმდეგობა ნაკლებია, მათ შორის, სამხრეთ კავკასიაში.

რამდენადაც რუსეთი და ირანი სტრატეგიული პარტნიორები არიან, სომხეთი, რომელიც რუსეთის მთავარი საყრდენია სამხრეთ კავკასიაში, გახდა თეირანის ბუნებრივი მოკავშირე. რამდენად პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, მთიანი ყარაბაღის საკითხში ირანი მხარს უჭერს სომხეთს და არა ერთმორწმუნე შიიტურ აზერბაიჯანს. აღსანიშნავია, რომ ირანში ცხოვრობს რამდენიმე მილიონი ეთნიკური აზერბაიჯანელი, თუმცა, ამის მიუხედავად, ირანის პოლიტიკას სამხრეთ კავკასიაში გეოპოლიტიკური გამოწვევები განსაზღვრავს.

ორ მეზობელს, ირანსა და აზერბაიჯანს საერთო ისტორია, კულტურა და რელიგია აერთიანებს, მაგრამ მათ ურთიერთობებს ახლობლურს ვერ დავარქმევთ. პირველ რიგში, აზერბაიჯანი თავს აცხადებს ზეპურ სახელმწიფოდ და მეორეც, მას მჭიდრო ურთიერთობები აქვს ირანის „შეურიგებელ“ მტრებთან – ისრაელსა და აშშ-თან. ამასთან, ირანის ხელისუფლება ირწმუნება, რომ ჩრდილოელი მეზობელი გადაიქცა პოტენციურ პლაცდარმად ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ შესაძლო აგრესიაში.

ირან-აზერბაიჯანის დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ აზერბაიჯანი ცდილობს, მოიპოვოს გავლენა ჩრდილოეთ ირანზე, კერძოდ, „ირანის აზერბაიჯანად“ წოდებულ ტერიტორიაზე. თეირანში თვლიან, რომ ამ რეგიონში არსებობენ ძალები, რომლებიც ორიენტირებულები არიან აზერბაიჯანზე. ასეთ სცენარს რომ დაუპირისპირდეს, ირანი სომხეთისკენ იხრება და ამას აზერბაიჯანის წინააღმდეგ კოზირად იყენებს.

თეირანის უკმაყოფილებების მიუხედავად, აზერბაიჯანმა ისრაელში შეიძინა 1,6 მლრდ დოლარის შეიარაღება. ამას გარდა, ბაქო მზად იყო თავისი სამხედრო ბაზები დაეთმო ისრაელისთვის ირანის ბირთვულ ბაზებზე თავდასხმისათვის. ირანის ბირთვული ტექნოლოგიების სპეციალისტთა ლიკვიდაცია მორიგი სკანდალის მიზეზი გახდა. თეირანის ვერსიით, ისრაელის აგენტებმა აზერბაიჯანიდან შეაღწიეს ირანის ისლამურ რესპუბლიკაში. ამავე დროს, ოფიციალური ბაქო მუდმივად ბრალს სდებს ირანს, რომ სამხრეთელი მეზობელი ცდილობს ისეთი რელიგიური და იდეოლოგიური დოგმების ექსპორტს აზერბაიჯანში, რომლებიც მათ მენტალიტეტს არ შეესაბამება.

შიიტურ ირანსა და ქრისტიანულ სომხეთს შორის პრაქტიკულად სამოკავშირეო ურთიერთობები ჩამოყალიბდა – კონტაქტები უმაღლეს დონეზე, მიმდინარეობს პოლიტიკური დიალოგი, ვითარდება ეკონომიკური და კულტურული კავშირები. სომხეთი ირანთან ერთად ახდენს სტრატეგიული დანიშნულების ოთხი პროგრამის რეალიზაციას: გაჰყავთ ორი ქვეყნის შემაერთებელი რკინიგზა, აშენებენ ნავთობის ტერმინალს და მდინარე არაქსზე ჰიდროელექტროსადგურს. უმაღლესი დონის შეხვედრებისას სომხეთი გამოთქვამს კმაყოფილებას მთიანი ყარაბაღის მიმართ ირანის დაბალანსებული პოლიტიკის გამო.

ირანის კავკასიური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ვექტორია საქართველოსთან ურთიერთობა. თბილისთან დამოკიდებულებას თეირანი სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებს როგორც პოლიტიკური გეგმების რეალიზაციის საქმეში, ისე თავისი გეოსტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

2010 წელს მ. სააკაშვილმა დასავლელი პარტნიორებისთვის მოულოდნელად გააუქმა სავიზო რეჟიმი ირანთან და მაქსიმალურად გაააქტიურა ურთიერთობები სხვადასხვა დონეზე. როგორც ანალიტიკოსები აღნიშნავენ, ეს ნაბიჯი მ. სააკაშვილმა გადადგა ვაშინგტონის ორაზროვანი თანხმობით, რათა ნაწილობრივ მაინც გამოეყვანა ირანი რუსეთის გავლენიდან და შეექმნა დიპლომატიური დერეფანი სხვადასხვა დონეზე კონფიდენციალური ურთიერთობებისთვის. ასეა თუ ისე, თეირანი კმაყოფილებით ჩაეჭიდა ამ შესაძლებლობას.

უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე საქართველოსა და ირანის ეკონომიკური ურთიერთობები ძალიან განვითარდა. თეირანმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა ჩრდილოეთი-სამხრეთის სატრანსპორტო დერეფნისა და შავი ზღვის პორტებისკენ გასასვლელისადმი.

თეირანში სულ უფრო ხშირად საუბრობენ ირანული გაზის ევროპაში მიწოდებაზე სომხეთისა და საქართველოს გავლით.

დასავლეთი და სამხრეთ კავკასია

ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე სამხრეთ კავკასიის რეგიონში ამერიკის შეერთებული შტატებია. იმის მიუხედავად, რომ აშშ დასავლეთ სამყაროს ლიდერია და ძირითადად აკონტროლებს NATO-სა და ევროკავშირის პოლიტიკას, შეიძლება ითქვას, რომ ამერიკელების პოზიცია რიგ საკითხებში განსხვავდება ზემოთ დასახელებული ორგანიზაციების ზოგიერთი წევრის პოზიციებისგან (მაგალითად, თურქეთისა და გერმანიისა).

აშშ-ის ინტერესებს კავკასიაში განაპირობებს რეგიონის გეოპოლიტიკური მდებარეობა. ასევე, ეკონომიკური, ენერგეტიკული და საკომუნიკაციო პოტენციალი. დასავლეთისა და აშშ-ის მიზანია, რუსეთის გავლენების ჩანაცვლება სამხრეთ კავკასიაში. ეს არის ნაწილი პროექტისა „სანიტარიული კორდონის შექმნა რუსეთის გარშემო“.

ძველი ამერიკული ადმინისტრაციის საბაზო პოზიციები ფორმულირებული იყო აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დოკუმენტში, რომელიც გავრცელდა 1999 წლის ნოემბერში, სტამბოლის დეკლარაციისა და სტამბოლში ეუთოს სამიტის სხვა დოკუმენტებზე ხელმოწერისას. ამ მასალებიდან ჩანს, რომ აშშ-ის ადმინისტრაცია ორიენტირებულია თავისი და თურქეთის პოზიციების გამყარებაზე კასპიისა და შავი ზღვის აუზში, ირანისა და რუსეთის გავლენების შეზღუდვის ხარჯზე. როგორც ჩანს, პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაცია შეეცადა გაეერთიანებინა „დიდი პროგრამის“ ადრე წამოწყებული აქციები „რეგიონული ერთობის“ ჩარჩოში, სქემით აშშ-თურქეთი-დიდი კავკასია. პროგრამა ვარაუდობს ამერიკული ეროვნული ინტერესების გავრცელებას და შეერთებული შტატების წარმომადგენლობის გამტკიცებას მსოფლიოს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ზონებში.

სამხრეთ კავკასიაში აშშ-ის ინტერესებში შედის:

- ენერგომატარებლების დივერსიფიკაცია, რუსეთისა და ირანისთვის ალტერნატიული ენერგოკორიდორების შექმნა.
- რეგიონის მუსულმანურ ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობის სისტემის შექმნა, მათი გაძლიერება ისლამისტური ქვეყნების საპირწონედ.

- სამხრეთ კავკასიისა და შუა აზიის დამოუკიდებელი ქვეყნების მხარდაჭერა და დემოკრატიული სისტემების მშენებლობაში დახმარება.

თავის დროზე აშშ-მა ისარგებლა საქართველო-რუსეთის ჩარჩო-ხელშეკრულების რატიფიკაციაზე რუსეთის უარით, განსაკუთრებით იმ ნაწილით, რომელიც შეეხებოდა რუსული მხარის მონაწილეობას ქართული არმიის შექმნაში. უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ქართველ მეომართა სწავლება და შეიარაღება ვაშინგტონის ადმინისტრაციის ერთ-ერთი ამოცანა გახდა. შედეგად საქართველოში შეიქმნა ბრძოლისუნარიანი პატარა არმია, რომლის ნაწილები ეფექტურად გამოიყენებინან NATO-სა და ეუთოს საერთაშორისო ოპერაციებში. 2008 წელს ომში დამარცხების მიუხედავად, ავიაციის არქონის პირობებში, ქართულმა არმიამ დაამტკიცა თავისი ბრძოლისუნარიანობა.

ამერიკული პოლიტიკის ერთი მთავარი „პროდუქტი“ სამხრეთ კავკასიაში მ. სააკაშვილის მთავრობა გახდა. მიუხედავად საქართველოს ლიდერის პოლიტიკური თავნებობისა და იმ უდიდესი ზარალისა, რაც ქვეყნის დემოკრატიულ მოწყობას მ. სააკაშვილის მთავრობამ მოუტანა, ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ საწყის ეტაპზე მათ შეძლეს შეექმნათ პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებული სახელმწიფო სტრუქტურა. ამან მის ლობისტებს შესაძლებლობა მისცა, გაეგრძელებინათ ლეგენდა საქართველოში „დემოკრატიის შუქურის“ არსებობის თაობაზე. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ დასავლელი პოლიტიკოსების დიდი უმრავლესობა, როგორც ევროპელები, ისე ამერიკელები, კულუარულად აფრთხილებდნენ მ. სააკაშვილს ზოგიერთი პოლიტიკური ნაბიჯის დამღუპველობაზე, მათ შორის, რუსეთთან დამოკიდებულებაში. მაგრამ მათი გაფრთხილებები ყურად არავინ იღო.

აშშ-ის აქტიურობის მთავარი შემადგენელი კავკასიაში არის ე. წ. „ჩართულობის პოლიტიკა“, რომელიც ითვალისწინებს რეგიონის ქვეყნების ხელშეწყობას დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნასა და დემოკრატიული რეფორმების გატარებაში. ამ მიზნებისთვის ამერიკელებს სერიოზული სახსრები აქვთ გამოყოფილი. პროექტს აქვს როგორც პლუსები, ასევე მინუსები. ზოგ ქვეყანაში ტრადიციული საზოგადოება მოუშზადებელია ასეთი ცვლილებებისთვის. ზოგან კი მოდის თაობა, რომელიც სრულად იზიარებს საზოგადოების მოწყობის დასავლურ იდეებს.

ენერგოდერეფნები კასპიიდან შავ ზღვამდე, ცენტრალური აზიიდან ევროპამდე არის აშშ-ის მთავარი პროექტი რეგიონში. ეს ენერგოდერეფნები გარკვეულ დისკომფორტს უქმნიან რუსეთს და აძლიერებენ აშშ-ის გავლენას სამხრეთ კავკასიაში.

როცა 2008 წლის ომის დროს რუსული თვითმფრინავები საქართველოს ტერიტორიაზე ობიექტებს ბომბავდნენ, ერთი დაეცა ტრანსკავკასიურ ენერგომაგისტრალს. ამან გამოიწვია განსაკუთრებული აგრესია და გაღიზიანება დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში. ანალიტიკოსების აზრით, ეს იყო ერთგვარი მესიჯი რუსეთისა დასავლეთისთვის. შემთხვევითი არ არის, რომ დიდი ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერმა ტონი ბლერმა განაცხადა რუსეთთან ერთად მთელი მსოფლიო თანამეგობრობის თანამშრომლობის აუცილებლობის შესახებ, რათა დაპირისპირებოდნენ ამ გამოწვევას. ეს ამოცანა დღესაც აქტუალურია უკრაინაში მიმდინარე მოვლენების ფონზე.

სხვა მოთამაშეები

ევროკავშირი შედარებით გვიან ჩაერთო სამხრეთკავკასიურ პოლიტიკაში. დასაწყისში ის ფრთხილად მოქმედებდა, ახლა კი ევროკავშირი სრულფასოვანი მოთამაშეა სამხრეთკავკასიურ პოლიტიკურ სცენაზე, განსაკუთრებით, საქართველოსთან ასოცირების ხელმოწერის წინ.

ერთ საკითხში (მაგალითად, ენერგომატარებლების შესახებ) ევროკავშირისა და აშშ-ის პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა, მეორეში კი – განსხვავდება (მაგ.: სექსუალური უმცირესობების საკითხში). უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო თემა სამხრეთკავკასიური სახელმწიფოების საზოგადოებრივ ცნობიერებაში განსაკუთრებულ ვნებათა ღელვას იწვევს.

ევროკავშირი აქტიურად მონაწილეობს სამხრეთკავკასიური კონფლიქტების მოწესრიგებასა და რეგიონული პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების განვითარებაში.

ბოლო წლებში რეგიონში გამოჩნდა ახალი მოთამაშე – ჩინეთი. აქაც, როგორც ყველგან, ის მოქმედებს ეკონომიკური ბერკეტებით. კერძო ჩინური ფირმები მონაწილეობენ მსხვილი ეკონომიკური პროექტების რეალიზაციაში. ამასთან, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩინეთი

ჯერჯერობით ზვერავს საერთო ვითარებას და ინტერესით აკვირდება პოლიტიკურ ბრძოლას რეგიონში.

ბოლო წლებში სამხრეთ კავკასიაში სულ უფრო აქტიური გახდა რადიკალური ისლამის მქადაგებელი ორგანიზაციები. კავკასიის რელიგიური მოზაიკა ჩამოყალიბდა ბოლო ორი-სამი საუკუნის განმავლობაში. ამ პერიოდში რეგიონში მშვიდობიანად თანაარსებობდა რამდენიმე წამყვანი რელიგია – ქრისტიანობა, იუდაიზმი, ისლამი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ზოგმა არაბულმა ქვეყანამ, და ინტერესებულმა კავკასიის ენერგოპოტენციალით, გადაწყვიტა ხელთ ეგდო ინიციატივა და დამკვიდრებულიყო ახალ სივრცეში. ამისთვის, ფინანსებთან ერთად, საჭირო იყო პოლიტიკური ინსტრუმენტი; ასეთი აღმოჩნდა რელიგია.

კავკასიისთვის ტრადიციული, საბჭოთა პერიოდში შეიძლება ნაწილობრივ მივიწყებული ისლამი მოთხოვნად და პოლიტიკური ბრძოლის მთავარ იარაღად იქცა. ამ დროს წარმოიშვა ტერმინი „პოლიტიკური ისლამი“.

1990-იანი წლებიდან სამხრეთ კავკასიაში გამოჩნდნენ მუსულმანური რელიგიური და კულტურული ორგანიზაციები, რომლებიც ჰუმანიტარული და საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით მოქმედებენ. მათ უკან მდგომი მუსულმანური ქვეყნები (და არა მარტო არაბები) ცდილობენ, რელიგიის მეშვეობით რეგიონში საკუთარი პოლიტიკა გაატარონ და ეს მათ ნაწილობრივ გამოსდით კიდევ.

სამხრეთ კავკასიაში, განსაკუთრებით აზერბაიჯანსა და საქართველოში, მიდის არცთუ სახუმარო ბრძოლა გავლენის სფეროებისთვის ქვეყნებსა და ორგანიზაციებს შორის. თავიდან რეგიონის ქვეყნები, რუსეთის ჩათვლით, არ იყვნენ ამისთვის მზად. ახლა სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალა. მაგრამ ისლამისტებმაც ისწავლეს მიზნის მიღწევა იარაღის გარეშე. შეიძლება ითქვას, რომ ახლა პოლიტიკური ისლამი განსაკუთრებული და ანგარიშგასაწევი მოთამაშეა.

აღბათ სიტუაციის ასეთმა სიმწვავემ განაპირობა დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერის, ტონი ბლერის განცხადება, რომ, მიუხედავად უკრაინაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენებისა, საჭიროა მსოფლიო თანამეგობრობის რუსეთთან ერთად თანამშრომლობა ამ გამოწვევის ლიკვიდაციისათვის.

* * *

უკრაინის მოვლენებმა შეცვალა გეოპოლიტიკური პრობლემების გადაჭრის ტრადიციული მიდგომები, რამაც სამხრეთ კავკასიის პოლიტიკა დააფიქრა რეგიონისთვის სავარაუდო შედეგებზე და სასწრაფოდ აიძულა გადამჭრელი ზომების მიღებაზე ეზრუნათ.

ანალიტიკოსთა შეფასებით, უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ბრძოლა რუსეთსა და დასავლეთს შორის პოსტსაბჭოთა სივრცეზე გავლენის მოსაპოვებლად. ასეთივე ბრძოლა მიმდინარეობს სამხრეთ კავკასიაშიც. აქამდე მხარეები გარკვეული წესებით მოქმედებდნენ და მიუხედავად 2008 წლის ომისა, მათი ქცევა მეტ-ნაკლებად პროგნოზირებადი იყო. უკრაინაში კი, როგორც ჩანს, წესები აღარ მოქმედებს, რაც განსაკუთრებულ შემფოთებას იწვევს.

ხელისუფლებაში ახალი პოლიტიკური ძალის, „ქართული ოცნების“, მოსვლის შემდეგ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუმჯობესების დიდი მოლოდინი იყო. მყისიერად ამუშავდა წარმომადგენლობითი ფორმატი, რომელშიც ქართული მხრიდან პრემიერმინისტრის სპეცწარმომადგენელი ზ.აბაშიძე და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გ.კარასინი მონაწილეობდნენ. შედეგად ნაწილობრივ მოიხსნა ეკონომიკური ემბარგო, რაც გამოიხატება იმაში, რომ ქართულმა ღვინომ, მინერალურმა წყლებმა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციამ რუსულ ბაზარზე დაიწყო დაბრუნება.

„მეზობელთან“ მიმართებაში საქართველოს ხელისუფლება, ბოლო წლინახევრის განმავლობაში ხაზგასმით ფრთხილ, მოზომილ პოლიტიკას ატარებს.

მიუხედავად ამისა, კრემლი მოქმედებს შემდეგნაირად:

აგრძელებს მავთულხლართების აღმართვას საქართველოსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს შორის ე.წ. „საზღვარზე“. რუსეთზე საპასუხო ზეწოლისთვის საქართველოს ხელისუფლებას ერთადერთი ბერკეტი გააჩნია, იგი მიმართავს საერთაშორისო ორგანიზაციებს, დიპლომატიურ კორპუსებს, რომლებიც ყოველდღიურ რეჟიმში აფიქსირებენ რუსული მხარის არასამართლებრივ ქმედებებს და მოუწოდებენ ოფიციალურ მოსკოვს, შეასრულოს 2008 წლის დ. მედვედევისა და ნ. სარკოზის ექვსპუნქტიანი შეთანხმება.

საქართველოს ტერიტორიაზე საზღვრების „ბორდერიზაციის“ საკითხი ორი ქვეყნის ურთიერთობებში პაუზის საფუძველი გახდა.

უმადლეს დონეზე მოსალოდნელი შეხვედრების მაგივრად ორივე მხარე ეჭვით შესცქერის ერთმანეთს. რასაკვირველია, ეს ყველაფერი დიდწილად განპირობებულია უკრაინული მოვლენებით.

ახლახან რუსეთის დუმამ მიიღო ცვლილებები და დამატებები ფედერალურ კანონში „რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ“, რომელიც მიზნად ისახავს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მიღების მსურველთათვის წესების გამარტივებას. პირველ რიგში, ეს ეხება ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს, რომლებიც ცხოვრობდნენ ან ცხოვრობენ ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ ტერიტორიაზე. მათ შორის, დოკუმენტი ითვალისწინებს პოსტსაბჭოთა სივრცეში დაბადებული ადამიანებისთვის რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მიღების წესების გამარტივებას.

მოსკოვის ეს ნაბიჯი გვაფიქრებინებს, რომ პროცესი, რომელიც რამდენიმე წლის წინ დაიწყო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, შემდეგ გაგრძელდა ყირიმში, მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში შეიძლება გაგრძელდეს. რუსეთს საშუალება ეძლევა შექმნას ფსევდომოქალაქეების ჯგუფები ყველგან, მათ შორის სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ საქართველოსა და აზერბაიჯანში და თავისი ინტერესები რეალობად აქციოს.

ხშირად ისმება შეკითხვა: შესაძლოა თუ არა თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური სივრცის ყველა აქტიორს შორის. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ შეიძლებოდა ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა. მიუხედავად წინააღმდეგობებისა, მიუხედავად იმისა, რომ რეგიონის ყველა ქვეყანა „კონფლიქტების ნემსზე“ ზის, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მსხვილ მოთამაშეს სტატუს-კვო აწყობს, მაინც შეიძლებოდა მოლაპარაკება.

დღესდღეობით სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. რეგიონის ქვეყნების წინაშე დგას კითხვა: როგორ მოვიქცეთ სამომავლოდ? ვიმოქმედოთ მხოლოდ საკუთარი თუ სხვათა ინტერესების გათვალისწინებითაც. გორდიას კვანძი მახვილით გავკვეთოთ თუ აჯობებს შევეცადოთ მის გახსნას. სხვათა შორის ეს კითხვები კავკასიური პროცესის ყველა მონაწილისათვის ერთნაირად აქტუალურია.

საგარეო ფაქტორები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში

პოსტსაბჭოთა სივრცეში არც ერთი ორმხრივი ურთიერთობა არ არის იმდენად დამოკიდებული საგარეო ფაქტორებზე, რამდენადაც - რუსეთ-საქართველოსი. ეს მდგომარეობა შედეგია საქართველოს მიერ შეგნებულად გატარებული პოლიტიკისა, რაც შეიძლება მეტი შუამავალი ჩაერთო მისი რუსეთთან ურთიერთობის წარმართვის საქმეში.

2000-იანი წლების დასაწყისში საქართველოში დამკვიდრდა დასავლეთთან დაახლოების კურსის უალტერნატივობა. ამის პარალელურად ჩრდილოატლანტიკური ერთობის ერთ-ერთი პრიორიტეტი გახდა ურთიერთქმედებებში ყოფილი სოციალისტური ბლოკის ქვეყნების ჩართვა. 1993 წლიდან დაიწყო საქართველოსთვის ფინანსური დახმარების პირველი პროგრამების განხორციელება. 20 წლის განმავლობაში აშშ-ისა და ევროკავშირის მიერ გაწეულმა ფინანსურმა და საკონსულტაციო ურთიერთობამ ხელი შეუწყო თბილისში მყარი პოლიტიკური კლასის ჩამოყალიბებას, რომელიც ეროვნულ განვითარებას დასავლეთის ქვეყნებთან მჭიდრო ინტეგრაციაში ხედავდა.

ევროატლანტიკური კურსის მიმდევრობით საქართველო იმედს ამყარებდა დაჩქარებულ სოციალურ და ეკონომიკურ მოდერნიზაციაზე. იგეგმებოდა დასავლეთის გადამწყვეტი მონაწილეობით ეთნოკონფლიქტების მოგვარება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, უნდა უზრუნველყო საქართველოს უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თბილისის ვაშინგტონისა და ბრიუსელისგან ისეთივე ურთიერთობებს ელოდა, როგორც მას სსრკ-ის ფარგლებში ჰქონდა.

მითითებული კურსის პრობლემას მისი უალტერნატივობა წარმოადგენდა. საქართველოს სახელმწიფოს კეთილდღეობა და უსაფრთხოება მთლიანად ერთ ცენტრს ემყარებოდა. ამასთან, არ იყო გათვლილი ის რისკები, რაც შესაძლოა მოჰყოლოდა არჩეული კურსის წარუმატებლობას - საქართველოს ევროკავშირსა და NATO-ში არმილების შემთხვევაში. არც კი მოიაზრებოდა რაიმე უთანხმოება მოკავშირესთან, რომელიც შესაძლოა, მიზნის მისაღწევად მიუღებელი საშუალებების

გამოყენებას სთავაზობს (მაგალითად, მჭიდრო ასოცირებას თურქეთთან - NATO-ს წევრთან და ევროკავშირში შესვლის კანდიდატთან). ევროატლანტიკური ინტეგრაციის კურსის რეალიზებისას მოვლენების ფხიზელ შეფასებას რადიკალიზმი ცვლიდა.

ედუარდ შევარდნაძის მთავრობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებისთვის საჭირო იყო საქართველოს NATO-ში შესვლა. ამ მიმართულებამ ლოგიკური განვითარება პოვა მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროს. ცდილობდა რა საწადელის ნებისმიერ ფასად მიღწევას, საქართველოს მთავრობამ თავის სასარგებლოდ გამოიყენა რუსეთსა და დასავლეთს შორის 2000-იანი წლების შუა ხანებში არსებული ნეგატიური პოლიტიკური კონტექსტი და წამოაყენა ფორმულა: „რაც უფრო ცუდია ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის, მით უფრო კარგია ის დასავლეთთან.“

საკაშვილის მთავრობის პოლიტიკა მიმართული იყო, საქართველო რუსეთსა და NATO-ს შორის დაპირისპირების ეპიცენტრად ექცია და ამით მიეღო შესაბამისი დივიდენდები. სააკაშვილის ლოგიკა, სავარაუდოდ, იმაში მდგომარეობდა, რომ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები წარმოეჩინა, როგორც საქართველო-რუსეთის კონფლიქტი. შემდეგ კი აშშ ჩაერთო რუსეთის შეკავების პოლიტიკის კონტექსტში, რომლის განხორციელებასაც ჯორჯ ბუშ-უმცროსის ადმინისტრაცია თავისი პრეზიდენტობის მეორე ვადაში ცდილობდა. არსებული ლოგიკით საქართველო წარდგებოდა აშშ-ის რუსეთთან წინააღმდეგობის რესურსად და თეორიულად უსაფრთხოების გარანტიებსაც იღებდა. დადებული ფსონი რამდენიმე თვალსაზრისით, გაუმართლებელი აღმოჩნდა. პირველ რიგში, რუსეთთან დაპირისპირება არ წარმოადგენდა აშშ-ისთვის ფუნდამენტური სტრატეგიული არჩევნის საგანს, რაც აისახა კიდევ 2009 წლის გაზაფხულზე დაწყებულ „გადატვირთვაში“. საქართველომ გადააჭარბა რუსეთ-ამერიკის ურთიერთობების სიმწვავის ხარისხს. 70-წლიანი დაპირისპირების განმავლობაში ორმა ქვეყანამ გამოიმუშავა კონფლიქტურ-კოოპერატიული ურთიერთქმედების მოდელი, რომლის დესტაბილიზაციასაც ვერ შეძლებს ისეთი სუსტი სტიმული, როგორიც ქართულია. მეორე, დასუსტების გზაზე მდგარი რუსეთის ნაცვლად წარმოჩინდა რუსეთი, რომელიც სწრაფად იკრებს თავის საგარეო პოლიტიკურ ძლიერებას. მესამეც, ის სარგებელი (ფინანსური და საკონსულტაციო დახმარება), რომელიც საქართველომ ამ პოლიტიკისგან მიიღო, ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე დანახარჯი.

2012 წელს ხელისუფლებაში მოსული „ქართული ოცნება“ დარჩა ევროატლანტიკურ კურსზე, მაგრამ წამოაყენა მიზნის მიღწევის ახალი საშუალება: NATO-სთან და ევროკავშირთან დაახლოება რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციის გზით.

I. „დასავლეთი“ საქართველოს საგარეო პოლიტიკაში

საქართველოში ისევ განაგრძობენ ფსონის დადებას დასავლეთის მხრიდან ფინანსური და საგრანტო დახმარების პერსპექტივაზე. თბილისს გააზრებული აქვს ქართული ეკონომიკის მხარდაჭერის იდეოლოგიური ხასიათი და იმავდროულად აგრძელებს დასავლეთის ქვეყნებთან პრაგმატული ეკონომიკური თანამშრომლობისთვის საფუძვლის ძიებას.

ამ ფონზე მნიშვნელოვანი ცვლილებები იკვეთება საქართველო-სთან აშშ-ისა და ევროკავშირის ურთიერთობებში. პირველი, ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსების შედარებითი შემცირების შედეგად ვაშინგტონის ყურადღება კონცენტრირებულია ახლო აღმოსავლეთზე და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონზე. ახლო აღმოსავლეთში საომარი კონფლიქტების გამოცდილებამ აშშ-ის ხელმძღვანელობა მიიყვანა დასკვნამდე, რომ მსოფლიოში დემოკრატიის გავრცელებისას აუცილებელია სტაბილურობის პრიორიტეტების უფრო მეტად გათვალისწინება.¹

მეორე, აშშ-ში საქართველოს დოსიეს პრიორიტეტულობის შემცირება გამოიწვია საქართველოში კონფლიქტის ფაქტების დადგენის საერთაშორისო დამოუკიდებელი კომისიის მიერ 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დაწყების გარემოებების მასალების გამოქვეყნებამ.²

ქართული პროვოკაციების შედეგად რუსეთთან მასშტაბური სამხედრო დაპირისპირების პერსპექტივა არასოდეს შედიოდა აშშ-ის გეგმებში. ამერიკულ ანალიტიკაში პირველად გაჩნდა პუბლიკაციები, რომლებიც მწვავედ და არგუმენტირებულად აკრიტიკებდა საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის პროცესს.³ ამას ხელი შეუწყო სააკაშვი-

¹ Remarks by President Obama in Address to the United Nations General Assembly. United Nations. September 24, 2013// The White House. Office of the Press Secretary. URL: <http://www.whitehouse.gov/the-press-office/2013/09/24/remarks-president-obama-address-united-nations-general-assembly>

² Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia. 30 September 2009. URL: <http://www.ceiig.ch/Report.html>.

³ Bandow D. Georgia's Dangerous Slide Toward NATO // National Interest. April 26, 2013. URL:

ლის მთავრობის დანაშაულებების შესახებ ლობისტების მიერ ამერიკული ელიტისთვის ინფორმაციის მიწოდების მცდელობამაც.⁴

მესამე, ჩრდილოატლანტიკური თანამეგობრობის დედაქალაქებში აკვირდებიან მსოფლიო მართვის საერთო ვარდნას, რასაც ადრე NATO-ს წევრი სახელმწიფოები ახორციელებდნენ. ამ გაუთვალისწინებელი ელემენტების რიგში აშშ-ში განიხილავენ საქართველოს პოლიტიკურ არენაზე „ქართული ოცნების“ გამოჩენას. ყოველ შემთხვევაში, 2012-2013 წლებში ვაშინგტონი გაუგებრად და ერთგვარი ეჭვით ეკიდებოდა „ქართული ოცნების“ მთავრობის პრიორიტეტებს, სამართლიანობის აღდგენას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მოღვაწეთა მიმართ და რუსეთთან ურთიერთობების განახლების საკითხს.

„ვიკილიკსის“ ხელმისაწვდომი საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ 2000-იან წლებში ამერიკული დიპლომატია საკმარისად ყურადღებიანი არ იყო საქართველოს ეროვნულ თავისებურებებთან მიმართებაში და ვერ შეძლო, გაერკვია თბილისის⁵ საშინაო პოლიტიკის მოტივები. ფაქტობრივად, ეს შეცდომების მაღალ დონეზე მიუთითებდა, საქართველოს მოვლენების პოლიტიკურ შეფასებაში. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შესაძლო შედეგების გათვლისას აშშ-ის საელჩო, როგორც ჩანს, დაეყრდნო აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებს, რომელმაც დაარწმუნა ვაშინგტონი ენმ-ის გამარჯვებაში, თუ პარლამენტში „ქართული ოცნების“ სახით ძლიერი ოპოზიცია შევიდოდა. „ნიუ-იორკ ტაიმსთან“ ინტერვიუში, იმ დროს „ქართული ოცნების“ საერთაშორისო მიმართულებების ხელმძღვანელი თედო ჯაფარიძე აღნიშნავდა, რომ აშშ-ის საელჩოსთან ურთიერთობისას ამერიკელებს აინტერესებდათ „ქართული ოცნების“ პოზიცია არჩევნებში დამარცხებისას.⁶ ჯაფარი-

<http://nationalinterest.org/commentary/georgias-dangerous-slide-toward-nato-8403>; *Bandow D.* NATO's Georgia Nightmare // National Interest. August 9, 2013. URL: <http://nationalinterest.org/commentary/natos-georgia-nightmare-8860>; *Bandow D.*No, NATO Shouldn't Let Georgia In // National Interest. August 22, 2013. URL: <http://nationalinterest.org/commentary/no-nato-shouldnt-let-georgia-8932>.

⁴ ბ. გ. მეჟუევი. აშშ-ის კონგრესში აჩვენებდნენ ფილმებს სააკაშვილის რეჟიმის საშინელებებზე // იზვესტია. 24 ოქტომბერი, 201, URL: <http://izvestia.ru/news/559496>.

⁵ Saakashvili's Inaugural Address: Hitting the Right Notes. Embassy Tbilisi unclassified cable. January 22, 2008 // Wikileaks Cable Gate Archive. URL: <http://wikileaks.org/cable/2008/01/08TBILISI86.html>.

⁶ *Barry E.* Georgian Leader Emerges as an Enigma // New York Times. October 8, 2012. URL: <http://www.nytimes.com/2012/10/09/world/europe/georgian-leader-bidzina-ivanishvili-emerges-as-an-enigma.html>

ძის სიტყვებით, ამერიკელებმა ვერ გათვალეს ბიძინა ივანიშვილის შესაძლო გამარჯვება.

არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ აშშ თბილისისთვის არატიპურ და, ამდენად, საეჭვო საგარეო პოლიტიკურ აქტივობას წააწყდა. საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის შეცვლა ვაშინგტონში დაბნეულობის მიზეზი გახდა. ეს დაემთხვა აშშ-ის ყურადღების გადართვას ახლო აღმოსავლეთის პროცესებზე და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის დახმარების მეოთხედით შემცირებას (საქართველოსთვის – 85-დან 68,7 აშშ დოლარამდე). ვაშინგტონი დაინტერესებულია თბილისის ევროატლანტიკური ორიენტაციის შენარჩუნებით, თუმცა თავს არიდებს საქართველოს NATO-ში გაწევრიანების საკითხს. აშშ მიისწრაფვის, არ დაუშვას ახალი კონფლიქტი რუსეთსა და საქართველოს შორის, მაგრამ არ სურს, რომ ეს პროცესი თბილისის პროამერიკული ორიენტაციიდან დაშორებას ნიშნავდეს.

ამასთან, არ შეინიშნება ბოლო ცხრა წლის განმავლობაში საქართველოსთვის საკვანძო ევროატლანტიკურ მიმართულებაში სწრაფად მიღწევადი შედეგები. აშკარაა, რომ საშუალო ვადის პერსპექტივაში საქართველოსა და NATO-ს, საქართველოსა და ევროკავშირის შორის პოლიტიკური გარღვევების რესურსი ამოწურულია.

მაშინ როდესაც ახალი მთავრობის საგარეო პოლიტიკური ორიენტირები კვლავ დიდწილად უკავშირებს საქართველოს ევროკავშირსა და NATO-ს, თბილისში ევროატლანტიკური ინტეგრაციის უწინდელი ალგორითმის პოტენციალი („საშინაო დავალებების“ შესრულების გზით თანდათანობითი სვლა დასავლეთისკენ) უკვე არასაკმარისად აღიქმება.

ამ დასკვნის საფუძველს იძლევა ისეთი პრაქტიკული შედეგების არარსებობა, რომლებიც გამოხატული იქნებოდა საქართველოს უსაფრთხოების საიმედო გარანტიებით და ღრმა ეკონომიკური ინტეგრაციით. ღიად რჩება საქართველოს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის მაკროეკონომიკური ეფექტისა და მისი ქართველ მწარმოებელზე გავლენის საკითხი.

აშკარაა, რომ ამიტომ თბილისში ვერ ხედავენ, თუ რას აძლევს საქართველოს პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატიზაციის გავრცელების დემონსტრაციული პოლიტიკა და რუსეთის ზეგავლენის წინააღმდეგ ბრძოლა. სწორედ ამაში მდგომარეობდა ვაშინგტონისა და ბრიუსელისთვის უდავოდ ფასეული საქართველოს წინა ხელისუფლების პო-

ლიტიკის საერთაშორისო ასპექტი. პრეზიდენტი სააკაშვილი კი იყო განვითარების დასავლური მოდელის მნიშვნელოვანი არადასავლური მისიონერი პოსტსაბჭოთა სივრცესა და უფრო ფართოდ – მსოფლიო კონტექსტში.

საკაშვილს ამ თვისებაში ვერ აჯობებს ვერც ივანიშვილი და ვერც ახალი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, მაგრამ ინერციით სწორედ ასეთ ქცევას ელიან ახალი ქართველი ლიდერისგან დასავლეთში.

ვაშინგტონისა და ბრიუსელის დაუკმაყოფილებელი იმედგაცრუება კიდევ უფრო ღრმავდება საქართველოს ახალი მთავრობის მხრიდან სურვილის არქონით, მხარი დაუჭიროს რეგიონში დემოკრატიული მისიის თემასაც კი, რაც დასავლეთში აღიქმება როგორც ავტოკრატიისკენ უკუსვლა. ახალი მთავრობა არ ჩქარობს, გამოიჩინოს სოლიდარობა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისადმი, რომლებიც საქართველოს აშკარა მომხრეები იყვნენ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროს. ეს განპირობებულია თბილისში ჩამოყალიბებული აზრით, რომ საქართველოს პოლონეთთან და ბალტიისპირეთის ქვეყნებთან ბლოკის შექმნამ, რომელსაც ისტორიულად იდეოლოგიური და ანტირუსული ხასიათი ჰქონდა, კონსტრუქციულ შედეგებს ვერ მიაღწია.

II. თურქეთისა და აზერბაიჯანის როლი

ამ ფონზე ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში მთელი სერიოზულობით არ დასმულა შეკითხვა, თუ როგორ მოახდინონ საქართველოს ინტეგრირება მის შემადგენლობაში. ბლოკი განიცდის შინაგან კრიზისს წევრი ქვეყნების მიერ დასახული მიზნების შეფასებისას არსებული უთანხმოების გამო.

კოლექტიური თავდაცვის შესახებ NATO-ს წესდების მე-5 მუხლის რუსეთის წინააღმდეგ გამოყენების პერსპექტივა, არსებული სტატუს-კვოს პირობებში, გამორიცხავს საქართველოს შესვლას ბლოკში. ბრიუსელი, პრინციპში, არ უარყოფს საქართველოს ინტეგრაციის პერსპექტივას, თუმცა სათანადო ძალისხმევასაც არ იჩენს ხელშემწყობი პირობების შესაქმნელად, იმ იმედით, რომ ეს მომავალში მოხდება. ჯერჯერობით კი თბილისს სთავაზობენ, განავითაროს ოპერატიული თანამშრომლობა NATO-ს რეგიონულ წევრებთან, უპირველეს ყოვლისა, თურქეთთან, რომელიც ბოლო წლებში რეგიონში თავისი სამხედ-

რო-პოლიტიკური ზეგავლენის გაძლიერებისკენ მიისწრაფვის, პირველ რიგში, თავის სასაზღვრო ზოლში.

საქართველოს გეოგრაფიული მეზობლობა თურქეთთან, არაერთხელ ქცეულა საფრთხის წყაროდ თბილისისთვის. ორ ქვეყანას ერთმანეთს აშორებდა საუკუნოვანი სამხედრო-პოლიტიკური და ეთნოკონფესიური დაპირისპირება, რომელიც ყოფით დონეზე დღესაც შეიმჩნევა. ისტორიულად ეს დაპირისპირება საქართველოს სასარგებლოდ არ ყალიბდებოდა და დროდადრო ქართველი ხალხის არსებობასაც კი ემუქრებოდა. მეორე მხრივ, სწორედ თურქეთი მიილტვოდა თბილისისთვის ასე მისაღები ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიზნებისკენ და 1952 წლიდან იყო NATO-ს წევრი. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ენმ) მთავრობა, ითვალისწინებდა საზოგადოებაში გავრცელებულ ანტითურქულ განწყობას და ცდილობდა მისთვის გვერდის ავლას. ამიტომ, ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროპაგანდას ენაცვლებოდა უსაფრთხოების გეოგრაფიული კონტექსტი, რომელიც ხელოვნურად მიუჩენდა საქართველოს ადგილს ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის, რომლებსაც ბოლო 20 წლის განმავლობაში აერთიანებდათ საერთო პოლიტიკური ტრაექტორია (ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციიდან NATO-მდე) და საფრთხეების საერთო აღქმა, რაც ვითომდა რუსეთიდან გამომდინარეობდა. აქცენტი არ კეთდებოდა იმ გარემოებაზე, რომ ცენტრალური ევროპის ქვეყნები ატლანტიკურ ინტეგრაციაში ჩაბმული იყვნენ მეზობელი გერმანიის მიერ, მაშინ როცა საქართველოს ეს გზა უნდა გაეწვლინა სამხრეთ მეზობლის - თურქეთის შუამდგომლობით. ცხადი იყო, რომ საქართველოს საზოგადოება ცდილობდა, თავი აერიდებინა ამ ხვედრისთვის, ისევე როგორც ღრმა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის თანმდევი საკავშირო ურთიერთობებისთვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთისადმი გაძლიერებული შიშისა და ეჭვის არსებობისას, ქართველი ექსპერტების უმრავლესობა არ გამოხატავდა შემფოთებას საქართველოში თურქეთისა და აზერბაიჯანის მნიშვნელოვნად გაზრდილი ეკონომიკური ექსპანსიის გამო. არ განიხილავდა ამ პროცესს, როგორც ქვეყნის სუვერენიტეტისთვის საფრთხის შემცველს.

ამასთანავე, სააკაშვილის პოლიტიკა ხელს უწყობდა საქართველოს დამოკიდებულებას თურქეთისა და აზერბაიჯანის ეკონომიკაზე, მათ შორის ტრანსპორტის სფეროში. ახალი ხელისუფლების შესაძლო

მცდელობა, დააბალანსოს ეს ურთიერთობები, რუსეთის ინტერესების გათვალისწინებით (მაგალითად, აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლა), უთანხმოებას გამოიწვევს ანკარასა და ბაქოსთან.

III. რუსეთის პოზიცია

რუსეთი არ ცდილობს საქართველოს არჩევნის თავისუფლების შეზღუდვას საგარეო პოლიტიკაში. „გეოპოლიტიკური პლურალიზმი“ პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის ამიერკავკასიაში, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობით განპირობებული რეალობა გახდა. მოსკოვისთვის მნიშვნელოვანია ორი ერთმანეთთან დაკავშირებული პრინციპი. პირველი, რომ საქართველოს „ევროპული“ ან „დასავლური“ არჩევანი ავტომატურად არ გახდეს ანტირუსული, ანუ „გეოპოლიტიკური პლურალიზმის“ პრინციპი რუსეთზეც ვრცელდება. ამ დროს 1980-იანი წლების ბოლოდან საქართველოს საგარეო პოლიტიკა კონცეპტუალურად ეყრდნობა „დასავლეთი-რუსეთის“ ოპოზიციის საფუძველს. მეორე, „ევროპული“ ან „დასავლური“ არჩევანი არ გულისხმობდეს ავტომატურ არჩევანს NATO-ს სამხედრო ინფრასტრუქტურის რუსეთის საზღვრებამდე გავრცელების სასარგებლოდ. მოვლენათა ასეთი განვითარება საქართველოს NATO-ში გაწევრიანების საკითხს დააყენებს ორმხრივი ურთიერთობების საზღვრებს გარეთ და გადააქცევს მას რუსეთსა და დასავლეთს შორის დაპირისპირების მნიშვნელოვან პუნქტად.

წინააღმდეგობები რუსეთსა და საქართველოს შორის დაკავშირებულია ევროპის უსაფრთხოების სისტემის მომავლის სხვადასხვა ხედვასთან. ოფიციალური თბილისი NATO-ს გაფართოების მომხრეა და მიისწრაფვის ამ ალიანსში გაწევრიანებისკენ. რუსეთი, აღიარებს საქართველოს მოკავშირეთა არჩევნის უფლებას, მაგრამ ამავდროულად მიიჩნევს, რომ ბლოკის გაფართოება და მიახლოება რუსეთის საზღვრებთან საფრთხეს უქმნის ქვეყანას. ალიანსის სამხედრო ინფრასტრუქტურის რუსეთთან ახლოს განლაგებით შექმნილი უშუალო საფრთხის გარდა, არსებობს ირიბიც - საერთოევროპული უსაფრთხოების სისტემიდან მოსკოვის თანდათანობითი გათიშვა.

თუმცა NATO-ს 2008 წლის აპრილის სამიტზე საქართველოს დაპირდნენ, რომ ის ალიანსის წევრი გახდებოდა, მაგრამ მისი გაწევრიანების კონკრეტული ვადები არ განსაზღვრულა და არც წევრობის სამოქმედო გეგმა მიუნიჭებიათ.

NATO-ს გაფართოების გაგრძელება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ხარჯზე, კერძოდ საქართველოსა და უკრაინის, ჯორჯ ბუშ-უმცროსის ადმინისტრაციის პროექტი იყო, რომელსაც მხარს უჭერდნენ ალიანსის ახალი წევრები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. ბევრი ძველი წევრი, პირველ რიგში, საფრანგეთი და გერმანია, ამ პროექტს სკეპტიკურად უყურებდა და პროექტის ჩავარდნის ერთ-ერთი მიზეზი მათი პოზიცია გახდა. ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ, რომელმაც ჯორჯ ბუში შეცვალა, ფაქტობრივად, შეაჩერა ბლოკის გაფართოება, თუმცა ამასთან დაკავშირებით არანაირი ვალდებულების შემცველი განცხადება არ გაუკეთებია.

საქართველოს პოლიტიკოსთა უმრავლესობა აღიარებს, რომ ქვეყნისთვის NATO-ში გაწევრიანების პერსპექტივა საკმაოდ შორეულია, თუმცა ეს მიზანი დღის წესრიგიდან მოხსნილი არ არის. ამ პირობებში, თბილისისთვის არაგონივრული იქნებოდა სახელმწიფოს ბედის მხოლოდ ალიანსთან დაკავშირება. არსებითად, საქართველო უარს ამბობს თავისი უსაფრთხოების სხვა მექანიზმების განხილვაზე. ასეთ დისკუსიას კავშირების თავისუფალი არჩევნის პრინციპის დარღვევად თვლის და ამ პოზიციას მიიჩნევს ერთ-ერთ „წითელ ხაზად“ რუსეთთან ურთიერთობებში. ამ ფონზე რუსეთი რჩება ერთადერთ სახელმწიფოდ, რომელსაც უნარი შესწევს, იზრუნოს საქართველოს გრძელვადიანი უსაფრთხოებისთვის და ამით ჩაახშოს თბილისში დღემდე არსებული „მიუსაფრობის შეგრძნება“ ისლამური მეზობელი ქვეყნების მიმართ.

IV. ეკონომიკური ასპექტი

2013 წლის ნოემბერში ევროკავშირის ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის ზონის შესახებ ხელშეკრულების პარაფირება და 2014 წლის ივნისში მისი ხელმოწერა სიმბოლური მიღწევა გახდა მოქმედი ქართული პოლიტიკური ელიტისთვის. თუმცა ევროკავშირისთვის ეს არ ნიშნავს საქართველოს იდენტურობის აღიარებას, უფრო საზღვრების გავლებაა მათ შორის. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება გაფორმებული აქვთ ისეთ განსხვავებულ ქვეყნებს, როგორიცაა ალჟირი, ჩილე, ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, ლიბანი, მაროკო, სამხრეთ აფრიკა და სხვა. თავისუფალი ვაჭრობის ზონა, გარდა ევროპული ქვეყნებისა, როგორიცაა ანდორა, ისლანდია, ნორვეგია და შვეიცა-

რია, ევროკავშირს აქვს მექსიკასა და პალესტინის ნაციონალურ ადმინისტრაციასთანაც. მოლაპარაკებები მიმდინარეობს კოლუმბიასთან, პერუსთან, სამხრეთ კორეასთან, აფრიკის რიგ სახელმწიფოებთან და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ცალკეულ ქვეყნებთან.

გასათვალისწინებელია, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ბაზრების გახსნა 1990-იანი წლების დასაწყისში ევროკავშირის მეწარმეებისთვის ნიშნავდა ოცწლიან ეკონომიკურ ზრდას ადგილობრივი მეწარმეების გამოდევნისა ევროკავშირის მეწარმეებით მათი შეცვლის ხარჯზე.⁷

ამდენად, პოსტსაბჭოთა ქვეყნების ბაზრების გახსნა წარმოადგენს ახლად გაწევრიანებული ქვეყნების სამომხმარებლო რესურსის გამოყენების წინა პოლიტიკის გაგრძელებას. არსებობს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ იაფფასიანი საქონელი ევროკავშირიდან საქართველოს საკუთარი წარმოების აღდგენას შეუშლის ხელს. საქართველოს ნებისმიერი ხელისუფლება, რომელიც კურსს აიღებს არა ტრანზიტზე და მომსახურებაზე, არამედ საკუთარი წარმოების განვითარებაზე, იძულებული გახდება, გადაწყვეტილება მიიღოს შიდა ბაზრის დაცვის თაობაზე.

ეკონომიკური ინტერესების ანალიზისადმი საქართველოში არსებული ლეგალური მიდგომა გულისხმობს, რომ საერთაშორისო ინსტიტუტები, თავისი ჩართულობის ფაქტითაც კი, არეგულირებენ პროცესებს ყველა მონაწილისთვის ზედმიწევნით ხელსაყრელი პირობებით. ამას ეწინააღმდეგება მსხვილი სახელმწიფოების (აშშ, იაპონია, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, გერმანია, რუსეთი და სხვა.) მოქმედების პრაქტიკა. ისინი ცდილობენ თავიანთი მწარმოებლებისთვის მოიპოვონ პრეფერენციები საერთაშორისო სავაჭრო რეჟიმების ჩარჩოებში.

აღსანიშნავია, რომ ობიექტურად საქართველო ერთეულ საბაჟო კავშირის ახლანდელი და მომავალი წევრების სავაჭრო-ეკონომიკურ პროცესებში. გარდა რუსეთ-საქართველოს ვაჭრობისა, რომელიც ინტენსიური ტემპით განახლდა, საქართველო უზრუნველყოფს საქართველო-სომხეთის ტრანზიტს. ამავე დროს, საქართველოში აქტიურდება საბაჟო კავშირის მეორე წევრის - ყაზახეთის სავაჭრო ინტერესები. ეს უკანასკნელი დაინტერესებულია სამხრეთ კავკასიის, ასტანა-ბათუმის, მარშრუტის სატრანსპორტო დერეფნის განვითარებით, რომე-

⁷ პოლონეთის გარდა, რომელმაც შეძლო სოფლის მეურნეობაში სახელმწიფოს მაღალი მხარდაჭერის მოპოვება.

ლიც გააერთიანებს ცენტრალური აზიის ქვეყნებს, აზერბაიჯანსა და საქართველოს ერთიან სატარიფო სივრცეში.⁸ ბათუმის პორტს მართავს ყაზახური კომპანია და ყაზახეთში ეს განიხილება, როგორც „ფანჯარა ევროპაში“. სატრანზიტო ტარიფებზე კონსენსუსის მიღწევის შემთხვევაში, ყაზახეთ-რუსეთის კონსორციუმი მზადაა, ინვესტიცია ჩადოს ნავთობჩამომსხმელი ტერმინალის განვითარებასა და საქართველოს სამხრეთ სანაპიროზე მარცვლეულის ტერმინალის მშენებლობაში.

საბაჟო კავშირის წევრობით თურქეთის დაინტერესება მიანიშნებს რუსეთ-თურქეთის ვაჭრობაში საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის მნიშვნელობის გაზრდას. ამ მიმართულებას განსაკუთრებულ პრიორიტეტულობას ანიჭებს ის გარემოება, რომ რუსეთისა და თურქეთის საზღვაო ვაჭრობა სულ უფრო იზღუდება ამ ქვეყნების შავი ზღვის პორტების გადატვირთვის გამო. ამასთან, ორივე ქვეყნის გეგმებშია 2020 წლისთვის ორმხრივი ვაჭრობის გაზრდა მიმდინარე 35 მილიარდი დოლარიდან 100 მილიარდ დოლარამდე წელიწადში. დროთა განმავლობაში ეს სიტუაცია გამოიწვევს არა მარტო სახმელეთო ავტოგადაზიდვების ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის აუცილებლობას, არამედ დღის წესრიგში დააყენებს აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას.

დასკვნა

ბოლო წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ევროკავშირთან ან რუსეთთან თანამშრომლობის პრიორიტეტების არჩევა საქართველოში ალიქმება არა როგორც პრაგმატული გათვლის შედეგი, არამედ იდენტურობაზე დაფუძნებული ფასეული, გნებავთ ეგზისტენციალური არჩევანი. აშკარაა, რომ ამიტომაც ევროკავშირში ნამდვილი გაწევრიანების პერსპექტივის შემცირებამ წარმოშვა ფორმულა: „ევროპული სტანდარტებისა და ფასეულობების მიმართულებით წინსვლა - თავი-თავად მიღწევა“.

არსებითად, საქართველოს არ გააჩნია განსხვავებული სტრატეგიული მიზნები, გარდა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისა. გარე სამყაროს მდგომარეობის და საგარეო პოლიტიკური მიზნების რეალიზაციისთვის ხელთ არსებული რესურსების არაადეკვატურმა

⁸ ერმუხამედ ერტისბაევი: საქართველოს გაწევრიანება ევროკავშირში დიდი საჩუქარი იქნებოდა// NewCaucasus. 16 სექტემბერი 2013. URL: <http://newcaucasus.com/index.php?newsid=6683>.

შეფასებამ ქართული დიპლომატია ჩიხში შეიყვანა. გარდა ამისა, ქართულმა მხარემ დაკარგა მნიშვნელოვანი რამ, მოლაპარაკების წარმოების უნარ-ჩვევები და მთხოვნელის როლით შემოიფარგლა. ქართული დიპლომატიის შეფასებების დამოკიდებულება დასავლელი პარტნიორების შეხედულებებზე მთავრობის პოლიტიკის ხაზს მერყევს ხდოდა. თბილისში უფრო მეტად აფასებენ დიპლომატიური პროცესის სიმსუბუქეს ბრიუსელსა და ვაშინგტონთან, რომლებიც არ ავალდებულებენ რაიმე დათმობებს, ვიდრე რეალური შინაარსით სავსე, მაგრამ დამაბულ რუსეთ-საქართველოს, ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ მოლაპარაკებებს.

ქართულ დიპლომატიას, ზოგადად გააზრებული აქვს, რომ მსოფლიოში არ არსებობს ძალა, რომელიც რუსეთს აიძულებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების უარყოფას და ამავდროულად მზად იქნება, გაიღოს ამისთვის საჭირო დიდი დანახარჯები. თბილისი აწარმოებს არიერგარდულ ბრძოლებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მდგომარეობის თავისეული ხედვის წინ წამოწევით მისთვის ხელმისაწვდომ ყველა საერთაშორისო მოედანზე. ამას, ემოციური კმაყოფილების გარდა, არანაირი შედეგი არ მოაქვს.

საქართველოს პოზიციის გავლენიანი მომხრეები - აშშ და ევროკავშირი არ აპირებენ რაიმე მსხვერპლის გაღებას, რათა დაარწმუნონ ან აიძულონ რუსეთი, უარი თქვას აღიარებაზე. ამგვარი გარემოება წარუმატებელს ხდის თბილისის კურსს, რუსეთთან ურთიერთობებში ჩართოს რაც შეიძლება მეტი შუამავლები და მათ მხრებზე გადაიტანოს განვითარებულ მოვლენებზე პასუხისმგებლობის ტვირთი.

არ არის გამორიცხული, რომ რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციის გზით საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების კურსი უფრო პროდუქტიული აღმოჩნდეს. ევროპული ყაიდით სახელმწიფოს განვითარების მთავარი მაჩვენებელია მშპ-ის ოდენობა ერთ სულ მოსახლეზე. საქართველოსთვის ამ მაჩვენებლის გაზრდის სწრაფი გზაა რუსეთთან სავაჭრო და სამეწარმეო კავშირების განვითარება. მოსკოვსა და თბილისს შორის საერთო ინტერესების საკითხებზე სრულფასოვანი დიალოგის დაწყება აახლოებს ჩვენს ქვეყნებს შორის ჯანმრთელი ეკონომიკური და სოციალური კავშირების აღდგენის პერსპექტივას.

**რუსეთი და საქართველო რადიკალური ისლამის
წინააღმდეგ: საერთო საფრთხეები და კოოპერაციის
შესაძლებლობები**

მიღებულია, რუსეთი და საქართველო განიხილონ, როგორც ხისტი და შეურიგებელი ოპონენტები, რომლებსაც შეუთანხმებლობა და წინააღმდეგობა აქვთ საკითხთა ფართო სპექტრში. ამასთან, მოსკოვიც და თბილისიც არცთუ იშვიათად აწყდებიან საერთო მუქარას, დიალოგის არარსებობა, არაკოორდინირებული ქმედება და როგორც შედეგი, უნდობლობა ხელს უშლის ამ საშიში გამოწვევების წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას. ქვემოთ ვისაუბრებთ რადიკალური ისლამის წინააღმდეგ ორი ქვეყნის მოქმედებაზე, მათი თანამშრომლობის პერსპექტივასა და საერთო მიდგომების გამომუშავებაზე.

რუსეთი – საქართველო: კონფრონტაციიდან ნორმალიზაციისკენ

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსულ-ქართულმა ორმხრივმა ურთიერთობებმა უკიდურესად რთული და წინააღმდეგობრივი დინამიკა განიცადეს. 2008 წლის ხუთდღიანი ომის შემდეგ კი ურთიერთობა ყველაზე დაბალ ნიშნულამდე დავიდა. დიპლომატიური კავშირი ქვეყნებს შორის შეწყდა, სახელმწიფოთაშორისი კონტაქტები კი, ფაქტობრივად, შემოიფარგლა ჟენევის დისკუსიებით ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებზე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში¹ და მოლაპარა-

¹ ჟენევის დისკუსიებმა ამიერკავკასიის სიტუაციაზე სტარტი აიღო 2008 წლის 15 ოქტომბერს. ამ ფორმატში მონაწილეობენ რუსეთის, საქართველოსა და აშშ-ის, ევროკავშირის, გაეროსა და ეუთო-ს წარმომადგენლები. ასევე, დიპლომატები აფხა-

კებებით შუამავალთა მეშვეობით, იქნებოდა ეს რუსეთის ფედერაციის შესვლა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (შვეიცარიის დახმარებით) თუ საკონტროლო-გამშვები პუნქტის გახსნა საქართველოს სამხედრო გზის „ყაზბეგი-ზემო ლარსის“ მონაკვეთზე (სომხეთის შუამავლობით).

მას შემდეგ, რაც 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისა და 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო კამპანიის შედეგად შეიცვალა პარლამენტი, მთავრობა და სახელმწიფოს მეთაური, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზება დისკუსიებისა და კამათის სფეროდან პრაქტიკულ სიბრტყეში გადავიდა, მოსკოვმა და თბილისმა მოახერხეს მთელი რიგი ღონისძიებების რეალიზება, რომლებმაც დაარღვიეს ადრე განვითარებული, ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური ტრენდები. პირველი ეტაპის თვალსაჩინო შედეგებია:

საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების მიერ კონფრონტაციული რიტორიკისგან თავის შეკავება და შიდაპოლიტიკური მობილიზაციისთვის რუსეთის ფაქტორის გამოყენება (2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ამ გზით მიდიოდა მხოლოდ ოპოზიციური „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“);

თბილისის უარი ჩრდილოკავკასიური ნაციონალისტური მოძრაობების მხარდაჭერას მათთან პოლიტიკურ ალიანსზე საქართველოს პოზიციის, როგორც რუსეთის „კავკასიური ალტერნატივის“ საფუძველზე;

უარი სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტზე და თამაშებზე სპორტსმენტა დელეგაციის გაშვების გადაწყვეტილება;

უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობის დეკლარირება;²

ზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან „ექსპერტთა“ რანგში (ისინი არ წარმოადგენენ თავიანთ წარმონაქმნებს ცალკეულ ქვეყნებად). დისკუსიები მიმდინარეობს ორი მიმართულებით (უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული საკითხები). 2014 წლის მდგომარეობით ჩატარდა დისკუსიების 27 რაუნდი.

² 2013 წლის აგვისტოში საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ვაშინგტონში ვიზიტისას განაცხადა, რომ მოსურნეა კოოპერაციისა სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად „მიუხედავად 2008 წლის საომარი კონფლიქტის მძიმე შემდეგობისა“ (ალასანია: საქართველო ღიაა რუსეთთან სამხედრო თანამშრომლობისთვის//*Взгляд*. 22 აგვისტო, 2013 წელი. 2013. URL: <http://vz.ru/news/2013/8/22/646647.html>. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებთან შეხვედრისას ირაკლი ღარიბაშვილმა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში 2014 წლის 16 იანვარს განაცხადა: „უსაფრთხოების საკითხები მნიშვნელოვანია, ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ ყველა ქვეყანასთან ამ თემებზე, მათ შორის რუსეთთანაც. თუ ოლიმპიური თამაშებისას საქართველო შეძლებს, შეიტანოს წვლილი უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და გაძლიერებაში, ჩვენ მხოლოდ მოხარული ვიქნებით“ (საქართველო მზად არის

რუსული ბაზრის გაღება ქართული საქონლისთვის (ალკოჰოლი, მინერალური წყალი, ციტრუსი);³

სავიზო რეჟიმის გამარტივება ქართველი გადამზიდავებისთვის (მძღოლებისთვის);

პირდაპირი რეგულარული დიალოგის დამყარება საქართველოსა და რუსეთს შორის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსზე დავის გარეშე, (ქართული მთავრობის სპეციალური წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე და სახელმწიფო მდივანი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი).

რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში (თებერვალი, 2013 წელი) არის თეზისი, რომ „რუსეთი დაინტერესებულია საქართველოსთან ურთიერთობის ნორმალიზებით იმ სფეროებში, სადაც ამისთვის მზად არის საქართველო“.⁴

ზამთრის ოლიმპიადის მიმდინარეობისას სოჭში 2014 წლის 10 თებერვალს, პასუხობდა რა ქართველი ჟურნალისტის შეკითხვას, რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ არ გამოირიცხავს მომავალში ქართველ კოლეგასთან, გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრას⁵.

ამგვარად, მოსკოვმა და თბილისმა მოახერხეს გადასვლა პრაგმატულ ურთიერთობებზე. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ნორმალიზაციის პირველადი დღის წესრიგი პრაქტიკულად ამოიწურა, ხოლო არ-

ითანამშრომლოს რუსეთის ფედერაციასთან სოჭში ტერორიზმთან ბრძოლაში//PIA Новости. 16 იანვარი, 2014. URL: <http://ria.ru/world/20140116/989528899.html>).

³ 2013 წლის დეკემბერში რუსეთმა გადაუსწრო უკრაინას ქართული პროდუქციის მთავარი იმპორტიორის რანგში და მინერალური წყლის ექსპორტის მოცულობამ საქართველოდან რუსეთში 2013 წლის იანვარ-სექტემბერში შეადგინა, დაახლოებით, 22-24 მლნ ამერიკული დოლარი. 2013 წლის დამამთავრებელ კვარტალში ქართველმა მწარმოებლებმა გაყიდეს 40 მლნ ამერიკული დოლარის ღვინო, მაშინ როცა წლის დასაწყისში ეს მაჩვენებელი არ აღემატებოდა 20 მლნ-ს (ქართული ღვინის ექსპორტის განახლება რუსეთის ფედერაციაში წლის მთავარი მოვლენაა საქართველოსთვის// რუსეთის ხმა, 1 იანვარი, 2014 წელი. URL: http://rus.ruvr.ru/2014_01_01/Vozobnovlenie-jeksporta-vina-v-RF-odno-iz-glavnih-sobitij-goda-dlja-Gruzii-4667). 2013 წლის დეკემბერში რუსეთმა გაასწრო საქართველოს და გაყიდა, დაახლოებით, 40 ათასი ტონა ციტრუსი//აგროპერსპექტივა. 27 დეკემბერი, 2013. URL: <http://www.agroperspectiva.com/ru/news/128098>).

⁴ რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია (12 თებერვალი, 2013) // საინფორმაციო-სამართლებრივი პორტალი „გარანტი“. 2013 წლის 20 თებერვალი. URL: <http://www.garant.ru/products/ipo/prime/doc/70218094/#ixzz2vYOKymKL>.

⁵ პუტინმა არ გამოირიცხა შესაძლებლობა, შეხვდეს თავის ქართველ კოლეგას // იტარტას. 10 თებერვალი, 2014. URL: <http://itar-tass.com/politika/953439>.

სებული ტვირთით შემდგომი მოქმედება შეუძლებელია. აუცილებელია იმ პრობლემებისა და ფორმატის მოძიება, რომელთა ურთიერთქმედება მნიშვნელოვან იმპულსს შექმნდა ურთიერთობების გაუმჯობესებას. ასეთს უდავოდ მიეკუთვნება ტერორისტული საფრთხე და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ეს გამოწვევები შეეხო (და კვლავ ეხება) რუსეთის ჩრდილო კავკასიას (განსაკუთრებით, დაღესტანს, ინგუშეთს, ჩეჩნეთს) და საქართველოს ჩრდილოეთ რაიონებს (პანკისის ხეობა).

ტერორიზმი და რუსულ-ქართული სასაზღვრო უსაფრთხოება

ჩრდილო კავკასიის მნიშვნელობის უგულებელყოფა მთელი დიდი კავკასიონის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და ჩრდილო კავკასია) გეოპოლიტიკური კონფიგურაციისთვის ძნელია. რუსეთ-საქართველოს პერსპექტივები დიდად არის დამოკიდებული რუსეთის ყველაზე არასტაბილურ რეგიონში – ჩრდილო კავკასიაში არსებულ დინამიკაზე.

მიუხედავად იმისა, რომ 2013 წელს სამხედრო ძალადობის მსხვერპლთა რიცხვი რუსეთის ამ მხარეში 239 ადამიანით, ანუ 19,5%-ით, შემცირდა წინა წელთან შედარებით, ხოლო 2014 წლის 8 აპრილს რუსეთის ფედერაციის უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორმა ალექსანდრ ბორტნიკოვმა ოფიციალურად განაცხადა „იმარატ კავკასიონის“ ლიდერის, დოკუ უმაროვის „ნეიტრალიზაციის“ თაობაზე, აქ სიტუაცია ძველებურად შორს არის სტაბილურობისა და უსაფრთხოებისგან⁶.

პირველ რიგში, მსხვერპლთა რიცხვის შემცირების საერთო ფონზე გაიზარდა მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობას შორის⁷, მეორე, 2013 წლის 1 იანვრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით სამხრეთ და ჩრდილოკავკასიურ ფედერალურ ოლქებში მოხდა 33 ტერორისტული აქტი, მათ შორის 9 – ტერორისტი-თვითმკვლელების მიერ. ამასთან, საქართვე-

⁶ მოსკოვში, ეაკ-ის თავმჯდომარის, რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორის ა. ვ. ბორტნიკოვის ხელმძღვანელობით გაიმართა ეაკ-ისა 45-ე სხდომა //ეროვნული ანტიტერორისტული კომიტეტი (ოფიციალური საიტი). 2014 წლის 8 აპრილი. <http://nac.gov.ru/nakmessage/2014/04/08/v-moskve-pod-rukovodstvom-predsedatelya-nak-direktora-fsb-rossii-av-bortnikova.html>.

⁷ „კავკასიური კვანძმა“ გააანალიზა ჩრდილო კავკასიის შედეგები 2013 წელს: შეიარაღებული კონფლიქტისას დაღუპულთა რიცხვი შემცირდა// კავკასიური კვანძი. 1 იანვარი, 2014 წელი. URL: <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/237362>.

ლოს აქვს საერთო საზღვარი სამ ყველაზე საშიშ (ტერორიზმის საფრთხისა და ისლამური რადიკალიზმის თვალსაზრისით) ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკასთან – ინგუშეთთან, დაღესტანთან და ჩეჩნეთთან⁸.

საკმარისია ითქვას, რომ ორგანიზაციების ერთიან ფედერალურ სიაში, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი სასამართლოს მიერ „ტერორისტულ ორგანიზაციებად“ შერაცხულთა შორის ოცი სტრუქტურულიდან სამი დაკავშირებულია ჩრდილო კავკასიასთან (დანარჩენი 16 – უცხოური წარმომავლობისაა, ძირითადად, ახლო აღმოსავლეთიდან, ავღანეთიდან, პაკისტანიდან). მათ მიეკუთვნება „უმაღლესი სამხედრო მეჯლისი – შურა“, „კავკასიის მოჯაჰედთა გაერთიანებული ძალები“, „იჩქერიისა და დაღესტნის ხალხთა კონგრესი“ და „კავკასიის იმარატი“⁹. სამი ჩამოთვლილი ორგანიზაციიდან უკანასკნელი გახდა რუსეთის ტერიტორიაზე მოქმედი ერთადერთი სტრუქტურა, რომელიც შესულია უცხო სახელმწიფოს – აშშ-ის „ტერორისტულ სიებში“.¹⁰

ამასთან, ჩრდილოკავკასიელი ტერორისტები დესტაბილიზაციას ქმნიან რეგიონის ფარგლებს გარეთ. მათ მიერ ტერორისტული აქტები განხორციელებულია რკინიგზაზე (თავდასხმა მატარებელზე – „ნევის ექსპრესი“ – მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგს შორის 2009 წელს)¹¹, მოსკოვში (აფეთქებები მეტროში 2010 წელს, აეროპორტში – „დომოდედოვო“ – 2011 წელს)¹², ვოლგოგრადში (საქალაქო ავტობუსის, რკინი-

⁸ 2013 წლის პირველ ცხრა თვეში სამართალდამცველთა დიდი უმრავლესობა დაიღუპა დაღესტანში ბოვეიკების ხელით (70 კაცზე მეტი) და ჩეჩნეთში (20 კაცზე მეტი). იხ.: 200 ბოვეიკზე მეტი, მათ შორის, ზანდფორმირების 30 ლიდერი განადგურდა ჩრდილო კავკასიაში ცხრა თვეში // ინტერფაქსი, . 28 ნოემბერი, 2013. URL: <http://interfax-russia.ru/South/main.asp?id=454880>.

⁹ რუსეთის ფედერაციის უმაღლესი სასამართლოს ერთიანი სია ტერორისტული ორგანიზაციებისა // ეროვნული ანტიტერორისტული კომიტეტი (ოფიციალური საიტი). 14 თებერვალი, 2003 წელი. URL: <http://nac.gov.ru/document/832/edinyi-federalnyi-spisok-organizatsii-priznannykh-terroristicheskimi-verkhovnym-sudom-r.html>.

¹⁰ Designation of Caucasus Emirate. Media Note // U.S. Department of State. May 26, 2011 URL: <http://www.state.gov/r/pa/prs/ps/2011/05/164312.htm>; Designation of Caucasus Emirate Leader Doku Umarov // U.S. Department of State. June 23, 2010. URL: <http://www.state.gov/r/pa/prs/ps/2010/06/143579.htm>. დაწვრილებით აშშ-ის მოტივების შესახებ იხ.: Markedonov S. Caucasus Cauldron // Journal of International Security Affairs. 2010. № 19 (Fall). PP. 123-128.

¹¹ უმაროვის ბოვეიკებმა აიღეს პასუხისმგებლობა „ნევის ექსპრესის“ აფეთქებაზე //საუკუნე. 2 დეკემბერი, 2009 წელი. URL: <http://wek.ru/boeviki-umarova-vzyali-otvetstvennost-za-podryv-nevskogo-yekspressa>.

¹² დოკუ უმაროვმა პასუხისმგებლობა აიღო აფეთქებებზე მოსკოვში და პირობა დადო, რომ მოაწყობს შემდეგ აფეთქებებს.//კავკასიური კვანძი. 31 მარტი, 2010 წელი. URL: <http://russia.kavkaz-uzel.ru/articles/167225>. დოკუ უმაროვმა პასუხისმგებლობა აიღო ტერაქტ „დომოდედოვოზე“// კავკასიური კვანძი. 8 თებერვალი, 2011 წელი. URL:

გზის ვაგზლისა და ტროლეიბუსის აფეთქება) და პიატიგორსკში 2013 წელს¹³. ჩრდილოკავკასიელი ჯიჰადისტები, ასევე, აცხადებდნენ ვოლგისპირეთის ფედერალური ოლქის ტერიტორიაზე გააქტიურების შესახებაც¹⁴.

უკანასკნელ დროს საქართველოში რუსეთის მიმდებარე სასაზღვრო ტერიტორიებზე (ახმეტის რაიონი), რადიკალი ისლამისტები საფუძვლიანად გამყარდნენ არა მარტო ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკებიდან მიგრაციის შედეგად, არამედ დამოუკიდებელი რადიკალიზითაც. ეს დაჯგუფებები ისწრაფვიან მყარი კავშირების დამყარებას, როგორც ტერორისტულ სტრუქტურებთან, რომლებიც მოქმედებენ რუსულ ჩრდილო კავკასიაში, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან. კავკასიის ინტეგრაციის ფონდის ხელმძღვანელის, პანკისის ხეობის უზუცესთა საბჭოს წევრ უმარ იდიგოვის შეფასებით სირიის სამოქალაქო ომში მონაწილეობს ორასამდე ჩეჩენი ქისტი პანკისიდან.¹⁵ ამავე დროს, „კავკასიის იმარატის“ ჯიჰადისტები ამიერკავკასიის ტერიტორიას (საქართველოს ჩათვლით) „კიაფირებისა და მურდატების მიერ ოკუპირებულ მიწებად“ მიიჩნევენ¹⁶.

რუსეთის ინტერესებშია, რომ საქართველოს სასაზღვრო ტერიტორიები არ გადაიქცეს „ზურგად“ ან „უსაფრთხო ნავსაყუდელად“ ჩრდილოკავკასიელი ბოვეიკებისთვის. ამასთან, რუსეთის ფედერაცი-

<http://www.kavkaz-uzel.ru/articles/180723>.

¹³ უშიშროების ფედერალური სამსახური: ვოლგოგრადისა და პიატიგორსკის ტერაქტები გახსნილია// რუსული გაზეთი. 8 აპრილი, 2014 წელი. URL: <http://www.rg.ru/2014/04/08/reg-ufo/teracty-anons.html>.

¹⁴ დაწვრილებით იხილეთ Sergey Markedonov. The Rise of Radical and Nonofficial Islamic Groups in Russia's Volga region // Center for International and Strategic Studies. January 2013. URL: <http://csis.org/publication/rise-radical-and-nonofficial-islamic-groups-russias-volga-region>.

¹⁵ იდიგოვი: სირიის სამოქალაქო ომში მონაწილეობს, დაახლოებით, 200 ქისტი ჩეჩენი საქართველოდან //კავკასიური კვანძი. 20 ნოემბერი, 2013 წელი. URL: <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/233822>.

პანკისის ხეობა მდებარეობს კახეთის ისტორიული ოლქის ჩრდილოეთ ნაწილში. მისი ტერიტორია გადაჭიმულია 34 კმ-ზე ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, დიდი ბორზალოს მთიდან სოფელ მატანამდე, კავკასიონის მთავარ ქედზე. პანკისის ხეობა შედის ახმეტის რაიონში. XIX საუკუნეში მთიანი რაიონებიდან – ჩეჩნეთიდან და ინგუშეთიდან მთიელები გადმოსახლდნენ საქართველოში და დააარსეს რამდენიმე დასახლება. საქართველოში მათ უწოდეს ქისტები (სიტყვა „ქისტი“ ქართველებში ნიშნავს ვაინახს). 2002 წლის საქართველოს მოსახლეობის აღწერის მონაცემებით ქისტების რაოდენობა 7,1 ათასი კაცია.

¹⁶ ა. ჩეპურინი. პოლიტიკური განვითარების ტენდენციები ამიერკავკასიის ქვეყნებში ანტიტერორისტული ოპერაციის ჭრილში // CA&CC Press. 2003. URL:http://www.ca-c.org/journal/2003/journal_rus/cac-03/07.cherus.shtml.

ის ჩრდილოკავკასიური ტერიტორიების შემდგომი დესტაბილიზაცია ემუქრება როგორც რუსეთს, ისე საქართველოსაც. მოვლენათა განვითარების უარეს ვარიანტში არ იქნება არანაირი საფუძველი „ცივილიზებული სეცესიისა“ და სრულფასოვანი სახელმწიფო წარმონაქმნების ფორმირებისა რუსეთის ფედერაციის ახლანდელი სუბიექტების ადგილას. არასტაბილურობის ახალი ტალღა არ მოუტანს საქართველოს სარგებელს (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვის მოკლევადიანი კომპენსაციის გარდა), მაგრამ მიიყვანს ძალის, ხელისუფლებისა და უსაფრთხოების ვაკუუმისკენ, რაც ახალ საფრთხეს შექმნის არა მოსკოვის, არამედ თბილისისთვის. ასეთ შემთხვევაში საქართველოს ერთიერთზე დარჩენა მოუწევს მზარდი ისლამური საფრთხის წინაშე. ეს გამოწვევა უფრო საშიში იქნება, ვიდრე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვა. ამ სცენარის თავიდან ასაცილებლად რუსეთმა და საქართველომ მთელი ყურადღებით უნდა გააანალიზონ ტერორისტული საფრთხის შეკავების არცთუ წარმატებული გამოცდილება, რომელიც პრაქტიკაში კოოპერაციას კი არა, „ნულოვანი თანხით თამაშს“ დაემსგავსა.

ჩრდილო კავკასია: გავლენა საერთაშორისო უსაფრთხოებაზე

ჩრდილო კავკასიის უსაფრთხოებას, რეგიონულ და საერთო რუსულ განზომილებასთან ერთად, საერთაშორისო მნიშვნელობაც აქვს. მისი გარკვევა ძალიან მნიშვნელოვანია რუსეთს, საქართველოსა და დასავლეთს შორის ურთიერთობების განვითარების კონტექსტში. არ არის შემთხვევითი, რომ აშშ-ის სახდებპარტამენტმა 2011 წლის 26 მაისს „კავკასიის იმარატი“ გამოაცხადა არა მარტო რუსეთის, არამედ შეერთებული შტატების ეროვნულ საფრთხედ¹⁷. ერთი წლით ადრე „იმარატის“ ლიდერი დოკუ უმაროვი მოხვდა ტერორისტების პერსონალურ სიებში, რომელთა ქმედებები საფრთხეს წარმოადგენენ ამერიკის ინტერესებისთვის¹⁸.

¹⁷ Designation of Caucasus Emirates Leader Doku Umarov. U.S. Department of State. June, 23, 2011.

¹⁸ „იმარატონ კავკაზ“ („კავკასიის იმარატი“) – დივერსიულ-ტერორისტული ჯგუფი, რომელიც თავს უწოდებს ისლამურ სახელმწიფოს. გამოცხადდა 2007 წლის 7 ოქტომბერს ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის ე. წ. პრეზიდენტის დოკუ უმაროვის მიერ, რომელმაც დაასრულა ჩეჩნური ნაციონალური იატაკქვეშეთის ტრანსფორმაცია ისლამურ სტრუქტურად. მისი მიზანი იყო ტერორისტული ბრძოლა ჩრდილო

ყველაზე მსხვილი ტერორისტული შეტევა აშშ-ის ტერიტორიაზე 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ მოხდა ბოსტონის მარათონზე, რომელმაც ავარიულ-ჩეჩნური წარმომავლობის ორ ძმას, ტამერლან და ჯოხარ ცარნაევებს მსოფლიო ნეგატიური ცნობადობა მოუტანა. მათ შორის უფროსი, ტამერლანი (მოკლეს სავარაუდო ტერორისტების დაკავების ოპერაციისას), გამოძიების ფედერალურმა ბიურომ დაჰკითხა, რუსეთის ფედერაციის უშიშროების ფედერალური სამსახურის მოთხოვნით, 2011 წელს მისი შესაძლო კავშირების გამო ჩრდილოკავკასიურ იატაკქვეშეთთან¹⁹. 2012 წელს ნახევარი წლის განმავლობაში ის იმყოფებოდა რუსეთის ჩრდილო კავკასიაში, სადაც, სავარაუდოდ, კავშირი ჰქონდა ჯიჰადის წარმომადგენლებთან²⁰. უკანასკნელ სიტყვას ამ პროცესზე ნაფიცი მსაჯულები იტყვიან, თუმცა დისკუსიამ ცარნაევების საქმის გამო ოფიციალური ვაშინგტონი აიძულა, გადაეხედა რუსეთის ქმედებებისთვის ჩრდილო კავკასიაში, მინიმალურად გაეკრიტიკებინა იგი და მოეხდინა კოოპერაციის ინტენსიფიკაცია სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოებისთვის.

დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობის დღის წესრიგის ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს ვითარება ახლო აღმოსავლეთში მთლიანად და, პირველ რიგში, სირიაში. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვმა და ვაშინგტონმა მიაღწიეს კომპრომისს ბაშარ ასადის მთავრობის კუთვნილი ქიმიური იარაღის უტილიზაციის შესახებ, სამოქალაქო კონფლიქტი სირიაში გრძელდება. რუსეთის ხელისუფლება მეტად შემეფოთებულია ახლოაღმოსავლურ დაპირისპირებაში ჩრდილო კავკასიელების ჩართვის გამო. სწორედ ეს ვითარებაა ერთ-ერთი ის ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს მოსკოვის დამოკიდებულებას სირიის კონფლიქტისადმი. 2013 წლის სექტემბერში რუსეთის ფედერაციის უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორმა სერგეი სმირნოვმა განაცხადა, რომ რუსეთის 300-400 მოქალაქე მონაწილეობს კონფ-

კავკასიის მთელ ტერიტორიაზე, ასევე, ამიერკავკასიელი და ვოლგისპირელი ისლამისტების მხარდაჭერა. შედეგმა სხვადასხვა ჯგუფისგან (ჯამაათების, ანუ ფრონტებისგან). წარმოადგენს ქსელურ სტრუქტურას, რომელიც გაერთიანებულია საერთო იდეოლოგიით (რადიკალურად ჯიჰადისტურით).

¹⁹ გამოძიების ფედერალურმა ბიურომ დაჰკითხა ცარნაევი, უშიშროების ფედერალური სამსახურის მოთხოვნით//ინტერფაქსი. 22 აპრილი, 2013 წელი. URL: <http://www.interfax.ru/world/302856>.

²⁰ ტამერლან ცარნაევის დაღესტნური კვალი// დიდი კავკასია. 22 აპრილი, 2013 წელი. URL: http://www.youtube.com/watch?v=y31Vn1_76g4.

ლიქტში პრეზიდენტ ბაშარ ასადის მოწინააღმდეგე მხარეს²¹. ამასთან, კონფლიქტში ჩართული ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი უცხოური ჯგუფის კავკასიური დაჯგუფება „კატიბ ალ-მუხაჯირინი“ წარმოადგენს, რომელსაც ეთნიკური ჩეჩენი აბუ აბდურახმანი მეთაურობდა²². 2013 წლის ივლისის შუა რიცხვებში სირიის მოვლენებში ეთნიკური ჩეჩნების მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია დაადასტურა ჩეჩნეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობამაც. სექტემბრის გამოსვლაში სერგეი სმირნოვმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ შესაძლოა ჩრდილოკავკასიელე-ბი დაბრუნდნენ სამშობლოში და ახალი დესტაბილიზაცია მოაწყონ²³.

პანკისი – „ნულოვანი თანხით თამაშის“ რეგიონული მოდელი

უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში რუსულ-ქართული საზღვარი არაერთხელ ფიგურირებდა ჩრდილო და ამიერკავკასიისადმი მიძღვნილ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სიუჟეტებში. 1999 წელს, ჩეჩნეთში მეორე რუსული კამპანიის დაწყების შემდეგ საქართველომ გახსნა საზღვრები ჩეჩენი ლტოლვილების მისაღებად. თუმცა ლტოლვილებთან ერთად პანკისში თავშესაფარი იპოვეს ჩეჩენი სეპარატისტების საბრძოლო ჯგუფებმაც (მაგალითად, ცნობილი საველე მეთაური რუსლან გელაევი).

თავდაპირველად ქართული ხელისუფლება უარყოფდა „ბოევიკების“ ყოფნას პანკისის ტერიტორიაზე და აქცენტს ლტოლვილების ჰუმანიტარულ პრობლემებზე აკეთებდა, მაგრამ 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ თბილისმა პოზიცია შეიცვალა. 2002 წლის აპრილში აშშ-მა და საქართველომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას სამხედრო დახმარების შესახებ – „ასწავლე და აღჭურვე“, რომლის ფარგლებში დაიწყო ორი

²¹ უშიშროების ფედერალური სამსახური: სირიაში იბრძვის 300-400 დაქირავებული რუსეთიდან // კავკასიური კვანძი. 20 სექტემბერი, 201 წელი. URL: <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/230365>.

²² სირიაში იბრძვის 1000-მდე ჩეჩენი ბოევიკი, გაერთიანებული ერთ რაზმში „ალ-მუხაჯირინი“ // Newsru.com. 19 სექტემბერი 2013. URL: <http://www.newsru.com/world/19sep2013/chechsiria.html>.

²³ Emil Souleimanov. North Caucasian Fighters Join Syrian Civil War // The Central Asia — Caucasus Analyst. August 27, 2013. URL: <http://www.cacianalyst.org/publications/analytical-articles/item/12794-north-caucasian-fighters-join-syrian-civil-war.html>; Alissa De Carbonel. Insight — Russia Fears Return of Fighters Waging Jihad in Syria // Reuters. November 14, 2013. URL: <http://uk.reuters.com/article/2013/11/14/uk-russia-caucasus-syria-insight-idUKBRE9AD06820131114>.

ათასი ქართველი სპეცრაზმელის მომზადება²⁴. შეთანხმების ოფიციალური მიზანი იყო კადრების მომზადება პანკისელ ტერორისტებთან საბრძოლველად. 2002 წლის 25 მაისს სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურზანიამ ოფიციალურად აღიარა, რომ პანკისში 700 ჩეჩენი სეპარატისტი და 100 არაბი დაქირავებული იმყოფებოდა. 2002 წლის აგვისტოში ჩეჩენ მებრძოლთა ჯგუფი გადავიდა რუსულ-ქართულ საზღვარზე²⁵.

ამის შემდეგ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ თბილისის უუნარობის შემთხვევაში, რუსეთი იტოვებს ჩარევის უფლებას აღკვეთოს ჩეჩნური დაჯგუფებების მოქმედება²⁶. თუმცა რუსეთის ინიციატივა, პრევენციული დარტყმები მიაყენოს პანკისს, არ მოიწონა ამერიკულმა მხარემ. აშშ-ის ადმინისტრაციამ თავისი პოზიცია ასე ჩამოაყალიბა: ჩეჩენ ტერორისტებთან ბრძოლა აუცილებელია, მაგრამ რუსეთის საომარი მოქმედებების გარეშე და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებით. 2002 წლის სექტემბრიდან 2003 წლის დასაწყისამდე საქართველოს ხელისუფლებამ პანკისში „ანტიკრიმინალური ოპერაცია“ ჩაატარა. დააკავეს კრიმინალურ და ტერორისტულ აქტიურობაში შემჩნეული, დაახლოებით, 40 ადამიანი. მებრძოლთა უმრავლესობა კი რუსულ-ქართული საზღვრის სხვა მონაკვეთზე განლაგდა. პანკისის ოპერაციის შემდეგ ხეობა დატოვა არაბული წარმომავლობის საველე მეთაურმა ამჟეტმა (აბუ ხაევ), რომელსაც კავშირი ჰქონდა „ალ-ქაიდასთან“²⁷. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვი კრიტიკულად გამოეხმაურა ღონისძიებათა ეფექტურობას – ხეობაში სიტუაცია გაუმჯობესდა.

ამ მოქმედებების შედეგად მდგომარეობა კი გახდა უფრო სტაბილური, მაგრამ კარდინალურად არ შეცვლილა. სასაზღვრო ტერიტორიების ინტეგრირება საქართველოს საერთო სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ სივრცეში სათანადო ხარისხით ვერ მოხერხდა. „ისლამური აღორძინების“ პროცესები, მისი პოზიტიური თუ პრობლემური მხა-

²⁴ Georgia Train and Equip Program Begins // U.S. Department of Defense. April 29, 2002. URL: <http://www.defense.gov/releases/release.aspx?releaseid=3326>.

²⁵ ა. ჩეპურინი. პოლიტიკური განვითარების ტენდენციები ანტიტერორისტული ოპერაციის ჭრილში.

²⁶ მ. მურადოვი, მ. ვარევიანი. რუსლან გელაევის დროული გამოხდომა // კომერსანტი. 27 სექტემბერი 2002 წელი. URL: <http://www.kommersant.ru/doc/343116>.

²⁷ გ. გოთუა. „ალ-ქაიდა“ იყო პანკისში, მაგრამ ახლა ის იქ არ არის // კომერსანტი. 23 იანვარი, 2003 წელი. URL: <http://www.kommersant.ru/doc/360685>.

რეების ჩათვლით, უყურადღებოდ დარჩა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას, რომელსაც მთელი ყურადღება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე ჰქონდა გადატანილი. შედეგად რეგიონში ჩამოყალიბდა არაოფიციალური ისლამური ჯგუფები ექსტრემისტული დაჯგუფებების ჩათვლით. მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროინდელი ხელისუფლების ისტებლიშმენტის ზოგმა წარმომადგენელმა შეინარჩუნა ილუზია, რომ რადიკალი ისლამისტები – ეს არის იარაღი, რომელიც დაასუსტებს რუსეთს. მაგრამ საქართველოში დიდი შოკი გამოიწვია 2012 წლის აგვისტოს ბოლოს ლოპოტის ხეობის ინციდენტმა, როცა შეიჭრა მებრძოლი ისლამისტების შეიარაღებული ჯგუფი, დაახლოებით, 20 კაცის შემადგენლობით. მათ შეიპყრეს მძევალთა რამდენიმე ჯგუფი. საქართველოს შსს-მ ჩაატარა დივერსიული ჯგუფის ბლოკირების ოპერაცია, რომელიც დამთავრდა 2012 წლის 30 აგვისტოს. შეტაკებისას დაიღუპა 11 მებრძოლი და საქართველოს შსს-ს 3 სპეცრაზმელი²⁸. ამასთან რამდენიმე ლიკვიდირებული „ბოვეიკი“ საქართველოს მოქალაქე, პანკისის მცხოვრები იყო. ოფიციალური სტრუქტურები (შსს და მთავრობა) უარყოფდნენ მებრძოლთა შორის საქართველოს მოქალაქეების ყოფნას. ჟურნალისტურ გამოძიებებში დაღუპულთა შორის სახელდებოდა რამდენიმე ახალგაზრდა პანკისელი (ჟურნალისტების შეფასებით, ამ რადიკალი ახალგაზრდების ასაკი იყო 19-25 წელი)²⁹.

ახალმა ხელისუფლებამ, „ქართული ოცნების“ ლიდერების სახით, სერიოზულ რევიზიას დაუქვემდებარა ოფიციალური თბილისის საგარეო პოლიტიკა ჩრდილო კავკასიის მიმართულებით. კოოპერირება ორ ქვეყანას შორის ტერორიზმთან ბრძოლაში აღიარებულია საქართველოს ეროვნული ინტერესების შესაბამისად (მაგრამ დღეს ის შემოიფარგლა სოჭის ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოებისათვის თანამშრომლობით). თუმცა ანტიტერორისტული ერთიანობის მთავარ დაბრკოლებას ორ ქვეყანას შორის არსებული უნდობლობა წარმოადგენს. ცნობილია საქართველოს სპეცსამსახურების და ძალოვანი უწყებების

²⁸ საქართველოს შსს-მ განაცხადა ლოპოტის ხეობაში სპეცოპერაციის ძირითადი ფაზის დასრულება // კავკასიური კვანძი. 30 აგვისტო, 2012 წელი. URL: <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/211931>. ლოპოტის ხეობა, გადაჭიმული 30 კმ-ზე, მდებარეობს კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთაზე, ეკუთვნის ქართული რეგიონის, კახეთის თელავის რაიონს.

²⁹ დასახელებული იყვნენ ასლან მარგოშვილი და ბაგაუდინ ალდამოვი. იხ.: ო. ვართანიანი. ვინ მოკლეს სინამდვილეში ლოპოტის ხეობაში? // კავკასიის ექო. 3 სექტემბერი, 2012 წელი. URL: <http://www.ekhokavkaza.com/content/article/24696837.html>.

თანამშრომლობა აშშ-სა და NATO-სთან, რაც რუს პარტნიორებში გარკვეულ სიფრთხილეს იწვევს და არც ისე უწყობს ხელს „ნულოვანი თანხით თამაშიდან“ გასვლას რუსულ-ქართული ურთიერთობების საერთო კონტექსტში, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან გადაუჭრელი პრობლემების ჩათვლით.

ურთიერთობების გაუმჯობესებაში გარკვეულ სირთულეებს ქმნის უკრაინის კრიზისიც. პოლიტიკური კლასი და ქართული საექსპერტო თანამეგობრობა ყირიმის სიტუაციას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვის პრიზმაში განიხილავენ, როგორც კრემლის იმპერიული პოლიტიკის თავისებურ მულტიპლიკაციას. შემთხვევითი არ არის, რომ 2014 წლის 6 მარტს საქართველოს პარლამენტმა კენჭი უყარა რეზოლუციას „უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის“ შესახებ, რომელშიც დაგმობილია რუსეთის ქმედებები³⁰. ამასთან ერთად, საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა მოუწოდა საერთაშორისო საზოგადოებას „წყნარად, მაგრამ პრინციპულად“ შეაფასონ რუსეთის მოქმედებები უკრაინასთან დაკავშირებით³¹.

2014 წლის მარტში ზურაბ აბაშიძისა და გრიგორი კარასინის შეხვედრა არ ჩატარდა. 21 მარტს, სატელეფონო საუბრისას დიპლომატები შეთანხმდნენ, რომ შეხვედრას გადაიტანდნენ უფრო გვიანი დროისთვის³². ვადის ასე გადადებას პოზიტიური ეფექტი შეიძლება ჰქონდეს. არასწორი იქნებოდა მწვავე პრობლემების განხილვა მზარდ ემოციურ ფონზე. განსაკუთრებით, მაშინ როცა რუსულ და ქართულ საზოგადოებებში ეს ფონი სხვადასხვაგვარად გამოიხატება. დიდია რისკი, რომ უკრაინულ კონტექსტს შეიტანენ დიპლომატების დიალოგში, რითაც გადაიფარება რუსულ-ქართული თემატიკა. საუბრის ამ ჭრილში წარმართვა უკრაინის არჩევნებამდე და სიტუაციის ნათელყოფამდე უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთში, შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს არა მარტო მოსკოვისთვის, არამედ თბილისისთვისაც.

³⁰ საქართველოს პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია უკრაინის შესახებ, მაგრამ ერთსულოვნება ვერ გამოიჩინა//კავკაზს Online. 7 მარტი, 2014 წელი. URL: <http://kavkasia.net/Georgia/2014/1394176712.php>.

³¹ მარგველაშვილმა მოუწოდა საერთაშორისო საზოგადოებას, მშვიდად, მაგრამ პრინციპულად შეაფასონ არსებული ვითარება // საქართველო Online. 19 მარტი, 2014. წელი. URL: <http://www.apsny.ge/2014/pol/1395274017.php>.

³² რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებებმა თავი ამოწურეს, აცხადებენ ქართველი პოლიტოლოგები// კავკასიური კვანძი. 22 მარტი, 2014წელი. URL: <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/239864>.

რეკომენდაციები

ამგვარად, საქართველოსა და რუსეთს შორის სერიოზული ბზარია გაურკვეველი ვადით გადაუჭრელი სტატუსისა და პრაგმატული კოოპერირებისათვის საერთო მოწინააღმდეგესთან – ტერორიზმთან საბრძოლველად, რომელიც რადიკალური ისლამიზმის იდეებით იკვებება.

ამასთან ერთად, უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობა შეიძლებოდა, გამხდარიყო მთავარი (დიდწილად, რიტორიკული) დღის წესრიგის ნორმალიზებისთვის უფრო შინაარსობრივ პროცესზე გადასასვლელად. ამ მიმართულებით წინ წასაწევად უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯი – თანამშრომლობა სოჭის თამაშების უსაფრთხოებისთვის, სადაც ინტერესი გამოავლინეს როგორც რუსული, ისე ქართული ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

თამაშების დასრულების შემდეგ მიზანშეწონილი იქნებოდა კოოპერირების ტრენდის გაგრძელება. აუცილებელია დაბრუნება იდეასთან, რომელიც განიხილებოდა 2004-2006 წლებში, ორმხრივი ურთიერთობების მკვეთრად გაუარესებამდე. საუბარი ეხება ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრების ჩამოყალიბებას, რომლებიც თავდაპირველად, სავარაუდოდ, უნდა შექმნილიყო ამიერკავკასიაში, რუსული არმიის სამხედრო ობიექტების ადგილას. მოცემული თემის განხილვა (ასევე, საგარეო პოლიტიკური კონტექსტი) მკვეთრად შეიცვალა, მაგრამ თავად იდეა პროდუქტიულია, განსაკუთრებით, თუ საუბარი შეეხება სახელმწიფო საზღვარს ჩეჩნეთის, ინგუშეთისა და დაღესტნის მონაკვეთებზე.

ამ იდეის რეალიზება მარტივი არ არის. ღიად რჩება ბევრი საკითხი – წარმომადგენლობის დონე ერთობლივ ცენტრებში, ინფორმაციის მოცულობა და ხარისხი, ცენტრების განლაგების ადგილი და, ასევე, მხარეებს შორის ნდობის ხარისხი. მაგრამ ამ პროექტის რეალიზება რამდენიმე ეტაპად საშუალებას მოგვცემდა, მიგველო ხელშესახები შედეგები ხანგრძლივ პერსპექტივაში.

ტერორიზმის პრობლემა კავკასიაში და რეგიონის ქვეყნების შესაძლებლობები – წინ აღუდგნენ ამ პრობლემას

ბოლო წლებში კავკასიაში მომხდარი მოვლენების გამო განსაკუთრებით მწვავედ დადგა რეგიონული უსაფრთხოების ერთიანი კონცეფციის შემუშავების საკითხი. რეგიონში არასტაბილურობის მიზეზია გადაუჭრელი პრობლემების მთელი კომპლექსი. მათ შორის ურთულესია კონფლიქტები, მომხდარი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობის ნაწილობრივი სტაბილიზაციისა და მსოფლიო მასშტაბის ეკონომიკური პროექტების განვითარების პერსპექტივის მიუხედავად, მდგომარეობა კავკასიაში ძველებურად დამაბული რჩება. პირველ რიგში, ეს ეხება რუსეთსა და ჩრდილო კავკასიას. თუმცა ტერორიზმი აქტუალობას იძენს სამხრეთ კავკასიაშიც, გადაიქცევა რა ერთიანი კავკასიური რეგიონის საერთო პრობლემად. ფესვები, ჩვენი აზრით, იმ პროცესებშია, რომლებიც ხდებოდა 1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების დასაწყისში, ანუ საბჭოთა კავშირის დაშლისას. სსრკ-ში ტოტალიტარული სისტემა არღვევდა ელემენტარულ უფლებებს არა მარტო ადამიანის, არამედ თითქმის ყველა ეროვნული და რელიგიური ჯგუფის და დიდი ხნის განმავლობაში ხელს უწყობდა ნეგატიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას იმ რეალობასთან, რომელშიც უწევდათ ცხოვრება. მიხეილ გორბაჩოვის მიერ დაწყებულ გარდაქმნასთან ერთად თვითიდენტიფიკაციის პროცესი რელიგიური და ეთნიკური გაგებით დაჩქარებული ტემპით წავიდა. ზოგ რეგიონში ეს გამოვლინდა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში, რომელიც იბრძოდა საბჭოთა კავშირიდან გამოსვლისთვის. წარმოიქმნა სისხლიანი ეთნიკური კონფლიქტები, რომელთა მონაწილეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ისტორიული იმპერიული ცენტრის მიმართ ლოიალობაში. ქვეყნის ხელმძღვანელობის მერყეობის ფონზე, რომელსაც ვერ გადაეწყვიტა, კონტროლი გაეწია პროცესებისთვის, დაპირისპირება აახლოებდა საბჭოთა იმპერიის ლოგიკურ დასასრულს, 1991 წელს.

სსრკ-ის დაშლის შემდეგ მზჟუტავი კონფლიქტები (მთიან ყარაბაღში, დნესტრისპირეთში, აფხაზეთში, ჩეჩნეთში) გადაიქცა სისხლისმღვ-

რელ ომებად, რომელთა შეჩერება მოხერხდა მხოლოდ წარმოუდგენელი ძალისხმევის ფასად.

ამ კონფლიქტების შედეგად მთელ რიგ რეგიონებში გამაგრდნენ შეიარაღებული ჯგუფები, რომლებიც ძნელად ექვემდებარებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების კონტროლს. კავკასიაში ეს ნათლად გამოვლინდა ჩეჩნეთის ომში. ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა თანამედროვე რუსეთის ისტორიაში, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა პოსტსაბჭოთა საზოგადოებაში და აიძულა, გადაეხედათ ხალხისა და ხელისუფლების შესაძლებლობების ზოგი მოძველებული შეხედულებისთვის. ჩეჩნეთის მოვლენები არცთუ უმნიშვნელო აღმოჩნდა არა მხოლოდ რუსეთის, არამედ საქართველოს სახელმწიფოსთვისაც პოსტსაბჭოთა სივრცეში დამკვიდრების პირველ წლებში.

ჩეჩნები და ქართველები მეზობლობენ უხსოვარი დროიდან. ისტორიკოსები ორივე ხალხს თვლიან კავკასიის მკვიდრ მოსახლეობად. მათი ურთიერთობა, თუ არ ჩავთვლით მცირე შეტაკებებს ქართველების წვრილ ეთნიკურ ჯგუფებთან (მოხევეებთან, ხევსურებთან), საუკუნეების მანძილზე იყო კეთილმეზობლური. საქართველოს ისტორიაში არ არის აღწერილი მასშტაბური საომარი მოქმედებები საქართველოსა და ჩეჩნეთს შორის. პირიქით, ქართული წერილობითი წყაროები არაერთხელ იხსენიებენ ვაინახების მსახურებას ქართული სახელმწიფოს საკეთილდღეოდ. ამის მიუხედავად, ორი ხალხის ურთიერთობაში ერთ-ერთ პრობლემად იქცა ქართული საზოგადოების პოზიცია ჩეჩნეთისა და დაღესტნის იმამატის არსებობის დროს, შამილის მმართველობის პერიოდში (1828-1859 წლები).

ამ კონფლიქტის დაწყებისას საქართველოს არ ჰქონდა სახელმწიფოებრიობა, რომელიც მან დაკარგა პავლე I-ის მანიფესტის ამოქმედებისას 1801 წელს. ქართული ელიტის უმრავლესობამ სამსახური დაიწყო რუსეთის იმპერიის სხვადასხვა სტრუქტურაში. ეს, განსაკუთრებით, ეხებოდა არმიას. გამოჩნდა მთელი კოჰორტა ბრწყინვალე ქართველი სამხედრო მეთაურებისა და ოფიცრებისა, რომლებიც გამოირჩეოდნენ წუნდაუდებელი მსახურებით და თავდადებით. მათთან ერთად ყალიბდებოდა მოლაშქრეთა ჯგუფები ქართული მილიციიდან. კავკასიის ომის დროს ამ ფორმირებებმა და ქართულმა ოფიცრობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შამილის იმამატის საბოლოო დამხობაში.

ამ მოვლენების შემდეგ ჩეჩნეთის სხვადასხვა ჯგუფში საქართველო განიხილებოდა როგორც ძალა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ჩეჩ-

ნეთის გასვლას რუსეთის გეოპოლიტიკური ორბიტიდან. ეს ტენდენცია გაძლიერდა XX საუკუნეში, როცა ჩეჩნებს თავს დაატყდათ საშინელი ტრაგედია. 1944 წელს ისინი სამშობლოდან დეპორტირებული იყვნენ ყაზახეთში. დეპორტაციას, როგორც ცნობილია, თან ახლდა ჩეჩენი ხალხის მრავალრიცხოვანი მსხვერპლი და ტანჯვა. თუმცა პასუხისმგებლობა ამ დანაშაულზე მთლიანად ეკისრებოდა მაშინდელ საბჭოთა სახელმწიფო სისტემას, ქვეყნის ხელმძღვანელობის ეთნიკურმა წარმომავლობამ მაინც შეასრულა თავისი როლი ჩეჩენი და ქართველი ხალხების ურთიერთდამოკიდებულებაში.

გენერალ ჯოხარ დუდაევს, რომელიც ჩეჩნეთის ხელისუფლების სათავეში მოვიდა, ფაქტობრივად, 1992 წელს, ძალიან მოსწონდა საერთო „კავკასიური სახლის“ შექმნის იდეა, რომელიც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ძირითადი დოქტრინა იყო. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებიდან ჩამოშორების შემდეგ, მას პოლიტიკური თავშესაფარი ჩეჩნეთის ხელისუფლებამ მისცა. ამ პერიოდს შეიძლება ვუწოდოთ შეხების წერტილის და დიალოგის გამართვის უიღბლო მიება ჩეჩნეთისა და საქართველოს ელიტურ ნაწილებს შორის.

თუმცა გამსახურდიასა და დუდაევის მიმდევრები კვლავ ძველებურად იზიარებენ „კავკასიური სახლის“ შექმნის იდეას, ამან ხელი არ შეუშალა დუდაევის ისეთ მომხრეებს, როგორებიც იყვნენ შამილ ბასაევი, რუსლან გელაევი და იუსუფ სოსლამბეკოვი, გაეჩაღებინათ ტერორისტული საქმიანობა საქართველოს წინააღმდეგ 1992-1993 წლებში, აფხაზეთის კონფლიქტის დროს. აქტიური მართლსაწინააღმდეგო ქმედებები განახორციელა „კავკასიის ხალხთა კონფედერაციამ, რომელიც სოხუმში 1991 წელს დაარსდა. ჩვენი აზრით, ეს ორგანიზაცია¹ უნიკალურია, რადგან თავისი მიზნების მიღწევას ცდილობდა არა მხოლოდ ტერორისტული ტაქტიკის გამოყენებით, არამედ ამას ხმამაღლადაც აცხადებდა. კავკასიის ხალხთა კონფედერაციის დადგენილების 3.4 პუნქტში, რომელიც მიღებულია 1992 წლის აგვისტოს ბოლოს, აფხაზეთის კონფლიქტის დაწყებისას, ვკითხულობთ: „გამოცხადდეს ქალაქი თბილისი უბედურების ზონად, ტერორისტული აქტების ჩათვლით. გამოცხადდეს კონფედერაციის ტერიტორიაზე ქართული ეროვნების ყველა პირი მძევლად“.

¹ თამაზ ნადარეიშვილი. „აფხაზეთის გენოციდი“. თბილისი. 1996წ.

ეს დოკუმენტი შეიძლება ჩაითვალოს გამოუცხადებელი ომის მანიფესტად. ამ საკითხზე არ მოიძებნა შეხების წერტილი რუსულ მხარესთან. სახელისუფლებო ორგანოების გარდა, შეფასება უმძიმესი დანაშაულებისა, რომლებსაც ჩადიოდნენ კავკასიის ხალხთა კონფედერაციის მებრძოლები, არ მიუციათ რუსეთის სამართალდამცველ ორგანიზაციებს. ამან ხელი შეუწყო რუსულ-ქართული ურთიერთობების გაუარესებას, რომელიც შეიმჩნევა აფხაზეთის ომის დამამთავრებელ ფაზაში – 1992-1993 წლებში. ამ დროიდან მოყოლებული ქართულ პოლიტოლოგიაში დამკვიდრდა ტერმინი „ტერორისტული გამარჯვება“.

პირველი ჩეჩნური ომის პერიოდში რუსულმა და ქართულმა მხარეებმა გამოიმუშავეს საერთო მიდგომა ტერორისტულ დაჯგუფებებთან დამოკიდებულებაში ჩეჩნეთსა და ჩრდილო კავკასიაში. ამას ხელს უწყობდა ჩრდილოკავკასიური დაჯგუფებების აქტიურობა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. მათ მოაწყვეს მასშტაბური ტერორისტული აქტები, რომელთა კულმინაცია გახდა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული ქალაქ ბუდიონოვსკში.

ჩეჩნეთის საომარ კამპანიებთან კავშირში საქართველოს ტერიტორიაზე გაჩნდა კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც გახდა სერიოზული მიზეზი უნდობლობის ხარისხის ამაღლებისა მოსკოვსა და თბილისს შორის. ეს იყო პრობლემა პანკისის ხეობისა, რომელიც მდებარეობს ჩეჩნეთის საზღვარზე და დასახლებულია მეტწილად ეთნიკური ჩეჩნებით. ჩეჩნური კრიზისის დაწყებიდან რუსეთი დაჟინებით მოითხოვდა, რომ აღკვეთილიყო პანკისის გავლით ბოვეიკებისთვის იარაღისა და საბრძოლო მასალის მიწოდება. ხეობაში თავი მოიყარეს სხვადასხვა ჯურის ექსტრემისტებმა და ის გამოიყენებოდა, როგორც დასასვენებელი ბაზა და გადასატვირთავი პუნქტი.

თავის მხრივ, საქართველო კატეგორიულად უარყოფდა მსგავს ბრალდებებს. ამ სიტუაციამ ლამის შეზღუდული საომარი კონფლიქტი გამოიწვია ქვეყნებს შორის. მაგრამ საქართველომ მოახერხა თავისი რესურსების მობილიზება და ჩაატარა პანკისში ანტიკრიმინალური ოპერაცია. მისი ჩატარება განპირობებული იყო არამარტო საგარეო ზეწოლით. პანკისის ხეობა გახდა ნარკოვაჭრობის ბუდე. 1990 წლის ბოლოსა და 2000 წლის დასაწყისში ყოველდღიურ რეალობად იქცა ტყვეთა აყვანა, რომლებიც შემდეგ გადაჰყავდათ პანკისის ხეობაში. ამ ბარბაროსული მოვლენის მსხვერპლად იქცნენ გაეროს, წითელი ჯვრის

წარმომადგენლები, უცხოელი ბიზნესმენები, პოლიტიკოსები და ჩინოვნიკები, რელიგიური მოღვაწეები და სხვა.

ანტიკრიმინალური ოპერაციის ჩატარებამ პანკისში, რამდენიმე ჩეჩენი მებრძოლის ექსტრადიციამ რუსეთში და თბილისში ე.წ. ჩეჩნური წარმომადგენლობის დახურვამ რამდენადმე განმუხტა მძიმე ატმოსფერო, შექმნილი რუსეთსა და საქართველოს შორის. მეორე მხრივ, ქართული სახელმწიფოს მიერ ჩატარებულმა ღონისძიებებმა დაძაბა უამისოდაც რთული ურთიერთობა საქართველოსა და ჩეჩნური საზოგადოების სხვადასხვა ფენას შორის.

ვარდების რევოლუციის შემდეგ, როცა ხელისუფლებაში მოვიდა მიხეილ სააკაშვილის გუნდი, ორივე მხრიდან იყო მცდელობა ურთიერთობების ნორმალიზებისა ქვეყნებს შორის. ამ კონტექსტში გაკეთდა გარღვევა თანამშრომლობის საკითხში რუსულ-ქართული საზღვრის გაკონტროლების საკითხში. საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ მოახერხა სრულად ეკონტროლებინა სიტუაცია პანკისის ხეობაში. მაგრამ რუსეთთან თანამშრომლობა ტერორიზმთან დაპირისპირებაში ვერ მოხერხდა. შედარებით ნათლად ეს გამოჩნდა ბესლანის ტრაგიკული მოვლენებისას, როცა საქართველოდან გაგზავნილი სასწრაფო დახმარების მანქანებიც კი არ შეუშვეს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე.

ამ დროს განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა ერთობლივი ანტიტერორისტული ბაზის შექმნის იდეამ საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ მიზეზთა გამო მისი რეალიზაცია ვერ მოხერხდა. ამ პროექტის კრახის მთავარ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს სტრატეგიული წინააღმდეგობები რუსეთსა და საქართველოს შორის, ამ უკანასკნელის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის მცდელობის გამო. ამავე მიზეზებს შეიძლება მივაკუთვნოთ განსხვავება ქვეყნების პოზიციებს შორის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განვითარებული მოვლენების გამოც. დაურეგულირებელი კონფლიქტები საქართველოში ნეგატიურად მოქმედებდა მოლაპარაკებაზე უსაფრთხოების საერთო სისტემის შემუშავების პროცესის შესახებ კავკასიაში. რუსეთსა და საქართველოს შორის ვითარება კიდევ უფრო გამწვავდა აგვისტოს ომის შემდეგ, როცა ქვეყნებს შორის გაწყდა დიპლომატიური ურთიერთობა.

სამწუხაროდ, ტერორიზმთან მიზანმიმართული ბრძოლის ორგანიზაცია, რომელიც აზიანებდა ორივე ქვეყნის პრესტიჟს მსოფლიო საზოგადოების თვალში, არ გადაიქცა ერთ ძირითად ამოცანად არც სახელმწიფო სტრუქტურების და არც საზოგადოებისთვის. უკანასკნელი

ფაქტები რუსეთში ტერორისტული აქტივობისა (ვოლგოგრადის აფეთქებები 2013 წლის ბოლოს) კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ ტერორიზმთან ბრძოლის გადაუჭრელმა საკითხმა საზოგადოება შეიძლება პერმანენტული დამაბულობის ქვეშ ამყოფოს.

ამ დროისთვის რუსეთსა და საქართველოს შორის არ არის დიპლომატიური ურთიერთობა. კონფლიქტების დარეგულირების ჩარჩოში მიდის მოლაპარაკებები ჟენევაში. საქართველოს მთავრობაში რუსეთთან კავშირში შემოღებულია პრემიერ-მინისტრის თანაშემწის შტატი. ეკონომიკური და კულტურული კავშირები აღდგენილია. ამ ფონზე გარღვევა ორმხრივ ურთიერთობებში უსაფრთხოების სფეროში, უდავოდ, მისცემდა იმპულსს ნდობის გაზრდას ქვეყნებს შორის და, შესაბამისად, გაამყარებდა რეგიონის სტაბილურობას.

სანიმუშო საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში რუსეთსა და საქართველოს შორის ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის შექმნა იდეალური იქნებოდა. მაგრამ ჯერჯერობით რეალობა ამ იდეალისგან შორს არის. თუმცა, მოცემულ სიტუაციაში, თემა ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის შექმნისა, არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ. შესაბამის რეალობაში შეიძლებოდა ნაბიჯ-ნაბიჯ წინსვლა ამ მიმართულებით.

ურთიერთობის ერთ-ერთი მიზანია ტერორიზმის საერთო დეფინიციის შემუშავება. მსოფლიოში ტერორიზმის ერთი უნივერსალური განსაზღვრების უქონლობა უარყოფით ანაბეჭდს ადებს ჩვენს რეგიონში მიმდინარე მოვლენებს. ამ მიზეზით ჩნდება ორმაგი სტანდარტები, სამწუხაროდ, დამახასიათებელი დიდი და მცირე სახელმწიფოებისთვის. დღეს მსოფლიოში არსებობს ტერორიზმის 90-მდე განსაზღვრება. რუსეთი და საქართველო ამ ფენომენის განსაზღვრისთვის იყენებენ თავიანთ, სისხლის სამართლის კოდექსების სტატიებს. ტერორიზმის დეფინიციის შემუშავება, თუნდაც ორი სახელმწიფოს დონეზე, შეამსუბუქებს ორმხრივი მოლაპარაკებებისას უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მაგალითად, პირის გადაცემა, რომელიც ამ დეფინიციის ქვეშ მოხვდება, ექსტრემისტული ორგანიზაციების დახურვა, ინტერნეტრესურსის ბლოკირება, რომელიც პროპაგანდას უწევს ექსტრემიზმს.

ორივე ქვეყანამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს, ასევე, კონტროლპროპაგანდისტულ მუშაობას კავკასიის ქედის ორივე მხარეს მოსახლეობის გაცნობიერებაში ტერორიზმთან ბრძოლის აუცილებლობის შესახებ. ასეთი საგანმანათლებლო მუშაობა კავკასიის

ფართო მასებისთვის ტერორისტული საფრთხის გაცნობიერებისა და საერთაშორისო წინააღმდეგობის გაწევის აუცილებლობის შესახებ, დაეხმარება საზოგადოებას, თავი დაიცვას სხვადასხვა პროვოკაციისა და ინსინუაციისგან, რომელიც მომდინარეობს იმ ძალისგან, რომლის-თვისაც შეიარაღებული ტერორი პოლიტიკური ბრძოლის მეთოდია.

ძალადობრივმა პროცესებმა, რომლებიც პერმანენტულად მოქმედებს დიდი ხნის განმავლობაში, შეიძლება მიგვიყვანონ ტერორიზმთან აზრობრივ თანხმობამდე, რამაც შეიძლება, ბიძგი მისცეს ე. წ. „სტოკ-ჰოლმის სინდრომის“ წარმოქმნას საზოგადოების სხვადასხვა ფენაში. რუსეთში ჩვენ დავაკვირდით მსგავსს ბუდიონოვსკისა და დუბროვკის ტერაქტებისას, საქართველოში - გოჩა ესებუას მეთაურობით ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეთაგან გაეროს თანამშრომლების აყვანას 1998 წელს.

ტერორიზმის მუდმივი წინააღმდეგობისთვის რუსეთმა და საქართველომ უნდა შეიმუშაონ საგანმანათლებლო-განმარტებითი ერთობლივი პროგრამა მოსახლეობის ფართო წრისთვის. ეს პროგრამა შეიძლება შეიტანონ სკოლებში, უმაღლეს და საშუალო სასწავლო დაწესებულებებში, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე და ა.შ. ჩრდილო კავკასიისა და საქართველოს მოსახლეობისთვის ადაპტირებული ამ პროგრამების მეშვეობით მოქალაქეები მიიღებენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ბოროტებაა ტერორიზმი და როგორი საფრთხე იმაღლება მასში საზოგადოებისთვის კავკასიის ქედის ორივე მხარეს.

ამ პროცესში აუცილებელია სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურის ჩართვა - მაგალითად, განათლების სამინისტროსა და უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა შემადგენლობის. მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს უნდა მიეწოდოს სამეცნიერო-პოპულარული გამოცემები, დაწერილი მისაწვდომ ენაზე. დადებითი ეფექტი ექნებოდა დოკუმენტურ ტელევიკლებს, შექმნილს ორივე ქვეყნის საზოგადოებრივი ტელევიზიების ბაზაზე. ამგვარი ზომები დაეხმარებოდა კავკასიის, საქართველოსა და რუსეთის მცხოვრებთ ერთნაირი ნეგატიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში ტერორიზმისადმი და მასთან ერთობლივი ბრძოლის აუცილებლობაზეც დააფიქრებდა.

პოსტსაბჭოთა საზოგადოება შეეჩეხა ქსენოფობიის ზრდას, აგრესიულ სეპარატიზმს, რასიზმს, რადიკალურ ნაციონალიზმს, შეურიგებლობას სხვა ხალხებისადმი. გამოჩნდნენ ფაშისტური, რადიკალურ-რელიგიური და ექსტრემისტული დაჯგუფებები. მათ იარაღშია მათთვის

ყველაზე მისაღები ბრძოლის ერთი მეთოდი - ტერორი. რუსული და ქართული საზოგადოებები მზად უნდა იყვნენ შემდგომი წინააღმდეგობის გასაწევად ყველა ჯურის ტერორისტული ჯგუფისა და მათი იდეალებისათვის. ორივე ქვეყნის საზოგადოებამ ადეკვატურად უნდა შეაფასოს მომდინარე საფრთხე. ამიტომ ტერორიზმთან ბრძოლაში თანამშრომლობა, მიუხედავად ჩვენს ქვეყნებს შორის ასე ძნელი ურთიერთობებისა, შეიძლება იქცეს ქვად, რომელიც ჩაიდება ახალი მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობების ფუნდამენტში რუსეთსა და საქართველოს შორის.

ირინა ბადურაშვილი

მოსახლეობის მიგრაცია საქართველოდან რუსეთში: საემიგრაციო პროცესების მართვის გაუმჯობესება, როგორც ფასეული სტრატეგია ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის რეგიონის ძირითად მიმღებ ქვეყანასთან

შესავალი

რუსეთსა და საქართველოს არცთუ კარგი ურთიერთობები აქვთ. ეს სტატისტიკაზეც აისახება. კვლევები აჩვენებს, რომ რუსეთმა გარკვეულწილად დაკარგა მიმზიდველობა შრომითი მიგრანტებისათვის საქართველოდან. ამასთან, რუსეთის ფედერაცია კვლავ რჩება ქვეყნად, სადაც ცხოვრობს ჩვენი თანამემამულეების ყველაზე დიდი რაოდენობა.

ციფრები, რომლებსაც ახმიანებენ რუსი პოლიტიკოსები, პოლიტოლოგები და სტატისტიკის სპეციალისტები, შთამბეჭდავია. სხვადასხვა მონაცემით რუსეთში ცხოვრობს ერთიდან ორ მილიონამდე ქართველი. შეიძლება მოისმინო, რომ რუსეთში დღეს იმყოფება „ნახევარი საქართველო“. თუ ვენდობით ასეთ განცხადებებს, გამოდის, რომ ქართული დიასპორა ყველაზე დიდია რუსეთში. არადა, რუსეთის ფედერაციის მოსახლეობის აღწერა აფიქსირებს მხოლოდ, დაახლოებით, 200 ათას ქართველს. თუმცა ეს რიცხვი შეიძლება არასრული იყოს, რადგან ბევრი ჩვენი თანამემამულე რუსეთში არალეგალურად ცხოვრობს და, შესაბამისად, აღურიცხველი რჩება.

როგორც უნდა იყოს, უახლოეს წლებში საქართველოს მოქალაქეებისთვის დროებითი შრომითი დასაქმება საზღვარგარეთ, მათ შორის, რუსეთში, კვლავ დარჩება ოჯახის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ყველაზე ეფექტურ მეთოდად. ასე რომ, საქართველოს

და რუსეთს შორის მიგრაციული კავშირების თავისებურებების შესწავლა და მიგრაციული პროცესების მართვაში ორმხრივი თანამშრომლობის გზების ძიება წარმოადგენს მეცნიერულ ინტერესს და პრაქტიკულ მნიშვნელობას.

კვლევის თეორიული საფუძვლები და მეთოდოლოგია

ჩატარებული კვლევა ეფუძნება რუსეთს და საქართველოს შორის მიგრაციული პროცესების შესახებ სამეცნიერო ნაშრომებში არსებული ინფორმაციის ავტორისეულ ანალიზს და, ასევე, ავტორის მონაწილეობით ჩატარებული რამდენიმე შერჩევითი გამოკვლევის შედეგებს, კერძოდ, მსოფლიო ბანკის პროექტის: „Enhancing Gains from International Migration in Europe and Central Asia“ (2005); ფოლკსვაგენის ფონდის: „გარე მიგრაცია სომხეთში და საქართველოში“ („Out-migration from Armenia and Georgia“ (2008-2010); განათლების ევროპული ფონდის (ETF): „მიგრაცია და მიგრანტთა პროფესიული უნარები“ („Migration and Skills“ (2012). ყველა ზემოჩამოთვლილ კვლევაში გამოიკითხნენ საქართველოში დაბრუნებული მიგრანტები, მათ შორის, რუსეთიდან ჩამოსულები. წარმოდგენილი ანალიზისათვის ავტორი იყენებს აგრეთვე საქართველოში დსთ-ის ქვეყნებიდან დაბრუნებული 320 მიგრანტის გამოკვლევის შედეგებს, რომელიც მან ჩაატარა 2003 წელს შვეიცარიული ფონდის „Foundation for Population, Migration and Environment“ დაფინანსებით: „Research of Illegal Labor Migration of Georgian Population“.

სამწუხაროდ, საქართველოში უკანასკნელ წლებში არ ჩატარებულა რაიმე სპეციალური კვლევა, რომელიც ფოკუსირებული იყო საქართველოს მოქალაქეების მიგრაციაზე რუსეთში. მაგრამ ზემოხსენებული ფოლკსვაგენის ფონდის დაფინანსებით ჩატარებული კვლევა შეიცავდა მიგრანტთა ცალკეული კატეგორიის, საქართველოში მოსკოვიდან დაბრუნებულების, გამოკითხვას. ამ პროექტის ფარგლებში ორჯერ, 2009 და 2012 წლებში, ერთი და იმავე პროგრამით გამოიკითხა რუსეთის დედაქალაქიდან საქართველოში დაბრუნებული 200 მიგრანტი. აღნიშნული გამოკვლევების შედარებითმა ანალიზმა და ზემოჩამოთვლილი სხვა საინფორმაციო წყაროების მონაცემებმა საშუალება მოგვცა, შეგვესწავლა საქართველოს მოქალაქეების მიგრაციის სპეციფიკა რუსეთში.

რუსეთსა და საქართველოს შორის მიგრაციული კავშირების ზოგადი დახასიათება

ემიგრაცია ახალი მოვლენაა საქართველოსთვის, რომლის მოსახლეობა ყოველთვის, ძირითადად, საკუთარ ტერიტორიაზე ცხოვრობდა. 1989 წლის აღწერით, ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის 95%-ზე მეტი ცხოვრობდა საქართველოში. მოსახლეობის გადინება საქართველოდან პირველად შეინიშნება 1990-იანი წლების დასაწყისიდან: საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიგრანტთა ნაკადები საქართველოდან, ძირითადად, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები, გამოეშურნენ თავიანთი ისტორიული სამშობლოსკენ. იმ პერიოდში საქართველო ტერიტორიული კონფლიქტებით იყო შეპყრობილი და განიცდიდა სერიოზულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიმწიფეებს ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის პროცესში. გაჭიანურებული ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისით მოტივირებულ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს მალე შეუერთდნენ ეთნიკურად ქართველებიც, ჯერ ელიტარული წრეების წარმომადგენლები (ხელოვნების წარმომადგენლები), შემდეგ კი – ქართველი საზოგადოების სულ უფრო ფართო ფენები. უკეთესი საცხოვრებელი პირობების ძიებაში ისინი მიემგზავრებოდნენ უცხოეთში, ძირითადად, რუსეთში, რომელიც ქართველებისათვის გახდა ყველაზე სასურველი ქვეყანა მისი ტერიტორიული სიახლოვის და 2000 წლამდე რუსეთში უვიზო მიმოსვლის გამო, და, აგრეთვე, ქართველ მიგრანტთა მარტივი კულტურული და ენობრივი ინტეგრაციის გამო ტერიტორიაზე, რომელიც 70 წლის მანძილზე ერთიან სახელმწიფოს წარმოადგენდა. 1990-იან წლებში საქართველოში ჩამოყალიბდა მიგრაციის ახალი მოდელები – დროებითი შრომითი მიგრაცია, ორიენტირებული როგორც რუსეთზე, ისე დასავლეთის ქვეყნებზე. ექსპერტების აზრით, 1990-იანი წლების შუა ხანებიდან დროებითი შრომითი მიგრაცია იქცა საქართველოს მოსახლეობის „საერთო ეროვნულ სტრატეგიად“ (CRRC, 2007, გვ.10). სამშობლოში დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობების გამო საქართველოს მოქალაქეები მიემგზავრებოდნენ საზღვარგარეთ, რომ ფული ეშოვათ და ოჯახი გამოეკვებათ საქართველოში. ექსპერტების შეფასებით, საქართველოს ამჟამინდელი მოსახლეობის 7-8% მიგრაციულ პროცესებშია ჩართული, ანუ ისინი ან იმყოფებიან საზღვარგარეთ შრომითი საქმიანობის მიზნით, ან იყვნენ მიგრანტები და უკან დაბრუნდნენ სამშობლოში ((CRRC/ISET, 2010, გვ. 9). ბოლო კვლევები

ცხადყოფს, რომ 2008 წლის მოვლენების შემდეგ რუსეთმა გარკვეულ-წილად დაკარგა მიმზიდველობა ქართველი შრომითი მიგრანტებისთვის, რომლებიც ახლა დასავლეთ ევროპისკენ ილტვიან. მაგალითად, ამჟამად საქართველოში მეტია ისეთი შინამეურნეობები, რომელსაც ჰყავს დროებით სამუშაოდ წასული ოჯახის წევრი საბერძნეთში, ვიდრე რუსეთში (იქვე, გვ. 1).

მოსახლეობის ემიგრაციას საქართველოდან არაერთმნიშვნელოვნად აფასებენ ექსპერტები. ერთი მხრივ, მისი უარყოფითი შედეგები უკავშირდება ქვეყნის დემოგრაფიული და შრომითი პოტენციის შესუსტებას და „ტვინების გადინებას“, მეორე მხრივ კი აცნობიერებენ, რომ შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილები ზრდის საქართველოში მცხოვრები ოჯახების შემოსავალს და დადებითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ამას გარდა, შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ მიგრანტთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაბრუნდება საბაზრო ეკონომიკის პირობებში მიღებული შრომითი გამოცდილებით და ეს ხელს შეუწყობს საქართველოს მომავალ განვითარებას.

საქართველოდან ჩასული მიგრანტების ინტეგრაცია რუსეთში

ჩატარებული კვლევების მიხედვით, ქართველი მიგრანტები მიემგზავრებიან რა საქართველოდან უცხოეთში შრომითი საქმიანობის გამო, საზღვარგარეთ რჩებიან ორი-სამი წლით, შემდეგ კი ბრუნდებიან სამშობლოში. ამასთან, ისინი განიცდიან სიძნელეებს ადგილობრივ საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესში, როგორც დროებითი დანიშნულების ქვეყანაში, ისე სამშობლოში დაბრუნებისას. ცნობილია, რომ მიგრაციის გადაწყვეტილებას ადამიანი იღებს გარკვეული გარემოებების გამო. ამ სფეროში არსებული სამეცნიერო ლიტერატურა განსაზღვრავს რამდენიმე ძირითად ფაქტორს, რომელიც სტიმულს აძლევს პიროვნებას ასეთი გადაწყვეტილების მიღებაში. მათ შორისაა ადამიანური კაპიტალის განვითარება, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის გაუმჯობესება, ოჯახური მდგომარეობა და სოციალური კონტაქტები, უცხო ქვეყნებში ადაპტაციას რომ ხელს უწყობს მიგრანტს. ამ კონტექსტში კლასიკური თეორიები განიხილავენ მიგრანტებს, როგორც სოციალურ აქტიორებს, რომლებიც მონაწილეობენ ინტეგრაციის გლობალურ პროცესში.

იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი კვლევა ფოკუსირებულია დროებით შრომით მიგრაციაზე, ქართველი მიგრანტების ინტეგრაციას უც-

ხოეთში ვერ განვიხილავთ კლასიკური გაგებით, რადგან საქმე გვაქვს მოკლე დროის მონაკვეთთან როგორც მიგრანტთა დანიშნულების ქვეყანაში ყოფნისა, ასევე, საქართველოდან გასვლისა. ასეა თუ ისე, საქართველოდან გასული მიგრანტები იძულებული არიან, გაიარონ სოციალური ინტეგრაციის გარკვეული პროცესი დანიშნულების ქვეყანაში, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ვერ შეძლებდნენ ცხოვრების პირობებთან და შრომით საქმიანობასთან ადაპტირებას თავიანთ „ახალ“ საცხოვრებელ ადგილებზე.

მიგრანტების სოციალური კონტაქტების როლი მათი მიგრაციისა და რუსეთთან ინტეგრაციის პროცესში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს მოქალაქეები საზღვარგარეთ მიემგზავრებიან დასაქმების მიზნით. სამუშაოს უქონლობა და დაბალი ანაზღაურება საქართველოში ქვეყნიდან მათი გასვლის ძირითადი მოტივია. სხვადასხვა გამოკითხვის მიხედვით 10-დან 8 ქართველი მიგრანტი მიემგზავრება საზღვარგარეთ სამუშაოდ. თუ ვილაპარაკებთ რუსეთზე, მიგრაციულ ნაკადებში საქართველოდან წარსულ წლებში მნიშვნელოვანი ნაწილი შეადგინეს მიგრანტთა ოჯახების წევრებმა, ნათესავების მოსანახულებლად ჩასულებმა და, ხშირად, საკმაოდ დიდი ხნით იქ დარჩენილებმა. 2009 წელს ჩატარებულმა გამოკვლევამ საშუალება მოგვცა, თავის დროზე გაგვეკეთებინა დასკვნა რუსეთში მყოფ მიგრანტთა ოჯახებიდან გამოსული ქართველი ქალების მიგრაციული ქცევის გარკვეული მოდელის შესახებ. საუბარია ქართველ ქალთა ცირკულარულ მიგრაციაზე რუსეთში შრომითი საქმიანობის გარეშე, რომელიც, პრინციპში, განსაზღვრავს მათი ცხოვრების მთელ ისტორიას. ბავშვობაში ისინი დედებთან ერთად ნახულობდნენ მოსკოვში მომუშავე მამებს, დაქორწინების შემდეგ კი იზიარებდნენ თავიანთი დედების ბედს იმის გამო, რომ მათი ქმრებიც ახალი ოჯახური კავშირების გამოყენებით მიდიოდნენ რუსეთში სამუშაოდ. საქართველოში საცხოვრებლად დარჩენილები უკვე სამუშაოდ წასულ ქმრებს სტუმრობდნენ. უფროს ასაკში ეს ქალები მოინახულებდნენ უკვე თავის გაზრდილ შვილებს, ასევე, რუსეთში სამუშაოს სამებნად ნათესავების დახმარების იმედით წასულებს. (Badurashvili, 2011, გვ. 91).

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოდან რუსეთში მიმავალი მიგრანტთა ასეთი ნაკადები თანდათანობით იწურება, რაც დაკავშირებულია საქართველოს მოქალაქეებისათვის რუსეთის ვიზის

გაფორმებასა და რუსეთში ლეგალიზაციის პრობლემებთან. 2009 წელს გამოკითხულ დაბრუნებულ მიგრანტთა ნახევარმა განაცხადა, რომ მოსკოვში სამუშაოდ იყვნენ, დანარჩენებმა კი – რომ მოინახულეს ნათესავები ან სასწავლებლად იყვნენ წასულები, 2012 წელს კი გამოკითხულ დაბრუნებულ მიგრანტთა დიდი უმრავლესობა (88%) იყვნენ მოსკოვში დროებით სამუშაოდ.

მოყვანილი გამოკვლევების შედეგების ანალიზი ამტკიცებს, რომ საქართველოს მიგრანტთა შორის არ არის გავრცელებული საშუამავლო ფორმებთან ან დასაქმების სამსახურებთან ურთიერთობა საზღვარგარეთ სამუშაოზე მოსაწყობად. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთ ლეგალური შრომითი მოწყობის შესაძლებლობა საქართველოს მოქალაქეებისათვის მკვეთრად შეზღუდულია სათანადო ორმხრივი შეთანხმებებისა და ლეგალური შრომითი მიგრაციის სქემების არარსებობის გამო.

ქართველი მიგრანტები სამუშაოს ძიებისას, ძირითადად, მიმართავენ მეგობრების, ნათესავებისა და ოჯახის იმ წევრების დახმარებას, რომლებიც ადრე გაემგზავრნენ. ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ ასეთი პრაქტიკა უკვე მტკიცედ დამკვიდრდა ქართველ მიგრანტებში. ამგვარად, საქართველოში ცირკულარული შრომითი მიგრაციის მექანიზმების უქონლობას ცვლის პირად ნაცნობობაზე დამყარებული მიგრანტთა სოციალური კონტაქტები საზღვარგარეთ, რითაც, ნაწილობრივ, ხელი ეწყობა საქართველოდან არალეგალური მიგრაციის ნაკადებს. შესაბამისად, ნაცნობებისა და ნათესავების არსებობა ამა თუ იმ ქვეყანაში განმსაზღვრელი ფაქტორია უცხოეთში წამსვლელთათვის საქართველოდან. ეს იწვევს ქართველ მიგრანტთა კონცენტრაციას გარკვეულ ადგილებში, სადაც ყოველთვის როდია შრომითი მოწყობის შესაძლებლობა, თუ გავითვალისწინებთ შემოსავლების დონეს და ადგილობრივ საემიგრაციო პოლიტიკას. მეგობრების და ნათესავების დახმარების იმედი იყო ძირითადი მოტივი მოსკოვის არჩევისას გამოკითხული შრომითი მიგრანტების 63%-თვის, როგორც 2009, ისე 2012 წელს.

ბუნებრივია, რომ მიგრანტთა ნათესავები, მეგობრები, ნაცნობები ან სოციალური კონტაქტები დანიშნულების ქვეყნებში მთავარი შუამავლები არიან ქართველებისათვის საზღვარგარეთ ინტეგრაციის პროცესში. უცხოეთში ყოფნისას მიგრანტები აწყდებიან სამუშაოზე მოწყობის პრობლემებს და თანამემამულეების დახმარება რომ არა, ალბათ

ვერც გადაიტანდნენ სამუშაოს ძიების მძიმე პერიოდებს, რომელიც 2012 წლის¹ კვლევის თანახმად, რუსეთსა და დსთ-ის სხვა ქვეყნებში გრძელდება საშუალოდ 6 თვეს. 2009 წლის გამოკითხულ დაბრუნებულ მიგრანტთა ნახევარზე მეტმა და 2012² წელს -40%-მა განაცხადა, რომ ისინი მოსკოვში ცხოვრობდნენ მეგობრებთან და ნათესავებთან. ამასთან, მათი მეგობრები რუსეთის დედაქალაქში იყვნენ სწორედ რომ თანამემამულეები, როგორც აცხადებდა რესპონდენტთა 56% 2009 წელს და 73% 2012 წელს. გამოკითხულთა, დაახლოებით, ნახევარი აღნიშნავდა, რომ საზღვარგარეთ რაიმე პრობლემის წამოჭრისას ისინი დახმარებისთვის თანამემამულეებს მიმართავდნენ. ამგვარად, თანამემამულეები საქართველოდან ახალჩამოსულ მიგრანტებს ეხმარებოდნენ არა მხოლოდ სამუშაოს მოძებნაში, არამედ მხარს უჭერდნენ ძნელბედობისას.

საქართველოდან წასული მიგრანტები რუსეთში და მათი ოჯახები სამშობლოში. მიგრაციის გავლენა საზოგადოების სოციალურ-მოწყვლად ფენებზე: ქალებზე, ბავშვებზე, მოხუცებზე, ეროვნულ უმცირესობებზე

საქართველოდან შრომითი მიგრაციის დამახასიათებელია, რომ საზღვარგარეთ მიემგზავრება, როგორც წესი, ოჯახის ერთი წევრი, ტოვებს რა ბავშვებს და მეუღლეს ოჯახის სხვა წევრების იმედად და გზავნის თანხას სახლში. 2012³ წლის გამოკვლევის თანახმად, საქართველოში დაბრუნებულ მამაკაცთა 83,4% და ქაღთა 69,8% მიგრაციაში იყვნენ მარტონი, ოჯახის სხვა წევრების გარეშე. გამოკითხულთა სიტყვებით, მათი მარტო გამგზავრების მიზეზი ის იყო, რომ პარტნიორთაგან ერთი უნდა დარჩენილიყო ბავშვების და ოჯახის სხვა წევრების მოსავლედად. ეს გარემოება, უეჭველად, პრობლემებს უქმნის როგორც მიგრანტებს, ნოსტალგია რომ აწვებათ, ისე საქართველოში დარჩენილ მათი ოჯახის წევრებს. მიგრანტები ხშირად მოკლებული არიან საშუალებას, მოინახულონ ოჯახები, თუნდაც მეზობელ რუსეთში ყოფნისას. მოსკოვიდან დაბრუნებულ მიგრანტთაგან ორი მესამედი არ შეხვედრია თავის ახლობლებს და ნათესავებს მიგრაციის მთელი პერიოდის მანძილზე, რომელმაც 2012 წელს გამოკითხულთა ნახევრისთვის ერთ

¹ ევროპის განათლების ფონდის (ETF) პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევა

² ფოლკსვაგენის ფონდის ფარგლებში ჩატარებული კვლევა

³ იხილეთ შენიშვნა 1.

წელზე მეტი შეადგინა. დაბრუნებულთაგან ყოველი მეხუთე მოსკოვში 4 წელზე მეტხანს იმყოფებოდა.

ასე რომ, საზღვარგარეთ ყოფნისას ქართველი მიგრანტები ხშირად ეჯახებიან ოჯახურ პრობლემებს, გამოწვეულს მათი სამშობლოში არყოფნით. ეს ართულებს მათ ცხოვრებას საზღვარგარეთ და უარყოფითად მოქმედებს მათ ინტეგრაციაზე ახალ სოციალურ გარემოში. გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ მიგრანტთა ოჯახები ხშირად იძლება ერთ-ერთი მეუღლის მიგრაციაში ხანგრძლივად ყოფნის გამო. რუსეთში მომუშავე მამაკაცები ხშირად იქ მეორე ოჯახს ქმნიან. ერთ-ერთ კვლევაში მოყვანილია მიგრანტთა ცოლებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების შედეგები, რომლებიც ცხადყოფს იმ ფსიქოლოგიურ პრობლემებს, რასაც განიცდიან ოჯახის წევრები ხანგრძლივი დაშორების გამო. ერთ-ერთი რესპონდენტი ქალის სიტყვები ადასტურებს აღნიშნული პრობლემის სიმწვავეს საქართველოში: „თუ გსურთ, დაკარგოთ ქმარი, მიეცით უფლება, წავიდეს რუსეთში სამუშაოდ“ (Badurashvili, 2012, გვ. 11).

ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ ქართველი მიგრანტები სამშობლოში ბრუნდებიან, ძირითადად, ოჯახური მიზეზების გამო. 2012⁴ წლის მონაცემებით, გამოკითხულთა 36,5%-მა აღნიშნა, რომ მეუღლის ან მშობლების თხოვნით დაბრუნდა სახლში, 12% – ფსიქოლოგიური პრობლემებისა და ნოსტალგიის გამო, 14,2% – უცხოეთში სამუშაო ვერ იშოვა, 14% – ლეგალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების გამო დაბრუნდა და 6% დეპორტირებული იქნა. მოსკოვიდან დაბრუნებულ მიგრანტებში აბსოლუტური უმრავლესობა (გამოკითხულთა 64% 2009 წელს და 76% – 2012 წელს) დაბრუნდა საქართველოში, ასევე, პირადი პრობლემების გამო; დეპორტირებული იყო გამოკითხულთა 8%.

აღიარებულია, რომ მშობლების მიგრაციაში წასვლა სერიოზულ პრობლემებს უქმნის ბავშვებს მათი სოციალიზაციის პროცესში, როცა ისინი რჩებიან ერთი მშობლის მზრუნველობის ან ოჯახის სხვა წევრების მეთვალყურეობის ქვეშ. 2002 წელს საქართველოში ჩატარებული სპეციალური გენდერული კვლევა დროებით შრომით მიგრაციას განიხილავს, როგორც ფაქტორს, რომელიც მოქმედებს ოჯახის გავლენის შესუსტებაზე ბავშვთა სოციალიზაციის პროცესში, დანაშაულებათა ზრდაზე, უსახლკარობასა და მათხოვრობაზე ბავშვებსა და მოზარ-

⁴ იხილეთ შენიშვნა 1

დებს შორის საქართველოში (USAID, 2003, გვ. 39). 2007 წელს ამ საკითხებზე ჩატარებულმა სხვა კვლევამ გამოავლინა მიგრანტი მშობლების ბავშვთა შორის პრობლემათა მთელი წყება. ბავშვები, რომლებიც რჩებიან მშობლების გარეშე ოჯახის სხვა წევრების მეთვალყურეობის ქვეშ, ხასიათდებიან ფსიქო-ემოციურ მდგომარეობასა და ქცევაში გადახრებით. პრობლემები იჩენს თავს მაშინაც, როცა ბავშვებს სათანადოდ უვლიან ოჯახის სხვა წევრები და უახლოესი ნათესავები. ასეთ ბავშვებს უვითარდებათ მოუსვენრობა, გამოხატული უმიზეზო წუწუნითა და ტირილით, დუმილით, ჩაკეტილობით ან უსაზღვრო მორიდებით. ასეთი ბავშვები უფრო ხშირად აცხადებენ უარს საბავშვო ბაღში სიარულზე, აცდენენ გაკვეთილებს სკოლაში, კარგავენ სწავლის ინტერესს, გამოირჩევიან აკადემიური ჩამორჩენილობით, თანატოლებთან ურთიერთობის არქონით, გაღიზიანებით, ძილისა და მადის დაკარგვით. ეს პრობლემები განსაკუთრებით გამოიხატება ბავშვებში, რომლებიც საზღვარგარეთ სამუშაოდ წასული დედების გარეშე იზრდებიან და თუმცა დროთა განმავლობაში ისინი ეჩვევიან მშობლების არყოფნას, სტრესის გადალახვას მაინც ვერ ახერხებენ“ (Svintradze and Ubiria, 2007, გვ. 20).

მიგრაციის ნეგატიურ გავლენას განიცდიან ასევე მოხუცები, რომელთა ზრდასრული ბავშვები საზღვარგარეთ მიდიან სამუშაოდ და მარტო ტოვებენ მათ. პრაქტიკული მოვლა და მზრუნველობა მოხუცებულობაში – ახალი პრობლემა ტრადიციული ქართული საზოგადოებისთვის, სადაც მოხუცი მშობლები, როგორც წესი, თავის შვილებთან ერთად ცხოვრობდნენ და მათი მოვლის და პატრონობის ქვეშ იმყოფებოდნენ. შესაბამისად, საჭიროების არარსებობის გამო საქართველოში მოხუცებულთა სახლების მინიმალური რაოდენობა იყო. შვილების მიგრაციის გამო მარტო მცხოვრები მოხუცების და მშობლების გარეშე სხვა ოჯახის წევრებთან დარჩენილი ბავშვების პრობლემები საქართველოში ჯერ კიდევ არ მოექცა სათანადო საზოგადოებრივი ყურადღების ქვეშ.

2010-2012 წლებში ევროკავშირის მხარდაჭერით მასტრიხის უნივერსიტეტმა ჩაატარა სპეციალური კვლევა „მიგრაციის გავლენა ბავშვებსა და მოხუცებზე მოლდოვასა და საქართველოში“ („Effects of migration in Moldova and Georgia on children and elderly left behind“), რომელმაც გამოავლინა ზემოთ მითითებული პრობლემების სიმწვავე. სამწუხაროდ, გამოკვლევის შედეგები საქართველოზე ჯერ კიდევ

მიუწვდომელია ფართო საზოგადოებისათვის, მაგრამ პროექტის სამეცნიერო კოორდინატორთან ჩვენ მიერ ჩატარებულმა ინტერვიუმ გამოავლინა, რომ ზრდასრული შვილების მიგრაციის გამო განსაკუთრებულ სიმძნელებს აწყდებიან ხანშიშესული, სოფლად მარტო მცხოვრები ადამიანები. ყოველდღიური საყოფაცხოვრებო სიმძნელებით და მწირი შემოსავლებით მათ არ შეუძლიათ სრულფასოვანი სამედიცინო დახმარების მიღება. ბევრი მათგანი საერთოდ არ მიმართავს ექიმს საქართველოში უფასო სამედიცინო მომსახურების შესახებ არსებულ შესაძლებლობებზე არასაკმაო გაცნობიერების გამო ან იმიტომ, რომ დამოუკიდებლად ვერ ახერხებს მისვლას ხშირად მხოლოდ რეგიონულ ცენტრებში განლაგებულ სამედიცინო დაწესებულებაში. მათ უმრავლესობას არც გაუგია ქვეყანაში ოჯახის ექიმისა და სოციალური მუშაკების ინსტიტუტის არსებობის შესახებ. ამრიგად, საზღვარგარეთ სამუშაოდ წასული შვილებისგან მიტოვებული მოხუცები წარმოადგენენ ქართული საზოგადოების ყველაზე მოწყვლად სოციალურ ფენას.

ზოგიერთი ეროვნების წარმომადგენლები, მაგალითად, სომხები და აზერბაიჯანელები, კომპაქტურად მცხოვრებნი საქართველოს სამხრეთ რეგიონებში, უფრო მეტად არიან ჩართულნი მიგრაციულ პროცესებში. სეზონური სამუშაო რუსეთში მათთვის იქცა ეკონომიკური სიმძნელების გადალახვის ძირითად სტრატეგიად საქართველოს დღევანდელ ეკონომიკურ რეალობასთან მოსარგებად. ახალგაზრდა მამაკაცთა მნიშვნელოვანი რაოდენობა, მცხოვრები სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში, ყოველ გაზაფხულს მიემგზავრება სამუშაოდ რუსეთში, სადაც ისინი დაკავებული არიან, ძირითადად, ვაჭრობითა და მშენებლობით, ზამთრობით კი სახლებში ბრუნდებიან. ეს ნაკადები არ შემწყდარა საქართველოს და რუსეთს შორის ურთიერთობების მკვეთრი გაუარესების შემდეგაც, რადგან სეზონური მიგრანტები, განსაკუთრებით, სომხეთთან მოსაზღვრე რეგიონებში მცხოვრებნი, ფლობენ რუსულ და სომხურ პასპორტებს.

ქართველ მიგრანტთა შრომითი საქმიანობის თავისებურებანი რუსეთში

რამდენადაც საქართველოს მოქალაქეები საზღვარგარეთ, ძირითადად, სამუშაოდ მიემგზავრებიან, გასაკვირი როდია, რომ ყველა გამოკვლევის მიხედვით დაბრუნებული მიგრანტები სამუშაოს შოვას

ასახელებენ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად მიმღებ ქვეყანაში ლეგალიზაციის შექმნა. როგორც ცნობილია, ყოფილი საბჭოთა კავშირიდან წამოსული მიგრანტები გამოირჩევიან მაღალი განათლების დონით. კვლევათა დიდი უმრავლესობა ამ ფაქტს ადასტურებს: შრომით მიგრანტებს საქართველოდან უფრო მაღალი განათლების დონე აქვთ, ვიდრე საშუალოდ საქართველოს მთელ მოსახლეობას (ევროკავშირი, 2012, გვ.11). 2012 წლის⁵ გამოკვლევების თანახმად, საქართველოდან გასული მიგრანტების, დაახლოებით, 60%-ს აქვს უმაღლესი ან საშუალო პროფესიული განათლების დიპლომი. მაგრამ, როგორც ანალიზი გვიჩვენებს, ის სამუშაო, რომელსაც ასრულებენ ქართველი მიგრანტები საზღვარგარეთ, ნამდვილად არ მოითხოვს ასეთ განათლებას. ამიტომ სპეციალისტები განიხილავენ საქართველოს მოქალაქეთა მიგრაციას, როგორც თუ არა „ტვინების გადინებას“ (brain drain), რამდენადაც მათი უმრავლესობა მალევე უკან სამშობლოში ბრუნდება, მაგრამ „ტვინების გახარჯვას“ (brain waste) მაინც. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთში წასულ მიგრანტთა შორის ეს პრობლემა არც ისე მწვავედ დგას. 2012 წელს⁶ გამოკითხულთა 56%-მა აღნიშნა, რომ სამუშაო, რომელსაც ასრულებდნენ საზღვარგარეთ, სრულად შეესაბამებოდა მათი განათლების დონეს, მაშინ როცა ევროკავშირიდან დაბრუნებულ გამოკითხულთა შორის ასეთი სულ 31% იყო. ამ თვალთახედვით, რუსეთი შედარებით მომხიბლავი ქვეყანაა საქართველოს მოქალაქეებისათვის. ეს აიხსნება ორი ფაქტორით: 1) რუსეთში და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში გამგზავრებულ მიგრანტთა განათლების დონე უფრო დაბალია, ვიდრე იმ მიგრანტებისა, რომლებიც „შორეულ საზღვარგარეთ“ მიემგზავრებიან და 2) საქართველოდან რუსეთში ჩასული მიგრანტები ახერხებენ უფრო კარგი სამუშაოს შოვას, რაშიც მათ ეხმარება ქართველების მრავალწლიანი კავშირები რუსეთში, იქაური დიასპორა, რაც არცთუ უკანასკნელ როლს თამაშობს ქართველი მიგრანტებისათვის სამუშაოს ძიებაში. რუსეთში საქართველოს მიგრანტების შედარებით უკეთეს მდგომარეობაზე მეტყველებს 2003 წლის კვლევის შედეგებიც: „შორეულ საზღვარგარეთ“ მომუშავე მიგრანტთა აბსოლუტური უმრავლესობა (86%), გამოკითხვისას აღნიშნავდა რომ ისინი განიცდიდნენ დისკრიმინაციას შრომითი ანაზღაურების თვალსაზრისით: მათი თქმით ისინი იღებდნენ ანალოგიურ სამუშაოში გაცილებით ნაკლებ ანაზღაუ-

⁵ იხილეთ შენიშვნა 1

⁶ იხილეთ შენიშვნა 1

რებას, ვიდრე ადგილობრივი მუშაკები, თანაც 10 შრომითი მიგრანტი-დან 6 იღებდა ორჯერ, სამჯერ ან ოთხჯერ ნაკლებს. რუსეთში ასეთი ფაქტები საქართველოს მიგრანტებს შორის უფრო იშვიათია: 10-დან 9 გამოკითხული ამბობს, რომ ისინი იღებდნენ ისეთივე ანაზღაურებას, როგორსაც ადგილობრივი მცხოვრებლები (Badurashvili, 2004, გვ.18). ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ მიგრანტთა მხოლოდ ერთი მე-ხუთედი მუშაობდა მოსკოვში ფირმებში, რომლებიც ეკუთვნოდათ საქართველოს მოქალაქეებს. უმრავლესობა დასაქმებული იყო რუსეთის და სხვა სახელმწიფოების მკვიდრთა კუთვნილ დაწესებულებებში. ასე რომ, ნეპოტიზმზე საუბარი აქ უადგილოა, ეს არის რეალური სიტუაცია რუსეთის შრომით ბაზარზე, რომელსაც სჭირდება მუშახელი გარედან და მზად არის სრულად გადაუხადოს ჩამოსულებს ანაზღაურება. ამის გარდა, 2009 წელს გამოკითხულთა 14%-მა და 2012 წელს გამოკითხულთა 10%-მა განაცხადა, რომ მოსკოვში მიგრაციაში ყოფნისას მათ ჰქონდათ საკუთარი ბიზნესი, რაც, ასევე, მეტყველებს საქართველოს მოქალაქეთა წარმატებულ მოღვაწეობაზე რუსეთის ბაზარზე.

სხვადასხვა გამოკვლევის შედეგები მეტყველებს, რომ მიგრანტები საქართველოდან რუსეთში დაკავებული არიან, ძირითადად, ვაჭრობით, მშენებლობით და ტრანსპორტით. ქალები, ამას გარდა, აქტიურად არიან ჩაბმული საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, როგორც კერძო, ასევე საზოგადოებრივი მომსახურების სფეროში.

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ქართველი მიგრანტები უცხოეთში ყოფნისას არიან მაღალი სოციალური რისკების ქვეშ, საქართველოს და ქართველ მიგრანტთა დანიშნულების ქვეყნებს შორის ორმხრივი სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების არარსებობის ან, როგორც რუსეთის შემთხვევაში, შეჩერების გამო. ცნობილია, რომ საქართველოდან ემიგრირებულთა უმრავლესობა არალეგალურად მუშაობს საზღვარგარეთ: 2012⁷ წლის გამოკვლევით მხოლოდ 13,7%-ს ჰქონდა გაფორმებული ოფიციალური შრომითი ხელშეკრულება დამქირავებელთან. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს ანალოგიური მონაცემები ქართველი მიგრანტების რუსეთში დასაქმების დეტალებზე, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიგრანტების არაფორმალური დასაქმება ფართოდ გავრცელებულია რუსეთის ფედერაციაშიც, იქ ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების გათვალისწინებით. შესაბამისად,

⁷ იხილეთ შენიშვნა 1.

ოფიციალური კონტრაქტის უქონლობის გამო მიგრანტები უცხოეთში გარკვეულ დისკრიმინაციას განიცდიან, მაგალითად, ზეგანაკვეთური სამუშაოს სახით. 2012⁸ წლის გამოკვლევით, ქართველი მიგრანტების სამუშაო დღე რუსეთში შეადგენდა საშუალოდ 56 საათს კვირაში, რაც ნორმატიულ მაჩვენებლებს ბევრად აჭარბებს. განსაკუთრებულ დატვირთვას განიცდიან საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაკები. ასეთი სიტუაცია, პირველ რიგში, აიხსნება საქართველოდან ჩასულთა არალეგალური სტატუსით, რადგან ისინი იძულებული არიან, დასთანხმდნენ ნებისმიერ პირობებზე, ოღონდ მიიღონ სამუშაო: 2009 წელს გამოკითხულთა 24% და 2012 წელს გამოკითხულთა 39% აღნიშნავდა, რომ მოსკოვში ყოფნისას მათ არ ჰქონდათ ოფიციალური ცხოვრების უფლება (ბინადრობის მოწმობა).

როგორც გამოკვლევები ცხადყოფს, შრომითი მიგრანტები – საქართველოს მოქალაქეები, რუსეთში ყოფნისას თავს დაცულად არ გრძნობდნენ. ეს არ იყო გამოწვეული მხოლოდ მათი არალეგალური სტატუსით; მათი პრობლემები ასევე უკავშირდებოდა რუსეთში გავრცელებულ „მიგრანტოფობიას“. რუსეთიდან დაბრუნებული მიგრანტები მიუთითებდნენ, რომ მოსკოველებს ზოგადად არ უყვართ ჩამოსულები, განსაკუთრებით კი ქართველები. მიგრანტთა უმრავლესობა (2009 წელს გამოკითხულთა 92% და 2012 წელს გამოკითხულთა 84%) აღნიშნავდა, რომ რუსეთში ყოფნისას მათ არ ჰქონდათ სამედიცინო დაზღვევა, რაც ასევე გარკვეულ პრობლემებს უქმნიდა მათ. მიუხედავად ამისა, დაბრუნებულ მიგრანტთა უმრავლესობა (2012 წელს გამოკითხულთა 10-დან 9) ზოგადად კმაყოფილია მოსკოვში მიგრაციით. ყოველმა მეორემ გამოკითხვისას უპასუხა, რომ თავისუფალი მიმოსვლის პირობებში კვლავაც წავიდოდა საზღვარგარეთ სამუშაოდ უახლოეს 12 თვეში, მათ შორის 55% – რუსეთში.

საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაცია სამშობლოში

გამოკვლევები ცხადყოფს, რომ სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტები იმავე პრობლემებს აწყდებიან, რამაც თავის დროზე საზღვარგარეთ წასვლა აიძულათ: სამუშაოს უქონლობა და დაბალი ხელფასები საქართველოში. სწორედ რეინტეგრაციის სიძნელები ადგილობრივ

⁸ იხილეთ შენიშვნა 1.

შრომით ბაზარზე, ჩვენი აზრით, საკვანძო პრობლემაა დაბრუნებულ მიგრანტთათვის. სამწუხაროდ, საქართველოში, მიუხედავად ზოგი დადებითი ტენდენციისა, უმუშევრობის მაღალი დონე და შრომის დაბალი ანაზღაურება მოსახლეობის უმრავლესობისთვის რჩება ძირითად სოციალურ პრობლემად, რაც სტიმულს აძლევთ, წავიდნენ საზღვარგარეთ სამუშაოდ. საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, რომ საუკეთესო საშუალება დასაქმების პრობლემების გადალახვისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაზრდისა ისეთი ეკონომიკური კლიმატის ქვეყნებში, როგორც საქართველოა, არის მიგრანტთა ფულადი გზავნილების ეფექტური გამოყენება მათ ოჯახებში სამეწარმეო ინიციატივების სტიმულირებისათვის და ბიზნესის განვითარებისთვის.

მიგრანტთა ფულადი გზავნილები და მათი როლი დაბრუნებულთა რეინტეგრაციის პროცესში

არსებული მონაცემები ადასტურებს, რომ მიგრანტთა ფულადი გზავნილები საზღვარგარეთიდან, ისევე როგორც მათ მიერ ჩამოტანილი დანაზოგები, იხარჯება, ძირითადად, მათი ოჯახების ყოველდღიურ საჭიროებებზე. 2012 წლის გამოკითხვით, რესპონდენტთა 97%-მა აღნიშნა, რომ მათ მიერ უცხოეთიდან გამოგზავნილ ფულს მათი ოჯახები იყენებდნენ ყოველდღიური ხარჯებისათვის, გამოკითხულთა 1%-მა კი მიუთითა, რომ მათი გზავნილები მოხმარდა უძრავი ქონების შეძენას საქართველოში, 0.7 %-მა თქვა, რომ მიგრაციაში ნაშოვნნი ფული დაიხარჯა შვილების განათლებაში. ამავე დროს, არის კვლევები, რომლებიც ადასტურებს, რომ მიგრანტთა ფულადი გზავნილები ბევრად აუმჯობესებს მათი ოჯახების მატერიალურ კეთილდღეობას, განსაკუთრებით, ქალაქებში მცხოვრებ შინამეურნეობებში: მატულობს შინამეურნეობის დანახარჯები ტანსაცმელზე, საყოფაცხოვრებო ტექნიკასა და ავეჯზე, სამედიცინო მომსახურებასა და უმაღლეს განათლებაზე (Gerber and Torosyan, 2011). 2012⁹ წლის გამოკითხვით, მიგრანტების ორმა მესამედმა მიგრაციის პერიოდში მოახერხა დაეგროვებინა დანაზოგი. მაგრამ სამშობლოში დაბრუნებულთა მხოლოდ 3%-მა წამოიწყო საკუთარი საქმე ამ თანხით, 5,6%-მა იყიდა უძრავი ქონება, მაგრამ, ძირითადად, ჩამოტანილი ფული დაიხარჯა ოჯახის ყოველდღიურ საჭიროებებზე. ეს არც არის გასაკვირი, რადგან სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტთა ორმა მესამედმა ვერ იშოვა სამუშაო.

⁹ იხილეთ შენიშვნა 1.

დაბრუნებულ მიგრანტთა უმუშევრად დარჩენილი 80% (2012 წელს გამოკითხულებში) ეძებს, მაგრამ ვერ შოულობს სამუშაოს საქართველოში. ვინც მოუწყო, ნახევარზე მეტმა სამუშაო მეგობრებისა და ნაცნობების რეკომენდაციით მოძებნა – ეს ძველებურად გავრცელებული პრაქტიკაა საქართველოში. მხოლოდ 8.4% დაუბრუნდა ძველ სამუშაო ადგილს და ოთხი მიგრანტიდან მხოლოდ ერთმა თავად იშოვა სამსახური დაბრუნებისას.

2005 წლის კვლევამ აჩვენა, რომ მიგრანტთა უმრავლესობა ერიდება რაიმე სამეწარმეო ინიციატივის წამოწყებას სამშობლოში დაბრუნებისას. გამოკითხულთა მხოლოდ 18%-მა მიუთითა, რომ აპირებს დაიწიოს საკუთარი საქმე საქართველოში. 10-დან 6-მა რესპონდენტმა განაცხადა, რომ არ აპირებს საკუთარი ბიზნესის წამოწყებას ფულადი სახსრების უქონლობის გამო. დანარჩენ მიზეზთა შორის დასახელდა მაღალი ხარჯების საჭიროება ახალ ბიზნესინიციატივებზე და ბიზნესიდეის უქონლობა (CRRC, 2007, გვ. 49).

ასე რომ, დღეს მიგრანტთა ფულადი გზავნილები საზღვარგარეთიდან არ გამოიყენება ბიზნესის განვითარებისთვის საქართველოში. ეს ნიშნავს, რომ მიგრაციას არ აქვს ეფექტური გავლენა მიგრანტთა ოჯახების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, და შედეგად, საქართველოს შემთხვევაში შრომით მიგრაციას არა აქვს მდგრადი განვითარების გავლენა მიგრანტთა წარმოშობის ქვეყანაზე. უეჭველია, რომ ფულადი გზავნილები დაბლა სწევს სიღარიბის ზღვარს საქართველოში, მაგრამ ამას მოკლევადიანი ეფექტი აქვს და ვერ უზრუნველყოფს მთელი საზოგადოების განვითარებას. ეს გამოწვეულია, პირველ რიგში, სახელმწიფოს უუნარობით, ეფექტურად გამოიყენოს მიგრანტების გზავნილები ეკონომიკური განვითარებისათვის და არასაკმარისად აქტიური პოლიტიკით დაბრუნებულთა წარმატებული რეინტეგრაციისთვის ადგილობრივ შრომით ბაზარზე. თავის მხრივ, ეს ქმნის წანამძღვრებს შრომითი მიგრაციის ახალი ნაკადებისთვის, როგორც პოტენციური მიგრანტების, ასევე საქართველოში დაბრუნებული მიგრანტებისათვის, რომლებმაც ვერ იპოვეს საკუთარი ადგილი შრომით ბაზარზე.

მიგრანტთა ადაპტაციის სიმძლეები სამშობლოში დაბრუნების შემდეგ

ამოსავალი წერტილი მიგრანტთა წარმატებული ადაპტაციისთვის სამშობლოში არის მათი დაბრუნება საქართველოს შრომით ბაზარზე.

მაგრამ კვლევები აჩვენებს, რომ დროებითი შრომითი მიგრაცია და უცხოეთში მიღებული გამოცდილება, როგორც წესი, დიდ გავლენას ვერ ახდენს მიგრანტთა დასაქმების სტატუსზე საქართველოში დაბრუნებისას. ისინი, ვინც უმუშევრები იყვნენ მიგრაციამდე, ასეთებად რჩებიან სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც (CRRC, 2007, გვ.გვ. 49; 67). 2005 წლის გამოკვლევით 10-დან 6-მა რესპონდენტმა, რომელიც უმუშევარი იყო უცხოეთში სამუშაოდ წასვლამდე, კვლავ შეავსო უმუშევართა რიგები სამშობლოში დაბრუნებისას. უფრო მეტიც, უმრავლეს შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეთა პროფესიული სტატუსი მიგრაციის შემდეგ ხშირად კლებულობს. ზემოთ მოყვანილი კვლევის მიხედვით, მხოლოდ 22% მათგან, ვინც მიგრაციამდე ხელმძღვანელ თანამდებობებს იკავებდა ან უმაღლესი და საშუალო რგოლის კვალიფიციური მუშაკი იყო, შეძლო, მოწყობილიყო ანალოგიურ სამუშაოზე საქართველოში დაბრუნების შემდეგ. დანარჩენებს მოუხდათ ემუშავათ გაცილებით დაბალი პროფესიული დონის სამუშაოზე. ყოველი მესამე მიგრანტი სამშობლოში დაბრუნებისას აღმოჩნდა უმუშევარი. ექსპერტთა დასკვნებით, სამწუხაროდ, არ არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ მივხვდეთ, სად არის პრობლემა – ადგილობრივი შრომის ბაზარი ვერ ახერხებს მიგრანტთა ინტეგრირებას და საზღვარგარეთ მიღებული გამოცდილების გამოყენებას, თუ თავად მიგრანტებს არ სურთ ქართულ შრომით ბაზარზე აქტიური შესვლა დაბალი ანაზღაურების და არადაკმაყოფილებელი შრომითი პირობების გამო“ (EC, 2012, გვ.13).

მიგრაციის გავლენა ოჯახების მდგომარეობაზე. საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სამომავლო განზრახვები

მიუხედავად ზემოთქმულისა, საქართველოს მოქალაქეთა შრომითი მიგრაცია მაინც ახდენს დადებით გავლენას საზოგადოების ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რამდენადაც ის უეჭველად მოქმედებს შინამეურნეობების კეთილდღეობაზე. კვლევები ადასტურებს, რომ იმ შინამეურნეობებს, სადაც დაბრუნებული მიგრანტები არიან, შემოსავლები უფრო მაღალი აქვთ და თვით დაბრუნებულ მიგრანტებს საქართველოში უფრო მაღალი ფულადი შემოსავლები აქვთ, ვიდრე იმ პირებს, ვისაც არ აქვს მიგრაციის გამოცდილება (EC, 2012, გვ.12). ექსპერტთა დასკვნების თანახმად, მიგრანტების ფულადი გზავნილები არამარტო ეხმარება ოჯახებს სიღარიბის დამლევაში, არამედ ისინი სხვადასხვა ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახების შემოსავლებში განსხვავების

შემცირების გზით ხელს უწყობს საზოგადოებას სოციალური უთანასწორობის დაძლევაში (იქვე, გვ. 16). 2005 და 2009 წლების გამოკვლევებით, დაბრუნებულ მიგრანტთა 40 და 45 პროცენტი აღნიშნავდა, რომ მათი ოჯახები ახლა უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე მათ წასვლამდე საზღვარგარეთ. უკანასკნელი მონაცემებით, ფულადი შემოსავლები იმ ოჯახებში, სადაც დაბრუნებული მიგრანტები არიან, საშუალოდ, 15%-ით უფრო მაღალია, ვიდრე სხვა ოჯახებში. ამავდროულად, ასეთ შინამეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებიც უფრო მაღალია, ვიდრე სხვა დანარჩენ ოჯახებში.

ასე, რომ შეიძლება დავასკვნათ, მიგრაციას აქვს დადებითი გავლენა ქართული საზოგადოების განვითარებაზე, თუ არა ჯერ კიდევ გრძელვადიანი ეფექტი მიგრანტთა ფულადი გზავნილების არასაკმარისი გამოყენების გამო, არამედ საშუალოვადიანი – უთუოდ, რომელიც არ გამოიხატება მხოლოდ მიგრანტების გზავნილების გამოყენებაში შინამეურნეობის ყოველდღიური საჭიროებისთვის. 2012 წლის¹⁰ გამოკვლევით, დაბრუნებულ მიგრანტთა, დაახლოებით, 70%-მა აღნიშნა, რომ იყენებენ საზღვარგარეთ მიღებულ გამოცდილებას ყოველდღიურ შრომით საქმიანობაში, მხედველობაში აქვთ დისციპლინა და შრომის ორგანიზება, თვისებები, შეძენილი საზღვარგარეთ მუშაობისას. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, ყოველმა მესამე დაბრუნებულმა მიგრანტმა აღნიშნა, რომ მან საზღვარგარეთ აიმაღლა პროფესიული კვალიფიკაციის დონე, შეიძინა რა ახალი შრომითი უნარები და ისწავლა უცხო ენა.

2012 წელს გამოკითხულთაგან ყოველმა მესამემ თქვა, რომ უახლოეს 6 თვეში სრულიად შესაძლებელია, ისევ გაემგზავროს სამუშაოდ საზღვარგარეთ. ეს არ იწვევს გაკვირვებას, რადგან მიგრანტები, სამშობლოში უკეთესის იმედით დაბრუნებულები, ხვდებიან ანალოგიურ სიტუაციაში, რაც წასვლამდე ჰქონდათ. საქართველოში ისინი აწყდებიან სამუშაოს უქონლობას და დაბალ შემოსავლებს, ადაპტაციის ახალ პრობლემებს ადგილობრივ საზოგადოებაში. არ არის გასაკვირი, რომ ბევრი მათგანი კვლავ ემიგრაციას ეშურება. ზოგადად, როგორც მიგრაციული კვლევები ადასტურებს, ყოფილ მიგრანტებს და მათი ოჯახის წევრებს უფრო მაღალი განზრახვები აქვთ მომავალ მიგრაციასთან და-

¹⁰ იხილეთ შენიშვნა 1.

კავშირებით, ვიდრე იმ ოჯახებს, რომლებსაც არ გააჩნიათ გარე მიგრაციის არანაირი გამოცდილება.

მოკლე დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველომ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ გადალახა გარდამავალი პერიოდის სიმნელეები. ამ პირობებში დროებითი შრომითი მიგრაცია საზღვარგარეთ არის საქართველოში ინდივიდუუმებისა და მთელი ოჯახების სოციალიზაციის და ეკონომიკური ადაპტაციის ერთ-ერთი აქტიური ფორმა. როგორც ჩანს, უახლოეს წლებში შრომითი მიგრაცია დარჩება მატერიალური კეთილდღეობის ამალგების ეფექტურ მეთოდად. ასევე ცხადია, რომ უახლოეს პერსპექტივაში არალეგალური შრომითი მიგრაცია დარჩება საქართველოდან მიგრაციული ნაკადების ძირითადი დამახასიათებელი ფორმა. საქართველოს მთავრობამ იგნორირება არ უნდა გაუკეთოს ამ პრობლემას და უნდა მიიღოს ეფექტური ზომები ლეგალური შრომითი მიგრაციის მხარდასაჭერად და მიგრანტთა გარანტირებული სოციალური დაცვის უზრუნველსაყოფად. საქართველოს მოქალაქეების ლეგალურ ცირკულარულ მიგრაციაში ჩართვის დასახმარებლად საქართველოს მთავრობამ ლიდერის როლი უნდა მოიგოს და მიიღოს ეფექტური ზომები შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების შესაქმნელად, რათა გაუმჯობესდეს ინფორმაციის შეგროვება და ფართო გავრცელება უცხოეთში ლეგალური შრომითი მიგრაციის შესაძლებლობებზე, მათ შორის რუსეთში, ქართველთა მიმღები ქვეყნების შრომითი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. ცირკულარული მიგრაციის პროცესი რომ გაიოლდეს რუსეთში საქართველოს მოქალაქეებისთვის, აუცილებელია, გააქტიურდეს ძალისხმევა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციისა ორ ქვეყანას შორის და სხვა ქმედებები ორმხრივი სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობისათვის მოსახლეობის მიგრაციის მართვის სფეროში. ძირითადი მიზანი უნდა იყოს ორ ქვეყანას შორის მიგრაციის მართვა და მიგრაციული ნაკადების მონიტორინგი. მთავრობამ უნდა აამაღლოს მიგრაციის მართვის და შეფასების არსებული პოტენციალი და გაითვალისწინოს ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობები რეგიონალური პოლიტიკის შემუშავების დროს.

ლიტერატურა

1. Badurashvili, I., (2012): The Socio-Political Impact of Labour Migration on Georgia. CARIM-East Research Report 2012/21. <http://www.carim-east.eu/media/CARIM-East-2012-RR-21.pdf>
2. Badurashvili, I., (2011): Out-Migration from Georgia to Moscow and Other Destinations, in: Genov N., Savvidis T. (eds.), Transboundary Migration in the Post-Soviet Space: Three Comparative Case Studies. Frankfurt/Main, Peter Lang. სტრ. 79-122.
3. Badurashvili, I., (2004): Determinants and Consequences of Irregular Migration in a Society under Transition. The Case of Georgia. <http://paa2004.princeton.edu/papers/41960>
4. Caucasus Research Resource Centres (CRRC), (2007): Migration and Return in Georgia: Trends, Assessments, and Potential. A report submitted to the Danish Refugee Council by Caucasus Research Resource Centres, Tbilisi.
5. <http://crrccenters.org/store/files/Projects/DRC-CRRC%20Migration%20Trends%20Study%20final%2030JAN2008.pdf>
6. CRRC/International School of Economic at Tbilisi State University, (2010): Development on the Move: Measuring and Optimising Migration's Economic and Social Impacts in Georgia, Tbilisi. http://www.iset-pi.ge/files/final_report_-_migration.pdf
7. Gerber, Th., Torosyan, K., (2011): Remittances in Georgia: Correlates, Economic Impact, and Social Capital Formation. <http://paa2011.princeton.edu/papers/111495>
8. European Commission (EC), (2012): Georgia country report: Social Impact of Emigration and Rural-Urban Migration in Central and Eastern Europe.
9. <http://ec.europa.eu/social/keyDocuments.jsp?pager.offset=20&langId=en&mode=advancedSubmit&policyArea=0&subCategory=0&year=0&country=0&type=0&advSearchKey=EmigrationMigrationCentralEasternEurope&orderBy=docOrder>
10. Massey, D. S., (1990): Social Structure, Households Strategies and the Cumulative Causation of Migration, Population index 56.
11. Svintradze, I., Ubiria, G., (2007): How Poverty Separates Families: Impact of International Labour Migration on Families and Children in Georgia. <http://crrc.ge/store/files/old%20fellows/2007/Ia%20Svintradze%20and%20Grigol%20Ubiria%20-%20Eng.doc>
12. USAID, (2003): Gender Assessment for USAID/Caucasus. http://pdf.usaid.gov/pdf_docs/PDACG103.pdf

დემოგრაფიული ფაქტორი რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობების გაუმჯობესების კონტექსტში

სტატიაში განხილულია დემოგრაფიული ფაქტორი, რომელიც ერთ-ერთი განმსაზღვრელია რუსეთისა და საქართველოს განვითარებაში. სწორედ იგი გახლდათ ამ ქვეყნებს შორის ორ საუკუნეზე მეტი ხნის წინ კეთილმეზობლური და ურთიერთმომგებიანი ურთიერთობების ჩამოყალიბების საფუძველი. ახლა ეს ფაქტორი, მის მიგრაციულ შემადგენელ ნაწილთან ერთად, შეიძლება, გახდეს ყველაზე მნიშვნელოვანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუმჯობესებაში, მიუხედავად მათ შორის არსებული პოლიტიკური და ტერიტორიული უთანხმოებისა (მაგალითად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსთან დაკავშირებით), რომელიც ბოლო 20 წლის განმავლობაში განსაკუთრებით გამწვავდა.

თუკი ყურადღებით დავაკვირდებით მსოფლიოს მრავალი ქვეყნის, მათ შორის რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობების ისტორიას, შევნიშნავთ, რომ მათი კავშირების ანალიზისას დემოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობას ხშირად სათანადო შეფასება არ ეძლევა. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში სწორედ ამას მიაქცია ყურადღება დიმიტრი მენდელეევი, როცა წერდა: «არაერთი მსოფლიო ცდომილების ახსნა შეიძლება აზროვნების იმ ერთ-ერთი შეცდომით, როცა დავიწყებულია ქვეყნის მოსახლეობის ამოცანის უპირატესობა»¹

თანამედროვე ურთიერთობების დახასიათებამდე მოკლე ისტორიულ ექსკურსს გავაკეთებთ, განვიხილავთ რა ამ კავშირების განვითარების დემოგრაფიულ და მიგრაციულ ასპექტებს: იცი წარსული, უკეთესად აღიქვამ აწმყოს.

რუსეთსა და ახლო საზღვარგარეთის ქვეყნებს შორის არსებული მიგრაციული პროცესები, რომლებიც ყალიბდებოდა დიდი ხნის განმავლობაში, სრულიად სხვაგვარ ხასიათს ატარებდა, ვიდრე „ოკუპაციურს“. ისტორიულ ჭრილში შეიძლება გამოიყოს ამ ურთიერთობების სამი პერიოდი.

¹ დ. ი. მენდელეევი, სანუკვარი აზრები. მოსკოვი: „მისლ“, 1995.

XVIII საუკუნის დასაწყისი, XX საუკუნე – დემოგრაფიული ფაქტორის როლის გაზრდა

XVIII საუკუნის პირველი პერიოდი და XX საუკუნის დასაწყისი ხასიათდება რუსეთიდან ცენტრიდანული მიგრაციული პროცესებით, რაც ხელს უწყობდა არა მარტო რუსეთის იმპერიის ფორმირებას, არამედ, მასში შემავალი შუა აზიის, ამიერკავკასიისა და სხვა ახალი ტერიტორიების შენარჩუნებასა და განვითარებას. მაგალითად, ქართველი ხალხის რაოდენობის კატასტროფული შემცირება XIII საუკუნის ბოლოს შეჩერდა, ხოლო ზრდის ტემპის გაზრდა მხოლოდ მისი რუსეთთან მიერთების შემდეგ 1801-1864 წლებში იწყება. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობამ, ასევე, დაიწყო ზრდა რუსეთის სახელმწიფოდან მნიშვნელოვანი მიგრაციული ნაკადის ხარჯზე, რამაც ხელი შეუწყო არა მარტო აღდგენილიყო საქართველო როგორც სახელმწიფო, არამედ შეენარჩუნებინა თავად ქართველი ხალხი.

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა XVIII საუკუნის ბოლოს 785 ათასი იყო, 1897 წლის მონაცემებით – 1,9 მილიონი, 1913 წელს კი 2,6 მილიონს მიაღწია. ამასთანავე, არანაკლებ 20% ამ ზრდისა მოდიოდა რუსეთიდან ჩამოსახლებულებზე, რომელთა შორისაც იყვნენ არა მხოლოდ რუსები, არამედ სხვა ეროვნების მიგრანტებიც. 1917 წლისთვის რუსების რაოდენობა საქართველოში 189 ათასს აღემატებოდა, ანუ მთელი მოსახლეობის 7.5%-ს.² ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს რუსეთთან მიერთების შემდეგ უშუალოდ ქართველი მოსახლეობის რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, შეადგინა რა მთლიანი მატების 80%, ანუ 1.8 მილიონ კაცზე მეტი. ადრე არასდროს საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის ზრდა ასეთი მნიშვნელოვანი არ ყოფილა, რასაც, ნაწილობრივ, მიგრაციამაც შეუწყო ხელი.

ზოგადად, მთელ ამიერკავასიაში მხოლოდ რუსი მიგრანტების რაოდენობა გაიზარდა 243 ათასიდან 1827 წელს 442 ათასამდე 1917 წელს, შეადგინა რა ამ რეგიონის მოსახლეობის საერთო რაოდენობის 18%-ზე მეტი.³ სწორედ ამ ჩამოსახლებულებმა შექმნეს ამიერკავკასიის რესპუბლიკების მრეწველობის ბირთვი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახელმწიფოების რუსეთთან მიერთებამ და შემდგომში რუსების იმიგრაცი-

² ვ. ა. იონცევი, ნ. მ. ლებედევა, მ. ვ. ნაზაროვი, ა. ვ. ოკოროკოვი. ემიგრაცია და რეპატრიაცია რუსეთში. მოსკოვი: მზრუნველობა რუსეთის რეპატრიანტების საჭიროებებზე. 2001 წ. , გვ. 336.

³ იქვე.

ამ შესაძლებელი გახდა არა მარტო მართლმადიდებლური საწყისების შენარჩუნება საქართველოსა და სომხეთში, არამედ მისი შემდგომი განვითარებაც. თანამედროვე ეტაპზე, რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაუარესების პერიოდში, სწორედ მართლმადიდებლობამ შეუშალა ხელი რუს და ქართველ ხალხებს შორის ანტაგონიზმის შემდგომ გავრცელებას.

აღსანიშნავია, რომ რუსეთი, იმ ქვეყნებთან და ტერიტორიებთან შედარებით, რომლებიც მან შეიერთა, გახლდათ საკმაოდ მძლავრი და შედარებით კარგად დასახლებული სახელმწიფო. მის შემადგენლობაში შესულ ტერიტორიებზე მოსახლეობის რაოდენობა მნიშვნელოვნად დაბალი იყო. 1897 წლის აღწერის მონაცემებით მთელი ამიერკავკასიის მოსახლეობა 4,5 მილიონ ადამიანს შეადგენდა, მაშინ როცა მთელ რუსეთის იმპერიაში – 124,6 მილიონი კაცი, ხოლო უშუალოდ რუსეთში, დაახლოებით, 67,5 მილიონი⁴ ადამიანი ცხოვრობდა.

საბჭოთა კავშირის ეპოქა – გარდამტეხი პერიოდი

რუსეთში მიგრაციის სალდოს (სუფთა მიგრაციის) ცვლილება დაიწყო XX საუკუნის 60-იან წლებში, საბჭოთა კავშირის ეპოქაში. ერთ-ერთი პირველი რესპუბლიკა, რომელთანაც რუსეთს აქამდე ჰქონდა მიგრაციის მუდმივად უარყოფითი სალდო, გახდა საქართველო, ხოლო 1960-იანი წლების შუახანებში მას შეუერთდა აზერბაიჯანიც. ეს გამოწვეული იყო, უპირველეს ყოვლისა, რუსი მოსახლეობის უკუდენით, რომელსაც თანდათან დევნიდნენ მმართველობის, მომსახურების, მეცნიერებისა და სხვა სფეროებიდან და, ასევე, იდევნებოდნენ რუსეთის საუკეთესო უმაღლეს სასწავლებლებში მომზადებული მკვიდრი ეროვნული კადრები.

ძნელია, ილაპარაკო ეროვნებებს შორის ურთიერთობების გამწვავებაზე 1960-იან წლებში როგორც რუსულენოვანი მოსახლეობის რესპუბლიკებიდან უკუდინების მთავარ ფაქტორზე (ძირითადი მიზეზები, განსაკუთრებით, ყაზახეთისა და შუა აზიისთვის იყო სამუშაო ძალის სიჭარბე, ღია უმუშევრობა ქალაქებში და ფარული – სოფლად, ნაწილობრივ გამოწვეული მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ტემპით). თუმცა სწორედ მაშინ იჩინა თავი ეროვნულმა ფაქტორმა, ცენტრალუ-

⁴ რუსეთის მოსახლეობა 100 წლის განმავლობაში (1897-1997წწ). მოსკოვი: 1998, გვ. 32.

რი ხელისუფლების დაუდევრობასა და ფედერალურ ეროვნულ პოლიტიკაში დაშვებული შეცდომების ფონზე (იხ. ცხრილი 1 დანართში).

1976-1991 წლებში რუსეთში უკუდენითი მიგრაციული ნაკადები, მათ შორის საქართველოდან, გადამწყვეტ სახეს იღებს (იხ. ცხრილი მე-2 დანართში). პრაქტიკულად თითქმის ყველა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკასთან (ბელორუსიის გარდა) მიმართებაში, სადაც რუსეთიდან მიგრირებული ძირითადი ნაკადი იყო დასახლებული, მიგრაციის სალდო დადებითი გახდა.⁵

ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიდან რუსულენოვანი მოსახლეობის უკუდინების შესახებ საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ეტაპზე, რიგ შემთხვევებში, გაიზარდა მკვიდრი მოსახლეობის გადინებაც, რაც განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა 1979 წლისა და 1989 წლის მოსახლეობის აღწერებს შორის პერიოდში. მკვიდრი მოსახლეობის, რომლებიც, ძირითადად, რუსეთში გადავიდნენ, მიგრაციის ერთ-ერთი მთავარი რეგიონი ამიერკავკასია გახდა. ასე მაგალითად, ქართველების რაოდენობა რუსეთში ორ აღწერას შორის პერიოდში 46%-ით გაიზარდა (საქართველოში – 10%-ით)⁶

თანამედროვე პერიოდი-სიტუაციის გაუარესება

ბოლო ოცი წლის განმავლობაში დემოგრაფიული სიტუაცია რუსეთსა და საქართველოში მნიშვნელოვნად გაუარესდა. არსებითად ორივე ქვეყანა სერიოზულ დემოგრაფიულ კრიზისს განიცდის: რაოდენობრივ და სტრუქტურულ ნეგატიურ ცვლილებებთან ერთად შეიმჩნევა ნეგატიური ხარისხობრივი ცვლილებებიც. რაოდენობრივი ცვლილებები, უპირველეს ყოვლისა, აისახება მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკაში, რომელიც რუსეთში, 1989 წელთან შედარებით, შემცირდა 6 მილიონ კაცზე მეტით (შემცირებამ შეადგინა, დაახლოებით, 4%), ხოლო საქართველოში კი თითქმის მილიონი კაცით (დაახლოებით, 20%, რაც პატარა სახელმწიფოსთვის საკმაოდ საგრძნობია).⁷ ბოლო 5 წლის განმავლობაში მაჩვენებლების გაუმჯობესების ტენდენცია შეიმჩნეოდა (იხ. ცხრილი 1), თუმცა მთლიანად დემოგრაფიული სიტუაცია ნეგა-

⁵ მიგრაციული პროცესები რუსეთში. ვ. ვ. ლოკოსოვის და ლ. ლ. რიბაკოვსკის რედაქციით. მოსკოვი: ეკონ-ინფორმი, 2014.

⁶ იქვე. გვ. 100.

⁷ ავტორის გათვლები ცხრილი 1-ის მიხედვით.

ტიური რჩებოდა. ასე, რომ რუსეთსა და საქართველოში შობადობის ჯამური კოეფიციენტი მარტივი კვლავწარმოების დონეზე დაბლაა (2,1 ბავშვი რეპროდუქციული ასაკის 1 ქალზე) და ეს ნიშნავს, რომ დემოგრაფიული პერსპექტივები ამ ქვეყნებისთვის არც ისე კარგია.⁸

ცხრილი 1. ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლების დინამიკა 1989-2010 წწ.

მაჩვენებლები	ქვეყანა		რუსეთი				საქართველო			
			წლები				წლები			
	1989	2000	2006	2010	1989	2000	2006	2010		
მოსახლეობის რაოდენობა (მილიონი კაცი)	148,5	146,9	142,8	142,9	5,4	4,7	4,4	4,3		
შჯკ	2,0	1,5	1,6	1,8	2,3	1,2	1,6	1,45		
სმხ										
ორივე სქესი	70	65	67	69	70,5	73	72	73		
კაცები	64	59	60	62	67	67	69	70		
ქალები	75	72	73	74	74	75	76	79		
ჩსკ	17,4	17,0	11,1	7,5	23,0	22,6	15,8	15,7		

შჯკ – შობადობის ჯამური კოეფიციენტი (%); სმხ – სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას (წლებში); ჩსკ – ჩვილებში სიკვდილიანობის კოეფიციენტი (%)

წყარო: სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემები.

World Population Data Sheet of Population Reference Bureau (2000; 2006; 2010).

როგორც ცხრილიდან ჩანს, ჩვილთა სიკვდილიანობის კოეფიციენტი და სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მაჩვენებელი რამდენადმე გაუმჯობესდა 2000-იან წლებში, მიუხედავად ამისა, რუსეთში მამაკაცი 12-16 წლით ნაკლებს ცოცხლობს, ვიდრე იაპონიაში, ნორვეგიასა ან შვეიცარიაში.⁹

⁸ იხ. ცხრილი 1.

⁹ მსოფლიოს მოსახლეობა (2013). მოსახლეობა & საზოგადოებები: პარიზი N 503, 2013.

სტრუქტურული ცვლილებები

სტრუქტურულ ცვლილებებზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მათ განსაზღვრავს დემოგრაფიული ტალღები, რომელთა ამპლიტუდის ზრდამაც შეიძლება მნიშვნელოვნად გააუარესოს შობადობასთან დაკავშირებული ვითარება, შეცვალოს ასაკობრივი სტრუქტურა, რაც, თავის მხრივ, იწვევს მოსახლეობის დაბერებას და მისი შრომისუნარიანი ნაწილის შემცირებას. უკვე რამდენიმე წელია, რაც რუსეთში შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა მცირდება თითქმის მილიონი ადამიანით წელიწადში (ეს უკანასკნელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია უცხოელი მუშახელის, მათ შორის საქართველოდან, მოზიდვისა).¹⁰

საბოლოოდ, დემოგრაფიული კრიზისის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია – რუსეთისა და საქართველოს მოსახლეობის ნეგატიური ხარისხობრივი მონაცემები, რაც გამოიხატება ზოგად დეგრადაციაში, თამბაქოს გაზრდილი მოხმარებით, უპირველეს ყოვლისა, მოზარდთა შორის, ალკოჰოლიზმით, ბავშვთა მიერ ლუდის სმის ჩათვლით, ნარკომანიის გავრცელებით, აგრესიისა და სოციალური ფსიქოზების შესაბამისი ზრდით (რომელთა ხარისხიც ჯერჯერობით ნაკლებად ექვემდებარება ფორმალიზაციას).

დემოგრაფიული სიტუაციისთვის ყველაზე ნეგატიურ ფაქტორს წარმოადგენს, ბავშვთა ყოლისა და აღზრდის თვალსაზრისით, მოსახლეობის რეპროდუქციული ქცევის და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება, ადამიანების მიერ დედობრივი და მამობრივი ინსტინქტების დაკარგვა. ეს მეტ-ნაკლებად დაკავშირებულია ცხოვრების წესის „ვესტერნიზაციასთან“, ისეთი მოვლენის გავრცელებასთან, როგორცაა „ბავშვის გარეშე“ (child-free), რომელიც 2006 წელს გამოჩნდა რუსეთში და პროპაგანდას უწევს ბავშვზე უარის თქმას ან „პიროვნების თავისუფლებას ბავშვების გარეშე“, აგრეთვე, ეგრეთ წოდებული არატრადიციული ქორწინებების საკმაოდ სწრაფ ზრდას (უკვე ევროპის 15 ქვეყანაში კანონმდებლობით დაშვებულია ასეთი ქორწინებები) და სხვა.

უფრო მეტიც, ეს ცვლილებები უკვე გენეტიკურ დონეზე ხდება,

¹⁰ სახელმწიფო სტატისტიკის ფედერალური სამსახურის მონაცემები. კერძოდ, რუსეთის დემოგრაფიული ყოველწლიური. 2013. რუსეთის სტატისტიკის კრებული, მოსკოვი, 2013. გვ. 46.

ამაზე ამახვილებს ყურადღებას ვიქტორ დანილოვ-დანილიანი საუბრისას „გენეტიკურად დამახინჯებულ დაცემულ პიროვნებებზე“, რაც „ადამიანის მოდემისთვის ისეთივე საშინელი საფრთხეა, როგორც გარემოს დეგრადაცია და განადგურება“¹¹. სახეზეა საზოგადოების სოციალურ-დემოგრაფიული განვითარების, ოჯახის ინსტიტუტის კრიზისი.

Child-free – XXI საუკუნის ახალი ფილოსოფია

1960-იანი წლების ბოლოსა და 1970-იანი წლების დასაწყისში დემოგრაფიული კრიზისი დაიწყო გერმანიაში. შემდეგ ეს მოვლენა გავრცელდა სხვა განვითარებულ ქვეყნებშიც. სწორედ ეს აისახა დემოგრაფიული ცვლილების მეორე კონცეფციაში (დირკ ვან დე კა). სადაც ბურჟუაზიულ ოჯახს ცვლის ინდივიდუალური ოჯახი, რომლის რეპროდუქციული განწყობაც კარდინალურად იცვლება ბავშვთა რაოდენობის მკვეთრი შემცირებისკენ. განსაკუთრებით შემამფოთებელია ისეთი ოჯახების წილი, რომლებიც შეგნებულად უარს ამბობენ ბავშვების გაჩენაზე. ბერლინის მოსახლეობისა და განვითარების ინსტიტუტის დირექტორ რაინერ კლინგჰოლცის მონაცემთა მიხედვით, 2012 წელს ასეთი ოჯახების წილმა გერმანიაში 15% შეადგინა. ძნელი სათქმელია, რამდენი ასეთი ოჯახია სხვა განვითარებულ ქვეყნებში, ვინაიდან პრობლემის სპეციალური მასშტაბური კვლევები ჯერ არ ჩატარებულა. ექსპერტების შეფასებით ასეთი ოჯახები გერმანიის წილზე ნაკლები არ არის.¹²

რუსეთში, სახელმწიფო სტატისტიკის ფედერალური სამსახურის მონაცემებით, „რუსეთის 42 მილიონი ოჯახიდან 48%-ს არ ჰყავს ბავშვები, მათგან მხოლოდ 5 მილიონს – სამედიცინო ჩვენების გამო“¹³. ციფრები შოკის მომგვრელია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ, უპირველეს ყოვლისა, ამ მომენტისთვის რუსეთის შესახებ ნებაყოფლობით უშვილოთა ოდენობის ხარისხობრივი რეპრეზენტაციული მონაცემები

¹¹ ვ. ი. დანილოვ-დანილიანი. მდგრადი განვითარება: 20-წლიანი კამათი// მონოგრაფიაში რუსეთის განვითარების ეკონომიკური ეფექტურობა. პროფ. კ. ვ. პაპენოვის რედაქციით. მოსკოვი 2007 . გვ. 475.

¹² V. Iontsev, Y. Prokhorova .To the issue of international migration and nuptiality in the concept of the concept of the fourth demographic transition. //The effects of migration on areas of destination. International Migration of population. Russia and contemporary world. M.: МаксИрещ, 2013. с.8

¹³ იქვე. გვ. 9

არ არსებობს, ხოლო, მეორე მხრივ, ის, რომ რუსეთის ოჯახების 48%-ს ახლა არ ჰყავს შვილები, სულაც არ ნიშნავს, რომ მათი ნაწილი არ გააჩენს ბავშვს მომავალში. თუმცა წარმოდგენილმა მონაცემებმა საზოგადოებისა და სახელმწიფოს ყურადღება უნდა მიიქციოს, დააფიქსიროს სწორად იქცევა თუ არა ადამიანი, როდესაც უარს ამბობს შვილზე მხოლოდ საკუთარი სურვილების და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სანაცვლოდ. გარდა ამისა, საჭიროა დაფიქრება ცხოვრების იმ ნეგატიურ წესზე, რომელიც ამჟამად ვრცელდება ახალგაზრდებს შორის და ხელს უშლის საზოგადოებისა და სახელმწიფოს პოზიტიურ დემოგრაფიულ განვითარებას, რაც განსაკუთრებით სახიფათოა მცირემოსახლიანი ქვეყნებისთვის. ალბათ სწორედ ამ საფრთხეებს გულისხმობდა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, როცა ფედერალური კრებისადმი ბოლო მიმართვაში მოუწოდა, გაეძლიერებინათ ზომები დემოგრაფიული კრიზისის დასაძლევად, როდესაც პირველად გამოიყენა ეს ტერმინი.¹⁴

პრეზიდენტი მართალია, თუ მხედველობაში მივიღებთ მრავალრიცხოვან პროგნოზს რუსეთისა და საქართველოს მოსახლეობის რაოდენობაზე. ჩვენ ავირჩიეთ გაეროს სპეციალისტების ბოლო კვლევა და მოვიყვანეთ ცხრილ 2-ში ჩვენი მომავალი ვარიანტისთვის მხოლოდ ორი ყველაზე სახიფათო მაჩვენებელი, რომელიც დემოგრაფიული ფაქტორის განმსაზღვრელი როლისადმი ყურადღების მოდუნების შემთხვევაში შეიძლება რეალობად იქცეს.

ცხრილი 2. რუსეთისა და საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შეცვლის პერსპექტივები (მილიონი კაცი)

ქვეყანა	რუსეთი				საქართველო			
	წლები				წლები			
პროგნოზების ვარიანტები	2010	2030	2050	2100	2010	2030	2050	2100
საშუალო ვარიანტი	142,9	132,3	114,1	66,7	4,3	3,8*	3,1	2,0
პესიმისტური ვარიანტი	142,9	129,1	108,9	61,7	4,3	3,5	2,7	1,2

წყარო: United Nations *World Population Prospects: The 2010 Revision, Volume I: Comprehensive Tables, New York, 2011, p.176,182.*

¹⁴ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის 2013 წლის 12 დეკემბრის მიმართვა ფედერალური კრებისადმი. <http://news.kremlin.ru/transcripts/19825>.

მიგრაცია ჩვენი ქვეყნების თანამედროვე განვითარების პირობებში

რუსეთში მიგრაციის ზრდამ 1992-2012 წლებში შეადგინა 6,9 მილიონი ადამიანი (2010 წლის მოსახლეობის აღწერის კორექტირებული მონაცემებით 8 მილიონი)¹⁵, რამაც შესაძლებელი გახდა მოსახლეობის ბუნებრივი კლების ნახევარზე მეტად შემცირება (იხ. ცხრილი 3 დანართში).

საქართველოში სიტუაცია სრულიად საპირისპიროა: მოსახლეობის ბუნებრივი კვლავწარმოების შეკვეცილი რეჟიმი ძლიერდება მიგრაციული გადინებით, რომელიც ბევრად უფრო აღემატება შემოდინებას. აქედან გამომდინარე, ქვეყნის მოსახლეობის მთლიანი კლება პროცენტულად ბევრად მაღალია, ვიდრე რუსეთში (იხ. ცხრილი 1).

რუსეთსა და საქართველოს შორის მიგრაციული ნაკადების თანამედროვე განვითარების პერიოდი უნიკალურია. ეს დაკავშირებულია კარდინალურ პოლიტიკურ ცვლილებებთან და „ახლო საზღვარგარეთის“ (ახალი საზღვარგარეთის) გაჩენასთან, რამაც „საგარეო“ და შემდეგ რესპუბლიკათშორისი მიგრაციები გადააქცია საერთაშორისო მიგრაციებად. ეს პრინციპულად განსხვავებულ მიგრაციულ პოლიტიკას მოითხოვს. სულ 1992-2012 წლების პერიოდში მიგრაციის სალდომ ჩვენს ქვეყნებს შორის რუსეთის სასარგებლოდ შეადგინა 408,7 ათასი ადამიანი. ეს გაცილებით ცოტაა, ვიდრე მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში (იხ. ცხრილი 3 დანართში).¹⁶

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საქართველოში მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის ეტაპი (2004-2013 წლები). ამ პერიოდის მიგრაციული ნაკადები ასახულია თანდართულ ცხრილებში (3). 2008-2012 წლებში საქართველოდან რუსეთში მიგრაცია გაიზარდა, რაც გამოიხატა ბოლო პერიოდში მიგრაციის სალდოს გაზრდით 2004-2007 წლებში 25 ათასიდან 38 ათასამდე. მიგრაცია დადებითი მოვლენაა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში პროგრესისა და განვითარების ლოკომოტივის როლს ასრულებდა მსოფლიოში, მათ შორის, რუსეთსა და საქართველოში, ამდიდრებდა ორივე ქვეყანას კულტურის, ეკონომიკის, მეცნიერების, განათლებისა და ა.შ. სფეროებში.

¹⁵ სახელმწიფო სტატისტიკის ფედერალური სამსახურის მონაცემები. კერძოდ, რუსეთის დემოგრაფიული ყოველწლიური. 2013. სტატ. კრებ. მოსკოვი, 2013, გვ. 22.

¹⁶ გამოთვლილია ავტორის მიერ სახელმწიფო სტატისტიკის ფედერალური სამსახურის სტატისტიკური კრებულის მიხედვით, რუსეთის ფედერაციის მოსახლეობის რაოდენობა და მიგრაცია 1993-2013 წლებში.

ამავდროულად მიგრაციას შეიძლება ნეგატიური შედეგები და არასასურველი რეზულტატი მოჰყვეს, მოვლენის არსის არასწორი გაგების და ამ პროცესის არასწორი მართვის გამო. უკანასკნელი შეიძლება განპირობებული იყოს პოლიტიკური ამბიციებით და სახელმწიფოს მეთაურთა არასწორი წარმოდგენებით. პერსპექტივაში მიგრაციას, უპირველეს ყოვლისა, დაბრუნებით მიგრაციას, შეუძლია, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებაზე.

ამას ხელს შეუწყობს ჩვენი სახელმწიფოების ტერიტორიაზე როგორც მიგრანტების ნაკადის, ასევე მათში ბუნებრივი ზრდის ხარჯზე ფორმირებული ეროვნული დიასპორების განვითარება. სამწუხაროდ, როგორც ეს მე-3 ცხრილიდან ჩანს, რუსების რაოდენობა საქართველოში, ისევე როგორც ქართველებისა რუსეთში, მცირდება, რაც განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა აღწერათა შორის პერიოდში (2002-2010 წლები), მაშინ როცა აზერბაიჯანელების, სომხებისა და სხვათა რიცხვი რუსეთში გაიზარდა. უკანასკნელთა რაოდენობამ გადააჭარბა მილიონს და ამას, გარკვეულწილად, ხელი მიგრაციამ შეუწყო. აღვნიშნავთ, რომ კლების ტენდენცია გრძელდება უკანასკნელ წლებშიც. ჟურნალისტ ია ბარათელის (რადიო „ეხო მოსკვი“, 2013 წლის მარტი) მონაცემების მიხედვით ამჟამად საქართველოში რუსების რაოდენობა 30 ათასს არ აღემატება.¹⁷

ცხრილი 3. რუსეთისა და საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა და მასში რუსებისა და ქართველების წილი.

აღწერის წლები	რუსეთი		საქართველო			
	მთლიანი მოსახლეობა (მლ.)	ქართველები		მთლიანი მოსახლეობა (მლ.)	რუსები	
		ათასი	%		ათასი	%
1989 რ.	148,5	131,0	0,08	5,4	341,0	6,3
2002 რ.	145,0	198,0	0,13	4,4 (5,5)*	68,0	1,5 (1,2)
2010	142,9	158,0	0,11	4,5млн.**	67,5***	1,5

წყარო: რუსეთის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი.

*ფრჩხილში გაეროს მონაცემები.

**2013 წლის ივლისის მონაცემები საქართველოში 2014 წელს და-

¹⁷ რუსები საქართველოში, რადიო „ეხო მოსკვი“, 27.03.2013. <http://echo.msk.ru/programs/linguafranca/1039658-echo>.

გეგმილი და ჩატარებული აღწერის I ეტაპის მიხედვით.

*** საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემები 2012 წლის მიხედვით.

დასასრულ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ დემოგრაფიულ ფაქტორს, მიგრაციულ შემადგენელთან ერთად, შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს რუსეთსა და საქართველოს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებაში (ამასთან, მიგრაცია ზეგავლენას ახდენს ეკონომიკაზეც, მაგალითად, დასაქმებულ მიგრანტთა ფულადი გზავნილებით, რამაც 2011 წელს რუსეთიდან საქართველოში გამოგზავნილი თანხის 530 მილიონი დოლარი შეადგინა)¹⁸. ამ ძირითადი თეზისიდან გამომდინარე, შესაძლებელია რამდენიმე დასკვნის გაკეთება და რეკომენდაციის მიცემა:

დასკვნები:

1. ისტორიული თვალსაზრისით, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ნებაყოფლობითმა შესვლამ ხელი შეუწყო საქართველოს, როგორც სახელმწიფოს შენარჩუნებას და, შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის ზრდას, ჩაუყარა საფუძველი კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას.

2. რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მოსახლეობის მიგრაციას, რომელიც საწყის ეტაპზე ცალმხრივ ხასიათს ატარებდა, მაგრამ ხელს უწყობდა არა მარტო საქართველოს დემოგრაფიულ და ეკონომიკურ ზრდას, არამედ რუსული დიასპორის ფორმირებასაც.

3. ქართული დიასპორა რუსეთში გასული საუკუნის 70-იან წლებში იღებს განვითარების იმპულსს. დიასპორების ფორმირებამ და განვითარებამ გარკვეულ პირობებში შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებაში.

4. კრიზისული ხასიათის მატარებელმა თანამედროვე დემოგრაფიულმა ვითარებამ რუსეთსა და საქართველოში, შესაძლოა, ხელი შეუ-

¹⁸ მ. ვ. ტუხაშვილი. პოსტსაბჭოთა საქართველოს მოსახლეობის მუდმივი და სამუშაო ემიგრაცია// სამეცნიერო სესია. მოსახლეობის საერთაშორისო მიგრაცია: რუსეთი და თანამედროვე მსოფლიო. გამოცემა 25. მთ. რედაქტორი ვ. ა. იონცევი, მოსკოვი, 2011. გვ. 126.

შალოს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას. უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობის ნეგატიურმა ხარისხობრივმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს ე.წ. გამთიშავი პიროვნებების დიდი მასების გამოჩენა, რომლებიც ნაციონალიზმის, ქსენოფობიის, აგრესიის და ა. შ. ზრდის გარემოს ქმნიან. მეორე რეალია მოსწრებული ფრაზით შეიძლება გამოიხატოს „არ არიან ადამიანები, არ არის პრობლემები“ და, შესაბამისად, რა ურთიერთობებზე შეიძლება იყოს საუბარი? ამასთანავე, ყურადსაღებია ის, რომ მრავალრიცხოვანი მოსახლეობის მქონე ქვეყნების (ჩინეთი, გერმანია, რუსეთი და სხვა) კვდომის პროცესი ხანგრძლივია, სახელმწიფოებისთვის, შედარებით მცირერიცხოვანი მცხოვრებლებით, ეს სულ რაღაც 5-10 ათწლეულის საკითხია. ეს პროცესი უკვე მიმდინარეობს, რასაც მრავალი პროგნოზი ადასტურებს.

რეკომენდაციები:

1. დემოგრაფიული ფაქტორი, მიგრაციულ შემადგენელთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში. ამ ფაქტის იგნორირება, ქვეყნებსა და ხალხებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესების საზიანოდ, მრავალ „მსოფლიო ცდომილებას“ და შეცდომას წარმოშობს.

2. განვითარების თანამედროვე ეტაპზე მოსახლეობის მიგრაცია განსაკუთრებულ როლს იძენს, მათ შორის, საერთაშორისო ურთიერთობებში. აუცილებელია, ბოლოს და ბოლოს გააზრებული იყოს მისი სირთულე და მრავალგვარობა, რათა შემუშავდეს და განხორციელდეს ეფექტური, სტრატეგიულად შემოწმებული მიგრაციული პოლიტიკა, რომელიც ჯერჯერობით რუსეთსა და საქართველოში არ შეესაბამება სასურველ მოთხოვნებს.

ლიტერატურა:

ვ. ი. დანილოვ-დანილიანი. მდგრადი განვითარება: 20-წლიანი კამათი// მონოგრაფია რუსეთის განვითარების ეკონომიკური ეფექტურობა. პროფ. კ. ვ. პაპენოვის რედაქციით. მოსკოვი 2007.

ვ. ა. იონცევი. „თანამედროვე დემოგრაფიული კრიზისი მეოთხე დემოგრაფიული ცვლილების შუქზე/რუსეთის დემოგრაფიული განვითარების ჰორიზონტები: სამეცნიერო განჭვრეტის პარადიგმების

ცვლა: ურალის IV საერთაშორისო დემოგრაფიული ფორუმის მასალების კრებული. ეკატერინბურგი, ეკონომიკის ინსტიტუტი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ურალის განყოფილება, 2013 წელი.

ვ. ა. იონცევი, ნ. მ. ლებედევა, მ. ვ. ნაზაროვი, ა. ვ. ოკოროკოვი. ემიგრაცია და რეპატრიაცია რუსეთში. მოსკოვი: მზრუნველობა რუსეთის რეპატრიანტების საჭიროებებზე. 2001 წ., გვ. 336.

მიგრაციული პროცესები რუსეთში. ვ. ვ. ლოკოსოვის და ლ. ლ. რიბაკოვსკის რედაქციით. მოსკოვი: ეკონ-ინფორმი, 2014.

Vladimir Iontsev, Yulia Prokhorova. To the issue of international migration and nuptiality within the concept of the fourth demographic transition. Scientific Series «International Migration of Population: Russia and the Contemporary World“. The twenty-seven volume. M., 2013.

დანართი

ცხრილი 1. მოსახლეობის სალდო მიგრაციის დინამიკა (ათასი კაცი)

რესპუბლიკები	1961-1965	1966-1970	1971-1976	1979-1988	1961-1988
რუსეთი	-522	-598	-195	1767	670
უკრაინა	173	344	226	153	743
ბელორუსია	-162	-1	-61	-8	-232
მოლდავეთი	43	24	9	-56	20
ლიტვა	14	34	34	100	182
ლატვია	78	70	64	93	305
ესტონეთი	43	48	33	55	179
ბალტიისპირეთი მთლიანად	135	152	131	248	662
საქართველო	-35	-54	-70	-52	-211
აზერბაიჯანი	-53	-47	-22	-266	-388
სომხეთი	60	80	70	-321	-111
ამიერკავკასია მთლიანად	-28	-21	-22	-639	-710
ყაზახეთი	407	24	-261	-784	-614
უზბეკეთი	130	127	143	-507	-107
ყირგიზეთი	73	53	-38	-157	-69
ტაჯიკეთი	56	14	1	-102	-31
თურქმენეთი	1	3	3	-84	-77
შუა აზია მთლიანად	260	197	109	-850	-284
სსრკ	306	121	-64	-169	194

წყარო: ვ. პერევედენცევი. მოსახლეობის შრომის ბაზარი და მოსახლეობის მიგრაცია//ეკონომიკის საკითხები. 1991. № 9. გვ. 47

ცხრილი 2. ნეტო- მიგრაცია რუსეთსა და სსრკ-ის ყოფილ რესპუბლიკებს შორის 1989-1991 წლებში (ათასი კაცი)

ქვეყნები	1989	1990	1991	1989-1991
უკრაინა	2,1	-4,2	-66,1	-68,2
ბელორუსია	-4,6	23,3	-4,7	14
მოლდავეთი	2,0	0,9	2,5	5,4
ლიტვა	1,1	5,0	4,4	10,5
ლატვია	2,5	3,9	5,8	12,2
ესტონეთი	0,6	3,3	4,2	8,1
საქართველო	10,8	14,5	28,7	54,0
აზერბაიჯანი	37,7	52,0	20,7	110,4
სომხეთი	8,6	1,4	4,1	14,1
უზბეკეთი	41,6	65,9	35,9	143,4
ყირგიზეთი	5,0	21,2	17,7	43,9
ტაჯიკეთი	6,7	40,3	17,6	64,6
თურქმენეთი	4,6	5,1	4,5	14,2
ყაზახეთი	43,9	54,5	29,6	128
სულ	162,6	287,3	104,9	554,8

წყარო: რუსეთის ფედერაციის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემები.

ცხრილი 3. ნეტო-მიგრაცია რუსეთსა და ახლო საზღვარგარეთს შორის 1992-2012 წლებში (ათასი კაცი)

ქვეყნები	1992-1995	1996 -1999	2000 -2003	2004 -2007	2008 -2012
უკრაინა	135,3	232,8	74,5	84,5	527,1
ბელორუსია	-7	-12	-38,36	0,78	-56,58
მოლდავეთი	36,8	29,7	26,8	31,36	124,66
საქართველო	217,1	91,4	37,4	25,1	37,7
აზერბაიჯანი	175	91,2	21,5	31,8	319,5
სომხეთი	115,8	65,6	28,56	51,7	261,66
უზბეკეთი	389,5	141,5	104,5	132,7	768,2
ყირგიზეთი	211,3	30,2	41,2	63,1	345,8
ტაჯიკეთი	210	77,3	114,1	29,9	431,3
თურქმენეთი	53,4	52,4	20,5	16,3	142,6
ყაზახეთი	719	639	214,3	123,9	1696,2
ლიტვა	38,4	19,5	1,8	0,55	60,25
ლატვია	85,6	17	3,7	2,2	108,5
ესტონეთი	52,5	9,4	0,8	0,68	63,38
სულ	2432,7	1468,7	589,5	594,4	5085,3

წყარო: სახელმწიფო სტატისტიკური ფედერალური სამსახურის მონაცემები.

ცხრილი 4. რუსეთის მოსახლეობის რაოდენობის შეცვლის კომპონენტები 1992-2012 წლებში (ათასი კაცი)

წელი პერიოდი	მოსახლეობის რაოდენობა პერი- ოდის (წლის) ბო- ლოს, ათასი კაცი	საერთო მატება (კლება), ათასი კაცი	მათ შორის	
			ბუნებრივი კლება, ათასი	მიგრაციული წამატი, ათასი
1992	148562	47	-219	266
1993	148356	-206	-732	526
1994	148460	104	-874	978
1995	148292	-168	-822	654
1996	148029	-263	-777	514
1997	147802	-227	-741	514
1998	147539	-263	-692	429
1999	146890	-649	-919	270
2001	145649	-654	-933	279
2002	144964	-686	-917	231
2003	144168	-796(-630)	-889	93 (259)*
2004	143475	-694(-533)	-793	99 (260)*
2005	142754	-721(-564)	-847	126 (282)*
2006	142221	-533(-374)	-687	154 (313)*
2007	142009	-212(-115)	-452	240 (355)*
2008	141988	-121(-10)	-363	242 (352)*
2009	141986	-2(96)	-249	247 (345)*
2010	141904	-82(32)	-240	158 (272)*
2011	142095	191	-129	320
2012	143347	291	-4	295
1992-2012	143347	-5151	-13228	6953(8077)*

წყარო: რუსეთის მოსახლეობა 100 წლის მანძილზე (1897–1997). მოსკოვი., 1998. გვ. . 32–34, 84–85;

რუსეთის დემოგრაფიული ყოველწლიური 2005-2010. მოსკოვი: რუსეთის ფედერაციის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი. მოსახლეობის რაოდენობა და მიგრაცია რუსეთის ფედერაციაში 2012 წელს. მოსკოვი, სახელმწიფო სტატისტიკის ფედერალური სამსახური, 2013.

*მონაცემები გადათვლილია 2010 წლის სრულიად რუსეთის აღწერის შედეგების გათვალისწინებით.

ნანა გეგელაშვილი

რუსულ-ქართული ურთიერთობები – შემდგომი სტაგნაცია თუ პოზიტიური დინამიკა

სტატიაში მოცემულია, ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, რუსულ-ქართული ურთიერთობების ანალიზი რეტროსპექტივაში გეორგიევსკის ტრაქტატის დროიდან, რომელიც ამოსავალი წერტილი გახდა ამ ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. განხილულია რუსული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები საქართველოში, გამოვლენილია მისი მთავარი ხარვეზები და განსაზღვრულია რუსეთის ფედერაციის ახალი მიდგომები თბილისთან მიმართებაში. გაანალიზებულია ხელისშემშლელი ფაქტორები რუსეთის ინტერესების წარმატებული რეალიზაციისთვის, მათ შორის, საქართველოს საგარეო პრიორიტეტების ბალანსის შეცვლა დასავლეთისკენ, ამასთან, მოსკოვისა და თბილისის განსხვავებული მიდგომები უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პრობლემების გადაჭრის გზაზე.

შემუშავებულია რეკომენდაციები რუსულ-ქართული ურთიერთობების კეთილმეზობლურ და ორმხრივ სასარგებლო თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გასაყვანად.

ისტორიის ცოდნა – არაფერია, მიღებული გაკვეთილები – ყველაფერი

საქართველო – ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებთან შედარებით ოდესღაც რუსეთის ყველაზე ახლობელი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან, უკანასკნელ წლებში მოსკოვისთვის ყველაზე პრობლემურ პარტნიორად იქცა, მიუხედავად ორსაუკუნოვანი საერთო ისტორიის, მართლმადიდებლური რწმენისა და კულტურათა გავლენისა, რომელმაც განსაზღვრა ორივე ქვეყნის საერთო კულტურული კოდი. რუსულ-ქართული ურთიერთობების ისტორია ითვლის მრავალ ასწლეულს,

მაგრამ კითხვა, რა დასკვნებია გამოტანილი ორი ქვეყნის თანაარსებობიდან, კვლავ უპასუხოდ რჩება.

ორმხრივი ურთიერთობების ფორმირებისთვის საწყის წერტილს გეორგიევსკის ტრაქტატი წარმოადგენს¹, რომელსაც ხელი მოეწერა 1783 წლის 24 ივლისს (4 აგვისტოს), გეორგიევსკში (ჩრდილო კავკასია) რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს (აღმოსავლეთ საქართველო) შორის ქართველი მეფის, ერეკლე II-ის თხოვნით. ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია გავიხსენოთ არა მარტო მდგომარეობა, რომელშიც იყო ორივე მხარე იმ მომენტში, არამედ ის ძირითადი წინამძღვრებიც, რამაც განაპირობა ამ დოკუმენტის ხელმოწერა.

საქართველო, თავისი მცირე მოსახლეობით, ორი უძლიერესი მუსულმანური ქვეყნის – ირანისა და თურქეთის, გარემოცვაში იმყოფებოდა. მათმა განუწყვეტელმა თავდასხმებმა მრავალრიცხოვანი ქართული სამეფოები (ისინი გაერთიანებული იყვნენ მხოლოდ ძალიან მოკლე პერიოდით – დავით აღმაშენებლისა (1089-1125 წლები) და თამარ მეფის (1184-1212 წლები) დროს)² სრულ განადგურებამდე მიიყვანა. უკვე მაშინ საქართველოს წინაშე მწვავედ დადგა სახელმწიფოებრიობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების საკითხი.

კიევის რუსეთსა და საქართველოს გააჩნდათ თანამშრომლობის გამოცდილება ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ სფეროებში. XIII საუკუნის 30-იან წლებში ორივე ქვეყანა დაიპყრეს თათარ-მონღოლებმა, რომლებიც თითქმის მე-XV საუკუნემდე ბატონობდნენ. მაშინ ქართულ-რუსული ურთიერთობები უკიდურესად არარეგულარულ ხასიათს ატარებდა. 1480 წელს რუსეთმა თათარ-მონღოლთა ურდოზე გაიმარჯვა, რამაც უზრუნველყო რუსული ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა. იმ დროს, როცა საქართველო დაყოფილი იყო რამდენიმე სამეფოდ და სათავადოდ, რუსეთში დაჩქარებით ერთიანდებოდა რუსული მიწები, რაც ძლიერი სახელმწიფოს შექმნის წინაპირობას წარმოადგენდა. ამიტომაც გაუჩნდა საქართველოს დიდი იმედი, გარეშე მტრებთან საბოლოო გამარჯვებისთვის, დაკავშირებოდა ერთმორწმუნე მართლმადიდებელ ქვეყანას.

¹ ხელშეკრულება ქართლისა და კახეთის მეფის, ერეკლე II-ის მიერ რუსეთის მფარველობისა და უმაღლესი ხელისუფლების (გეორგიევსკის ტრაქტატი) ცნობის შესახებ. 24 ივლისი, 1783 წელი. URL: <http://www.hist.msu.ru/ER/Text/georgia.htm>

² ვ. ე. რომანოვსკი. საქართველოს ისტორიის ქრონიკები. მ., 2011. გვ. 99.

გამლიერებულ მოსკოვთან ურთიერთობა პირველმა კახეთის სამეფომ დაამყარა, რომელიც უშუალო სიახლოვეს მდებარეობდა საქართველოს რუსეთთან დამაკავშირებელ გზებთან. 1491 წელს კახეთის მეფე ალექსანდრემ გაგზავნა თავისი ელჩები მოსკოვის დიდ თავადთან ივანე III-თან წერილით, რომელშიც მას მფარველობას სთხოვდა³. ეს იყო რუსეთთან კავშირის დამყარების პირველი ნაბიჯები, რამაც, შემდეგ საუკუნეებში ორივე ქვეყნისთვის დიდი ისტორიული მნიშვნელობა შეიძინა.

საქართველოს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა არა მარტო ახლომდებარე ქვეყნების – თურქეთისა და ირანის, ყურადღებას იპყრობდა, არამედ ევროპისაც. შემთხვევითი არ იყო, რომ თავდაპირველად მეფე ერეკლე II თავისი ქვეყნის აყვავებას უკავშირებდა ევროპის შესაძლო დაინტერესებას საქართველოსა და ირანის გავლით ინდოეთთან სავაჭრო გზების განვითარებით. მაგრამ, როგორც ჩვენს დროში, ევროპა არ აღმოჩნდა მზად, ეთამაშა კავკასიაში მსხვილი გეოპოლიტიკური თამაშები. იმ პერიოდში საფრანგეთი აჯანყებულ ინგლისურ კოლონიებს უჭერდა მხარს ჩრდილო ამერიკაში, რაც მკვეთრად ასუსტებდა ინგლისის პოზიციებს, რომლის წინააღმდეგ იბრძოდნენ ესპანეთი და ჰოლანდია. ამასთან, ქართველი მეფე მშვენივრად აცნობიერებდა, რომ მცდელობა, შეექმნა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო მხოლოდ ევროპის მხარდაჭერის იმედად, განწირული იყო მარცხისთვის. შედეგად, თბილისის ყურადღება მიიქცია ჩრდილოეთ მეზობელმა, რუსეთმა, რომელიც უდიდესი და ძლიერი იმპერია ხდებოდა.

გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის შემდეგ რუსეთის იმპერიამ მიიღო აღმოსავლეთი საქართველო თავისი მფარველობის ქვეშ და სრულ შიდა ავტონომიაზე, ერეკლე II-ის სამფლობელოს მთლიანობის შენარჩუნებასა და ომის შემთხვევაში ქვეყნის დაცვაზე მისცა გარანტია. მოხდა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დაქუცმაცების ლიკვიდაცია და გამლიერდა ორ ერს შორის კულტურული კავშირები.

რუსეთისთვის გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერა ნიშნავდა კავკასიის სამხრეთში პოზიციების გამაგრებას, რაც მას საშუალებას აძლევდა, გასულიყო კავკასიონის ქედზე და განევიტარებინა სავაჭრო გზები აღმოსავლეთში – ამიერკავკასიაში, შუა აზიასა და ინდოეთში.

³ ა. ი. ბრეგვაძე. ისტორიის სასახელო გვერდი: საქართველოს ნებაყოფლობითი მიერთება რუსეთთან და მისი სოც-ეკონომიკური შედეგები. მ.: აზრი, 1983. ვ. 174

ამგვარად, გეორგიევსკის ტრაქტატმა საფუძველი მისცა რუსეთის იმპერიული ზრახვების განხორციელებას კავკასიაში.

იმპერატორმა ალექსანდრე I-მა 1801 წლის 12 სექტემბერს ხელი მოაწერა მანიფესტს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ, 1802 წელს კი დაამტკიცა დებულება „საქართველოს მართვის შესახებ“⁴. ქართლ-კახეთის უმაღლესი ხელისუფლების სათავეში იდგა „უმაღლესი მთავარსარდალი“ ან საქართველოს „მთავარმართველი“, გენერალი კარლ კნორინგი. ამან გამოიწვია ქართველთა უკმაყოფილება, რაც, ძირითადად, ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმების იმპერიულ პოლიტიკასთან იყო დაკავშირებული. საქართველოსთვის ნათელი ხდებოდა ისიც, რომ აღმოსავლეთ მიწების დაპყრობის შემდეგ ქვეყნის დასავლეთის ბედიც ამგვარად გადაწყდებოდა. რუსეთთან ქართული დაკარგული მიწების მიერთება მოგვიანებით, რუსეთ-ირანის (1804-1813, 1826-1828 წლები) და რუსეთ-თურქეთის (1806-1812, 1828-1829 წლებში) ომების შემდეგ მოხდა. წარმოებული ომების შედეგად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იმერეთი შევიდა 1810 წელს, გურია – 1828 წელს, სვანეთი – 1854 წელს, სამეგრელო – 1857 წელს.

რუსეთის იმპერიული პოლიტიკით უკმაყოფილებამ, რაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებით იყო გამოწვეული, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა გამოიწვია 1860-1880 წლებში. უნდა აღინიშნოს ამ მოძრაობის თავისებურება: მისი მასშტაბები სცილდებოდა ადგილობრივ წინააღმდეგობას, მაგრამ არ ითვალისწინებდა საერთო-ეროვნულ აჯანყებას რუსეთის წინააღმდეგ.

მთავარი მიზეზი არ მდგომარეობდა გაუცნობიერებლობაში, რომ შეიარაღებული აჯანყების ნებისმიერი მცდელობა იმ მომენტისთვის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი სახელმწიფოს შიგნით, რომლის ნაწილსაც თავად წარმოადგენდა, განწირული იყო დასამარცხებლად. თუმცა სუვერენიტეტის პრობლემა ყოველთვის მწვავედ იდგა საქართველოს წინაშე, მით უმეტეს, რომ ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება იყო და რჩება მისთვის „სიკვდილ-სიცოცხლის“ საკითხი. გარკვეულწილად, ეს პრობლემა გადაიჭრა საქართველოს ინტეგრაციით რუსულ იმპერიულ პროექტში. ამასთან, ქართველებს ყოველთვის ესმოდათ, რომ ტერიტორიული მთლიანობის საკითხს ისინი მარტო ვერ გადაჭ-

⁴ იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანება სენატის მიმართ საქართველოზე მმართველობის დაწესებისა და და კ. ი. კოვალევსკის საქართველოს მმართველად დანიშვნის თაობაზე. URL: <http://www.illuminats.ru/component/content/article/28--xvii-xx/40--i->

რიან, რადგან არ შეუძლიათ უზრუნველყონ პოლიტიკური სტაბილურობა და ერის შეკვრა. პატარა ქვეყნები (საქართველოს მაგალითზე) ყოველთვის ეძებდნენ ძლევამოსილ სახელმწიფოებს, ვისაც შეეძლო გადაეჭრა მათი ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა. იმის მიხედვით, თუ როგორ ვითარდება ეროვნული სახელმწიფო და ხდება მძლავრი ეკონომიკური ქვეყანა, ძლიერი პარტნიორის აუცილებლობა მეორე პლანზე გადადის.

იმპერიულ პროექტში საქართველოს ინტეგრაცია ხელს უწყობდა მის გადაქცევას რუსეთის იმპერიის ფორპოსტად დიდ კავკასიაში. ამით რუსეთს საშუალება მიეცა, წარმატებული ოპერაციები ჩაეტარებინა კავკასიის ომში (1817-1864 წლები), აფხაზეთის აჯანყების (1866 წელი) წინააღმდეგ, ასევე, სპარსეთისა (1804-1813, 1826-1828 წლები) და ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ (1806-1812, 1828-1829, 1853-1856, 1877-1878 წლები). აღსანიშნავია, რომ რუსეთთან ძლიერი რელიგიური და კულტურული კავშირების გამო საქართველო ყოველთვის განიხილებოდა რუსული იმპერიის ყველაზე ლოიალურ მოკავშირედ და მას წამყვანი როლი ენიჭებოდა კავკასიის სამხრეთში.

საქართველოს ინტეგრაციის პროექტში გამოხატული იყო რუსეთის მისწრაფება, გაეგრძელებინა უდიდესი კულტურული და საგანმანათლებლო პოტენციალი იმპერიის ყველა სუბიექტზე.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საქართველომ მიიღო დამოუკიდებლობა, მაგრამ სამი წლის შემდეგ, 1921 წელს, ბოლშევიკების მე-11 არმიამ ქვეყნის ოკუპაციით საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა. ამგვარად, 1921 წლის 25 თებერვალს შეიქმნა საქართველოს სსრ, რომელიც 1922 წლის მარტიდან ამიერკავკასიის ფედერაციაში, ხოლო 1936 წლის დეკემბრიდან სსრკ-ის შემადგენლობაში შევიდა, როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

სსრკ-ის ეროვნული პოლიტიკის მთავარ ნაკვალს ტერიტორიული მოწყობის გადასინჯვა წარმოადგენდა, რაც ერთგული იყო იმპერიული პრინციპისა „დაყავი და იბატონე“, მაგრამ სსრკ-ის დაშლის შემდეგ ეს პრობლემა, პრაქტიკულად, ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის „თავის ტკივილად“ გადაიქცა. ამ პოლიტიკის ნათელი მაგალითია საქართველო, ერთი მხრივ, მისი სასაზღვრო ტერიტორიების მიერთება აზერბაიჯანსა და რსფსრ-თან, და, მეორე მხრივ, მისთვის აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ასევე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გადაცემა, რომლებიც თავიდანვე ეთნიკური

და რელიგიური პრინციპით იყო ჩამოყალიბებული. ეს ავტონომიები ყოველთვის მოსკოვზე იყვნენ ორიენტირებული, აცნობიერებდნენ რაცენტრალური ხელისუფლების მძლავრ მხარდაჭერას.

ყველაფერმა ამან მკვეთრად გაართულა საქართველოს მთლიანობასთან დაკავშირებული პრობლემა, თუ მხედველობაში მივიღებთ მის მცირე ტერიტორიას და ქვეყნის მოწყობას: სადაც თავმოყრილია 25 ეთნოგრაფიული და სუბეთნიკური ჯგუფი⁵, ამით ის რუსეთის მიკრო-მოდელის მსგავსიცაა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყველა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ მიიღო დამოუკიდებლობა და დაიწყო ახალი სახელმწიფოებრიობის შექმნა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით. რუსეთს, როგორც სსრკ-ის სამართალმემკვიდრეს, პრეტენზია გაუჩნდა, მოექცია პოსტსაბჭოთა სივრცე თავისი გავლენის სფეროში.

საქართველოსთან დამოკიდებულებაში მოსკოვის პოლიტიკის მთავარი ხარვეზია ის, რომ 1990-იან წლებში რუსეთმა შეასუსტა ურთიერთობები ახლო საზღვარგარეთის ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოსთანაც. რუსეთის პოზიციების შესუსტება საქართველოსადმი აიხსნება მისი საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის უსუსურობით, პრიორიტეტების არათანმიმდევრობით და რუსული პოლიტიკის ზღვარგადასული პასიურობით. შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა აშშ-ის პოლიტიკის უპრეცედენტო აქტიურობა, მიმართული ვაშინგტონის პოზიციების გამყარებისკენ მთლიანად კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში. ამ პირობებში რუსეთის უუნარობამ, გამკლავებოდა საქართველოს უსაფრთხოების გარანტის როლს, ბევრწილად შეუწყო ხელი საქართველოს მიერ დასავლური ვექტორის არჩევას.

საქართველოს მოწყობის სპეციფიკის გათვალისწინებით ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება თბილისისთვის დღესაც საკვანძო პოზიციაა და ის წითელ ხაზად გასდევს რუსულ-ქართული ურთიერთობების ჩამოყალიბების მთელ პერიოდს. ამიტომ, „სუფთა ფურცლიდან“ მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობების ჩამოყალიბების მთავარი საკითხი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ეფექტურად მოახერხებს რუსეთი ამ პრობლემის გადაჭრას. სწორედ ეს იქნება რუსეთის წარმატების საწინდარი საქართველოში.

⁵ რ. ა. თოფჩიშვილი. საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია. მოკლე სალექციო კურსი. თბილისი: უნივერსალი, 2006, გვ.57.

„ყოფნა, არყოფნა – საკითხავი, აი, ეს არის“

ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების წარმატებით განვითარებას, არის მოსკოვისა და თბილისის სხვადასხვა მიდგომა ორი ახალი დე-ფაქტო წარმონაქმნის – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისადმი. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემა, ოფიციალური მოსკოვის აზრით, უკვე გადაწყვეტილია – თითოეული რესპუბლიკა მოწოდებულია, გაატაროს თავისი ეროვნული ინტერესების შესაბამისი პოლიტიკა. თავის მხრივ, თბილისი კვლავ აგრძელებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის განხილვას ტერიტორიებად, რომლებიც რუსეთის მიერ ოკუპირებულია და მოითხოვს მოსკოვისგან, უკან გაიწვიოს აღიარება. ორივე ქვეყანა სხვადასხვაგვარად განმარტავს ხელშეკრულებას ძალის გამოუყენებლობის შესახებ⁶. მოსკოვი თვლის, რომ ასეთ შეთანხმებას ხელი უნდა მოაწეროს, ერთი მხრივ, თბილისის ხელისუფლებამ და, მეორე მხრივ, სოხუმმა და ცხინვალმა. ქართული ლოგიკის თანახმად, კონფლიქტის მთავარი მონაწილეა რუსეთი, ამიტომ ითხოვს საქართველო მისგან საპასუხო გარანტიებს.

ბრიუსელში 2013 წლის 4 დეკემბერს რუსეთი-NATO-ს მინისტრიალის შეხვედრის შედეგების შესახებ გამართულ პრეს-კონფერენციაზე, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა, შეეხო რა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსს, განაცხადა, რომ NATO-მ „უნდა აღიაროს ახალი რეალობა ამიერკავკასიაში, რადგან რუსეთისთვის ისინი ახალი ქვეყნებია“⁷.

ამგვარად, იქმნება ფათური სიტუაცია (სიტუაცია ჭადრაკში, როდესაც არც ერთი სვლა არ არის შესაძლებელი, თუმცა მეფეს ქიმი არ ემუქრება. მთარგმ.). ერთი მხრივ, ამ წარმონაქმნების თუნდაც ჰიპოთეტურ უარყოფას მოსკოვი ადრე დაკავებული პოზიციებიდან უკან დახევად და სისუსტის გამოვლენად განიხილავს. მეორე მხრივ, ტერიტორიული მთლიანობა რჩება „სიკვდილ-სიცოცხლის“ საკითხად თბილისისთვის.

⁶ შეთანხმებას ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელი უნდა მოაწეროს მოსკოვმა და არა ცხინვალმა და სოხუმმა – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო // ამბები-საქართველო, 06.11.2013. URL: <http://www.newsgeorgia.ru/politics/20131106/216062601.html>

⁷ სერგეი ლავროვი: რუსეთისთვის სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი სუვერენული სახელმწიფოებია//რადიო „რუსეთის ხმა“. 5. 12. 2013. URL: http://rus.ruvr.ru/news/2013_12_05/Sergej-Lavrov-Dlja-Rossii-JUzhnaja-Osetija-i-Abhazija-suverennie-gosudarstva-4072/

განსაკუთრებით აქტუალურია თბილისისთვის ეს საკითხი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე კონტროლის დაკარგვის შემდეგ, რომელთა საერთო ფართობი მთელი საქართველოს 20 პროცენტს შეადგენდა, და ასევე ქვეყნის მოწყობის თავისებურებებიდან გამომდინარე.

რუსეთისა და საქართველოს ინტერესების წარმატებული რეალიზაციისთვის მეორე ხელისშემშლელი ფაქტორი მოსკოვის იმპერიული აზროვნებაა. რუსეთი განაგრძობს ამიერკავკასიის და ახალგაზრდა დამოუკიდებელი ქვეყნების განხილვას ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაწილებად, რომლის მემკვიდრეც ის გახდა. ასეთი პოზიცია აიხსნება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის, როგორც სუპერსახელმწიფოს სტატუსის დაკარგვით.

რუსულ-ქართული ურთიერთობების გადასვლა სტაგნაციიდან პოზიტიურ დინამიკაზე შესაძლებელია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

ჯერ ერთი, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, ორი დე-ფაქტო წარმონაქმნი აღარ აღიქმება მოსკოვის კოზირებად თბილისთან თამაშში, რაც ხელს უწყობს საქართველოს, აირჩიოს საკვანძო საგარეო პარტნიორები და მოსკოვისგან დისტანცირება მოახდინოს.

მეორე მხრივ, გლობალიზაციის პროცესი ყველა საერთაშორისო მოთამაშეს აიძულებს, იმოქმედოს საერთაშორისო ურთიერთობების სხვაგვარი პოლიცენტრული სისტემის ფარგლებში, როცა ეკონომიკური კონკურენცია და ეკონომიკური დამოკიდებულების ხარისხი გარე სამყაროსთან უპრეცედენტო ხდება. სწორედ ამიტომაც შესაძლებელია, წარმოვიდგინოთ, რომ რუსეთი უკვე ვეღარ აღიქვამს ასე მტკივნეულად საქართველოს სწრაფვას ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ.

ამგვარად, მოსკოვმა უნდა შეიგნოს, რომ „ამიერკავკასიაში ახალი რეალობის გათვალისწინებით“ საქართველოს შეკავება თავისი გავლენის სფეროში შეუძლებელია და ნებისმიერი მცდელობა, დაბლოკოს მისი სწრაფვა დასავლეთთან ინტეგრაციისკენ, კონტრპროდუქტიულია, მით უფრო, რომ „დიდი ევროპის“⁸ პროექტის რეალიზაცია მკვეთრად აქტუალური გახდა. რუსეთს არ შეუძლია არ გაითვალისწინოს, რომ ორი დამოუკიდებელი რესპუბლიკის – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, ინტეგრაცია მსოფლიო თანამეგობრობაში საკმაოდ ხანგრძლივი

⁸ მოვიდა დრო დიდი ევროპის მშენებლობისა. „დიდი ევროპის მშენებლობა: აუცილებელი ღონისძიებები 2030 წლამდე“, სპეციალური მუშა ჯგუფის განცხადება.
URL: http://russiancouncil.ru/inner/?id_4=3054#top

და არცთუ გამართლებული პროცესია, ისევე როგორც ის, რომ თავიანთი სუვერენიტეტის გამყარების კვალდაკვალ მათი ინტერესები შეიძლება, ყოველთვის არ დაემთხვეს მოსკოვის ზრახვებს. აფხაზეთის გეოპოლიტიკური მდებარეობა და გარკვეული რესურსები სტიმულს მისცემს მის მისწრაფებას ნამდვილი დამოუკიდებლობისკენ, რამაც შესაძლოა შეასუსტოს მოსკოვზე სოხუმის დამოკიდებულება.

დღეისათვის რუსულ-აფხაზური ურთიერთობების დღის წესრიგში არ დგას ახალი თემა, რაც პარტნიორობას ორ ქვეყანას შორის ურთიერთხელსაყრელსა და პროდუქტიულს გახდის. ეს უნდა გაიგოს რუსეთმაც, თუ საქართველოსთან ურთიერთობის გამოსწორება „სუფთა ფურცლიდან“ სურს.

მით უფრო, რომ რუსეთს აქვს შანსი, მაქსიმალურად დაუახლოვდეს საქართველოს და განიმტკიცოს პოზიციები ამიერკავკასიაში. ამ მიზნის რეალიზაციისთვის მოსკოვს შეუძლია დე-ფაქტო სტატუსის ტრანსფორმაციის „რბილი“ ვარიანტის შემოთავაზება, რომელიც მიმართული იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ნაწილობრივ აღდგენაზე, ორივე ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით. სხვა სიტყვებით, აუცილებელია მშვიდობისმყოფელის ახალი პარადიგმის შემუშავება და რეალიზება. წარმოგვიდგენია, რომ ეს პროცესი შესაძლოა დაიწყოს სამხრეთ ოსეთით, რომელსაც, აფხაზეთისგან განსხვავებით, არავითარი პერსპექტივა არა აქვს, გახდეს სრულფასოვანი სახელმწიფო: მისი ტერიტორია მეტისმეტად მცირეა, მოსახლეობა კი, სხვადასხვა შეფასებით, 50-დან 72 ათასამდეა⁹. ეს პრობლემა დიდი ხნით არ უნდა გადაიდოს, ის ხომ ასე მწვავედ დგას რუსულ-ქართული ურთიერთობების დღის წესრიგში და მისი გადაჭრა, ასე თუ ისე, აუცილებელია.

თუ ვივარაუდებთ, რომ რუსეთს შესწევს უნარი კონფლიქტის მოგვარების ინიცირების, თუ მოლაპარაკებების პროცესის ყველა მხარეს ამოქმედებდა და უზრუნველყოფდა მის გარკვეულ ინტერნაციონალიზაციას (ევროპეიზაციას).

გლობალიზებული მსოფლიოს პირობებში მსგავს ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებში ასეთმა მიდგომამ შეიძლება უზრუნველყოს მათი გადაჭრა და საერთაშორისო, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე ჩამოყალიბოს ახალი წესები. ეს რუსეთს მისცემს მოდერნიზაციის დამატე-

⁹ სამხრეთ ოსეთის ეროვნული შემადგენლობა 1926-2008 წლებში.

URL: http://wellcomerso.ru/index.php?option=com_content&view=article&id=32&Itemid=25

ბით შანსს, რაც მიანიშნებს მოსკოვის მზადყოფნას ქართულ საკითხთან ერთად, დაიწყოს დისკუსია აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სტატუსის ტრანსფორმაციის შესახებ.

საქართველოს პირდაპირი დიალოგი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან გულისხმობს მასში რუსეთის, როგორც რეგიონული უსაფრთხოების რეალური გარანტის, მონაწილეობას. მაგრამ მსოფლიო პოლიტიკის თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინება გულისხმობს ამ პრობლემის გადასაჭრელად პროცესში დასავლელი პარტნიორების, პირველ რიგში, ევროპის კავშირის ჩართვას. ამ მიზნის რეალიზებისთვის საჭიროა როგორც ერთიანი მონაწილეობა, ისე საერთო წვლილის შეტანა კონფლიქტის მოგვარებაში რუსეთის ეგიდით.

მსოფლიოში რუსეთის პოზიციების გაძლიერებით და უკანასკნელ წლებში საერთაშორისო არენაზე მისი დიპლომატიის შესამჩნევი გააქტიურებით, მოსკოვს შეუძლია გახდეს არა მარტო პროცესის ინიციატორი, არამედ მხარეთა შერიგების მთავარი კოორდინატორი. აი, ამიტომ უნდა შეუწყოს ხელი მოსკოვმა ამ პრობლემის გადაჭრას. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კითხვები კონფლიქტური მხარეების შერიგებასა და სამოქალაქო თანასწორობაზე უკან გადაიწეოს. პირიქით, ისინი უნდა იდგეს ამ პროცესის სათავეში და დღეს მოსკოვს შეუძლია, მოძებნოს ასეთი დიალოგის ფორმა. ამისთვის აუცილებელია, ყველა დაპირისპირებულ მხარეს შეექმნას თანაბარი პირობები, რათა კონფლიქტის მონაწილეებმა ერთმანეთი განიხილონ დამოუკიდებელ ერთეულებად. დაპირისპირებულ მხარეებს აქვთ მრავალწლიანი ერთობლივი თანაცხოვრების გამოცდილება და არც ისაა უმნიშვნელო, რომ მოსკოვი მათი უსაფრთხოების გარანტია. ასეთ ვითარებაში პრობლემა უკვე აღარ ჩანს ასე გადაუჭრელი და დიდი დროის დახარჯვასაც აღარ მოითხოვს.

ევროკავშირი: თეორიიდან პრაქტიკამდე არა მხოლოდ ერთი ნაბიჯია

რუსეთის არაკონსტრუქციული მიდგომა პრობლემის მოგვარებისადმი იწვევს ევროპული დიპლომატიის გააქტიურებას. ვითარების ჩიხიდან გამოყვანისთვის ევროკავშირის არსენალშია, პირველ რიგში, „აღმოსავლური პარტნიორობის“ პოლიტიკა, ახალი მიდგომა აფხაზეთისადმი, რომელიც ემყარება პრინციპს „ჩართულობა აღიარების გარეშე“ და ითვალისწინებს სოხუმის მონაწილეობას სამშვიდობო ინიციატივებში, რაც შეიძლება, განიხილებოდეს როგორც ბრიუსელის ავანსი

ვნებათა დასაცხრობად თბილისთან მის ურთიერთობებში. დაბოლოს, ევროკავშირის მეთოდოლოგია მოიცავს ახალ „შტაინმაიერის გეგმას“¹⁰, რომელიც შეიმუშავეს გერმანიაში 2008 წელს. იგი მოიცავს პოლიტიკური კითხვების ყველა სპექტრს, რაც განიხილება საქართველოს, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის მიერ. ნიშანდობლივია, რომ „შტაინმაიერის გეგმამ“ დიდი მხარდაჭერა პოვა ოფიციალურ თბილისში, რომლის მეთოდოლოგია არ უნდა უგულვებელყოს რუსულმა დიპლომატიამ.

რუსეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების არქონის პირობებში გერმანიის შუამავლად ჩართვა, ორივე ქვეყანას უაზრობად მიაჩნია. მიუხედავად იმისა, რომ თბილისი, რომელსაც მოსკოვთან ურთიერთობის ნორმალიზების კურსი უჭირავს, ეცდება მოიზიდოს ბერლინი, დააფინანსოს ნდობის აღდგენის პროგრამები კონფლიქტურ მხარეებს შორის. ისინი მზად არიან, მხარი დაუჭირონ ევროკავშირის პოლიტიკას „აღმოსავლურ პარტნიორებთან“ დაკავშირებით.

2013 წლის ნოემბერში ვილნიუსის სამიტზე საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირების და მათ შორის ყოვლისმომცველ თავისუფალ ვაჭრობაზე მოლაპარაკების შედეგად ევროკავშირის მცდელობა, გამოვიდეს კრიზისიდან, ბრიუსელს ძალზე დროულად ეჩვენება¹¹. თანაც NATO-ს წევრობასთან დაკავშირებული მყარი გარანტიების არარსებობის პირობებში, საქართველო შეეცდება ევროპელებისგან მიიღოს მკაფიო პასუხი ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, რაც თბილისის აზრით, ხელს შეუწყობს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხის გადაჭრას.

შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა უწყების მეთაურმა მათა ფანჯიკიძემ ვილნიუსის სამიტის გახსნამდე განაცხადა, რომ საქართველო საჭიროებს ევროკავშირის „მკაფიო განცხადებას“ „ევროპული პერსპექტივის“ არსებობაზე საქართველოსთვის და ეს ქვეყანა უნდა განიხილებოდეს არა როგორც ევროპის მეზობელი, არამედ როგორც ევროპელი მეზობელი¹². ამასთან, თბილისის შესანიშნავად ესმის, რომ ამ პრობლემის გასაღები მოსკოვის ხელშია.

¹⁰ Calming the Caucasus: Germany Proposes Peace Plan for Abkhazia. July 7, 2008. URL: <http://www.spiegel.de/international/europe/calming-the-caucasus-germany-proposes-peace-plan-for-abkhazia-a-564246.html>

¹¹ საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება მოახდინა// ლენტა. რუ. 28.11.2013. URL: <http://lenta.ru/news/2013/11/28/initial/>

¹² ფანჯიკიძის სიტყვებით, თბილისის სურს ევროკავშირისგან წევრობის პერსპექტივა//

აუცილებელია, ეს ყველაფერი გაითვალისწინოს რუსეთმა საქართველოსთან ურთიერთობის პოლიტიკის შემუშავებისას. 2013 წლის 19 დეკემბერს მოსკოვში პრესკონფერენციაზე¹³ ვლადიმერ პუტინის განცხადება საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გამარტივებაზე, სავარაუდოდ, იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ურთიერთობების ნორმირების უვერტიურა დასრულდა და დაიწყო მათი გადასვლა იმ ფაზაში, როცა ორივე ქვეყანას მოუწევს მაქსიმალურად სწორად ააწყოს თავისი პოლიტიკა. მოსკოვის ახალი კურსი ქართული მიმართულებით შეიძლება გახდეს ძირითადი მამოძრავებელი ძალა, რომელიც ხელს შეუწყობს რუსულ-ქართული ურთიერთობების გადასვლას სტაგნაციიდან პოზიტიურ დინამიკაზე.

დაშენების კონტურები მონიშნულია, იქნება კი ბაზისი

რუსეთის მიერ საქართველოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობა შეუძლებელია, სათანადოდ არ იყოს შეფასებული, რაც, პირველ რიგში, განაპირობებს მის საკვანძო როლს სამხრეთ კავკასიაში. საქართველოსთან ურთიერთობების „სუფთა ფურცლიდან“ დაწყების პოლიტიკის წარმართვა მოსკოვმა აუცილებლად უნდა მოახერხოს ამიერკავკასიის ორ სხვა ქვეყანასთან – აზერბაიჯანსა და სომხეთთან ერთად. ეს იმოქმედებს მის ურთიერთობაზე დასავლეთთან მათი პოლიტიკის რეალიზებისას პოსტსაბჭოთა სივრცეში.

რუსეთსა და საქართველოს სამხრეთ კავკასიაში საერთო პრობლემები აქვთ უსაფრთხოების, ეკონომიკური თანამშრომლობისა და ლოჯისტიკის სფეროში.

ჩრდილო კავკასიაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა რუსეთის მნიშვნელოვანი პრიორიტეტი და მისი სტაბილურობის საწინდარია. დღეს მოსკოვი დაინტერესებულია თბილისთან თანამშრომლობით რეგიონისთვის ისლამური საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

საქართველოს რუსეთი ესაჭიროება როგორც ძლიერი სახელმწიფო, რომელიც ეფექტურად აკონტროლებს თავის საზღვრებს. ამიტომ სახელმწიფო საზღვრის ჩრდილოკავკასიური მონაკვეთის დაცვა ორივე ქვეყნისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. თუ იქნება პოლიტიკური ნე-

კავკასია Online. 07.09.2013. URL: <http://kavkasia.net/Georgia/2013/1378599857.php>

¹³ ვლადიმერ პუტინის პრესკონფერენცია // რუსეთის პრეზიდენტის ოფიციალური პორტალი. 19.12.2013. URL: <http://www.kremlin.ru/transcripts/19859>

ბა, ორივე ქვეყანას შეუძლია დაიწყოს მსჯელობა ძალთა კოორდინაციაზე ამ რეგიონში უსაფრთხოების შენარჩუნებისთვის.

2013 წელს რუსეთი გახდა საქართველოს მეოთხე სავაჭრო პარტნიორი თურქეთის, აზერბაიჯანისა და უკრაინის შემდეგ¹⁴. ფულადი გზავნილები, შემოსული რუსეთში მომუშავე თანამემამულეებისგან, მხოლოდ 2013 წელს შეადგენდა 750 მლნ დოლარზე მეტს, რაც აჭარბებს საქართველოში შემოსულ პირდაპირ საზღვარგარეთულ ინვესტიციებს.

დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის მიუხედავად, რუსული ბიზნესი განაგრძობდა ქართული ეკონომიკის ინვესტირებას, მისი ყოფნა საქართველოში არათუ შემცირდა, გაიზარდა კიდევ 2012 წელთან შედარებით. სწორედ ამ ფაქტორმა ითამაშა გადამწყვეტი როლი მოსკოვსა და თბილისს შორის მოლაპარაკებებში რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების თაობაზე.

ბოლო ორი წელია, შეიმჩნევა ტურისტების შემოსვლა რუსეთიდან საქართველოში, მიუხედავად რუსეთის მოქალაქეების სისხლის სამართლებრივი დევნის რისკისა ქართველი სამართალდამცველების მხრიდან, თუ ტურისტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს მოინახულებენ. მოსკოვისა და თბილისის სერიოზული პრობლემები არ ასახულა ორი ქვეყნის მართლმადიდებელ ტაძრებზე. საერო ხელისუფლებისგან განსხვავებით, რუსულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ არ ცნო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის არაკანონიკური უფლება ქართულ მართლმადიდებლობაზე, რითაც შეინარჩუნა კომუნიკაციის არხი ორ ქვეყანას შორის.

2013 წლის აგვისტოში მოსკოვში მიაღწიეს შეთანხმებას საქალაქთაშორისო რეგულარული ავტობუსების მიმოსვლის თაობაზე ორ ქვეყანას შორის და, ასევე, პირდაპირი ავიარეისის სოჭი-თბილისის მიმართულებით. მოსკოვმა განაახლა მუშაობა საქართველოს სამხედრო გზაზე „ყაზბეგი-ზედა ლარსის“ საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე.

2014 წლის იანვარში მოსკოვმა შეარბილა სავიზო რეჟიმი ქართველი გადამზიდავებისთვის, რამაც გაზარდა საექსპორტო ტვირთები რუსეთში, განსაკუთრებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახით.

¹⁴ სავაჭრო ტვირთბრუნვა საქართველოსა და რუსეთს შორის გაიზარდა 38 პროცენტით// Business საქართველო. 28.11.2013. URL: <http://bizzone.info/government/2013/1385669466.php>

საქართველოს ეკონომიკისა და მყარი განვითარების მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, „რუს ინვესტორებს ინტერესები აქვთ რამდენიმე სფეროში, რომელთა შორისაა ჰიდროელექტროსადგურები და გამაჯანსაღებელი ცენტრები¹⁵. დიდი ყურადღება დაეთმობა რუსულ საინვესტიციო და კომერციულ პროექტებს, რომლებსაც მხარს დაუჭერს საქართველო.

ასევე, შესაძლებელია გადაიჭრას აფხაზეთის გავლით პირდაპირი მიმოსვლის პრობლემაც, რაც ხელს შეუწყობდა ამიერკავკასიაში საკომუნიკაციო გზების ბლოკირებისგან გათავისუფლებას და შესაძლებელს გახდიდა ერთობლივი ეკონომიკური პროექტების რეალიზაციას. ეს ყოველივე ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნისთვის ასე აუცილებელი ურთიერთნდობის აღდგენას.

ძირითადი დასკვნები

საქართველოსთან ურთიერთობა მნიშვნელოვანია მოსკოვისთვის, რადგან ის გარკვეული დოზით იმოქმედებს მოსკოვის პოლიტიკაზე ამ რეგიონში, რასაც მისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ერთობლივი თანაცხოვრების მანძილზე რუსეთმა და საქართველომ გაიარეს ურთიერთობების აყვავების პიკი (რუსეთის იმპერიისა და სსრკ-ის დროს), და ასევე დაცემა (საბჭოთა კავშირის დაშლის პირველი წლები და მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობა) დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტამდე 2008 წელს. მიუხედავად ამისა, ჩვენი ხალხები კვლავ ძმებად დარჩნენ. და ეს შემთხვევით არ მომხდარა.

საერთო ისტორიულმა, კულტურულმა და რელიგიურმა ფესვებმა შეადუღაბეს ერები, განსაზღვრეს საერთო სულიერი ღირებულებები და ეს, როგორც ისტორია გვიჩვენებს, არ გვამღვევს ერთმანეთისგან დისტანცირების საშუალებას. ორსაუკუნოვანი საერთო ისტორიის გათვალისწინებით, ამ ქვეყნების ხალხების ურთიერთლტოლვით, საერთო მართლმადიდებელი რწმენითა და უმდიდრესი კულტურით, ძნელია არ დაეთანხმო ცნობილ რუს სწავლულ კამალუდინ გაჯიევს: „შეუძლებელია ქართული სახელმწიფოს სრულფასოვანი არსებობა, თუ გაწყდება რუსეთთან ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები“¹⁶.

¹⁵ რუსი ინვესტორები ინტერესდებიან საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობით// საინფორმაციო პორტალი „თბილისური კვირა“. 26.12.2013. URL: <http://www.georgianpress.ru/economicss/23960-rossiyskie-investory-interesuyutsya-v-gruzii-stroitelstvom-ges.html>

¹⁶ კ. ს. გაჯიევი. კავკასიის გეოპოლიტიკა. მ., 2003.

კეთილმეზობლური და ურთიერთხელსაყრელი დამოკიდებულების ახალ ეტაპზე გადასვლის რეკომენდაციები:

1. ქართული მიმართულებით ახალი ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია, რომ უზარმაზარი პოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალის მქონე მოსკოვმა შექმნას რუსეთის, როგორც ხელსაყრელი ეკონომიკური პარტნიორის და პოლიტიკური გარანტის, პოზიტიური იმიჯი;

2. საქართველოს არასოდეს შესწევდა უნარი შეენარჩუნებინა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დამოუკიდებლად. ამიტომ მოსკოვმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ თბილისის საქციელი საერთაშორისო არენაზე დამოკიდებულია გარე მოთამაშეებზე, რაც ხშირად მკაცრ კონკურენციას იწვევს მათ შორის. ამ პირობებში რუსეთმა საქართველოში უნდა გაააქტიუროს თავისი პოლიტიკა, მიმართული პოზიციების გამყარებისკენ;

უსაფრთხოების სფეროში საერთო გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლაში საჭიროა, თანამშრომლობის დეკლარაციის რეალიზაცია, რადიკალური ისლამის ჩათვლით ჩრდილო კავკასიის მონაკვეთის სახელმწიფო საზღვარზე;

რუსეთის პოზიციის შესუსტებამ საქართველოში, საბოლოოდ, ორმხრივი გაუცხოება გამოიწვია. სააკაშვილის პრეზიდენტობის წლებში საქართველოში გამოჩნდა ნამდვილ „იაპთა“ (ახალგაზრდა ქალაქელი პროფესიონალი. მთარგ.) თაობა, თავგამოდებით რომ იცავს დასავლური დემოკრატიის ფასეულობებს, რომელიც შორს არის რუსულ კულტურასა და რუსულ ენასთან. ამიტომ მოსკოვს მოუწევს იმოქმედოს „რბილ ძალაზე“ დაყრდნობით, გამოიყენოს რუსეთის კულტურული მიმზიდველობა, ეკონომიკური შესაძლებლობები, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი. აუცილებელია ამ პროცესის დაწყება სხვადასხვა ჰუმანიტარული და სამეცნიერო ფონდებით, ნაბეჭდი პროდუქციის გავრცელებით რუსულ ენაზე, საჭიროა რუსულენოვანი სკოლების რაოდენობის გაზრდა და, ასევე, რუსეთის ტელევიზიის სახელმწიფო არხების წვდომის შესაძლებლობა საქართველოს მოსახლეობისთვის;

მოსკოვმა უნდა გამოიყენოს სახალხო დიპლომატიის სხვადასხვა ხერხი. ეს გახდება ათვლის წერტილი მოსკოვისთვის, რომელსაც შეეძლება კავკასიის მიმართულებით ახალი წესების გამოყენებით თამაშის დაწყება.

რუსულ-ქართული ურთიერთობები მე-19-20-ე საუკუნეებში: ისტორიულ-კულტურული ნარკვევი

მე-19-20-ე საუკუნეებში რუსულ-ქართულ ურთიერთობებში მე, როგორც ქართველს, მევალება წინასწარ შემოვიფარგლო მიუკერძოებლობისა და სუბიექტივიზმისგან. მაგრამ შესაძლებელია კი ეს? ვიხსენებ ინგლისელი კათოლიკე მოაზროვნის ჰილბერტ ჩესტერტონის სიტყვებს: „[ქრისტიანს] არ შეუძლია ათასი მილის მანძილზე გადაიტანოს ტაძარი, აღმოსავლეთის საოცარ სივრცეებში და იმსჯელოს მასზე ისევე მიუკერძოებლად, როგორც ამინდზე“¹. როგორც ვხედავთ, ამ მიკერძოების საფუძველია კათოლიკური სარწმუნოება, რომელიც მას ჭეშმარიტების კრიტერიუმად მიაჩნდა. მე მომეწონა ეს ფრაზა და ხარბად დანდობით დავეწაფე მის თეოლოგიურ ნაწარმოებებს, რომლებმაც მართლაც ჭეშმარიტების შუქი მოფინეს ბევრ ჩემთვის მნიშვნელოვან საკითხს. თუმცა, მისი კითხვისას შევამჩნიე, რომ აქა-იქ გამოკრთებოდა ამ ავტორის კათოლიკური (მე აქ ვგულისხმობ ამ კონფესიის ისტორიულ-კულტურულ ასპექტებს და არა თეოლოგიურს) მიკერძოება, რომელიც ამახინჯებდა, ჩემი აზრით, ობიექტურობას. მაგალითისთვის მოვიყვან მის ფრაზას: „ბიზანტიის ბრტყელი ფილები მოსახერხებელი გზა იყო მუჰამედისთვის“². ეს რომ წავიკითხე, აღვშფოთდი: ბიზანტიამ ხომ პირველმა მოიგერია ისლამური ძალების შემოტევა, რაც დიდად დაეხმარა ევროპას და როცა ბიზანტიას დასჭირდა დასავლეთის მხარდაჭერა, დახმარება არ აღმოუჩინეს, მიუხედავად, კონსტანტინოპოლის იძულებითი რელიგიური დათმობებისა რომისადმი.

ეს ისტორია ადასტურებს, რომ წინასწარი უარის თქმა მიუკერძოებლობაზე რაიმე წმინდა მიზეზის სახელით, თუნდაც საკუთარი რელიგიისა ან ქვეყნის, შეიძლება მიგვიყვანოს მცდარ, დამახინჯებულ ან ცალკერძა შეხედულებებამდე. ისინი არც ისე საშიშია შინაურ გარემოში. მაგრამ თუ ასეთი შეხედულებები გამოითქმება სხვა რელიგიის, კონფესიის, იდეოლოგიისა და ქვეყნის წარმომადგენლებთან დავაში,

¹ ჰილბერტ კიიტ ჩესტერტონი, „მარადიული ადამიანი“. მოსკოვი, „პოლიტიზდატი“, 1991, გვ. 95.

² ჰილბერტ კიიტ ჩესტერტონი, „წმინდა თომა აქვინელი.“ *ibid.*, გვ. 300.

ის შეიძლება იქცეს გადაულახავ პრობლემად, რადგან შეხედულების შეცვლა ცხოვრებისეულ საკითხებზე ზოგჯერ ადამიანისთვის თვითგანადგურების ტოლფასია. ეს „მიკერძოებული შეხედულება“ ხომ დაკავშირებულია თავად მის იდენტობასთან – რელიგიურთან, ეროვნულთან და ა. შ. და მისი გადასინჯვა ღალატის ტოლფასია. მაგრამ თუ ჩვენ არ გავბედეთ და თავს არ “ვულალატეთ“, ამ, ნიცშეს სიტყვებით რომ ვთქვათ, „ადამიანურს, ძალიან ადამიანურს“ ჩვენში ჭეშმარიტებისთვის, განწირული ვიქნებით წრეზე სიარულისთვის. და მე, ყოველ შემთხვევაში, შევეცდები, ვიყო ობიექტური და მიუკერძოებელი, მიუხედავად იმისა, რომ ვიცი, ჩემი მცდელობა შეიძლება განწირული იყოს, რადგან ფაქტები თავისი არსით ობიექტურია. ისინი ღიაა სხვადასხვა, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერპრეტაციისთვის. და თუ ფაქტები არ იძლევა ასეთ სივრცეს, მათი შერჩევა ხშირად დამოკიდებულია ისტორიკოსის განზრახვასა და ვნებებზე.

შემდგომში მე ვისაუბრებ რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე მე-19-20-ე საუკუნეებში აქცენტით მე-19 საუკუნეზე, როცა საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა და ქართველებს ჩამოუყალიბდათ ახალი, ლიბერალური თვითშეგნება, რომელიც არასდროს აღარ ჩამქრალა და ახალი ძალით თავი გამოავლინა 1990-იანი წლების მეორე ნახევარში კონკრეტულ საბედისწერო პოლიტიკურ ნაბიჯებში. ამ სტატიის მცირე ფორმატში ძნელია აღწერო დროის ასეთი გრძელი მონაკვეთი და ბევრი რამ ჩემგან თქმული დავას გამოიწვევს. მე ხომ ვეხები ისტორიას, ანუ, ცნობილი მწერლისა და ისტორიკოსის ერნესტ რენანის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყველაზე სახიფათო პროდუქტს, რომელიც ოდესმე გამოწურულა ინტელექტუალური ქიმიიდან.“ ამ საგანგაშო სიტყვების მიუხედავად, შევეცდები, გიჩვენოთ ისტორიული ფაქტების შინაგანი მხარე და ამავე დროს შეძლებისამებრ გავექცე ჩემი ინტერპრეტაციით ახალი ქიმიის შექმნის საშიშროებას.

ქართულმა, უფრო ზუსტად, ქართლ-კახეთის სამეფომ, რომელსაც მართავდა ერეკლე მეორე, 1783 წელს დადო „სამუდამო ძმობის“ ხელშეკრულება რუსეთის იმპერიასთან, ე.წ. „გეორგიევსკის ტრაქტატი“. ეს ნიშნავდა სპარსეთის იმპერიის ბატონობის დამთავრებას, რომელსაც ქართული სამეფო თავისი გავლენის სფეროდ, ქართველი მეფე კი ვასალად („ვალი“) მიაჩნდა. ერეკლეს ნაბიჯი ფრიად სარისკო იყო და საქართველოს ძვირად დაუჯდა ეს. გეორგიევსკის ტრაქტატი საქართველოს გარანტიას აძლევდა, ჰქონოდა შინაგანი დამოუკიდებ-

ლობა პეტერბურგის ჩაურევლად, მაგრამ საგარეო საქმეებში ქართველ მეფეებს თავიანთი მოქმედებები უნდა შეეთანხმებინათ რუსეთის იმპერატორთან, თვით უცხოელ მბრძანებლებთან მიმოწერის ჩათვლით. ორივე მხარე ვალდებულებას იღებდა სამხედრო დახმარება აღმოეჩინა ერთმანეთისთვის.

ამჟამად, ეს ხელშეკრულება, პირველ რიგში, ესაჭიროებოდა საქართველოს და სწორედ მისგან მოდიოდა მისი დადების ინიციატივა. იყო ვასალი ისლამური სახელმწიფოსი, რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ბატონობდა ქვეყანაზე და მკაცრად უსწორდებოდა აჯანყებულ ქართველებს (ერთ-ერთი ასეთი ანგარიშსწორების დროს 300 ათასი კახელი გადაასახლეს ირანში), რა თქმა უნდა, ნაკლებად ემდომებოდათ ქართველებს, ვიდრე მიმსგავსებულ³ უფლებებში ყოფნა ერთმორწმუნე რუსეთთან. ერეკლეს ესმოდა, რომ, მიუხედავად მშვიდობის მოპოვების პერსპექტივისა და მისი სამეფოს უსაფრთხოებისა, რუსეთთან დადებული ხელშეკრულება ნიშნავდა თავისუფალი სივრცის შეზღუდვას, ამიტომ ცდილობდა, გადაედო ეს საბედისწერო გადაწყვეტილება იქამდე, სანამ არ ამოიწურა ყველა ალტერნატიული ვარიანტი. ასე რომ, ერეკლე ტრაქტატის დადებამდე დახმარებას ეძებდა ევროპული სახელმწიფოებისგან, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.

გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერამ, როგორც მოსალოდნელი იყო, გააბრაზა ირანი და თურქეთი. ირანში უკვე იმაგრებდა პოზიციებს ალა მაჰმად-ხანი ყაჯარების დინასტიიდან. მეფე ერეკლე შიშით აკვირდებოდა მოვლენათა განვითარებას ირანში, ესმოდა რა, რომ ოპოზიციის დათრგუნვის შემთხვევაში ალა მაჰმად-ხანი აუცილებლად დაესხმებოდა თავს „გამყიდველ“ ძველ პროტექტორატს – საქართველოს. ამიტომ ერეკლე ჯერ სთხოვდა, შემდეგ კი ემუდარებოდა რუსეთს, გამოეგზავნა ტრაქტატის დებულებების საფუძველზე ჯარი საქართველოში, რათა მოეგერიებინა ან შეეჩერებინა ირანის შაჰის თავდასხმა. მაგრამ რუსეთი პასუხს აგვიანებდა და 1795 წელს ერეკლე II-ს მოუხდა მარტოს ებრძოლა ალა მაჰმად-ხანის წინააღმდეგ – ხუთი ათა-

³ ვფიქრობ, „მიმსგავსებული“ საკმარისად ბუნდოვანი სიტყვაა და განსხვავებით, მაგალითად, სიტყვებისგან „იგივე“ ან „თანაბარი“, განსხვავების დანახვის საშუალებას იძლევა: ირანი არ იყო ისეთი მონოლითური სახელმწიფო, როგორც რუსეთი და არამყარი სიტუაცია იქ განაპირობებდა საქართველოს სამეფოების – კახეთისა და ქართლის დამორჩილების პირობების მერყეობას. საპირისპიროდ, რუსეთის იმპერიასთან ფიცისმიერი კავშირი გულისხმობდა უფრო მკაცრ, კონტროლირებულ ვასალურ პირობებს.

სი ქართველი ჯარისკაცი წინ აღუდგა 35 ათას ირანელს. მძიმე უთანასწორო ბრძოლაში ქართული არმია დამარცხდა. თბილისის აღებას მოჰყვა უმკაცრესი ანგარიშსწორება მოსახლეობაზე, ბევრი დაიხოცა, 15000 კი მონად გადაასახლეს ირანში.

ეკატერინე II-მ, შემფოთებულმა იმით, რომ ირანი ცდილობდა, ხელში ჩაეგდო მისი პროტექტორატი (მაგრამ მთავარი მიზეზი იყო უპირატესობის დამყარება კასპიის ზღვის სანაპიროზე, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვაჭრობის განვითარებისთვის აღმოსავლეთთან)⁴, გამოგზავნა სპარსელების წინააღმდეგ არმია, რომელმაც ჩაატარა რამდენიმე წარმატებული ოპერაცია. მაგრამ ეკატერინეს სიკვდილმა ხელი შეუშალა შემდგომ წინსვლას ირანის სიღრმეში, პავლე I-მა კი სასწრაფოდ გაიწვია არმია რუსეთში.

1797 წელს ალა მაჰმად-ხანმა გადაწყვიტა კვლავ შექრილიყო საქართველოში, რათა ერთხელ და სამუდამოდ გადაეწყვიტა, როგორც ის თვლიდა, ირანის ამ „ვერაგი“ პროვინციის ბედი. ამ გეგმებს ხელი შეუშალა შაჰის სიკვდილმა, რომელიც მოკლეს საკუთარმა მსახურებმა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ბედი, როგორც პოლიტიკური ერთეულის, ბეწვზე ეკიდა. ერეკლესაც და გიორგი XII-საც, საქართველოს (უფრო ზუსტად, ქართლ-კახეთის) უკანასკნელ მეფეებს, კარგად ესმოდათ, რომ მსგავსი შეიძლებოდა განმეორებულიყო და რუსეთს შეეძლო არ შეესრულებინა თავისი მოვალეობა, გამომდინარე გეორგიევსკის ტრაქტატიდან ან მისი შესრულება დაეწყო ძალიან გვიან.

შესაძლებელია ისიც, რომ რუსეთი შეგნებულად აყოვნებდა, რათა საქართველო ჩაეყენებინა გამოუვალ მდგომარეობაში და მაშინ ქართველი მეფეები იძულებული იქნებოდნენ მიეღოთ მისთვის უფრო მომგებიანი პროტექტორატის პირობები, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ქვეყნის სრული შეყვანის ჩათვლით. ეჭვიც არ მეპარება, რომ ქართველი მეფეები, გიორგი და ერეკლე II-ც კი, ფიქრობდნენ ასეთ შედეგზე. ყოველ შემთხვევაში, ეს ასახულია ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემაში „ბედი ქართლისა“, რომელშიც ერეკლე, კრწანისის ველზე წაგებული ბრძოლის შემდეგ, ხმამაღლა მსჯელობს რუსეთის იმპერიაში

⁴ როგორც პ. გ. ბუტკოვი წერდა, „დიდი ეკატერინეს ჯარების სპარსეთში შეყვანის მიზანი იყო არა გამარჯვების სურვილი, არა ისედაც სამყაროში უდიდესი იმპერიის საზღვრების გაფართოება, არამედ საქართველოს გამო ალა მაჰმად-ხანის დასჯის საბაზით სპარსეთში ჩვენი ვაჭრობის მტკიცედ დამკვიდრება.“ (მასალები კავკასიის ახალი ისტორიისთვის). ციტატა: ი. ჯავახიშვილი, „ისტორიული პარიტეტების“ მიხედვით. თბილისი, 1989. გვ. 105.

საქართველოს შესვლის შესახებ, ხოლო მისი მრჩეველი სოლომონ ლიონიძე შეძრწუნებული წამოიძახებს:

“ნუ გააგონებ მაგ ხმას ქართველთა,
 ეზდენ შენზედა მსასოებელთა!
 ჯერ სამაგისო რა გვემართება,
 რომ განვისყიდოთ თავისუფლება?”

დიახ, ეს ლიტერატურული ძეგლია, მაგრამ სწორედ ლიტერატურა გვეხმარება, ვიგრძნოთ დროის განწყობა და დავინახოთ ის, რაც იმალება შიშველ ფაქტებს მიღმა.

რაც შეეხება გიორგი XII-ს, მან საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება, რომელზეც, ბარათაშვილის აზრით, ერეკლე მხოლოდ ფიქრობდა. გიორგი ხედავდა სიტუაციის მთელ ტრაგიკულობას: ძლევამოსილ ისლამურ სახელმწიფოებს – ირანსა და თურქეთს, ყოველთვის შეეძლოთ დაესაჯათ საქართველო „დალატისთვის“. მეფეს, ალბათ, ესმოდა, რომ ისლამური ძალების დამსჯელი შემოსევები ბოლოს და ბოლოს, ისტორიის ლოგიკის მიხედვით, საქართველოს სამეფოს გარდაუვალ განადგურებამდე მიიყვანდა, რასაც მთელი მოსახლეობის ისლამიზაცია მოჰყვებოდა. ხოლო „ნებაყოფლობითი“ შესვლა ერთმორწმუნე რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ ქვეყნის პროგრესულ-ევროპული, თუნდაც რუსეთის შუამავლობით, განვითარების და ქრისტიანული რწმენისა და ქართველობის იდენტურობის შენარჩუნების საშუალებას მაინც იძლეოდა. მე „ნებაყოფლობითს“ ბრჭყალებში ვსვამ იმდენად, რამდენადაც ის ფაქტი, რომ ქართველ მეფეს შეეძლო თვითონ შეეთავაზებინა რუსეთის იმპერატორისთვის ურთიერთობების ახალი მოდელი (რომლის მიხედვითაც ქართული სამეფო უქმდებოდა რუსეთის იმპერიის მხრივ რეალური დაცვის გარანტიის სანაცვლოდ) არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ვილაპარაკოთ ნებაყოფლობით ნაბიჯზე, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთი, როგორც ჩანს, შეგნებულად არ იღებდა ყურად საქართველოს თხოვნას ყველაზე სახიფათო და საბედისწერო მომენტებში, როგორც იყო აღამაჰმად-ხანის შემოსევა, არღვევდა რა ამით გეორგიევსკის ტრაქტატის მიხედვით თავის ვალდებულებებს და აყენებდა რა საქართველოს ისეთ გამოუვალ მდგომარეობაში, როდესაც მას უხდებოდა რამდენიმე უბედურებიდან ნებაყოფლობით აერჩია ყველაზე ნაკლები. ამ არჩევანში უპირატეს როლს,

რალა თქმა უნდა, ქრისტიანობა, მართლმადიდებლობა თამაშობდა. მეფე ერეკლე დილემის წინაშე იდგა: ერთი მხრივ, სამეფოს დაკარგვის და ქართველების ისლამიზაციის საფრთხე, როგორც ეს მოხდა ყველა იმ ქართველის შემთხვევაში, რომლებიც თურქეთში დარჩნენ ან ირანში გადასახლეს, ხოლო, მეორე მხრივ – რუსეთის იმპერიისთვის ქვეყნის ნებაყოფლობითი გადაცემა რწმენის, ნაციონალური იდენტობის შენარჩუნებით და ევროპული, რუსეთის შუამავლობით განვითარების შესაძლებლობით.

საქართველოს ისტორიის მკვლევარ პლატონ იოსელიანის მიხედვით, როდესაც 600-მა ლეკმა დაიკავა ზედაზნის ქედი, გიორგიმ ვერ შეძლო მათ განსადევნად საკმარისი ძალები შეეკრიბა. ამით დამწუხრებულმა მეფემ ამოიოხრა და თქვა: „მეუბნებიან, ნუ მოიშველებ რუსთაო“.⁵

იტალიელი მისიონერი პადრე რუტილიანო აფრთხილებდა რა მეფეს რუსეთის მფარველობის შესახებ, ამბობდა, „შენს, შენი ხალხის მამის, მაგივრად რუსეთის იმპერატორი იქნება და გახდება ქვეყნისთვის მამინაცვალი და დედინაცვალი; რუსები მძიმე უღელს დაადგამენ კისერზე“. ამაზე მეფე პასუხობდა: „ჩემო პატრო! დავსუსტდით, გაქრება ქრისტიანობა აქ ურუსთო. მეტად მოგვერია მტერი და რა მტერი? ქრისტესი. თუ არ მკლავი რუსთა ხელმწიფისა, ვერ და ვინ დაიცვამს საქრისტიანოსა. მესმის სიმძიმე რუსთა ჩემზედა მბრძანებლობისა. რა ვქნა? ვის მივმართო? რა პასუხი გავსცე ქრისტესსა!“⁶

დღევანდელი ქართული ისტორიოგრაფია, ძირითადად, ქართული სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთებას ერთმნიშვნელოვნად განიხილავს როგორც “ანექსიას“. ისტორიკოსები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ გიორგი XII-ის წერილები არ არსებობდა და თუ არსებობდა, მასში არ იყო თხოვნა, გაუქმებულიყო ქართული სამეფო. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ასეთი განმარტება განპირობებულია ჩვენი დღევანდელი სურვილებითა და იდეოლოგიური მისწრაფებებით. ვერ ვხედავ მიზეზს, რომ პლატონ იოსელიანი დავადანაშაულო ტყუილსა და პირობითობაში, ის საკმაოდ ცხადად გადმოსცემს იმპერატორ პავლე პირველისადმი გიორგის წერილის შინაარსს.

⁵ პლატონ იოსელიანი, გიორგი მეცამეტის ცხოვრება. თბილისი, 1936 წ., გვ. 76. (გიორგი XII-ს ძველი, არასწორი ტრადიციის მიხედვით, რომელსაც პლატონ იოსელიანიც მისდევს, გიორგი XIII-ს უწოდებდნენ).

⁶ Ibid. გვ. 154.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც გიორგი საჭიროდ თვლიდა მოცემულ ისტორიულ სიტუაციაში სამეფოს გაუქმებას, იყო ის, რომ ამ გზით აღიკვეთებოდა ტახტის პრეტენდენტთა დაპირისპირების მიზეზი, რაც, მისი სიკვდილის შემდეგ, მისი ოჯახის უსაფრთხოების გარანტიას იძლეოდა. გიორგი მეფის თანამედროვენი არ ეჭვობდნენ, რომ მან ასეთი თხოვნა გაუგზავნა რუსეთის იმპერატორს. ეს ჩანს მისი შვილის, უფლისწული დავითის რეაქციიდანაც, რომელმაც შეიტყო რა ეს, გაბრაზებულ გულზე წამოიძახა: „მამამ ჩვენ ყელი გამოგვჭრა“. მაგრამ ეს უკანასკნელი ფაქტი გვიჩვენებს, რომ მეფის გადაწყვეტილება დიდწილად ერთპიროვნული იყო და არ იყო შეთანხმებული საქართველოს ფართო პოლიტიკურ წრეებთან.

საქართველოს წინადადება რუსეთს კამათისა და აზრთა სხვადასხვაობის გარეშე არ მიუღია: ისმოდა ხმები ამ ნაბიჯის წინააღმდეგ, რათა ირანთან და თურქეთთან დამატებითი პრობლემები არ შექმნილიყო. თუმცადა, საქართველოს შეერთების მომხრეებს უფრო დამაჯერებელი არგუმენტები ჰქონდათ – ამ ქვეყნის სტრატეგიულად მომგებიანი ადგილმდებარეობა და რესურსები, რაზედაც თავად მუსინ-პუშკინმა ამომწურავად მოახსენა იმპერატორს. ცხადია, რომ მომდევნო იმპერატორის, ალექსანდრე I-ის ოფიციალურ მანიფესტში, რომლის მიხედვითაც რუსეთი იღებდა საქართველოს თავის საზღვრებში მისი გადარჩენისა და დაცვის მიზნით, არ შეიძლება ნახსენები ყოფილიყო ეს უფრო პრაგმატული მიზნები.

რთულია თქვა, რომ საქართველოში მეფე გიორგის აზრი სჭარბობდა. შეიძლება, პირიქით, ის თავადაზნაურები და უფლისწულები, რომლებიც სხვაგვარად ფიქრობდნენ, უფრო მეტნი იყვნენ. გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ მეფის მრჩეველი სოლომონ ლიონიძე ლამის ემუდარებოდა უფლისწულ დავითს, ესარგებლა არეულობით და საქართველოს მეფის გვირგვინი დაედგა სვეტიცხოვლის ტაძარში. მაგრამ დავითი ვერ იღებდა გადაწყვეტილებას, ელოდა რა რეგალიებს პეტერბურგიდან და სჯეროდა, რომ რუსეთი გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებს შეასრულებდა.

რუსეთმა იცოდა ქართველების არაერთგვაროვანი განწყობის შესახებ. სიონის ტაძარი, რომელშიც გენერალმა კნორინგმა შეკრიბა ქართველი არისტოკრატია, რათა იმპერატორისთვის ფიცი დაედოთ და მისი მანიფესტი ფიცის ქვეშ მიეღოთ, გარშემორტყმული იყო 10 ათასი რუსი ჯარისკაცით იმ შემთხვევისთვის, თუ ამბოხი დაიწყებოდა. იმ

ქართველ თავადაზნაურებს, რომლებმაც შეიტყვეს მანიფესტის შინაარსის შესახებ და აღშფოთებულები გამორბოდნენ ტაძრიდან გამიშვლებული ხმლებით, აპატიმრებდნენ. მე არ ვფიქრობ, რომ სწორი იქნება იმის მტკიცება, რასაც ხშირად აკეთებენ, რომ ქართველ არისტოკრატებს ზარბაზნების ქვეშ აიძულეს ალექსანდრეს მანიფესტის მიღება. სიტუაცია უფრო რთულია და, თუნდაც ზოგიერთის არჩევანი, გიორგი XII-ის შეხედულების მსგავსად, საკუთარი სიცოცხლის შიშით აიხსნებოდა. სხვების გადაწყვეტილებას განსაზღვრავდა რწმენა და დაჯერება, რომ ის, რაც ხდებოდა, ბედისმიერი გარდაუვალობა იყო და უფრო მისაღები ალტერნატივა არ არსებობდა. სიონის ტაძარში შეკრებილ ქართველ დიდებულთა საერთო აზრი რომ ყოფილიყო ის, რომ რუსეთი იმონებდა საქართველოს, თავადაზნაურთა არა მარტო მცირე ნაწილი გამოვარდებოდა გარეთ აღმართული ხმლებით, არამედ საყოველთაო აჯანყება დაიწყო.

თუმცა ნებაყოფლობით მიერთებაზეც ძნელია ილაპარაკო. ფიცდადებული ქართველების ნაწილში მაინც, ნებაყოფლობის გარეგნულ ფაქტს მიღმა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, იყო ბედისმიერი, ტრაგიკული გარდაუვალობის შეგრძნება, რომ ერის ფიზიკური და სულიერი გადარჩენისთვის ამ ეტაპზე საჭირო იყო ალექსანდრეს მანიფესტის მიღება და პოლიტიკური დამოუკიდებლობის საფასურის გაღება.

რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ ფიცდადებულმა ქართველებმა დაიწყეს ფიქრი თავისი გადაწყვეტილების მართებულობის შესახებ, რადგან რუსულმა მმართველობამ ბევრჯერ გააწვილა ისინი. აჯანყებისა და ქართული სამეფოს აღდგენის შიშით რუსეთმა საქართველოდან გაიწვია სამეფო გვარის წარმომადგენლები – ბაგრატიონები, მისცა მათ სოლიდური პენსიები, რუსეთში ჩარჩენილებს კი უკან აღარ უშვებდა.

აღწერდა რა ქართველების იმედგაცრუებას, პლატონ იოსელიანმა მამამისის სიტყვები მოიყვანა, რომელმაც ერთხელ წამოიძახა: „არავინ ველოდით რუსთაგან ამას... უცნობნი კაცთა, არა დამფასებელნი ღირსებათა, ცივად მხედველნი, ცივად მგრძნობელნი; მეფენი მათნი თვისთა ერთაგან დაშორებულნი, და ვითარცა ტყვენი ვეზირთა ხელთა შინა, რომელთაცა უწოდებენ მინისტრებად. მიხედეთ ამათ მართალმსაჯულებასა? განა კაცი დააწყობს ესრეთსა სამსაჰულოსა?.. ქრთამიო, იტყვიან, გარნა ესოდენი და ესრეთი მექრთამეობა შესაძლებელია სადმე? რა გაეწყობა!.. მივიღოთ ყოველივე სიმდაბლით და დავემორჩილოთ

განგებისა ხელსა”⁷. ამ მორჩილებაში ქართველების ნაწილი მაინც უფრო მეტად პოზიტიურს ხედავდა, ვიდრე ნეგატიურს. როგორც იოსელიანი წერდა: „განგებამან ღვთისა ქმნა ესე, რომელ რუსთა ძალითა დამშვიდდნენ მთისა მცხოვრებნი, თემნი და თვით ქართველთა სამეფოდასა დაგლეჯილნი და დანაწევრებულნი გაუქმდნენ და მცხოვრებნი თემთა ამათ: იმერელნი, მეგრელნი, გურულნი, სვანნი, რაჭველნი და სამცხენი ათაბაგთა, შეიქმნენ და იწოდნენ ქართველებად“⁸.

თანდათანობით უკმაყოფილება რუსეთის ხელისუფლებით გლეხებშიც გავრცელდა, რომლებმაც დასაწყისში საკმაოდ გულთბილად მიიღეს ახალი პოლიტიკური მდგომარეობა. ამ უკმაყოფილებამ სხვადასხვა წოდების ქართველები გააერთიანა. მასშტაბურმა აჯანყებებმა იფეთქა მთიულეთში, კახეთსა და სხვა ადგილებში, მაგრამ ყველა მათგანი ძალის გამოყენებით ჩაახშვეს. 1811 წელს საქართველოს სულიერი დამოუკიდებლობის სიმბოლო – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტახტი გაუქმდა და ქართველ მართლმადიდებელ ქრისტიანთა რელიგიური ცხოვრება პეტერბურგიდან დანიშნული ეგზარქოსის ხელში გადავიდა. ხელისუფლებას არ უნდოდა დაეშვა, რომ მთელ იმპერიაში ერთადერთი კათალიკოს-პატრიარქი საქართველოში ყოფილიყო დაბრძანებული. საეკლესიო ცხოვრებაში ამ და მომდევნო ნაბიჯებმა, როგორც იყო ქართულ ენაზე ღვთისმსახურების საეკლესიო სლავურით, ქართველი საეკლესიო მსახურების რუსებით შეცვლა და უძველესი ფრესკების გადაღება, გამოიწვია ეკლესიის მიმართ ქართველების გაუცხოება და სულიერი ცხოვრების დაცემა. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორი იქნებოდა აღსარების საიდუმლო, როდესაც რუსულის არმცოდნე ქართველს აღსარება ქართულ ენაზე უნდა ეთქვა მღვდვლისთვის, რომელსაც მისი არ ესმოდა.

რაც შეეხება ძველი რუსული ფრესკების გადაღებას, ეს იმპერიის მთელ ტერიტორიაზე ხდებოდა, სადაც შუასაუკუნეების სტილი ახლით, ევროპული ბაროკოს ზეგავლენით, იცვლებოდა. თუმცა ეს საქართველოში სხვაგვარად ესმოდათ – როგორც მცდელობა, წაეშალათ ისტორიული მეხსიერება და ქრისტეს, ღვთისმშობლის, წმინდანებისა და ანგელოზების სახეებში გამოხატული ქართული ეთნოტიპი. ქართველებს მიაჩნდათ, რომ, თითქოს მათ „უნდა შთააგონონ, რომ მანამდე, სანამ საქართველო რუსეთს შეუერთდებოდა, იქ არაფერი ყურად-

⁷ Op. cit. გვ. 204

⁸ Ibid. გვ. 247.

ღების ღირსი ან საამაყო, რასაც კულტურული მნიშვნელობა ექნებოდა, არ შექმნილა. ნამდვილი, ისტორიული აზრით სავსე ცხოვრება დაიწყო მხოლოდ რუსეთთან შეერთების შემდეგ“.

ნაციონალური თვითშეგნება ზარალდებოდა და ემიჯნებოდა წმიდა რელიგიურ თვითშეგნებას. შეიძლება ითქვას, რომ საეკლესიო საქმეებში რუსეთის ჩარევამდე მართლმადიდებელი ქართველების ნაციონალური და რელიგიური იდენტობები ერთიდაიგივე იყო. ხოლო უკვე მე-19 საუკუნის 30-იან წლებში ბარათაშვილი სოლომონ ლიონიძეს ათქმევინებს: „სახელმწიფოსა რჯულის ერთობა არარას არგებს ოდეს თვისება ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს“.

სწორედ ეს „ზნე-ჩვეულებები“ უფრო შესამჩნევი გახდა მე-19 საუკუნის საქართველოში და ქართველების ახალმა ნაციონალურმა თვითშეგნებამ თანდათან დაიწყო ჩასახვა. მაგრამ იმის თქმა, რომ მართლმადიდებელი რწმენა რაღაც მომენტში რუსეთსა და საქართველოს ურთიერთობებში აღარ იყო მნიშვნელოვანი ფაქტორი, შეცდომა იქნებოდა.

საეკლესიო და საერო ხელისუფლებას შორის ბიზანტიური სიმფონიის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია ისევ ძალაში რჩებოდა. ის იდეა, რომ მართლმადიდებლობა – ჭეშმარიტი რწმენაა და რომ მონარქი, პირველ რიგში, უნდა ზრუნავდეს მართლრწმენაზე, შეურყეველი რჩებოდა. როცა საქართველოს სამეფოს აღდგენის უკანასკნელი მცდელობა, ანუ 1832 წლის შეთქმულება (რომელიც ითვალისწინებდა იმპერატორის ნაცვლების დაპატიმრებას და უფლისწულ ალექსანდრეს ჩამოყვანას თურქეთიდან მის ტახტზე ასაყვანად) მარცხით დამთავრდა. ქართველ თავადაზნაურთა უმრავლესობამ, იმათაც კი, ვინც ამ შეთქმულებას ხელმძღვანელობდნენ, არსებული პოლიტიკური რეალიები მიიღო როგორც ბედისწერა. ვინაიდან მართლმადიდებელი თავადაზნაურებისთვის ღმერთის მსახურება მიწაზე მის მიერ მირონცხებულის, მეფის ან იმპერატორის მსახურებით ვლინდებოდა. ქართველებმა თავისი ერთგულება, საკუთარი მეფის არყოლის გამო, რუსეთის იმპერატორზე გადაიტანეს. გარდა იძულებითი კონფორმიზმისა, ადგილი ჰქონდა ფუნდამენტურ რელიგიურ შეხედულებებსაც. ყველაზე პატიოსანი ქართველი თავადაზნაურებიც კი იმპერატორისთვის მსახურებას თავიანთ რელიგიურ მოვალეობად თვლიდნენ, ამიტომ ემსახურებოდნენ არა მარტო ბედისწერით იძულებულნი, არამედ სინდისიერადაც.

იმპერატორის სამსახურში ქართველ თავადაზნაურთა ერთგულება და გმირობა ყველასგან იყო აღიარებული. გავიხსენოთ პუშკინი: „ქართველები მეომარი ხალხია. მათ დაგვიმტკიცეს სიმამაცე ჩვენი დროშების ქვეშ“ (1829 წლის მოგზაურობა არზრუმში). ათეულობით ქართველმა გენერლის ჩინი დაიმსახურა, რაც ასეთი პატარა ერისთვის მეტად შთამბეჭდავია. იმპერატორის სამსახურში მყოფი ქართველი თავადაზნაურები ოცნებობდნენ რუსეთის არმიის დახმარებით თურქეთისა და ირანის მიერ წართმეული ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებაზე. ბევრ ქართველ თავადაზნაურს ახალი იდენტობის გრძნობა განუვითარდა: რუსი – იმპერატორის სამსახურის მიხედვით, რაც არსებული თეორიით ნიშნავდა ღვთიური მისიის შესრულებას მიწაზე, ქართველი კი – სისხლით, ნაციონალური თვითშეგნებით და მრავალსაუკუნოვანი კულტურულ-პოლიტიკური არსებობის ისტორიული მეხსიერებით.

ამ ორმაგი იდენტობის ფენომენს კარგად გადმოგვცემს გიორგი ორბელიანის პოემა „სადღეგრძელო, ანუ ბრძოლის შემდეგ ღამე ლხინი“. ამ პოემაში პოეტი ადიდებს რუსეთის იმპერატორს, ნიკოლოზ I-ს და მის შემდეგ კი გასული საუკუნეების დიდებული ქართველი მეფეების „სადღეგრძელოს სვამს“. უკანასკნელი მეფის, ერეკლეს პატივსაცემ სადღეგრძელოში მწუხარების ნოტები ისმის: „ივერიის (ანუ საქართველოს) დიდება მასთან ერთად არის დამარხული“ („დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს“). ყველაზე საინტერესო ის არის, რომ პოემის ბოლოს ისმის „სამშობლოს“ სადღეგრძელო, ხოლო „სამშობლო“ ნიშნავს არა რუსეთის იმპერიას, არამედ საქართველოს და ეს იმ დროს, როდესაც სიტყვა „საქართველოც“ კი ამოღებული იყო ოფიციალური ხმარებიდან.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქართველები დასტიროდნენ პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვას, ოცნებობდნენ თავისუფლებაზე, მაგრამ, ამავე დროს, ესმოდათ, რომ ისტორიის ამ ეტაპზე ამის რეალიზება შეუძლებელი იყო. გრიგოლ ორბელიანი სხვა ლექსში წერდა: „სიტყვა [ანუ სიტყვა იმის შესახებ, რომ საქართველო ისევ თავისუფალი უნდა გახდეს] ერთია, საქმე კი სხვა: ოქროს ჯაჭვი თავისუფლებაზე უმჯობესია“. გაჩნდა, მართალია, ერთეული, მაგრამ მაინც ულტრა-პესიმისტური თეორიებიც. 1872 წელს სენატორი გიორგი მუხრანბატონი ნაშრომში, სახელწოდებით „ნაციონალური ინდივიდუალურობის არსისა და ხალხის დიდი ერთეულების საგანმანათლებლო

მნიშვნელობის შესახებ“, წერდა, რომ ყველა ხალხი, ისევე როგორც ცალკეული ინდივიდები, ცხოვრობს და კვდება, ანუ შეერწყმის სხვა ხალხებს და, რომ საქართველოსთვის ისტორიის სწორედ ეს ბოლო პერიოდი დადგა.

დიმიტრი ყიფიანი, ქართველ თავადაზნაურთა წინამძღოლი XIX საუკუნეში, წერდა: „მე ქართველი ვარ, მაგრამ რუსი ვარ სამსახურის მიხედვით“. ყიფიანი იმპერატორში ხედავდა ერთადერთ მართლმადიდებელ მირონცხებულს მიწაზე, ამიტომ თავის რელიგიურ ვალად მიაჩნდა, ემსახურა რუსეთის იმპერიისთვის სინდისიერად და პატიოსნად. დრამა იმაში მდგომარეობდა, რომ ასიმილაციისა და რუსიფიკაციის იმპერიული პოლიტიკა ხშირად ეწინააღმდეგებოდა დიმიტრი ყიფიანის სიყვარულს საქართველოსადმი და სურვილს, შეენარჩუნებინა თავისი ენა და თვითმყოფადობა. თვითონ დიმიტრის მთელი სიცოცხლის განმავლობაში უხდებოდა ამ დილემასთან პირისპირ ყოფნა და მასთან ერთად ცხოვრება. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა მაგალითი, როდესაც პეტერბურგში გადაწყვიტეს გაეუქმებინათ დასახელება „ქართველი თავადაზნაურობა“, იმ ლოგიკით, რომ ვინაიდან საქართველოს სამეფო უკვე აღარ არის, თავადაზნაურობას, რომელმაც რუსეთის იმპერატორს შეჰფიცა, უფლება აღარ აქვს ქართველად იწოდებოდეს (ცხადია, იმპერიის იდეოლოგები ამ დასახელებაში სეპარატიზმის საფრთხეს ხედავდნენ).

დიმიტრი ყიფიანმა, საფრთხის ქვეშ დააყენა რა საკუთარი კარიერა, დიდი ძალისხმევით ფასად მაინც დაიცვა „ქართველი თავადაზნაურობა“. როგორც ის წერდა ოფიციალურ წერილში: „ქართველი თავადაზნაურობა ის წოდებაა, რომლის წევრთა შორის არ არის ერთი ადამიანიც, რომ მზად არ იყოს თავი შესწიროს ხელმწიფე იმპერატორს“... “რა არის საერთო იმათსა [ე.ი. პოლონეთის თავადაზნაურობასა] და ჩვენს შორის?”⁹

დიმიტრი ყიფიანის დრამის კულმინაცია სიცოცხლის ბოლოს დაკავშირებულია მუამბოხე სტუდენტის მიერ ერთ-ერთი ქართული გიმნაზიის დირექტორის მკვლელობასთან. როცა ეგზარქოსმა პავლემ, მთავარმა რელიგიურმა პირმა საქართველოში, მოკლული დირექტორის დაკრძალვის დროს დაწყევლა არა მარტო ეს სტუდენტი, არამედ მთელი ხალხი („დაე წყეულ იყოს მკვლელი და წყეულ იყოს ხალხი,

⁹ იხ. არჩილ ჯორჯაძე, „დიმიტრი ყიფიანი“. ნაშრომები, თბილისი, „მერანი“ 1989, გვ. 516.

რომელმაც ის შვა”), მთელი ქართველი საზოგადოების გულისწყრომა გამოიწვია, მაგრამ ვერავინ გაბედავდა ამ აღმაშფოთებელი ფაქტის წინააღმდეგ ხმის ამაღლებას. დიმიტრიმ მისწერა ოფიციალური წერილი ეგზარქოსს და მოითხოვა ბოდის მოხდა. „ამბობენ, რომ თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიაც სამწყსოთ ხართ მოწოდებული და რომელიც მარტოდენ სიყვარულსა და შეწყალებას მოელოდა თქვენგან, ქრისტეს მსახურისა და წარმომადგენლისაგან... ..თუ ყოველივე ეს, მეუფევ, მართალია, თქვენი თანამდებობის ღირსების გადარჩენა მხოლოდ იმითი შეიძლება, რომ შემრაცხყოფელი ადამიანი შეურაცხყოფილი ქვეყნიდან დაუყოვნებლივ იქმნას გასული”¹⁰, – კატეგორიულად მოითხოვდა დიმიტრი. ბოდში არ მოუხდიათ. დიმიტრის თავზე ღრუბლები მოგროვდა და ყველას ესმოდა, რომ ამ წერილით მან თავი სასჯელისთვის გაწირა. დიმიტრი საქართველოდან ასტრახანში გადაასახლეს, სადაც ის გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ ყველა იერარქი, რომლებსაც რუსეთი აგზავნიდა საქართველოში, პავლეს მსგავსნი იყვნენ და საეკლესიო ურთიერთობებს საქართველოსთან ნათელი მხარეები არ ჰქონდა. სულაც არა. იყვნენ პატიოსანი მოძღვრებიც, ნამდვილი ქრისტიანები. გარდა ამისა, საქართველოს ბევრი გამოჩენილი რელიგიური მოღვაწე, თავისი ქვეყნის პატრიოტი, რუსეთის სასულიერო სასწავლებლებში აღიზარდა. რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში იყვნენ ცნობილი წარმომადგენლები, რომლებიც პატივს სცემდნენ საქართველოს ნაციონალურ კულტურას და ხელსაც კი უწყობდნენ მის განვითარებას.

თუკი ქართველები არ დაიზარებდნენ, აღედგინათ ძველი საეკლესიო სიმღერები, მათი მცდელობა წარმატებული იყო (არ შეიძლება ყველაფერი იმპერიას დაბრალდეს: ბევრი რამ ცუდი, როგორც ამას თვითონ ქართველები წერდნენ, ხდებოდა საკუთარი სიზარმაცის, კონფორმიზმის და სულმოკლეობის გამო).

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ საეკლესიო პირებს შორის იყვნენ გამოჩენილი ეპისკოპოსებიც, რომლებიც რუსეთის იმპერიას მიიჩნევდნენ ისტორიული ქრისტიანული მისიის მატარებლად მთელი სამყაროსთვის.

მაგალითად, წმ. ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე ერთ-ერთ თავის ქადაგებაში რუსეთს, რომელიც ამ დროს ებრძოდა რა ოსმალეთის იმ-

¹⁰ Ibid. გვ. 575

პერიას, ათავისუფლებდა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქრისტიან ხალხებს ისლამური უღლისგან, ადარებდა მოწყალე სამართელს ბიბლიური იგავიდან. მის გულწრფელობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

მე-19 საუკუნის ქართველი ინტელექტუალების თაობა, რომელიც „თერგდალეულად“ ანუ „თერგის წყლის დალეულად“ იწოდებოდა, საკუთარი ისტორიისა და ნაციონალური ბედისადმი თვისობრივად ახალი მიდგომის ინიციატორი იყო. ეს დასახელება ნიშნავდა, რომ მათ დატოვეს საქართველო და ევროპული განათლება მიიღეს რუსეთის საუკეთესო უნივერსიტეტებში. ამ მოძრაობის მეთაური იყო ილია ჭავჭავაძე, რომელიც, ფაქტობრივად, ახალი ქართველი ერის მამა გახდა.

ევროპული და რუსული ლიბერალიზმის ტრადიციებზე აღზრდილმა ჭავჭავაძემ წამოაყენა ქრისტიანობის ახალი, ლიბერალური გაგება, რომელიც უკვე აღარ იყო იუსტინიანეს დროის შუასაუკუნეობრივ პოლიტიკურ თეოლოგიაში ჩაკეტილი და არ გულისხმობდა „მორცხებულ მონარქს“ მართლმორწმუნეობის განუყოფელ ნაწილად.

ჭავჭავაძის აზრით, პირიქით, მონარქისადმი თავდადებული ერთგულება, რომლის ხელისუფლებაც არა მარტო გზას უღობავდა ქართველების ნაციონალურ თვითგამოხატვას, არამედ პერსპექტივაში მათ სრულ ასიმილაციას უქადდა, არანაირი საერთო არ ჰქონდა ქრისტიანულ სულისკვეთებასთან (რომელსაც, ჩემი აზრით, ილია აიგივებდა ევროპული განათლების სულისკვეთებასთან). ამ ახალი ხედვით ქრისტიანული სულისკვეთება თავისუფლად სუნთქავს ყოველი ცალკეული ხალხის ნაციონალურ თვითგამოხატვაში და მიწიერ განზომილებაში ქრისტეს მსახურება არა იმპერატორის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ხალხის მსახურებით ხორციელდება. ილია ჭავჭავაძის ეს იდეები ახლოა გერმანული რომანტიკული ნაციონალიზმის იდეებთან – *a la* ფიხტე.

ქრისტიანობის ახალ ხედვაში თავისუფლების ცნებას ცენტრალური ადგილი ეკავა. სიცხადისა და გარკვეულობისთვის მე მოკლედ გადმოგცემთ მენტალურ სტრუქტურაში ამ საბედისწერო შემოტრიალების არსს, თუმცა ასეთმა გარკვეულობამ შეიძლება ძალიან რთული საკითხის გამარტივება გამოიწვიოს. განმანათლებელთა ეპოქამდე რელიგიაში მთავარი იყო სწორი დოგმები, რომლებსაც მსოფლიო ან ადგილობრივ საეკლესიო კრებებზე ამტკიცებდნენ. თუმცა როგორ იღებდა ხალხი ამ დოგმებს – თავისუფლად და საკუთარი ნებით ან

იძულებით, გაგებით და გააზრებით ან მორჩილებით ასეთი გააზრების გარეშე – დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

გამოდინდა, რომ ხსნა არის რაღაც მაგიური აქტი, რომელიც ხდება ადამიანის თავისუფალი არჩევნის და პიროვნული გაცნობიერების გარეშეც კი (ეს ორი ცნება ერთმანეთისგან განუყოფელია), ამდენად, საჭიროა მხოლოდ მორჩილად მივდიოთ წმინდა ტრადიციას. ამ ტრადიციის განუყოფელი ნაწილი იყო ისიც, რომ იმპერატორი ითვლებოდა ღმერთის ნაცვლად მიწაზე, ხოლო მისი პოლიტიკა – უმაღლესი აზრის განხორციელებად. ასეთი მენტალობის ქართველს, რომელიც ხედავდა, როგორ ზღუდავდა რუსეთის იმპერიალური პოლიტიკა მორწმუნეთა თავისუფლებას მის ქვეყანაში, ცვლიდა რა ქართულ ღვთისმსახურებას რუსულით ან ოფიციალურად აცხადებდა რა რუს წმინდანს, მაგალითად, მიხეილ ტვერელს კავკასიის მფარველად (ახდენდა რა ამით ათასობით ქართველი წმინდანის ნიველირებას), შეიძლებოდა გაეფიქრა: „დიახ, არც ისე სასიამოვნოა, რომ პატივს არ გცემენ, გაიძულებენ, მაგრამ მთავარი ხომ დოგმებია, სხვა ყველაფერი კი სულის ხსნის საქმეში არც ისე მნიშვნელოვანია“.

ქრისტიანობის ახალი, განმანათლებლური ხედვით, რომელსაც ილია ჭავჭავაძემ იზიარებდა, თავისუფლების გარეშე არ არსებობს არც ავთენტური ქრისტიანობა; თავისუფლებისა და გონების შუქის გარეშე ყოველგვარი დაქვემდებარება და მორჩილება ყალბია და დეგრადირებას იწვევს. რაც შეეხება მონარქიას, ეს პოლიტიკური მოდელი ჭავჭავაძისთვის იყო ისტორიული და არა რელიგიური ფენომენი, რომელსაც შეეძლო და უნდა შეცვლილიყო ახალი დროის დადგომასთან ერთად. იმ დროს კი ასეთი იდეები შეიძლება სატანისტურად ჩათვალიათ, იმიტომ რომ, ტრადიციული შეხედულებით, იმპერატორი ხელს უშლიდა ანტიქრისტეს მოსვლას, ასე რომ, ის, ვინც მას მხარს არ უჭერდა, ბოროტების ძალების აგენტი იყო.

ასკეტური გმირობით სახელგანთქმული ადამიანებიც კი, მაგალითად, წმ. ილარიონ ყანჩაველი, იმერეთის მეფე სოლომონის (რომელიც, სხვათა შორის, მოტყუებით ჩამოიყვანეს თბილისში მეფის ადმინისტრატორებმა, რომ დაეპატიმრებინათ და მეფობა ჩამოერთმიათ, რაც მოხდა კიდევ 1810 წელს) მოძღვარი, რომელიც ათონის მთაზე მოღვაწეობდა, თვლიდა, რომ რუსეთის იმპერატორი მთელი სამყაროსათვის ასრულებს რელიგიურ მისიას, როგორც ერთადერთი მართლმადიდებელი მონარქი.

ილია ჭავჭავაძე და თერგდალეულები გამოვიდნენ ამ ჩაკეტილი მოდელიდან და დასავლური განათლების ზეგავლენით შექმნეს ახალი ქართული მენტალობა. ამ მენტალობის მიხედვით, პირადი სინდისი და თავისუფლება, როგორც ინდივიდუალურ, ასევე, სოციალურ და ნაციონალურ გამოხატვაში, სულიერი ქრისტიანული ცხოვრების ცენტრში იყო. მხოლოდ თავისუფალ და პასუხისმგებელ მოქალაქეებს, რომლებიც ენდობოდნენ „პატარა ღმერთს თავის თავში“, ანუ პირად სინდისს, შეეძლოთ შეექმნათ ახალი საქართველო. ილიას და სხვა თერგდალეულებს უყვარდათ რუსული კულტურა, აღიარებდნენ დიდ რუს ლიბერალ მოაზროვნეებს და მწერლებს: ფონვიზინს, ჩაადაევს, გერცენს, დობროლუბოვს, ბელინსკის, პუშკინსა და სხვებს თავის მასწავლებლებად თვლიდნენ ევროპელების გვერდით. ისინი თარგმნიდნენ რუსული ლიტერატურის შედეგებს და იყენებდნენ მათ ნიმუშებს საკუთარი ნაწარმოებებისთვის.

აშენებდნენ რა ქართული სკოლების საგანმანათლებლო სისტემას, ქართველი განმანათლებლები ისეთი პროგრესული რუსი თეორეტიკოსების, იდეებით და თეორიებით სარგებლობდნენ, როგორებიც იყვნენ კ. დ. უშინსკი და ნ. ა. კორფი. აი, რას წერდა ამ უკანასკნელის გარდაცვალებისას თერგდალეულთა სხვა ცნობილი წარმომადგენელი იაკობ გოგებაშვილი მოსახსენიებელ სიტყვაში: „კორფი ისევე მოულოდნელად გარდაიცვალა, როგორც რუსეთის საუკეთესო შვილები კვდებიან. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ პუშკინები, ლერმონტოვები, დობროლუბოვები, უშინსკები, კორფები ახალგაზრდები კვდებიან, ხოლო კატკოვები, ლეონტიევი, პობედონოსცევი, სუვოროვი, მეშჩერსკები და სხვა, ბნელეთის მოციქულები მათუსალაზე მეტ ხანს ცოცხლობენ და ყველას თავს აბეზრებენ“.¹¹

ცხადია, რომ დასავლეთის მიმდევართა და სლავოფილების დაპირისპირებაში ახალი ქართველი ინტელექტუალების გმირები პირველნი იყვნენ. თერგდალეულთა კრიტიკის ობიექტი იყო არა რუსეთი, არამედ თვითმპყრობელი ხელისუფლება. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები, ხედავდნენ რა, რომ იმპერიები ინგრეოდა მთელ სამყაროში, იმავე ბედს უწინასწარმეტყველებდნენ რუსეთსაც. ისინი თვლიდნენ, რომ, აქედან გამომდინარე, ქართველები უნდა მომზადებულიყვნენ ასეთი დასასრულისთვის და, იმყოფებოდნენ რა იმპერიის შემადგენ-

¹¹ იაკობ გოგებაშვილი, რჩეული პედაგოგიური ნაშრომები, თბილისი, 1977, გვ.177.

ლობაში, გაეძლიერებინათ თავისუფლების წყურვილი და ისტორიის ახალი გამოწვევების საპასუხოდ ერთიან ერად გაერთიანებულიყვნენ.

თერგდალეულები არ იყვნენ რადიკალები და არ მოუწოდებდნენ რევოლუციური ბრძოლისკენ. ისინი თანდათანობით განვითარებას ქადაგებდნენ და საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ხედავდნენ მხოლოდ ხანგრძლივ პერსპექტივაში, თვლიდნენ რა, რომ პირველად საჭირო იყო ავტონომიის მოპოვება, ხოლო შემდეგ – სრული თავისუფლების, მაგრამ ამისთვის ასწლიანი შრომა იქნებოდა საჭირო. შრომა კი სხვადასხვა მიმართულებით იყო საჭირო: განსხვავებული წოდებების გამყოფი ბარიერების და, აგრეთვე, სხვადასხვა მხარის ქართველების – გურულების, მეგრელების, სვანების, კახელებისა და ასე შემდეგ, გაუცხოების დაძლევა. ამისათვის იქმნებოდა ყველასთვის გასაგები ახალი ქართული ჟურნალისტური ენა.

საჭიროა ითქვას, რომ იმპერიის ადმინისტრატორები, ასევე მეცნიერი ეთნოგრაფები, ყველანაირად ცდილობდნენ, ხელი შეეშალათ ამ პროცესისთვის და წერდნენ საქართველოს სხვადასხვა მხარის მოსახლეობაზე, როგორც განსხვავებული ეროვნების წარმომადგენლებზე. როგორც უკვე ითქვა, თვითონ სიტყვა „საქართველოც“ კი აიკრძალა და ამ მიზეზით ილია ჭავჭავაძეს მოუხდა ჟურნალ „საქართველოს უწყებანის“ გამოცემის შეწყვეტა. თერგდალეულთა ინიციატივით შეიქმნა ეროვნული ქართული ბანკი („თავადაზნაურთა ბანკი“), რომელიც აფინანსებდა სხვადასხვა სახის პროექტს, მაგალითად, ქართული დამწერლობის გავრცელებას მთელ ქვეყანაში ან ახალ ქართულ თეატრს, სადაც ზოგჯერ პატრიოტული ხასიათის სპექტაკლები იდგმებოდა, რომელსაც იმპერიის ცენზურა სდევნიდა.

უნდა აღინიშნოს, რომ თერგდალეულთა ლიბერალურ-ნაციონალურ პროექტს დიდი წარმატება ჰქონდა სხვადასხვა წოდების და სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ქართველებს შორის. ეს პროექტი ითვალისწინებდა ქრისტიანობის, როგორც სოციალურ და პოლიტიკურ სფეროებში ისტორიული ცვლილებების „ფერმენტის“, ახალ გააზრებას. შოვინიზმი უცხო იყო თერგდალეულთა ნაციონალიზმისთვის, ვინაიდან ის ეფუძნებოდა ქრისტიანულ და განმანათლებელთა ფასეულობებს. როგორც ილია ჭავჭავაძე წერდა შოთა რუსთაველის პოემის მნიშვნელობაზე მსჯელობისას, „არანაირი ნაციონალური არ წარმოადგენს ღირებულებას, თუკი ის არ წარმოადგენს ღირებულებას მთელი კაცობრიობისთვის“. ამავე დროს, თერგდალეულები ყურადღებით

ადევნებდნენ თვალს დემოკრატიულ პროცესებს რუსეთში და ილია ჭავჭავაძის სახითაც კი, რომელიც დუმის დეპუტატი გახდა, მონაწილეობას იღებდნენ ამ პროცესებში. ისინი მიესალმნენ ალექსანდრე II-ის ლიბერალურ რეფორმებს, სასამართლოების გახსნას და ასე შემდეგ. ცნობილია, რომ ჭავჭავაძემ მოამზადა მთელი რუსეთის იმპერიაში სასიკვდილო განაჩენის გაუქმების მხარდასაჭერი სიტყვა, რომლითაც ის დუმაში უნდა გამოსულიყო, მაგრამ ამას ხელი შეუშალა მისმა მკვლელობამ 1907 წელს.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ყველა ვერსიიდან ჩემთვის ყველაზე სარწმუნოა, რომ ის მოკლეს ქართველი სოციალ-დემოკრატების ყველაზე რადიკალური ჯგუფის წარმომადგენლებმა. მათთვის თერგდალეულთა პროექტი ყალბი იყო და აფერხებდა ისტორიულ განვითარებას, რომელიც უნდა წარმართულიყო კლასობრივი ბრძოლის ლოგიკით, რომლის მიხედვითაც ყველა ეროვნება უნდა გაუქმებულიყო. თერგდალეულები, პირიქით, განიხილავდნენ ეროვნებას, როგორც სხვადასხვა სოციალური ფენის გამაერთიანებელ ფაქტორს, აღიარებდნენ პირად საკუთრებას და სამოქალაქო, ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარებას, რაც ეწინააღმდეგებოდა მარქსის თეორიას. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, რომელმაც ბოლო მოუღო რუსეთის იმპერიას, ამიერკავკასია საერთაშორისო დაპირისპირების ცენტრში მოექცა. შეიქმნა ამიერკავკასიის სეიმი, ხოლო მისი დაშლის შემდეგ საქართველომ, ქვეყნის თურქეთის შემოსევისგან დასაცავად, დახმარებისთვის მიმართა გერმანიას და რომლის მოწოდების შესაბამისად, თავი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა. დამოუკიდებელ საქართველოში სოციალ-დემოკრატები წარმოდგენდნენ დომინანტ პარტიას, რომელსაც სათავეში ედგა პრეზიდენტ-მენშევიკი ნოე ჟორდანიას, რომელმაც, როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ ასეთი ფრაზა თქვა: „ტყეს ჭრიან – ნაფოტები ცვივა“.

თუმცა დამოუკიდებლობის გამოცხადებამ პატრიოტული, ნაციონალური გრძნობები, გარკვეულწილად, სოციალ-დემოკრატებშიც გააღვიძა. კერძოდ, დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს ჟორდანიას თავის სიტყვაში ამბობდა: „მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო. მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისგან შევიწროვებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გა-

რეშე მტრისგან დაეცვა. რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დატოვა ამიერკავკასია... ..ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.”

ქვეყანა ხარობდა. დამოუკიდებლობის გამოცხადება ბევრი ქართველის ოცნების განხორციელებას ნიშნავდა. თვითმხილველთა მტკიცებით, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი 26 მაისის აღლუმების დროს, ხალხი, გამოხატავდა რა გულწრფელ სიხარულს, თავისი ნებით გამოვიდა ქუჩებში, განსხვავებით საბჭოთა დროის რიტუალური სადღესასწაულო აღლუმებისა, როდესაც გადამწყვეტ როლს თამაშობდა იძულება იდეოლოგიზებული სახელმწიფოსგან. მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობა ხანმოკლე იყო, 1921 წელს ქვეყანა დაიპყრო ბოლშევიკების მე-11 არმიამ. არ შეიძლება ითქვას, რომ ბოლშევიკებს არ ჰყავდათ გულწრფელი მომხრეები საქართველოში. თუმცა, ასეთ მომხრეებსაც კი არ შეიძლება გააზრებული არ ჰქონოდათ, რომ ბოლშევიკთა ხელისუფლება საქართველოს იმ ცარისტული მოდელისკენ დაბრუნებას უქადდა, როდესაც ქვეყნის საქმეებს და მის ბედს წყვეტდნენ არა ქართველები საქართველოში, არამედ სადღაც სხვანაირი, პეტერბურგში ან მოსკოვში.

„შემოდოდა სიკვდილი ცელით“, – წერდა თავის ლექსში კოლაუნადირაძე თბილისში 1921 წლის 25 თებერვალს მე-11 არმიის შემოსვლასთან დაკავშირებით. „სიკვდილი“ ამ სტროფში ნახმარია როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის მოკვლა. უმიზეზოდ კი არ წერდა სრულიად საქართველოს კათოლიკოსი ამბროსი ხელაია გენუის კონფერენციისადმი თავის მიმართვაში: „ოკუპანტები, მართალია, ლამობენ შინ და გარეთ ყველანი დაარწმუნონ, რომ მათ გაათავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად ბედნიერად ჰგონებოხს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყვი მე, მისმა სულიერმა მამამ... ..თამამად და გაუზვიადებლად ვამბობ, რომ ის ყოვლად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომელსაც ახდენენ ქართველი ერის ზურგზე, აუცილებლად

მიიყვანს მას ფიზიკურად გადაშენების და სულიერად გავლურების და გახრწნის კარამდე!”

ამავე მიმართვაში ამბროსი, აღნიშნავდა რა ეკლესიის სახლმწიფოსგან გამოყოფის საჭიროებას, ამატებდა, რომ ის, როგორც სასულიერო პირი, არ ეხება ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის თემას, მაგრამ, მისი აზრით, ნებისმიერი მოწყობა უნდა თვითონ ქართველების მიერ იყოს მიღებული და არ უნდა იყოს გარედან თავსმოხვეული, როგორც ეს ბოლშევიკებმა გააკეთეს.

იოსებ სტალინს, რომელიც ერთ-ერთი მთავარი იყო მათ შორის, ვინც საქართველოს ოკუპაციის უკან იდგა, უნდოდა გაეუქმებინა დასახელება „საქართველოს კომპარტია“ იმ ლოგიკით, რომ კომპარტიას არ შეიძლება ეროვნება ჰქონდეს. ამის გამო, რაც უნდა პარადოქსული იყოს, ლენინმაც კი, ესმოდა რა ნაციონალური საკითხის „არქისირთულე“, მხარი დაუჭირა საქართველოს კომპარტიის მაშინდელ მეთაურ ბუდუ მდივანს და დაადანაშაულა სტალინი „ველიკორუსულ“ შოვინიზმში (გასაკვირი არ არის, რომ ბუდუ მდივანი დახვრიტეს 1937 წელს. სტალინი ასეთ რამეს არავის აპატიებდა).

საბჭოთა დროს, როდესაც კრემლში გადაწყვიტეს „ტიტულარული ერებისთვის“ მიენიჭებინათ უფლება, წოდებულიყვნენ სოციალისტურ რესპუბლიკებად კავშირისგან გამოყოფის „თავისუფალი“, ანუ ფორმალური უფლებით, კომუნისტებს დასჭირდათ თერგდალეულთა ნაციონალური იდეები, რომლებსაც ქართველებისთვის შემკავშირებელი ძალა კვლავ შენარჩუნებული ჰქონდათ. ამ მიზნით მოხდა ილია ჭავჭავაძის რეაბილიტაცია მისი ნაციონალური პროექტის ფარგლებში. ამასთან, სრულიად უგულვებლევებს პირად საკუთრებაზე, თავისუფალ სამეწარმეო საქმიანობასა და სამოქალაქო უფლებებზე დაფუძნებული მისი ეკონომიკური იდეები.

საბჭოთა კავშირში დაშვებული ქართული პატრიოტიზმი, ცხოვრების ყველა ასპექტის მიმე იდეოლოგიზაციის პირობებში, გახდა ნოსტალგიური სიყვარულის გარკვეული სივრცე საბჭოთა იდეოლოგიის საპირწონედ, ვინაიდან ეს ნოსტალგია მიმართული იყო ძველი, არასაბჭოთა წარსულისკენ. იწერებოდა ისტორიულ-პატრიოტული მოთხრობები, რომანები, ლექსები, პოემები. ცენზურისგან თავდაღწეულმა ქართულმა არასაბჭოთა პატრიოტიზმმა სახელმწიფო ათეიზმის პირობებში რაღაც რელიგიური განზომილება მიიღო და მისდამი ქართველებს გულწრფელი გრძნობები გააჩნდათ, რაზედაც მეტყველებს

საბჭოთა დროის ქართული ლიტერატურა. ამ მოვლენას უარყოფითი მხარეც ჰქონდა: ქართველები არ ცდილობდნენ საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნოსიც ეზიარებინათ თავიანთი პატრიოტიზმისთვის, ამიტომ სამოქალაქო პატრიოტიზმის განვითარების და ეთნოცენტრიზმის დაძლევის შანსი დაიკარგა, რამაც, საბოლოოდ, ქვეყანა 1990-იანი წლების ტრაგიკულ მოვლენებამდე მიიყვანა.

1921 წელს ბოლშევიკების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რეალური ოკუპაციის შემდეგ შეიძლება თუ არა მთელი 70-იანი წლების საბჭოთა პერიოდს ოკუპაციის პერიოდი ეწოდოს? მე ვფიქრობ, რომ ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს. ისევე როგორც მეფის რუსეთის პერიოდში, საბჭოთა პერიოდშიც ქართველებმა არსებული რეალიები მიიღეს როგორც გარკვეული ისტორიული აუცილებლობა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლების დამხობის ყველა მცდელობა (ბოლო მათგანი 1924 წელს) წარუმატებლად დამთავრდა.

ამ გარემოებებში ქართველები ცდილობდნენ, განევიტარებინათ თავიანთი მატერიალური და სულიერი კულტურა იმ ჩარჩოებში, რის საშუალებასაც სისტემა იძლეოდა. ამასთან, არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ საქართველოს რუსეთთან და კავშირის სხვა რესპუბლიკებთან ურთიერთობისგან არანაირი სარგებელი არ მიუღია. ვითარდებოდა მეცნიერება, კულტურა (ლიტერატურა, თეატრი, კინო), სპორტი, შენდებოდა ინფრასტრუქტურა, გზები, ელექტროსადგურები, ქარხნები. თბილისი სსრკ-ის ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქად ითვლებოდა, არა მარტო მისი საბჭოთა პერიოდამდელი, არამედ საბჭოთა დროინდელი არქიტექტურის – ბეტონში ჩასმული სანაპიროს, ფართო პარკებისა და მეტროპოლიტენის გამოც.

ის, რომ ქართველები სსრკ-ის სხვა ხალხებთან ერთად მონაწილეობდნენ გერმანული ნაციზმის წინააღმდეგ ომში, კეთილი საქმის განხორციელებაში ერთიანობის გრძნობას იწვევდა¹². გერმანიის კაპიტულაციით გამოწვეული სიხარული საქართველოში გულწრფელი იყო¹³.

¹² საინტერესო მოვლენაა გერმანული ნაციზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველი ქართული საომარი პოეზია. ქართველი პოეტები წერდნენ ლექსებს არა როგორც საბჭოთა, არამედ როგორც ქართველი პატრიოტები, იცავდნენ რა საქართველოს ნაცისტებისგან: «ვისაც უნდოდა, ქართველი რომ გამხდარიყო ხიზანი//დავკარი, ვიყავ მართალი, ვით ჩემი ტყვიის მიზანი“ (გ. ლეონიძე, ლექსი „ნუ სწუხარ, დედა“).

¹³ რალა თქმა უნდა, იყვნენ ისეთებიც, როგორც, მაგალითად, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები, რომლებიც ჰიტლერს ემხრობოდნენ და გერმანიის გა-

საქართველოს და რუსეთის კულტურული კავშირები გაღრმავდა საბჭოთა კავშირის წლებში. გამოჩენილი რუსი მწერლები და პოეტები – მაიაკოვსკი, ესენინი, პასტერნაკი, მანდელშტამი და სხვები მჭიდროდ მეგობრობდნენ თავიანთ ქართველ კოლეგებთან. საბჭოთა წლებში საქართველოსა და რუსეთის ურთიერთგამამდიდრებელ კულტურულ და სამეცნიერო კავშირებზე ბევრი დაიწერა, მაგრამ ამ სტატიის ფორმატი ამაზე დაწვრილებით თხრობის საშუალებას არ იძლევა. დიდ რუს ფილოლოგებსა და ჰუმანიტარებს შორის, რომლებსაც მჭიდრო სამეცნიერო კავშირი ჰქონდათ ქართველებთან, იყვნენ დიმიტრი ლიხაჩოვი, სერგეი ავერინცევი, ალექსეი ლოსევი.

იყო თუ არა საქართველო იდეოლოგიზებული რესპუბლიკა და რამდენად გულწრფელად იღებდნენ ქართველები საბჭოთა იდეოლოგიას? მე ვფიქრობ, რომ საქართველო ნაკლებად იდეოლოგიზებული იყო, ვიდრე სხვა რესპუბლიკები, მაგრამ ამაზე მსჯელობა, ალბათ, არ შეიძლება საკმაო ემპირიული მასალის შეგროვების გარეშე, რაც რთული იქნება. სტალინის ქართული წარმომავლობა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო, ალბათ, ყველაზე მეტად დაზარალდა სტალინის რეპრესიების დროს, 1930-იან წლებში.

საინტერესოა, რომ ხრუშჩოვის მიერ პიროვნების კულტის დაგმობის შემდეგ, 1956 წლის 9 მარტს თბილისის ქუჩებში გამოვიდნენ სტუდენტები, რომლებიც ცდილობდნენ სტალინის მემკვიდრეობის დაცვას, მაგრამ იმავე დემონსტრაციაზე, რომელიც, დაახლოებით, 110 კაცის დაღუპვით დამთავრდა, ისმოდა შეძახილები: „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“ წარმოიშვა პარადოქსი: ზოგიერთი სტუდენტი გარეგნულად იცავდა სტალინის სახელსა და მემკვიდრეობას, აღიქვარა ხრუშჩოვის ბრალდება, როგორც ქართველების ნაციონალურ სიამაყეზე თავდასხმა. მაგრამ ამ სიამაყის შიგნით იმალებოდა დამოუკიდებლობაზე დიდი ხნის ოცნება, რომელიც სწორედ სტალინმა წაართვა საქართველოს 1921 წელს. თბილისელმა სტუდენტებმა სიცოცხლის რისკით ისევ მოაწყვეს დემონსტრაციები 1978 წელს. ისინი გამოვიდნენ ქუჩებში, რომ დაეცვათ ქართული ენის უფლება, ყოფილიყო სახელმწიფო ენა, რომელიც უნდა გაუქმებულიყო კონსტიტუციის ახალი, ბრეჟნევისეული პროექტის მიხედვით. ამჯერად დემონსტრაციები წარმატებით დამთავრდა და საქართველომ, სომხეთთან ერთად, სადაც

მარჯვენაში საქართველოს იმედს ხედავდნენ, მაგრამ ასეთი განწყობები საერთო ატმოსფეროს არ ცვლიდა.

ანალოგიური აქციები ჩატარდა, შეინარჩუნა ქართული სახელმწიფო ენად.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ოკუპაცია საბჭოთა კავშირის წლებში მე რთულ ფენომენად მესახება, ვინაიდან სიღრმისეული გაგებით, არა მარტო საქართველო, არამედ რუსეთიცა და დანარჩენი რესპუბლიკებიც ოკუპირებული იყვნენ საბჭოთა იდეოლოგიის მიერ და თავის თავზე განიცდიდნენ არარენტაბელური და არაბუნებრივი ეკონომიკური წყობის ნაკლოვანებებს, რომელსაც ადამიანის უფლებების დარღვევისა და პიროვნული თავისუფლების შეზღუდვის გამო ადამიანები ანთროპოლოგიურ კატასტროფამდე მიჰყავდა. და ეს ხდებოდა მთელ საბჭოთა კავშირში.

როდესაც რამდენიმე წლის წინ შეიქმნა „საქართველოს ოკუპაციის მუზეუმი“, მე არ მომეწონა ეს დასახელება, რადგან ის გულისხმობდა მხოლოდ რუსეთიდან ოკუპაციას. დიახ, რუსეთის ბოლშევიკებმა მოახდინეს საქართველოს ოკუპაცია 1921 წელს, მაგრამ ეს სიმართლის მხოლოდ ნაწილია და არ შეიძლება ითქვას, რომ 70 წლის განმავლობაში ქართველები თავს ოკუპირებულად თვლიდნენ და რესპუბლიკის უმეტესი მოსახლეობა საბჭოთა იდეოლოგიას როგორც უცხო ელემენტს ისე უყურებდა. მე ვმუშაობდი „სამშობლოს მოღალატეების“ რეპრესირებული ოჯახების ისტორიებზე და შემიძლია ვთქვა, რომ ბევრ მათგანს სწამდა, „სტალინმა არ იცოდა“ ან თვლიდა, რომ თვითონ სოციალისტური სისტემა კარგი იყო, მაგრამ ცუდმა ადმინისტრატორებმა ის გააფუჭეს.

ვაკეთებთ რა აქცენტს ოკუპაციის საგარეო ფაქტზე, ვივიწყებთ საბჭოთა იდეოლოგიის საშინაო ოკუპაციას, რომელიც სსრკ-ის ყველა მცხოვრებლის „კუთვნილება“ იყო. ამაზე დაუფიქრებლობა, შინაგანი თავისუფლების უქონლობით გამოწვეული ჭრილობების მოუშუშებლობა, პრობლემის მხოლოდ საგარეო ფაქტორებში დანახვა – იწვევს პიროვნების თავისუფლების შემზღუდავი ახალი იდეოლოგიების და სტრუქტურების სხვა ფორმებით წარმოშობას. ბევრწილად ესეც მოხდა საქართველოში სსრკ-ის დაშლის შემდეგ, როდესაც იქ გარკვეული დროით ულტრანაციონალისტური, ზოგჯერ უკიდურესობამდე მისული იდეოლოგია დამკვიდრდა. ომი სამხრეთ ოსეთში, შემდეგ კი აფხაზეთში – ბევრწილად ამ იდეოლოგიის პროდუქტია (უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის სპეცსამსახურები წარმატებით იყენებდნენ ამას იმისთვის, რომ აფხაზები და ოსები ქართველების წინააღმდეგ განეწყობა;

სეპარატისტული ძალები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ რუსეთის სპეცსამსახურებთან)¹⁴.

ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი წერდა, რომ საქართველო უნდა გახდეს დამოუკიდებელი, მაგრამ პოლიტიკური დამოუკიდებლობა სასურველია არა როგორც თვითმიზანი, არამედ როგორც კეთილისმყოფელი გარემო სუვერენული ქვეყნის თავისუფალი და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქეთა აღსაზრდელად. ამ გარემოს მამარდაშვილი უწოდებდა „ევროპული პასუხისმგებლობის“ გარემოს და მისკენ დაბრუნებას კი – „გზას სამშობლოსკენ“. უნდა ითქვას, რომ ამ „გზას“ საქართველო გადის ტრაგედიებით, ხშირი დაცემით.

ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს ქვეყანამ უარი თქვა ულტრანაციონალურ, ეთნოცენტრულ იდეოლოგიაზე და კურსი აიღო სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაზე. შევარდნაძემ ქვეყანა ევროპასთან ინტეგრაციის რელსებზე დააყენა, რაც შეესაბამებოდა ქართველ განმანათლებელთა ტრადიციებს, რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

NATO-სთან დაახლოების პირველი სერიოზული ნაბიჯიც შევარდნაძემ გადადგა. სავარაუდოდ, ეს გახდა ტერაქტის მიზეზი, რომლის შედეგადაც 1998 წლის თებერვალში დაიღუპა მისი დაცვის ორი თანამშრომელი. ბევრი თვლიდა, რომ ამ ტერაქტის უკან რუსეთის რეაქციული პოლიტიკური ძალები იდგა.

ამით ვამთავრებ ჩემს მოკლე ნარკვევს, არ ვეხები 21-ე საუკუნის საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობების დრამატულ მოვლენებს, რაც სპეციალური კვლევის საგანია. ვაჯამებ რა ყოველივე ნათქვამს, მინდა ხაზი გავუსვა, რომ ევროპისკენ სწრაფვა მრავალი ქართველისთვის ბედისწერა, მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული და განმანათლებლური ტრადიციების ორგანული გაგრძელება გახდა და ამის შეცვლა მე წარმოუდგენლად მიმაჩნია. დღესდღეობით ალტერნატიული სულიერი განწყობა, ფაქტობრივად, არ არსებობს.

და მიუხედავად იმისა, რომ რელიგიური წრეები ქადაგებენ „დასავლეთის გამხრწნელ ზეგავლენაზე“, „ჰომოსექსუალურ ევროპაზე“ და ასე შემდეგ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალური პოზიცია პოლიტიკურ განზომილებაში პროევროპულია.

¹⁴ ამის შესახებ იხ.: სვეტლანა ჩერვონაია. აფხაზეთი: პოსტკომუნისტური ვანდია. მოსკოვი: „მოსგორპეჩატ“, 1993.

დაბეჯითებით არ შემიძლია ვთქვა, რომ ეს პოზიცია აბსოლუტურად გულწრფელია, იმიტომ რომ ოფიციალური ეკლესია საკმაოდ რბილად ექცევა რადიკალურ წრეებს, რომლებმაც ეს შეიძლება, აღიქვან როგორც სოლიდარობის ენა. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, რომელ ხაზს ანიჭებს უპირატესობას საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია: ევროპულ საგანმანათლებლო ხაზს – *a la* ილია ჭავჭავაძე, რომელიც წმინდანად შერაცხეს 1987 წელს, თუ მეორე ხაზს, რომლის მომხრეებსაც სურთ, წარმოაჩინონ დასავლეთი და ევროპა მართლმადიდებლობისა და თვით ქრისტიანობისთვის მტრულ გარემოდ. ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველოს ევროპულ კურსს არ აქვს ანტირუსული საფუძველი. პირიქით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს კურსი დიდწილად რუსული საგანმანათლებლო აზრის ტრადიციას უკავშირდება.

საქართველოს დიდი ხნის და ღრმა კულტურულ-სულიერი კავშირი აქვს რუსეთთან, ალბათ უფრო მჭიდრო, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან. ვფიქრობ, რომ რუსეთის და საქართველოს ლიბერალურ, დემოკრატიულ ძალებს ბევრი საერთო აქვთ, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა იდეოლოგიური მემკვიდრეობის და *homo sovieticus* კომპლექსების დაძლევაში, რომლებიც ისევ ახალი ძალით ვლინდება ორივე ქვეყანაში. ამ საკითხს პოლიტიკური მნიშვნელობა მხოლოდ ირიბად აქვს, არსებითად, მას სულიერი, ეგზისტენციალურ-ანტროპოლოგიური განზომილება აქვს, რომელიც დაკავშირებულია პიროვნების აღდგენასთან, ღრმა, ქრისტიანულ-საგანმანათლებლო გაგებით. ჩვენ შეგვიძლია და უნდა ვითანამშრომლოთ ამ მუდმივ ჰუმანიტარულ საქმეში, ყველაფერი დანარჩენი კი, როგორც ამბობენ, მოგვეცემა.

ზაზა აბაშიძე

ქართულ-რუსული ურთიერთობები – მართლმადიდებლური ტრადიცია

ქართულ-რუსული ურთიერთობების თანამედროვე ეტაპს ძნელია უწოდო „ურთიერთობები“. სსრკ-ის დაშლის შემდეგ ორი, უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოს ურთიერთობა წლიდან წლამდე უარესდებოდა. საქართველო იყო და რჩება სამხრეთ კავკასიის ცენტრად. ის ყოველთვის თამაშობდა და კვლავაც ითამაშებს ერთ-ერთ მთავარ როლს არა მხოლოდ ცენტრალურ კავკასიურ „თამაშში“, არამედ მთელი კავკასიის ცხოვრებაში. ეს იციან საქართველოში, ამას, უნდათ თუ არა, აცნობიერებენ რუსეთშიც. რუსებს უჭირთ, შეეგუონ აზრს, რომ „ერთმორწმუნე“ საქართველო „წავიდა“ (რასაც დიდად უწყობდა ხელს თავად რუსეთის დამოკიდებულება საქართველოსადმი და ქართული ხელისუფლების არათანმიმდევრული პოლიტიკა). 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ ისედაც მძიმე სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები კიდევ უფრო გაართულდა, უფრო ზუსტად თუ ვიტყვი, საერთოდ შეწყდა. ეს არცთუ სასარგებლო უნდა იყოს ორივე ქვეყნის ხალხებისთვის. საქართველოს ევროპული არჩევანი სრულებითაც არ ნიშნავს, რომ საქართველოს სურს საბოლოოდ გაწყვიტოს კავშირი ჩრდილოელ მეზობელთან. არავითარ შემთხვევაში! ევროპული არჩევანი უნდა გულისხმობდეს პოლიტიკური ურთიერთობების ევროპულ სტანდარტს, და ეს, პირველ რიგში, სახელმწიფოს შიგნით სტაბილურობას და მეზობლებთან კეთილ დამოკიდებულებას ნიშნავს. რუსეთს უნდა აინტერესებდეს სტაბილური საქართველო, ისევე როგორც საქართველო უნდა იყოს დაინტერესებული სტაბილური რუსეთით. დარჩა კი რესურსი ურთიერთობისთვის? შესაძლებელია პროცესის შერბილება,

შემდეგ კი ურთიერთობის გაუმჯობესება? რესურსი დარჩა. პირველ რიგში, ეს ის კულტურულ-ისტორიული ტრადიციას, რომელმაც, მიუხედავად რთული ურთიერთობებისა როგორც წარსულში, ისე დღევანდელობაში, დააკავშირა და დაანათესავა ქართველები და რუსები.

მართლმადიდებლური სულიერი და კულტურული ფასეულობების დაცვა და გამოყენება ქართულ-რუსული საზოგადოებების თანამედროვე რეალობებში, უეჭველად პირველი რიგის ამოცანა არა მხოლოდ ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებში, არამედ თვით ამ საზოგადოებებში. ერთიანი რწმენა არანაირად (ან ნაკლებად) არ წარმოადგენს კეთილმეზობლური პოლიტიკური ურთიერთობების და პოლიტიკური მეგობრობის გარანტს, მაგრამ ერთი რწმენის მიმდევრობა, მით უფრო, ერთი კონფესიის – ეს არის კუთვნილება ერთი კულტურულ-ცივილიზაციური სივრცისადმი, რაც გამოიხატება ტრადიციებში და, თუ ერთნაირ არა, ყოველ შემთხვევაში, მსგავს მსოფლმხედველობასა და ეროვნულ თვითშეგნებაში. .

საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების პირველი ფაქტები, დადასტურებული ისტორიული დოკუმენტებით, მიეკუთვნება XI-XII საუკუნეებს. ქართველებისა და რუსების შეხვედრის ერთი მთავარი ადგილი იყო ათონი. X საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართველებს აქ ჰქონდათ თავისი მონასტერი – განთქმული ივირონი, 1080 წელს დაარსდა პირველი რუსული მონასტერიც. საუკუნეების განმავლობაში ბერებს ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ. ცნობები რუსების შესახებ გვხვდება რუსთაველის, ჩახრუხადის ნაწარმოებებში და ისტორიულ ქრონიკებში, ქართველებზე კი რუსულ მატეიანებში. XI-XII საუკუნეები აღინიშნა ქართველი მონარქებისა და რუსეთის დიდი მთავრების დინასტიური ქორწინებებითაც. საერთო უბედურებამ – თათარ-მონღოლთა შემოსევებმა, შეაჩერა ორი ქვეყნისა და ხალხების ურთიერთდამოკიდებულება, მაგრამ XV საუკუნის ბოლოს ურთიერთობები აღდგა. დიპლომატიური მისიები ხშირად სასულიერო პირებს ეკისრებოდათ.

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიამ გააუქმა ქართული სახელმწიფოც და ქართული საეკლესიო დამოუკიდებლობაც (ავტოკეფალია). ბუნებრივია, ეს არ შეიძლებოდა არ ასახულიყო ორი ხალხის ურთიერთდამოკიდებულებაზე. დამოუკიდებლობის დაკარგვის პირველივე დღიდან ქართველები იბრძოდნენ მის აღსადგენად, ენისა და თვითმყოფადობის დასაცავად. რუსულმა იმპერიამ ქართული ეკლე-

სია გადააქცია რუსული ეკლესიის საეგზარქოსოდ. ქართული სამღვდულოება არ შერიგებია ამ ფაქტს და იბრძოდა ავტოკეფალიის აღდგენისათვის. მიუხედავად რუსი ოფიციალური ხელისუფლების წინააღმდეგობისა, ბევრი რუსი სამღვდულო პირი მხარს უჭერდა ქართული ეკლესიის კანონიერ მოთხოვნას. ამავე დროს, მიუხედავად მთელი ნეგატივისა, რომელიც მოჰყვა ამ მოვლენებს, იყო სფეროები, სადაც ურთიერთობა რუსული ეკლესიის სამღვდულოებასა და ქართულ ეკლესიას შორის ნაყოფიერი იყო და სარგებლობა მოჰქონდა საერთო მართლმადიდებლური საქმისთვის. ამასთან კავშირში სასარგებლო იქნებოდა რამდენიმე სასულიერო პირის (ქართველების და რუსების) გახსენება, რომელთა მოღვაწეობა თითქმის ყველასგან მივიწყებულია იმ დროს, როცა სწორედ მათ მსახურებას მოჰქონდა პოზიტივი. დღეს ჩვენ სულ უფრო ხშირად უნდა ვილაპარაკოთ პოზიტივზე და მხოლოდ ამან შეიძლება მიგვიყვანოს ურთიერთგაგებამდე. თუ ვილაპარაკებთ პოზიტივზე წარსულში, უნდა აღვნიშნოთ, რომ, პირველ რიგში, ეს ეხება ორივე ეკლესიის წარმომადგენლების მისიონერულ მოღვაწეობას ჩრდილოეთ კავკასიაში. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ჩრდილოეთ კავკასიის ქრისტიან ხალხებს მწყემსავდა ქართული ეკლესია და ამ მხარის ნაწილი ხუნძახთა საკათოლიკოსოს მეშვეობით შედიოდა საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში. ისტორიული ქრონიკები და ჩრდილოეთ კავკასიის მატერიალური კულტურის ბევრი ძეგლი გვაუწყებს, რომ ოსები, ასევე, ამ მხარის სხვა ხალხები და ტომები, ქართველი მისიონერების მოღვაწეობის წყალობით მართლმადიდებელ რწმენას აღიარებდნენ, მაგრამ შემდეგ მძიმე ისტორიული მდგომარეობის გამო – არაბების, მონღოლების, თემურლენგის ურდოების, თურქების განუწყვეტელი შემოსევები – უბრუნდებოდნენ ისლამს ან წარმართობას.

ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანობის დაცემის შემდეგ ოსებსა და სხვა მთიელ ხალხებს ყურადღებას აქცევდნენ კეთილმორწმუნე ქართველი მეფეები. კავკასიაში რუსეთის წინსვლის კვალდაკვალ მისიონერული საქმე თანდათან უმჯობესდებოდა. სახარების მუდმივი პროპაგანდა ჩრდილოეთ კავკასიის მცხოვრებთა შორის XVIII საუკუნის დასაწყისში დაიწყო. ამას საფუძველი კვლავ ქართველმა მისიონერებმა დაუდეს. პირველ რიგში, ეს პროცესი დაკავშირებულია წმ. იოანე მანგლელის (სააკაძე) სახელთან. წმ. იოანე დაიბადა სააკაძეების თავადურ ოჯახში, იყო გამოჩენილი სარდლის, გიორგი სააკაძის შთამომავალი,

იზრდებოდა ბერთუბნის მონასტერში. აქვე გახდა ბერი და არქიმანდრიტი, 1718 წელს კი ხელდასხმულ იქნა მანგლისის ეპისკოპოსად.

მას შემდეგ, რაც 1723 წელს თურქებმა დაიპყრეს თითქმის მთელი აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო, იოანე გადავიდა ჩრდილოეთ კავკასიაში. ის ქადაგებდა დაღესტანში, სადაც 1724 წელს დააარსა ოსეთის მისია, რომელიც რუსული მთავრობის მხარდაჭერით მთიელთა შორის განმანათლებლურ მუშაობას ეწეოდა. ამ დროიდან დაიწყო მჭიდრო თანამშრომლობა ქართველ და რუს სამღვდელოებს შორის მართლმადიდებლური მისიის საქმეში, რომელიც საქართველოს საეკლესიო ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგაც გრძელდებოდა.

ეპისკოპოსმა იოანემ დასაწყისში ააგო მცირე ტაძარი დერბენდში, სადაც ქადაგებდა და ნათლავდა მთიელებს. 1737 წელს იოანე ქართველი ბერ-მონაზვნების თანხლებით გადავიდა ყიზლარში და ქართველების მიერ აშენებულ ჯვართამაღლების ტაძარში მონასტერი დააარსა. ეს მონასტერი გახდა ქრისტიანული განათლებისა და ქადაგების ცენტრი. ათასობით მთიელმა შეისმინა ეს ქადაგება და მოექცა.

ოსთა გაქრისტიანებას რუსეთის ხელისუფლებამ სერიოზული ყურადღება მიაქცია 40-იანი წლების დასაწყისში რუსეთში მყოფი ქართველი სამღვდელო პირების შესაბამისი წარდგინების საფუძველზე. ეს სამღვდელო პირები იყვნენ: ეპისკოპოსი იოანე, კარელიისა და ლადოგის არქიეპისკოპოსი იოსები (საქართველოში სამების და წილკნის) და მოსკოვის ზნამენსკის მონასტრის არქიმანდრიტი ნიკოლოზი. 1743 წლის 9 თებერვალს მათ იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულს მიართვეს მოხსენებითი ბარათი, რომელშიც აღნიშნავდნენ, რომ ოსი ხალხი, რომელიც ცხოვრობს „ქალაქ ყიზლარიდან არცთუ შორს, წინათ იყო ქართველი მეფეების მფლობელობაში, ახლა კი არავის ექვემდებარება. ...ისინი უძველეს დროში იცავდნენ მართლმადიდებელ ქრისტიანულ რწმენას, რისი მოწმენიც არიან დღესაც მათი ქვის საცხოვრისები კედლებზე წმიდა ხატებით, რომლებსაც ისინი ხალისით მიმართავენ და მარხულობენ... ისინი ბერძნული სარწმუნოების მიღებაზეც თანხმდებიან... მაგრამ ღვთის სიტყვის ქადაგებას რომ ვერ იღებენ, ლოცვას აღავლენენ მხოლოდ ცისკენ მიპყრობილი თვალებით. ამიტომ გთხოვთ, რომ ამ ხალხს ქადაგებისა და ნათლობისთვის გაუგზავნოთ ნიჭიერი და მოწადინებული, თან ოსური ენის მცირედ მცოდნე, მოსკოვის მკვიდრი ქართველები: არქიმანდრიტი პახომი და ილუმენები ქრისტოფორე და ნიკოლოზი, თანაშემწეთა მნიშვნელოვანი რაოდენო-

ბით, რომლებსაც შეეძლებათ მთელი ეს ხალხი ჯერ წმიდა ზიარებაზე მოიყვანონ, შემდეგ კი რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომებად აქციონ.¹

ამის შემდეგ, იმპერატრიცა ელისაბედის ბრძანებით, წმიდა მმართველი სინოდის მიერ მთაში ქადაგებისთვის გაიგზავნენ ქართველი ბერები: არქიმანდრიტი პახომი, ორი ილუმენი და ერთი მღვდელ-მონაზონი თანმხლები დასით. ეს მისია დაკავებული იყო ოსებისა და სხვა ხალხების განათლებითა და ქრისტიანობის ქადაგებით 1769 წლამდე. ამ დროისთვის ქრისტიანობა მიიღო 2142 ოსმა და ინგუშმა.² ამას გარდა, ამ ადამიანებს უნდა უმაღლოდეს არსებობას მოზდოკის ოსური სკოლა, სადაც სწავლობდნენ როგორც ოსები, ისე სხვა მთიელები.

1745 წელს, ეპისკოპოს იოანეს დაარსებული ოსური მისია ოსურ სასულიერო კომისიად გადაკეთდა. ამ კომისიისა და ეპისკოპოს იოანეს ღვაწლით ბევრი ოსი, ინგუში და მთიელ ხალხთა სხვა წარმომადგენლები ქრისტიანებად მოინათლნენ. 1748-1750 წლებში ეპისკოპოს იოანეს მიერ ყიზლარში, ჯვართამაღლების ქართულ მონასტერთან აშენდა კიდევ რამდენიმე კელია. 1850 წელს წმიდა სინოდიდან მოვიდა ახალი ტაძრის მშენებლობის ნებართვა, მაგრამ ეპისკოპოსმა იოანემ ამ დღემდე ვერ მიაღწია, იგი გარდაიცვალა 1851 წლის 18 მარტს და დაიკრძალა მის მიერ დაარსებულ ჯვართამაღლების მონასტერში, მაგრამ მალე, გარდაცვლილის ანდერძის გათვალისწინებით, მისი ნეშტი გადაასვენეს საქართველოში და დაკრძალეს თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში.

განსაკუთრებული როლი ოსებისა და სხვა კავკასიელი ხალხების გაქრისტიანებაში შეასრულა მეორე ქართველმა იერარქმა, რომელსაც სამართლიანად უწოდეს „ოსთა განმანათლებელი“. ეს იყო არქიეპისკოპოსი გაიოზი, რომელიც საქართველოში ცნობილია როგორც გაიოზ რექტორი, რადგან თავის დროზე ხელმძღვანელობდა თბილისის სასულიერო სემინარიას (1778-1780), შემდეგ კი გახდა თელავის სასულიერო სემინარიის დამფუძნებელი და პირველი რექტორი (1782-1783). გაიოზი იყო სოფელ მალაროდან (კახეთი) გვარად თაყაშვილი (ზოგი ავტორის აზრით, ის მიეკუთვნებოდა თავად თაყა ბარათაშვილის შთამომავლობას). დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და იყო კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის იპოდიაკონი, რომელმაც იგი ბერად

¹ მოყვანილია ეპისკოპოს კირიონის წიგნის, „მოკლე ისტორიული ნარკვევი ქართული ეკლესიისა და საეგზარქოსოსი XIX საუკუნეში“ მიხედვით. ტიფლისი, 1901, გვ. 92-93.

² ეპ. კირიონი, დასახ. თხზ. გვ. 93.

აღკვეცა და დიაკვნად აკურთხა. 1772-1773 წლებში ქართული დელეგაციის შემადგენლობაში გაემგზავრა პეტერბურგში და 1774-1778 წლებში რუსეთში დარჩენილი სწავლობდა სამების სერგის ლავრაში (სხვა მონაცემებით, მოსკოვის სლავურ-ბერძნულ-ლათინურ აკადემიაში).

როგორც თელავის სემინარიის რექტორი, გაიოზი მჭიდროდ თანამშრომლობდა კათოლიკოს ანტონ I-სა და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-სთან. მონაწილეობდა რუსეთთან მოლაპარაკებებში, რაც დასრულდა 1783 წელს ხელმოწერილი გეორგიევსკის ტრაქტატით. 1784 წელს გაიოზი შევიდა რუსულ სამსახურში და მიიღო არქიმანდრიტის წოდება. 1784 წელს არქიმანდრიტი გაიოზი გაამწესეს ოსეთის სასულიერო კომისიის პირველ წევრად. მას შემდეგ გაიოზის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა დაუკავშირდა ოსთა განათლებასა და მათ ქრისტიანებად მოქცევას.

1793 წელს ასტრახანის ეპარქიის შემადგენლობაში შეიქმნა მოზდოკის საეპარქიო. იმავე წლის მაისში ცარსკოე სელოში, იმპერატრიცა ეკატერინე II-ის თანდასწრებით, არქიმანდრიტი გაიოზი აკურთხეს ეპისკოპოსად და დაინიშნა მოზდოკის კათედრაზე. ქიროტონია შეასრულეს ნოვგოროდის და ს-პეტერბურგის მიტროპოლიტმა გაბრიელმა (პეტროვი) და ფსკოვის არქიეპისკოპოსმა ინოკენტიმ (ნეჩაევი).

არქიეპისკოპოს ტიხონის გარდაცვალების გამო მოზდოკში ჩასვლამდე ეპისკოპოსი გაიოზი დროებით მართავდა ასტრახანის ეპარქიას და დანიშნულების ადგილზე ჩავიდა მხოლოდ 1744 წლის მაისში. საეპარქიო ეპისკოპოსის მთავარი ამოცანა იყო ქრისტიანობის გავრცელება და დამკვიდრება კავკასიელ ხალხებში. პირველ რიგში, ეპისკოპოსმა გაიოზმა დაიწყო განათლების მდგომარეობის შესწავლა ამ მხარეში და ის არადაამაკმაყოფილებლად მიიჩნია. არსებულ ოსურ სკოლაში ის შეუდგა სასწავლო პროცესის რეორგანიზაციას. შეცვალა რა რამდენიმე მასწავლებელი, ეპისკოპოსი დიდი ხნის განმავლობაში თავად ხელმძღვანელობდა სკოლის მუშაობას.

გაიოზ რექტორი მივიდა დასკვნამდე, რომ ოსეთის სასულიერო კომისიის სუსტი შედეგები განათლების სფეროში დიდად იყო დამოკიდებული მათ მშობლიურ ენაზე რელიგიურ-ზნეობრივი ლიტერატურის და, ზოგადად, ანბანის უქონლობაზე. ეპისკოპოსმა გაიოზმა სლავური ასოების საფუძველზე შექმნა ოსური ანბანი. 1798 წელს გაიოზმა, რომელმაც სუსტად იცოდა ოსური ენა, ვინმე პავლე გენდაუროვის დახმარებით გადათარგმნა და მოსკოვში სინოდალურ კანტორაში

გამოსცა პირველი წიგნი ოსურ ენაზე პარალელური საეკლესიო-სლავური ტექსტით „დაწყებითი სწავლება ადამიანებისთვის, ვისაც სურთ, ისწავლონ საღმრთო წერილი“ (კატეხიზმო).

ამგვარად, ეპისკოპოსმა გაიოზმა პირველმა დაუდო საფუძველი ოსურ დამწერლობას, ოსური ანბანის შექმნას და პირველმა გამოსცა წიგნი ოსურ ენაზე. ეპისკოპოსმა გაიოზმა ანბანის ასოების მოხაზულობის შეუცვლელად აიღო საეკლესიო-სლავური ასოები, ხოლო საკუთრივ ოსური ბგერის გამოსახატავად ახალი ნიშნები და ასოები შექმნა ორი ან სამი არასლავური ასოსგან.³ გაიოზის ღვაწლით მოზდოვში აშენდა ორი მონასტერი და ეპისკოპოსის სახლი.

1799 წელს ქ. მოზდოვის სავიკარიო გაუქმდა, ხოლო გაიოზს არქი-ეპისკოპოსის წოდება უბოძეს და ასტრახან-კავკასიის კათედრაზე დანიშნეს. როგორც კავკასიის და ასტრახანის არქიეპისკოპოსი, გაიოზი სათავეში ჩაუდგა არა მხოლოდ ოსების და ინგუშების, არამედ სხვა კავკასიელ მთიელთა განათლება-გაქრისტიანების საქმეს..

„ოსების განმანათლებელი“ ეკლესიის უანგარო მსახურებისა და კავკასიელი ხალხების გაქრისტიანებისთვის 1803 წელს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა დააჯილდოვა წმ. ანას პირველი ხარისხის ორდენით.

გარდაიცვალა 1821 წლის 20 თებერვალს და დაკრძალეს ასტრახანის მიძინების ტაძარში.

არქიეპისკოპოს გაიოზის საქმის გამგრძელებელი წიგნების ოსურ ენაზე თარგმნის საქმეში გახდა ქართველი აზნაური ივანე იალღუზიძე⁴, რომელმაც ქართული ენიდან თარგმნა საღმრთო ლიტურგია, წმ. ნათლობის, ქორწინებისა და დაკრძალვის წეს-განგება. ეს წიგნები გამოიცა მოსკოვსა და თბილისში პარალელური ქართული ტექსტებით და დაეზავნა ყველა ღვთისმსახურს ოსეთში. იალღუზიძის მიერ ქართულიდან ოსურზე ითარგმნა სახარებაც.

ამავე პერიოდში მოღვაწეობდა ცნობილი რუსი საეკლესიო მოღვაწე და სწავლული, მიტროპოლიტი ევგენი (ბოლხოვიტინოვი; 1767-1837). სხვადასხვა დროს მიტროპოლიტ ევგენის ეკავა საეპისკოპოსო კათედრები ვოლოგდაში, კალუგაში, ფსკოვში. 1822 წლის იანვარში ის გაამწესეს კიევის კათედრაზე და მალე მიტროპოლიტის ხარისხი უბოძეს. მიტროპოლიტ ევგენის სახელთან დაკავშირებულია კიევის

³ მ. დარჩია, გაიოზ რექტორი (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 1987, გვ. 79, (ქართულ ენაზე.)

⁴ ი. იალღუზიძის წინაპრები ოსები იყვნენ.

სასულიერო აკადემიის ისტორიის ახალი ფურცელი. მისი მიტროპოლიტობის წლებში ის გახდა არა მხოლოდ ღვთისმეტყველების, არამედ ისტორიულ გამოკვლევათა სამეცნიერო ცენტრიც. მიტროპოლიტის ინიციატივით 1831 წელს კიევში სასულიერო აკადემიის ფარგლებში შეიქმნა საეკლესიო-არქეოლოგიური საზოგადოება, რომელიც დაკავებული იყო უძველესი ძეგლების შეგროვებით, შესწავლით და დაცვით. მალე თავად მიტროპოლიტმა გამოაქვეყნა ფუნდამენტური სამეცნიერო შრომები: „კიევ-სოფიის ტაძრისა და კიევის იერარქიის აღწერა“ (1825) და „კიევ-პეჩორის ლავრის აღწერა სხვადასხვა სიგელისა და ამონაწერის მიხედვით, რომლებიც ხსნიან ლავრისა და ორივე გამოქვაბულის გეგმებს“ (1826). მიტროპოლიტ ევგენის ამ შრომებს დღემდე არ დაუკარგავთ სამეცნიერო მნიშვნელობა.

მიტროპოლიტი ევგენი ბოლხოვიტინოვი პირველი რუსი ისტორიკოსია, რომელმაც წიგნი მიუძღვნა საქართველოს ისტორიასა და ქართულ კულტურას.

1802 წელს მიტროპოლიტმა ევგენიმ პეტერბურგში გამოაქვეყნა ნაშრომი „საქართველოს ისტორიული ხატება პოლიტიკური, საეკლესიო და სასწავლო მდგომარეობით“. შეიძლება ითქვას, რომ ამ წიგნმა საფუძველი დაუდო რუსულ ქართველოლოგიას და არა მარტო რუსულს. წიგნი თარგმნილი იყო გერმანულ და ფრანგულ ენებზე, დიდი ინტერესი გამოიწვია ევროპაში და ბიძგი მისცა ევროპული ქართველოლოგიის განვითარებას, კერძოდ, ამ წიგნით დაინტერესდა აკადემიკოსი მარი ბროსე, მაშინ პარიზში მცხოვრები ახალგაზრდა ორიენტალისტი. მოგვიანებით მარი ბროსემ დაიწყო საქართველოს ისტორიის შესწავლა და უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდისა და ქართული წყაროების შესწავლაში.

მიტროპოლიტი ევგენი წიგნს წერდა ქართველი კონსულტანტების – მიტროპოლიტ ვარლამის (ერისთავის) და იმპერატორის კარზე ქართველი წარგზავნილების, დახმარებით. უნდა აღინიშნოს, რომ სწავლული ბერი (მაშინ ის ჯერ კიდევ არ იყო ეპისკოპოსი) თავად მუშაობდა წყაროებზე. ის იყენებს როგორც უძველეს ავტორებს (ჰეროდოტე, სტრაბონი, პლინიუსი, დიოდორე სიცილიელი), ისე XVII-XVIII საუკუნეებში კავკასიაში მოგზაური ევროპელების მონაცემებს. წინასიტყვაობაში აღნიშნავს რა, რომ ევროპელი მოგზაურების აღწერებში „საქართველო წარმოდგენილია ისეთ ქვეყნად, რომელმაც უკვე დიდი ხანია შეწყვიტა არსებობა, ზოგში კი ისეთად, როგორც ის არასოდეს

ყოფილა“, წერს, რომ ევროპელებს „ძალიან ცუდად ესმოდათ ადგილმდებარეობა, ოლქები და საზღვრები ამ მიწისა.“ ავტორი გამოთქვამს იმედს, რომ საქართველოში დასახლებული მისი თანამემამულეები (ქართული სამეფო ამ დროისთვის გაუქმებულია ალექსანდრე I-ის მიერ და აქ დამყარებულია რუსული ადმინისტრაცია), შესაძლებლობას მისცემენ რუსებსაც და „სხვა ევროპელებსაც, რომ საფუძვლიანი და ღირსეული წარმოდგენა ვიქონიოთ მასზე“⁵.

აღსანიშნავია, რომ ამ სტრიქონების ავტორი თავად იძლევა ძველი საქართველოს კულტურისა და პოეზიის საკმაოდ დაწვრილებით აღწერას. მიტროპოლიტი ევგენი ეხება ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიას, ქრისტიანობას, მონასტრებს, საეკლესიო სტრუქტურებს, რუსეთთან ურთიერთობას და ა. შ. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ავტორი პირველად ეხება რუსულ ლიტერატურაში რუსთველოლოგიურ პრობლემატიკას.

წიგნში მოცემულია ისტორიულ-ლიტერატურული მონაცემები რუსთაველის დიად პოემაზე „ვეფხისტყაოსანი“. ავტორი პირველი რუსთველოლოგია, რომელმაც ეს პოემა დააკავშირა არიოსტოსა და ოსიანის გმირულ-რაინდულ პოემებთან. ამავე დროს, მიტროპოლიტი ევგენი რუსთაველის პირველი მთარგმნელია რუსულ ენაზე. მას გადათარგმნილი აქვს ორი სტროფი (სიტყვასიტყვითი თარგმანი თავად ავტორის თქმით).

დიდი რუსთაველის გარდა, მიტროპოლიტი წერს ჩახრუხადის პოემაზე „თამარიანი“, თვლის რა მას შესანიშნავ კმნილებად „უმაგალითო ჰარმონიითა და ძალიან რთული ლექსით“.⁶

წიგნში განხილულია ქართული ვერსიფიკაციის საკითხი და პირველად არის წამოწეული ქართული ლექსის სილაბურ-ტონური თეორია.

ასე და ამგვარად, მიტროპოლიტი ევგენი გახდა პირველი რუსი მკვლევარი არა მხოლოდ ქართული ისტორიისა, არამედ ქართული ლექსისა.⁷ მისი დამსახურებაა, რომ რუსთაველი ცნობილი გახდა რუ-

⁵ საქართველოს ისტორიული ასახვა პოლიტიკურ, საეკლესიო და სასწავლო ჭრილში. გვ.2 (გამოქვეყნებულია გ. შარაძის წიგნში „ევგენი ბოლხოვიტინოვი – პირველი რუსი რუსთველოლოგი“ თბილისი, 1978 წ.)

⁶ ისტორიული ასახვა გვ. 86.

⁷ გ. შარაძე, „ევგენი ბოლხოვიტინოვი – პირველი რუსი რუსთველოლოგი“, თბილისი, 1978, გვ. 108.

სეთსა და ევროპაში და დიდი ინტერესი გამოიწვია ევროპულ სამყაროში.

მიტროპოლიტ ევგენის, ეპისკოპოს იოანესა და არქიეპისკოპოს გაიოზის მოღვაწეობა ბრწყინვალე მაგალითია თანამშრომლობის კეთილნაყოფიერებისა, მაგალითია იმ მთავარი მისიისა, რომელიც უნდა ატარონ ადამიანებმა – სიკეთე, სიყვარული და ურთიერთგაგება.

საქართველოსა და რუსეთს შორის საოცრად დამძიმებული ურთიერთობების ფონზე, ამ იერარქების გახსენებამ უნდა მოგვცეს დიალოგის სტიმული, მით უფრო, რომ ურთიერთგაგება და ურთიერთპატივისცემა დღეს მხოლოდ საეკლესიო წრეებშია გამეფებული.

ყველაზე ძნელ, ყველაზე კრიტიკულ მომენტებში, როცა გაწყდა კავშირები ყველა დონეზე, შენარჩუნდა მხოლოდ ქართულ და რუსულ ეკლესიათა კონტაქტები. ქართველთა სულიერმა ლიდერმა, პატრიარქმა ილიამ, რომელიც არაერთხელ ჩასულა მოსკოვში, დიდი ძალისხმევა გამოიჩინა, რომ გაგრძელებულიყო დიალოგი მხარეთა შორის. ეკლესია ახლა მთავარი მონაწილეა ამ დიალოგისა. ორივე ქვეყნის სამთავრობო წრეებმა (პოლიტიკოსებმა) უნდა გაითვალისწინონ ეს ფაქტორი და გამოიყენონ ყველა მტკივნეული და სადავო საკითხის გადაწყვეტისას.

რუსეთი და საქართველო: რატომ ვჭირდებით ჩვენ ერთმანეთს

საქართველო-რუსეთის ურთიერთობების თანამედროვე ხასიათის შეფასებისას არ შეიძლება, არ დაეთანხმო ქართველი პოლიტიკოსისა და ექსპერტის, ივლიანე ხაინდრავას თეზისს ამ ურთიერთობების ასიმეტრიულობის შესახებ, რაც გამოწვეულია ორი ქვეყნის არათანაზომიერებით, მსოფლიოში საკუთარი ადგილისა და ფუნქციის განსხვავებული ხედვით.¹ ამავდროულად, შეცდომა იქნებოდა შეუფასებლობა ამ ურთიერთობების მნიშვნელობისა არა მარტო საქართველოსთვის, არამედ რუსეთისთვის. სახელმწიფოთაშორისი, მეტად რთული საერთო საზღვრის არსებობა და რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი რეგიონების არასტაბილური მდგომარეობა ორივე მხარეს აყენებს სასაზღვრო პრობლემების ერთობლივი გადაწყვეტის აუცილებლობის წინაშე.² ამაზე მიუთითებს XIX საუკუნის გამოცდილებაც: ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობისას, რუსეთის იმპერია კავკასიის ქედს მიღმა მდებარე მეზობელ ქვეყნებში ეძებდა მხარდაჭერას, ქმნიდა რა „ზურგის მოკავშირეების“ სისტემას საქართველოზე დაყრდნობით. თავის მხრივ კი, ეს ხელს უწყობდა სტაბილურობის შენარჩუნებას კავკასიის რეგიონში.

2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის შედეგებმა არსებითად გაართულა ქვეყნებს შორის ურთიერთობები, შექმნა ჩიხი, რომლის გადალახვას დღესაც ცდილობს ეს ორი ისტორიულად და ტერიტორიულად ახლობელი ხალხი. მიუხედავად ასეთი რთული სიტუაციისა, არ წაშლილა და დავიწყებას არ მისცემია მთავარი – ქართველი და რუსი ხალხების კულტურულ-ცივილური და პიროვნებათაშორისი კონტაქ-

¹ ი. ლ. ხაინდრავა: ასიმეტრია (საქართველო-რუსეთის ურთიერთობების შესახებ)) რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები: განვითარების ახალი გზების ძიება. მოსკოვი: საერთაშორისო საქმეთა რუსეთის საბჭო, 2014., გვ. 6.

² მაღალმთიანეთში რუსეთ-საქართველოს საზღვრის სიგრძის გაზომვის სირთულის გამო, ის მხოლოდ პირობითადაა განსაზღვრული: 723-დან 906 კმ-მდე. რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის მონაცემებით საზღვრის კეთილმოწყობა 600 მილიონი ამერიკული დოლარის ექვივალენტი დაჯდება. იხ.: გამჭვირვალე საზღვრები. უსაფრთხოება და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა რუსეთის ახალი სასაზღვრო ტერიტორიების ზონაში. მოსკოვი, 2002 წელი, გვ. 323-324.

ტების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება. ამდენად, ჩვენი ორი ქვეყნის ამჟამინდელი და მომავალი ურთიერთობების ხასიათი ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს მათ მიაჩნიათ.

ისტორიის ტრადიციები

ქართველების წინაპრებმა ჯერ კიდევ V საუკუნეში მიიღეს ქრისტიანობა, რითაც სულიერი კავშირი დაამყარეს აღმოსავლეთ და ევროპულ სამყაროსთან. არსებული აპოკრიფის მიხედვით, ქრისტიანობა თანამედროვე საქართველოს მიწაზე იერუსალიმის პატრიარქის დამ და რომაელი მხედართმთავრის ქალიშვილმა, წმინდა ნინომ შემოიტანა. მის კავკასიაში გამომგზავრების მისიას, ქრისტეს სამოსის პოვნა წარმოადგენდა, რომელიც არსებული ვარაუდით, საქართველოში ჩამოიტანა ქრისტეს ჯვარცმის დამსწრე ერთ-ერთმა ლეგიონერმა.³

XVII საუკუნეში სახელშეკრულებო კავშირების განმტკიცების აღსანიშნავად ახალი ათონის მონასტრიდან მოსკოვში ჩამოაბრძანეს ივერიის ღვთისმშობლის ხატი, მის პატივსაცემად წითელ მოედანზე აღიმართა სამრეკლო, რომელიც ამჟამად აღდგენილია მონეჟნაისასა და წითელ მოედანს შორის არსებულ ერთ-ერთ გასასვლელში.⁴

ასე, თანდათანობით, ყალიბდებოდა საერთო ცივილიზაციის საფუძველი – ქრისტიანობის მართლმადიდებლური შტო. ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კონტაქტები ქართულ და რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის არ წყდებოდა ყველაზე უფრო რთულ დროშიც კი, ხოლო საქართველოს ამჟამინდელი პატრიარქი ილია II ყოველთვის იყო სხვადასხვა დონის საქართველო-რუსეთის დიალოგის აქტიური მონაწილე.

პეტრე I-ის მეფობის დროს მდინარე პრესნის ნაპირებზე, საფუძველი ჩაეყარა ქართულ სლობოდას (ხალხურ მეტყველებაში: „ქართველები“), რომელიც დევნილობაში მყოფ მეფე ვახტანგ VI-ს უწყალობეს. იქვე აშენდა ეკლესია, რომელსაც ვახტანგის უმცროსი შვილის, უფლისწულ გიორგის პატივსაცემად გეორგიევსკის ეკლესია ეწოდა.

³ კავკასია და მისი გმირები: წმინდანები, სიმდიდრე და ხალხები, ს-პეტერბურგი, 1902. გვ. 12.

⁴ ბ. ანდრონიკაშვილი: ვკითხულობთ რა წარსულის ფურცლებს. თბილისი 1987, გვ. 5.

უფლისწული გიორგი შემდგომში რუსეთის გენერალი და „ნამდვილი კამერგერი“ გახდა.⁵

გეორგიევსკის ტრაქტატის (1783) და რუსეთის იმპერიაში საქართველოს შესვლის მანიფესტის (1801) ხელმოწერის შემდეგ საქართველოს მიწებმა თურქეთის და სპარსეთის ექსპანსიისგან დაცვის გარანტია მიიღეს. ამასთან ერთად, დაკარგეს საკუთარი სახელმწიფოებრიობა, საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას ჩამოერთვა ავტოკეფალია, ჩაიხშო გლეხობის მრავალრიცხოვანი აჯანყებები. ამავდროულად, ქართველ თავადაზნაურობას მიეცა საშუალება, ზიარებოდა ევროპულ განათლებას, მისი მრავალი წარმომადგენელი შევიდა რუსეთის უმაღლეს სახელმწიფო და სამეცნიერო-კულტურულ ელიტაში. ათეული წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული, პიროვნებათაშორისი კონტაქტები, რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობების სარჩულად იქცა, რაზეც XX საუკუნის დასაწყისში სამართლიანად მიუთითებდა კავკასიის რუსი მკვლევარი ვ. ლ. ველიჩკო.⁶ „მეტად საინტერესოა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების საკითხი – წერდა ის, ხალხის დაბალი ფენები მშვენივრად ეგუებიან ერთმანეთს, როგორც ორი მონათესავე სტიქიის საწყისი... არმიაშიც, ასევე, რუსები ყველაზე კარგად ქართველებს ეწყობიან... ქართული წარმოშობის გენერლები პოპულარულები არიან რუს ჯარისკაცებს შორის, როგორც სათანადოდ წარმოსადგენი და მამაცნი“.⁷

XIX საუკუნეში ქართველი თავადაზნაურობიდან წარმოიშვა სამხედრო მეთაურთა მთელი პლეადა, რომელშიც არ შეიძლება, არ აღინიშნოს პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი, რუსეთის არმიის სახელგანთქმული მხედართმთავარი, ბოროდინოს ბრძოლის გმირი. 30-წლიანი სამხედრო სამსახურის განმავლობაში მან მონაწილეობა მიიღო 20 ლაშქრობაში, დაჯილდოებული იყო გეორგიევსკის საბრძოლო ჯვრით.

რთულად წარიმართა ქართული სამხედრო ელიტის მეორე წარმომადგენლის, ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძის ბედი. 1813-1814 წლებში ის მონაწილეობდა ნაპოლეონის არმიის წინააღმდეგ ქვეყნის გარეთ წარმოებულ სამხედრო ლაშქრობებში, რუსეთის არმიის შემად-

⁵ იქვე, გვ. 51

⁶ ვ. ლ. ველიჩკო – გამოჩენილი ისტორიკოსი, ეთნოგრაფი და ლიტერატორი (1860-1903). რეპინის მიერ დახატული მისი პორტრეტი შევიდა რუსული კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა გალერეაში.

⁷ ვ. ლ. ველიჩკო. კავკასია: რუსული საქმე და ტომთაშორისი საკითხები – 1904 წლის გამოცემის რეპრინტი – მოსკოვი: ირმა, 2001, გვ. 51..

გენლობაში შევიდა პარიზში. შემდეგ სამი წელი იმსახურა პეტერბურგში, ეკავა უმაღლესი სამხედრო თანამდებობები, მაგრამ ვერ შეძლო ბოლომდე შეგუებოდა პეტერბურგის ჩინოვნიკურ წრეებში გამეფებულ აგდებულ დამოკიდებულებას ქართველებისადმი. მის მიერ დაწერილი წიგნი, „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მისი მდგომარეობა 1801-1831 წლებში“, ადასტურებს მის პოზიტიურ წარმოდგენას მოწინავე, პუშკინის სახელთან დაკავშირებულ რუსეთზე და საკმაოდ ნეგატიურს ჩინოვნიკურ რუსეთზე.⁸

1830 წელს ჭავჭავაძე სამსახურიდან გადადგა, შემდგომში თავი მიუძღვნა ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას და ბევრი გააკეთა ქართული ინტელიგენციის რუსეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილთან დასაახლოებლად. თბილისსა და წინანდალში მისი სალონის ხშირი სტუმრები იყვნენ ა. ს. პუშკინი, მ. ი. ლერმონტოვი და ა. ს. გრიბოედოვი. ა. ჭავჭავაძის მემკვიდრეობას დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთ-საქართველოს კულტურული და საზოგადოებრივი კავშირების ჩამოყალიბებაში.

მის პირდაპირ მემკვიდრეთაგან ერთ-ერთი, ნიკოლოზ (ნიკო) ჭავჭავაძე (გარდაიცვალა 1997 წლის 15 თებერვალს) – გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე, 30 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტს. აქტიურად მონაწილეობდა სახალხო დიპლომატიკაში, ქართულ-რუსულ, პიროვნებათაშორისი კავშირების დამყარებასა და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებაში. 1990-იან წლებში, მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, არაერთხელ ჩავიდა მოსკოვში და ბევრი რამ გააკეთა საქართველოს პოზიციის და ინტერესების განმარტების თვალსაზრისით.⁹

XIX საუკუნის შუა ხანებიდან გაფართოვდა და განმტკიცდა რუსეთისა და საქართველოს ჰუმანიტარული ინტელიგენციის, მოსკოვში, პეტერბურგსა და თბილისში მოღვაწე პროგრესული ფენების კავშირები. ქართულ ენაზე ითარგმნა ფრანგ განმანათლებელთა თხზულებები და რუს ავტორთა მრავალი ნაშრომი, დაიწერა საქართველოს სახელმწიფოს ისტორია, რომელიც მოიცავდა იმ მოვლენებსაც, რომლებიც

⁸ ა. ჭავჭავაძე. საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მისი მდგომარეობა 1801-1831 წლებში. ს-პეტერბურგი, 1902 წელი.

⁹ SCIRS – ორშაბათი, 2004 წლის თებერვალი, № 4. გვ. 6.

განვითარდა ბაგრატიდების დინასტიისა და ქართული სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაციის შფოთიან დროს.¹⁰

ამავე დროს, XIX საუკუნის რუსეთში არ იყო მეტნაკლებად მნიშვნელოვანი მწერალი, მაღალი ჩინის სამხედრო, დიპლომატი, რომლის ბედიც არ გადაკვეთილიყოს „კავკასიურ ხაზთან“ და მის საფუძველთან – საქართველოსთან. არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ საქართველოსა და კავკასიას მიემღვნა პუშკინისა და ლერმონტოვის ბევრი ლექსი და პოემა, ხოლო გრიბოედოვი ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახის წევრიც კი გახდა, ცოლად შეირთო მისი ქალიშვილი ნინო. „გრიბოედოვი ჩვენი ოჯახის სიძეა“, – უყვარდა გამეორება ნიკოლოზ (ნიკო) ჭავჭავაძეს და ამ სიტყვებში ჩადებული იყო რუსეთისა და საქართველოს ხალხების ურთიერთდამოკიდებულება და სიახლოვე.

რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომის შედეგების შეფასებისას პუშკინმა საჭიროდ ჩათვალა განსაკუთრებით აღენიშნა ამ ომის ქართველი მონაწილეების ღვაწლი: „ქართველები მეომარი ხალხია. მათ დაამტკიცეს თავიანთი სიმამაცე ჩვენი დროშების ქვეშ“.¹¹

არ იყო შემთხვევითი, რომ ლ. ნ. ტოლსტოი თავისი ცხოვრების ბოლოს შემფოთებული იყო „კავკასიის სინდრომის“ ნეგატიური შედეგების დაძლევის, როგორც რუსეთის ზნეობრივი განწმენდის პირობის, აუცილებლობით და თავის ბოლო მოთხრობაში „ჰაჯი მურატი“, ეყრდნობოდა რა კავკასიური ომის მონაწილის საკუთარ გამოცდილებას, შეძლო უმაღლესი ადამიანური საწყისი დაეპირისპირებინა საერთო სისასტიკესთან როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან.

შეუძლებელია საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში ყოფნის ცალმხრივი შეფასება. თურქეთისა და სპარსეთის ექსპანსიის აღკვეთის შემდეგ რუსეთის იმპერიამ დაიწყო მმართველობის ყოფილი სისტემისა და ყოველდღიური ცხოვრების წესის გარდაქმნა თავის ყაიდაზე. სამართალწარმოება და საქმისწარმოება გადავიდა რუსულ ენაზე, რაც ქმნიდა სირთულეებს ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის, ხოლო რუს ჩინოვნიკებს უკონტროლო გამდიდრების საშუალებას აძლევდა. მრავალ წყაროზე დაყრდნობით ამაზე წერდა ცნობილი საბჭოთა ისტორიკოსი ა. ვ. ფადეევი, აღნიშნავდა რა, რომ კავკასიაში სამსახური

¹⁰ მ. გორგაძე. ქართველები პეტერბურგში. კულტურული კავშირების მატინე. თბილისი, 1976. გვ. 114.

¹¹ ა. ს. პუშკინი. მოგზაურობა არზრუმში, 1929. გვ.132.

მიმზიდველი იყო რანგში სწრაფად ამალლების, დამატებითი შეღავათებისა და დაჯილდოების მიღების შესაძლებლობის გამო.¹²

კავკასიის საკითხთან მიმართებაში რუსეთის საზოგადოების უფრო ფართო წრეებში, ასევე, არ იყო ერთსულოვნება. ბევრის პოზიცია არ ჯდებოდა ლიბერალების (რესპუბლიკელებთან) და კონსერვატორების (მონარქისტებთან) დაპირისპირების ჩვეულებრივ სქემაში. ზოგიერთი შეიძლება, მომხრე ყოფილიყო დემოკრატიული გარდაქმნებისა „თავისთვის“ და იმპერიული პოლიტიკისა – „სხვებისთვის“.

ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების პირობებში რუსეთს პერიოდულად არყევდა სოციალური და ნაციონალური მღელვარებები. პეტერბურგი იძულებული იყო გაეტარებინა, ერთი მხრივ, ნახევრად რეფორმები, ხოლო, მეორე მხრივ, გაეზარდა ცენტრალიზაცია. მათ შორის, ვინც იღვწოდა წარმოშობილი პრობლემების გადაჭრის გზები შეეთავაზებინა, იყო პეტერბურგში მომუშავე ცნობილი ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე ილია ჭავჭავაძე, სახელმწიფო საბჭოს წევრი, მთელი რიგი პროგრესული კანონების ავტორი, გლეხების მიერ მიწისმფლობელობის და ჩაგრული ერების უფლებების გაფართოების მომხრე. რევოლუციურ-დემოკრატიული შინაარსის გამორჩეულ ბრწყინვალე ნაწარმოებს წარმოადგენს მისი წიგნი „კაცია ადამიანი?!“.¹³

ილია ჭავჭავაძე ტრაგიკულად დაიღუპა 1907 წლის 30 აგვისტოს დაქირავებული მკვლელების ხელით.¹⁴ მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ სალამოზე მ. მ. კოვალოვსკიმ, ცნობილმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ, სახელმწიფო საბჭოს წევრმა, ილია ჭავჭავაძე შეაფასა როგორც „დიდი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც, სახელმწიფო საბჭოს აკადემიურ ჯგუფს პატივი ჰქონდა, მიეჩნია ახლო მოკავშირედ თავის იშვიათად წარმატებულ წამოწყებებში.“¹⁵

აქედან გამომდინარეობს, რომ უკვე XX საუკუნის დასაწყისში რუსეთში დაიწყო ფორმირება პროგრესულ პოლიტიკოსთა და საზოგადოებრივ მოღვაწეთა ერთობამ, რომელიც აერთიანებდა სხვადასხვა წარმომავლობისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის წარმომადგენლებს, რაშიც ქართველებსა და რუსებს თავიანთი წვლილი შეჰქონდათ.

¹² ა. ვ. ფადეევი. რუსეთი და კავკასია XIX საუკუნის პირველ ნახევარში. მოსკოვი, 1960. გვ. 242-243.

¹³ ი. გ. ჭავჭავაძე. კაცია ადამიანი?! მოსკოვი, გოსპოლიტიზდატი, 1954.

¹⁴ SCIRS-ორშაბათი, 2007, № 36 (86). გვ.1.

¹⁵ მ. გორგაძე. თხზულებანი, გვ. 214

მსოფლიო ომმა და მის შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა კარდინალურად შეცვალეს ისტორიის მსვლელობა.

გამოწვევების წლები

1917 წლის თებერვალს გამოცხადებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გაუქმდა, როდესაც მის ტერიტორიაზე 1921 წლის თებერვალში შემოიჭრა წითელი მე-11-ე არმიის ნაწილები სერგო ორჯონიკიძის და იოსებ ჯულაშვილის (სტალინის) ხელმძღვანელობით. მენშევიკების მიერ (სოციალ-დემოკრატების ლიდერი ნოე ჟორდანიას) შექმნილი მთავრობა იძულებული გახდა, გადამდგარიყო, მალე მისი წევრები ემიგრაციაში გაემგზავრნენ. 1924 წლის აგვისტოში საქართველოში დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლების სერია, რომელიც სასტიკად ჩაიხშო განსაკუთრებული დანიშნულების რაზმების მიერ, რასაც ადასტურებს ორჯონიკიძის სკპ (ბ)-ის ცკ-ის ოქტომბრის (1924 წ.) პლენუმზე გაკეთებული განცხადება: „ჩვენ მასობრივი დახვრეტები ჩავატარეთ. შეიძლება ცოტა გადავაჭარბეთ, მაგრამ ახლა ამას აღარაფერი ეშველება“.¹⁶

ტოტალიტარიზმის და სტალინური განუკითხაობის წლებში საქართველოს მიწაზე დაიბადა XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პატივცემული მეცნიერი, ფილოსოფოსი მერაბ კონსტანტინეს ძე მამარდაშვილი (1930-1990). როგორც თავად ამბობდა, ის დაიბადა ქალაქ გორში, იქ, სადაც – სტალინი: „ეტყობა, მისი ბოროტმოქმედებების მოსანანიებლად“. მერაბ მამარდაშვილმა დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი, მუშაობდა მოსკოვის აკადემიურ ინსტიტუტებში, ასევე, ჩეხოსლოვაკიაში, სადაც შეესწრო მისთვის სულიერად ასე ახლო პრადის გაზაფხულს. თავის ცხოვრებისეულ გამოცდილებას არატიპურად მიიჩნევდა. მისი კრედიო მდგომარეობდა იმაში, რომ „ინტელიგენტში არ შეიძლება ღირსება გამოყო მისი რწმენისაგან“.

სკკპ XX ყრილობაზე ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ სტალინის პიროვნების კულტის დამხობამ თბილისში საპროტესტო აქცია გამოიწვია. ქართველი ახალგაზრდების ჯგუფის მიერ 1956 წლის 9 მარტს ორგანიზებული გამოსვლა მოეწყო, ჩინელი მარშლის ჩჟუ დეს საქართველოში

¹⁶ ციტატა ლევან ჯიქიას მიხედვით. 1924 წლის აგვისტოს აჯანყება და შორაპანთან სისხლიანი ღრეობა// *Kavkaz Online* 2011 31 აგვისტო. URL: <http://kavkasia.net/Georgia/article/1314837029.php>.

ჩამოსვლისას – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელობა არ მალავდა ხრუმჭოვის ანგარიშისადმი თავის ნეგატიურ დამოკიდებულებას. ახლახან გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, მოვლენების სულიერი ლიდერი იყო ზვიად გამსახურდია, რომელიც მალევე დააპატიმრეს ანტისაბჭოთა ჯგუფის შექმნის ბრალდებით.¹⁷

გამსახურდიას ექსტრემიზმი ჯერ კიდევ მაშინ იწვევდა ბევრში ეჭვს. 1956 წლის 9 მარტს დემონსტრანტებს ცეცხლი გაუხსნეს, დაღუპულთა ზუსტი რაოდენობა დადგენილი არ იყო. მოსკოვის მასობრივი საინფორმაციო საშუალებები მხოლოდ შეტყობინებებით შემოიფარგლნენ, რომ „ნაციონალისტების მიერ თბილისში მოეწყო მცირე არეულობები ქართული ენის როლის გაზრდის მოთხოვნით“.

80-იანი წლების ბოლომდე მოსკოვსა და თბილისს შორის არაფორმალური ურთიერთობები ვითარდებოდა მეცნიერების, კულტურისა და სპორტის პროგრესული მოღვაწეების დაახლოებისა და ურთიერთთანამშრომლობის საშუალებით. არაჩვეულებრივი პოპულარობით სარგებლობდა რუსეთში ქართული კინემატოგრაფი, რომლის ფუძეს წარმოადგენდა ბრწყინვალე რეჟისორების პლეადა, რომელთა შორის იყვნენ მსოფლიოში აღიარებული ოთარ იოსელიანი და გიორგი დანელია. 1987 წელს თენგიზ აბულაძის ფილმმა „მონანიება“, რომელიც აშკარაა ვებდა ყველა სახის ტოტალიტარიზმს, მუსოლინიდან – სტალინამდე, კანის ფესტივალზე გრან-პრი მიიღო.

„პერესტროიკის“ ეტაპის წინააღმდეგობრივმა ხასიათმა ზეგავლენა მოახდინა რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების ხასიათზეც, რაც განსაკუთრებით აშკარად გამოვლინდა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების ფონზე თბილისში. მარტის ბოლოს – აპრილის დასაწყისში საქართველოში სერიოზულად დაიძაბა სიტუაცია აფხაზეთის მოვლენებთან დაკავშირებით. აფხაზეთმა საქართველოს შემაღგენლობიდან გასვლის შესახებ განაცხადა. სწორედ ეს გახდა უშუალო მიზეზი, მთავრობის სახლის წინ, თბილისში, არაფორმალური ორგანიზაციების მიერ მრავალდღიანი არასანქცირებული მიტინგის გამართვისა. დედაქალაქში გაიგზავნა საბჭოთა არმიის ნაწილები, განსაკუთრებული დანიშნულების მობილური რაზმები და მილიცია სხვადასხვა ქალაქიდან. მიტინგის მონაწილეების წინააღმდეგ გამოიყენეს რეზინის ხელკეტები, მომწამვლელი ნივთიერებები, ფეხოსანთა (განმნაღმველ-

¹⁷ SCIRS- ორშაბათი, 2006 წლის მარტი, №8.

თა) პატარა ნიჩბები. შედეგად, თბილისის საავადმყოფოებში მოთავსდა 251 ადამიანი, რომელთაგანაც 183 ჰოსპიტალიზებული იყო.¹⁸

მოსკოვის რეაქციამ გამოააშკარავა საკავშირო ცენტრში სკკპ აპარატის კონსერვატიულ ნაწილსა და ამ დროს მიმდინარე ყრილობის სახალხო დეპუტატების დემოკრატიულად განწყობილ ფრთას შორის არსებული წინააღმდეგობები. როგორც ეს აღნიშნული იყო ყრილობის მიერ შექმნილი კომისიის დასკვნაში, გადაწყვეტილება საქართველოს კპ-ის „დახმარებაზე“ მიიღეს საქართველოს კპ ცკ -ის ხელმძღვანელების ჯ. პატიაშვილის და ბ. ნიკოლსკის მიმართვის შემდეგ ე. კ. ლიგაჩოვის ხელმძღვანელობით გამართულ თათბირზე, რომელშიც მონაწილეობდნენ განსაკუთრებული მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტის (ГКЧП) მომავალი წევრები ვ. მ. ჩებრიკოვი და დ. ტ. იაზოვი, ასევე, განსაკუთრებული მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტის აქტიური მომხრე ა. ი. ლუკიანოვი. სხდომის მუშაობის ოქმი არ შემდგარა, არც მიღებული გადაწყვეტილებების დოკუმენტირება მომხდარა.

ცნობილი პოლიტიკოსების: ა. ა. სობჩაკის, ვ. პ. ლუკინის, ნ. ა. ნაზარბაევის, ე. ნ. შენგელიას, ა. ნ. იაკოვლევისა და სხვათა მიერ ხელმოწერილი – „დასკვნა თბილისის მოვლენების შესახებ“, მიიღო სახალხო დეპუტატების ყრილობამ და მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევის მრავალი უშუალო დამნაშავე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობებიდან.¹⁹

საქართველოს ტერიტორიაზე (სამხრეთ ოსეთი, აფხაზეთი, 1990-1993 წლები) მომდევნო შეიარაღებული შეტაკებების მიზეზები და შედეგები ელოდება შესწავლას, დამატებითი წყაროების მოზიდვითა და საარქივო მასალებზე დაყრდნობით. ჯერჯერობით კი რუსეთის პოლიტიკოსთა და მეცნიერთა შორის არსებობს სხვადასხვა, ხშირად საპირისპირო შეხედულება.

¹⁸ 1989 წლის 9 აპრილის მიტინგის ჩახშობა თბილისში//რია-ნოვოსტი, 2009 წლის 9 აპრილი. URL: <http://ria.ru/politics/20090409/167605226.html>.

¹⁹ სსრკ-ის სახალხო დეპუტატების ყრილობის კომისიის დასკვნა 1989 წლის 9 აპრილს თბილისში განვითარებული მოვლენების გამოძიების შესახებ// ანატოლი სობჩაკი (ოფიციალური საიტი), URL: <http://sobchak.org/rus/docs/zakluchenie.htm>

ახალი გადაწყვეტილებების ძიება

ორი ქვეყნის პოლიტიკოსებმა და პარლამენტარებმა 1994 წლის 3 თებერვალს, ბ.ნ. ელცინის ვიზიტის დროს, თბილისში ხელმოწერილი „შეთანხმება რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და ურთიერთთანამშრომლობის შესახებ“ არაერთგვაროვნად აღიქვეს.²⁰

ხელშეკრულება რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წლის მარტში. რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროში ის სამჯერ წარადგინეს რატიფიცირებაზე (რფ-ის პრეზიდენტმა და რფ-ის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, მაგრამ უარი ეთქვა დუმის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) საქმეთა კომიტეტის მიერ. „ნეზავისიმაია გაზეტაში“ გამოქვეყნებული უარის საფუძველში ნათქვამია: „რატიფიკაციის შემთხვევაში ვიღებთ ჩვენ თავზე რუსეთისთვისაც კი ძნელად შესასრულებელ ვალდებულებებს საქართველოს წინაშე კავკასიაში, მაგრამ ვკარგავთ კონფლიქტში ჩართული სხვა მხარეების ნდობას და ზიანს ვაყენებთ ჩვენს სამშვიდობო მისიას.“²¹ ამავდროულად, სათათბიროს დემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენლებმა აქტიურად დაუჭირეს მხარი ხელშეკრულების რატიფიცირების წინადადებას.

1994-1997 წლებში მოსკოვს არაერთხელ სტუმრობდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები და კულტურის მოღვაწეები, იმართებოდა მოლაპარაკებები, მყარდებოდა კავშირები. რუსეთის ექსპერტები და პოლიტიკოსები ჩადიოდნენ საქართველოსა და აფხაზეთში, კარგად იყვნენ გათვითცნობიერებული ადგილზე არსებულ ვითარებაში. 1995 წლის აპრილში „ობშაია გაზეტას“ დამაარსებელმა ეგორ იაკოვლევმა მიიღო საქართველოს ინტელიგენციის წარმომადგენლები – სახელმწიფოს მეთაურთან არსებული საზოგადოებრივი საბჭოს წევრები: ელზა ზურაბიანი, ალექსი გერასიმოვი და ასევე, ასტროფიზიკოსი გიორგი მაჩაბელი. „ჩვენ გვაქვს საერთო ისტორიულ-კულტურული ღირებულებები, საერთო რელიგიური ფესვები, ბევრი საერთო რამ მენტალი-

²⁰ „შეთანხმება რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და ურთიერთთანამშრომლობის შესახებ“//რუსეთის კანონები. URL: http://www.lawrussia.ru/texts/legal_673/doc673a825x382.htm.

²¹ ნეზავისიმაია გაზეტა, 24 თებერვალი, 1994 წელი.

ტეტში – ჩვენი სულიერი ძაფები არ უნდა გაწყდეს,“ – თქვა შეჯამებისას გ. მაჩაბელმა.²²

2002-2003 წლებში განახლებული დიალოგის შედეგები შეჯამდა რუსული და ქართული მხარეების ანალიტიკურ ანგარიშებში, რომლებიც მოიცავდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიისა და თანამედროვე მდგომარეობის მთელ რიგ შეუსაბამო და, უფრო მეტიც, დიამეტრულად საწინააღმდეგო შეფასებებს.²³

ნეგატიური სცენარის მიხედვით მოვლენების შემდგომმა განვითარებამ, ქართველი და რუსი ანალიტიკოსების შემფოთება გამოიწვია, რისი დამადასტურებელიც იყო 2008 წლის გაზაფხულზე მოსკოვში გაგზავნილი ცნობილი კონფლიქტოლოგის, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის დირექტორ გიორგი ხუციშვილის პირადი მიმართვა რუსი კოლეგებისადმი. აფასებდა რა საქართველო-რუსეთის ურთიერთობების მაშინდელ მდგომარეობას როგორც „უაზრო ანტაგონიზმს, რომლის გამწვავებაც ხელს აძლევს მხოლოდ პოლიტიკოსების, სამხედროებისა და ყვითელი ჟურნალისტების გარკვეულ ჯგუფს“, ის გამოდიოდა წინადადებით, დაწყებულიყო ერთმანეთთან დაახლოების ფართო საზოგადოებრივი მოძრაობის ორგანიზება.²⁴

ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტიდან მალე, სწორედ მისი ინიციატივით და ორგანიზებით, ჩატარდა რუსი და ქართველი მეცნიერებისა და პოლიტიკოსების შეხვედრების სერიები „სტამბოლის დიალოგის“ ფარგლებში, რომელმაც დაამკვიდრა გიორგი ხუციშვილის, როგორც მეცნიერისა და მოქალაქის, ხსოვნა.

პირველი ასეთი შეხვედრა გაიმართა 2008 წლის ნოემბერში კონფლიქტების აცილების ევროპული ცენტრის (ჰააგა) ხელშეწყობით და ეძღვნებოდა იმ ჩიხიდან გამოსავლის ძიებას, რომელშიც ქართველი და რუსი ხალხი თავისდაუნებურად აღმოჩნდა.²⁵

2012 წლის ნოემბერში ექსპერტების ერთობლივ განცხადებაში შეთავაზებული იყო რიგი კონკრეტული ღონისძიებებისა, რომლებიც საზოგადოებრივ დონეზე გააადვილებდა ურთიერთგაგებას: სამეცნიერო-სასწავლო სფეროებში და პროფესიულ ჯგუფებს შორის კავშირე-

²² ობშიაია გაზეტა, 1995 წლის აპრილი.

²³ რუსეთ-საქართველოს დიალოგი/ს.ვ კორტუნოვისა და ს. კ. ოზნობიშჩევას რედაქციით, მოსკოვი, 2003.

²⁴ ა. ა. იაზიკოვას პირადი არქივიდან.

²⁵ იხ. სტამბოლის პროცესი// ნეზავისიმაია გაზეტა, 2008 წლის 5 დეკემბერი.

ბის თანდათანობითი აღდგენა, სავაჭრო ურთიერთობების, მათ შორის, სასაზღვრო ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობა, რიტორიკის მიუღებელ ფორმებზე უარის თქმა. ასევე, შეთავაზებული იყო ერთობლივი (თუნდაც პარალელური) „ურთიერთაღქმის ინდექსის“ განმსაზღვრელი და დამაბულობის ესკალაციის აღმოფხვრისკენ მიმართული სოციოლოგიური კვლევების ჩატარება. საჭიროა, ასევე, საქართველოსა და რუსეთის სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის შეხვედრები, ტელეხიდების, პოლიტიკური და სოციალური პრობლემების მკვლევართა სემინარების ორგანიზება, რათა წარმოიშვას ერთმანეთისკენ მიმართული ფართო მოძრაობა.²⁶

დაგროვილი პრობლემების გადაწყვეტის შემდგომი ძიების აუცილებლობაზე მიუთითებს არა მხოლოდ თანაცხოვრების ღრმა კულტურულ-ისტორიული გამოცდილება, არამედ ჩვენს ქვეყნებს შორის ორმხრივ ურთიერთობებში სადავო საკითხების გადაჭრის პრაქტიკული და ორივე ქვეყნის აქტიური მონაწილეობის აუცილებლობა სამხრეთ კავკასიის რეგიონში უფრო სტაბილური ურთიერთობების სისტემის ჩამოყალიბებაში.

²⁶ სტამბოლის პროცესი გრძელდება// ნეზავისიმაია გაზეთა, 2012 წლის 4 დეკემბერი.

ელენა ბავილოვა

რუსეთისა და საქართველოს ურთიერთქმედება ეკონომიკის სფეროში

თანამედროვე სამყაროში პოლიტიკური უთანხმოებების გადაწყვეტა უფრო ხშირად დამოკიდებულია ეკონომიკური პარტნიორების დაინტერესებით ურთიერთმომგებიან თანამშრომლობაში. ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, როდესაც რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები პრაქტიკულად შეწყვეტილი იყო, რუსეთსა და საქართველოს გაუჩნდათ შანსი, ერთმანეთის გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით, შეექმნათ ეკონომიკის სფეროში ურთიერთქმედების ახალი სისტემა.

ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზაციის წინაპირობები

საქართველო დიდი ხანია რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ყურადღების ცენტრშია, სულ ცოტა, XV საუკუნიდან, როდესაც ორ ქვეყანას შორის დამყარდა ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობები. რუსეთის პოლიტიკისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ამიერკავკასიამ XIX საუკუნეში შეიძინა. ამ დროს ის განიხილებოდა როგორც მნიშვნელოვანი რეგიონი ყველა მოსაზღვრე სახელმწიფოსთვის, რომლებიც მიისწრაფოდნენ ტერიტორიული გაფართოებისკენ, მნიშვნელოვან ტრანზიტულ და სავაჭრო-ეკონომიკურ გზებზე კონტროლის დაწესებისკენ. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ამიერკავკასიის პრაქტიკულად მთელი ტერიტორიის შესვლამ შესაძლებელი გახადა ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის შექმნა, რომელმაც მნიშვნელოვნად განამტკიცა ორ ხალხს შორის კულტურული და

ეკონომიკური კავშირები.

ამ ურთიერთობებზე ზეგავლენა ვერ მოახდინა რუსეთის იმპერიის დაშლამაც კი, რომელმაც რეგიონში გამოიწვია სერიოზული ნაციონალური და პოლიტიკური კონფლიქტები, კერძოდ, ტიფლისის ოპერაცია. 1922 წლიდან საქართველო შევიდა სსრკ-ის შემადგენლობაში ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში, ხოლო 1936 წლიდან დამოუკიდებელი მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი მოიპოვა.

სირთულეები რუსეთსა და საქართველოს შორის 1980-1990-იან წლებში დაიწყო. ბოლო 30 წლის განმავლობაში ორმხრივ ურთიერთობებში სერიოზული როგორც სავაჭრო-ეკონომიკური, ასევე, პოლიტიკური კონფლიქტები წარმოიშვა სამხედრო ძალის გამოყენებამდეც კი. საუბარია, კერძოდ, რუსეთისა და საქართველოს ურთიერთპრეტენზიებზე 2004-2006 წლებში, საქართველოს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის ეთნიკურ კონფლიქტზე 2008 წლის აგვისტოში. შედეგად, რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები სრულიად შეწყდა.

დღესდღეობით ორი ქვეყნის ურთიერთობებზე გავლენას ახდენს სამი სხვადასხვა მიმართულების ფაქტორი: პირველი, პროპაგანდით გამძაფრებული ანტირუსული განწყობა საქართველოში, განსაკუთრებით, 2008 წლის შემდეგ; მეორე, ხალხების ისტორიული და კულტურული სიახლოვე და მესამე, თანამშრომლობის ეკონომიკური სარგებელი.

ამჟამად რუსეთისა და საქართველოს წინაშე დგას ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით ეკონომიკური ურთიერთობების ახალ, ურთიერთმომგებიან საფუძველზე აგების საკითხი. ამისთვის საჭიროა რუსეთისა და საქართველოს გრძელვადიანი გეოეკონომიკური პრიორიტეტების გაანალიზება.

ურთიერთმოქმედების ძირითადი სფეროები

ამჟამად, რომ, ისევე როგორც ბევრ სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, ინტერესების მთავარი სფერო ენერგეტიკაა. საუბარია არა მხოლოდ ენერგორესურსების მოწოდებაზე ან ტრანზიტზე, არამედ საქართველოს ბუნებრივი საბადოების დამუშავების შესაძლებლობაზე, რომელიც ამჟამად პრაქტიკულად არ მიმდინარეობს. ასე, მაგალითად, ზოგიერთი მონაცემით, საქართველოს ტერიტორიაზე 400 მლ. ტონა

ქვანახშირი, 580 მლ. ტონა ნავთობი და 98 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირია.

ერთი მხრივ, აშკარაა ენერგეტიკის სფეროში რუსეთის ჩართულობის შემცირების ტენდენცია. რუსეთი დიდი ხნის განმავლობაში იყო საქართველოსათვის ბუნებრივი აირის ძირითადი მიმწოდებელი, თუმცა 2000-იანი წლების მეორე ნახევრიდან საქართველომ დაიწყო რუსეთის ბუნებრივი აირის შესყიდვის გეგმური შემცირება, გაზარდა რა იმპორტი აზერბაიჯანიდან. ძირითად მიზეზად დასახელებული იყო რუსეთიდან შემოსული ბუნებრივი აირის ფასის გაზრდა. უფრო ადრე საქართველოს მხარემ არა ერთხელ განაცხადა, რომ ბუნებრივ აირზე დაწესებული ფასი უსაფუძვლოდ მაღალი იყო (2007 წელს საქართველოსთვის ფასი აირის კუბურ მეტრზე 235 დოლარს შეადგენდა, სომხეთისათვის 110 დოლარს).¹

2000-იანი წლების დასაწყისში გაჩნდა იმედი, რომ ენერგეტიკის სფეროში ურთიერთთანამშრომლობა ახალ დონეს მიაღწევდა. საქმე, უპირველეს ყოვლისა, ეხებოდა რუსეთის ბიზნესის მონაწილეობას საქართველოს ეკონომიკის გაზგამანაწილებელ სექტორში. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ გაზგამანაწილებელი კომპანიის „იტერა-საქართველოს“ შექმნა (რუსეთის კომპანიების საერთაშორისო ჯგუფ „იტერას“ 100%-იანი შვილობილი კომპანია), რომელიც ახორციელებდა საქართველოს 100-ზე მეტი საწარმოს, მათ შორის, 30-ზე მეტი რეგიონული გაზგამანაწილებელი კომპანიის გაზმომარაგებას. 2012 წელს კომპანია შეისყიდა აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანიამ, რომელიც ამჟამად ერთადერთი საცალო ოპერატორია საქართველოში (თბილისის გარდა).²

მეორე მხრივ, არსებობს რუსეთისა და საქართველოს ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობის მოწესრიგების მაგალითები. კერძოდ, აღსანიშნავია „ლუკოილის“ შვილობილი კომპანიის „ლუკოილ საქართველოს“ მოდერნიზაცია, რომელსაც აქვს ნავთობის ბაზა თბილისში და მცხეთის რაიონში მდებარე ნავთობის ბაზის აქციების საკონტროლო პაკეტი. გარდა ამისა, ქვეყანაში ყველაზე ფართო ავტოგასამართი სა-

¹ United Nation Conference On Trade and Development Statistics. URL: <http://unctadstat.unctad.org>

² “იტერა- საქართველოს” შესყიდვა საშუალებას აძლევს აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანიას ბუნებრივი აირის მიწოდება განახორციელოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე/ნოვოსტი-გრუზია. 01.11.2012. URL: <http://newsgeorgia.ru/economy/20121101/215306679.html>.

დგურების ქსელის საშუალებით კომპანია უზრუნველყოფს დიზელის საწვავისა და ბენზინის საცალო გაყიდვების ბაზრის, დაახლოებით, მეოთხედს.³

რუსული კომპანიების არსებობა შეინიშნება, აგრეთვე, ენერგოგენერირებისა და ენერგოგამანაწილებელ დარგებშიც. მაგალითად, ღია სააქციო საზოგადოება „ინტერ რაო“ აკონტროლებს კომპანია „თელასის“, თბილისის ყველაზე მსხვილი ელექტროენერჯის დისტრიბუტორის აქციების 75%-ს. „მტკვარი ენერჯეტიკის“ აქციების 100%, „ტრანსენერჯის“ – 50% აქვს, გარდა ამისა, ფლობს ორი ჰიდროელექტროსადგურის – „ხრამი ჰესი-1-ის“ და „ხრამი ჰესი-2-ის“ აქციებს, რომელთა ჯამური სიმძლავრე 240 მეგავატია, მართვის უფლებას.⁴

მთლიანობაში, რუსეთის ელექტროჰოლდინგი აკონტროლებს საქართველოს გენერირებული სიმძლავრეების 30%-ს და ელექტროენერჯის გასაღების 35%-ს. აქტიურად ვითარდება გაერთიანებული ენერჯეტიკული სისტემა „გრუზროსენერჯო“ – ერთობლივი საწარმო, რომელიც ახორციელებს ელექტროენერჯის მიწოდებას, განაწილებასა და ტრანზიტს. კომპანიის კაპიტალი განაწილებულია 50%-იან თანაბარ წილებად საქართველოს საწარმოების მართვის სააგენტოსა და ღია აქციონერულ საზოგადოება „ერთიანი ელექტროსისტემის ფედერალურ ქსელურ კომპანიას“ შორის.⁵

დიდ მიღწევად ითვლება 2011 წლის 1 მარტს რუსეთის ფედერაციის ენერჯეტიკის სამინისტროსა და საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმზე ხელმოწერა, რომელიც ითვალისწინებდა მთელ რიგ ღონისძიებებს რუსეთის ფედერაციის ერთიანი ელექტროსისტემისა და საქართველოს ენერჯეტიკული სისტემის პარალელური მუშაობის უზრუნველსაყოფად.⁶

³ შპს. „ლუკოილ-ჯორჯიას“ პორტალი. URL: <http://www.lukoil.ge/>.

⁴ რუსეთის კომპანიამ გაყიდა ჰიდროელექტროსადგურები სომხეთში, რომ ეყიდა ჰიდროენერჯეტიკული კომპლექსები საქართველოში//Black Sea News. 11.04.2011. URL: <http://www.blackseanews.net/read/15755>.

⁵ ერთიანი ელექტროსისტემის ფედერალური ქსელური კომპანიის პორტალი. URL: http://www.fsk-ees.ru/about/subsidiaries/subsidiaries_of_ojsc_quot_fg_ues_quot_with_shares_in_authorized_capital_from_20_to_99/ao_eco_quot_gruzrosenergo_quot/.

⁶ რუსეთისა და საქართველოს ენერჯის სისტემის სისტემური ოპერატორები ახდენენ პარალელური მუშაობის ნორმატიულ-ტექნიკური ბაზის აქტუალიზაციას. რუსეთის ფედერაციის ენერჯეტიკის სამინისტროს პორტალი. 03.04.2013. URL: http://minenergo.gov.ru/press/company_news/14600.html?sphrase_id=585294.

2011 წლის 16 მარტს, მემორანდუმის შესრულების მიზნით, კომპანიებმა „ერთიანი ენერგეტიკული სისტემის სისტემურმა ოპერატორმა“, „ერთიანი ელექტრო სისტემის ფედერალურმა ქსელურმა კომპანიამ“ და „საქართველოს ენერგოსისტემის სახელმწიფო კომპანიამ“ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საქართველოსა და რუსეთის ელექტროენერგეტიკული სისტემების პარალელური მუშაობის შესახებ.⁷

ასევე, შეიძლება, ენერგეტიკის სფეროში ტექნიკური თანამშრომლობის მაგალითების მოყვანა. მაგალითად, გარდაბანის გაზოტურბინულმა თბოელექტროცენტრალმა, რომელიც ეკუთვნის აქციონერულ საზოგადოება „ენერჯი ინვესტს“ (აქციონერული საზოგადოება „ვთბ“-ის საინვესტიციო პროექტი), ექსპლუატაციაში ჩაუშვა კომბინირებული ციკლის ორი გაზოტურბინა თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში (სრეს). რუსეთის „ვენემტორგბანკმა“ შეისყიდა „ვთბ ბანკ საქართველოს“ აქციების 77%.⁸

ბანკმა დააფინანსა ორი გაზოტურბინის შესყიდვა ამერიკული კორპორაციისგან «Pratt & Whitney», რომლებიც დაიდგა თბილისის სრეს-ში. დაფინანსებამ მთლიანობაში 40 მილიონი დოლარი შეადგინა.

გარდა ამისა, რუსული კომპანიები ინტერესს იჩენენ საქართველოს საბადოების დამუშავებისადმი. მაგალითად, რუსეთის ჯგუფი „სამრეწველო ინვესტორები“, მის შემადგენლობაში შემავალი ბრიტანული კომპანიის «Stanton Equities Corporation» მეშვეობით, აკონტროლებს სამთო გამამდიდრებელი კომბინატის „მადნეულის“⁹ აქციების 97,25% და კომპანიის «Trans Georgian Resource» აქციების 50%-ს, რომლებიც სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებით არიან დაკავებული.¹⁰

ცალკე ყურადღებას იმსახურებს ეკონომიკური ურთიერთობების ისეთი ტრადიციული სფერო, როგორცაა კვების მრეწველობა. ამ სფეროში სერიოზული უთანხმოებები დაიწყო 2005 წელს, როდესაც ფი-

⁷ რუსეთისა და საქართველოს ენერგოკომპანიებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ენერგოსისტემების პარალელური მუშაობის შესახებ. ერთიანი ელექტროსისტემის ფედერალური ქსელური კომპანიის პორტალი. 21.03.2011. URL: http://www.fsk-ees.ru/shareholders_and_investors/ir_releases/?ELEMENT_ID=2200.

⁸ აქციონერული საზოგადოების “ ბანკ „ვთბ (საქართველო)“ პორტალი. URL: <http://ru.vtb.ge/about/>

⁹ ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფის „ სამრეწველო ინვესტორები“ პორტალი. . URL: <http://www.prominvestors.com/projects/completed/madneuli-kvartsit>

¹⁰ რუსეთის საინვესტიციო ჯგუფის ბრიტანულმა „შვილობილმა“ გაიმარჯვა საქართველოს ტენდერში // საინფორმაციო სააგენტო რეგნუმი. 02.11.2005. URL: <http://regnum.ru/news/538496.htm>.

ტოსანიტარიული ნორმების დარღვევის გამო დაწესდა შეზღუდვები რუსეთში ქართული მემცენარეობის დარგის პროდუქციის შეტანაზე. 2006 წელს აიკრძალა ქართული ღვინოებისა და კონიაკის შეტანა. სხვადასხვა შეფასებით ამ პროდუქციის ექსპორტიორთა ზარალმა 300-500 მილიონი დოლარი შეადგინა.¹¹

სიტუაციის გაუმჯობესებასთან ერთად თანდათანობით განახლდა საქართველოსთვის ტრადიციული საქონლის – ღვინოების, კონიაკების, ჩაის, თამბაქოს ნაწარმის, ეთერზეთოვანი კულტურების, ბოსტნეულისა და ხილის კონსერვების, თხილის მიწოდება. რუსეთის ბიზნესიც, ასევე, შემოდის კვების პროდუქტების ქართულ ბაზარზე. ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულად ითვლება რუსული კომპანია “ვიმ-ბილ-დანის კვების პროდუქტები”, რომელმაც შეისყიდა კომპანია „ქართული პროდუქტები“, ყურძნის წვენს რომ აწარმოებდა.¹²

ალკოჰოლური პროდუქციის ბაზარზე მნიშვნელოვანი მოთამაშეა რუსული კომპანია „დიონის კლუბი“, რომელმაც შეისყიდა შპს „თბილისის ღვინის სარდაფი“ „ახაშენის“ ღვინის ქარხნის ბაზაზე.¹³

არსებობს კვების კომპლექსის სხვა დარგებში ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობის მაგალითები. მაგალითად, „მიქოიანის ხორცკომბინატმა“ და „ანაგრუპმა“ შექმნეს ხორცის პროდუქციის ერთობლივი წარმოების საწარმო „მიქანა“ სავაჭრო ნიშნით „მიქოიანი“.

გარდა ამისა, რუსული კომპანიები მონაწილეობენ საქართველოს ტელესაკომუნიკაციო სფეროშიც. კერძოდ, „ვიმპელკომმა“ შეისყიდა შპს „მობიტელის“ აქციების 51% და აკონტროლებს ქართული კავშირგაბმულობის ბაზრის 13%-ს¹⁴.

მიუხედავად სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების თანდათანობითი აღდგენისა, რუსეთ-საქართველოს სრულფასოვან თანამშრომ-

¹¹ საქართველო უარს ამბობს რუსული საქონლის შექმნაზე უკრაინული საქონლის სასარგებლოდ // Newsru.com. 12.09.2008. URL: <http://txt.newsru.com/finance/12sep2008/guusuam.html>; მიმდინარე წელს საქართველო გახდება სიმინდის ექსპორტიორი // Argoru.com. 05.04.2011. URL: <http://www.agroru.com/news/720197.htm>.

¹² «ვიმ-ბილ-დან კვების პროდუქტებმა“ გაყიდა „ქართული პროდუქტები“ // DairyNews. 28.03.2008. URL: http://www.dairynews.ru/news/quotvimm-bill-dann_ppquot_prodal_quotgruzinskije_p.htm.l

¹³ „დიონის კლუბის“ ქართული ღვინოები/საინფორმაციო სააგენტო „როსალკოგოლ“. 22.07.2002. URL: <http://rosalcohol.ru/site.php?id=6237&table=bmV3c19nbGF2>

¹⁴ ღია სააქციო საზოგადოება „ვიმპელკომმა“ შეისყიდა შპს „მობიტელის“ აქციების 51%// საინფორმაციო სააგენტო რეგნუმი. 12.07.2006. URL: <http://www.regnum.ru/news/672623.html>.

ლობაზე ლაპარაკი ადრეა. რუსეთის წილი უმნიშვნელო რჩება საქართველოს როგორც სასაქონლო, ასევე კაპიტალის ბაზარზე.

სავაჭრო თანამშრომლობა

ორი ქვეყნის ურთიერთქმედება სავაჭრო სფეროში, ძირითადად, რეგულირდება საქონლით ვაჭრობის საბაჟო ადმინისტრირებისა და მონიტორინგის მექანიზმის ძირითად პრინციპებზე სამთავრობათაშორისი ხელშეკრულებით (2012). ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენამდე ამ ხელშეკრულების აღსრულება დაევალა შვეიცარიულ კომპანია SGS-ს.

ამასთან ერთად, 2012 წლის მონაცემებით, რუსული საქონლის წილი საქართველოს იმპორტში უმნიშვნელო რჩებოდა (7,3%). შედარებისთვის: ევროკავშირის წილი – 31%, თურქეთის -17,8%, აზერბაიჯანის – 8,1%.¹⁵

კრიზისამდელ პერიოდთან (2008 წლის კონფლიქტი) შედარებით რუსეთის წილი 3-ჯერ მეტად შემცირდა. შემცირება შეეხო რუსული ექსპორტის, ფაქტობრივად, ყველა სასაქონლო ჯგუფს (იხ. ცხრილი 1). თუმცა მთავარი პრობლემა მდგომარეობს არა იმდენად რუსული საქონლის ექსპორტის შემცირებაში საქართველოში და რუსული კომპანიების მიერ დაკარგულ მოგებაში, არამედ მესამე ქვეყნების კონკურენტი კომპანიების მიერ პოზიციების განმტკიცებაში. განსაკუთრებულ აქტიურობას ამ დროს იჩენდნენ ჩინეთი და თურქეთი, რომლებსაც ქვეყანაში შემოჰქონდათ თითქმის ყველა ის საქონელი, ტრადიციულად რუსეთიდან რომ შემოდიოდა.

ცხრილი 1. რუსული საქონლის წილი საქართველოს იმპორტის სასაქონლო ჯგუფებში (2012 წელი, პროცენტებში)¹⁶

სასაქონლო ჯგუფი	%
ყველაფერი, მათ შორის:	6
სასურსათო საქონელი და ცოცხალი ცხოველები	18,9
მარცვლეული კულტურები	44,5
სასმელი და თამბაქო	15,6

¹⁵ საქართველოს პოლიტიკის სასაქონლო კავშირები და ვექტორები//რუსეთ-საქართველო: ექსპერტული დიალოგი. 02.01.2014. URL: <http://georgiamonitor.org/detail.php?ID=538/>.

¹⁶ International Trade Center. Trade Map. URL: <http://www.trademap.org/index.aspx?ReturnUrl=%2fBilateral.aspx>.

მინერალური საწვავი, საპოხი და მსგავსი პროდუქტები	11,7
მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ცხიმები, ზეთები და ცვილი	14,3
ფარმაცევტული პროდუქცია	20
მანქანები, დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები	4,3


გარდა ამისა, შეიცვალა რუსეთ-საქართველოს ვაჭრობის ხარისხობრივი სტრუქტურა. თუკი საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში რუსეთის ექსპორტის საერთო მოცულობის 50% მოდიოდა ენერგორესურსებზე, ახლა მათი წილი ოდნავ მეტია 20%-ზე, რომლის უდიდეს ნაწილსაც ბუნებრივი აირის მიწოდება შეადგენს. ამ სასაქონლო ჯგუფის წილის შემცირების ფონზე მნიშვნელოვნად გაიზარდა სურსათის წილი: 8,2%-დან 1995 წელს – 48%-მდე 2011 წელს (თუმცა 2011 წლის მონაცემი აბსოლუტურ გამოხატულებაში ბევრად დაბალია 2007 წლის მონაცემზე). აღსანიშნავია, რომ საქართველოში შემოტანილი ყველა სასურსათო საქონლის 60 %-ზე მეტი მოდის მარცვლეულსა და მის ნაწარმზე.¹⁷

ამგვარად, რუსეთმა და საქართველომ შეძლეს შეენარჩუნებინათ სავაჭრო ურთიერთობები მხოლოდ იმ სასაქონლო ჯგუფებზე (ბუნებრივი აირი, ნავთობი, ელექტროენერგია, მარცვლეული), რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაციონალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და რომლის დიდ მოცულობაზე უარის თქმამაც სერიოზული ეკონომიკური შედეგები შეიძლება გამოიწვიოს.

ქვემოთ დიაგრამაზე მოცემულია საქართველოში რუსეთის ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა (იხ. სურათი 1).

ანალოგიური სურათი შეიმჩნევა კაპიტალის ბაზარზეც. რუსეთის კომპანიები საკმაოდ წარმატებულად მუშაობენ ქართულ ბაზარზე, თუმცა საქართველოში დაბანდებული უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობაში რუსეთის კაპიტალის წილი ისევ მოკრძალებული რჩება. ძირითადი ინვესტიციები შემოდის ევროკავშირის ქვეყნებიდან (42,7%), თურქეთიდან (7%), აშშ-დან (6,6%). რუსეთის წილზე, რომელსაც მე-6 ადგილი უკავია ინვესტიციების საერთო მოცულობაში, მხო-

¹⁷ სავაჭრო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის ფედერალური საბაჟო სამსახური. URL: <http://stat.customs.ru/apex/f?p=201:1:4182529600539071>



საინვესტიციო თანამშრომლობა

სურათი 1. რუსეთის ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა საქართველოში

ლოდ 3,7% მოდის, დაახლოებით, იგივე, რასაც ურიცხავენ საერთაშორისო ორგანიზაციები.¹⁸

ამასთან ერთად, როგორც სტატისტიკური მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოში რუსეთის ინვესტიციები თითქმის ორჯერ შემცირდა. თან ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ რუსეთის კაპიტალის რეალური მოცულობა საქართველოს ბაზარზე გაცილებით მაღალია, ვინაიდან ოფიციალური სტატისტიკა არ ასახავს რუსეთის კაპიტალის იმ წილს, რომელიც შემოდის კვიპროსიდან ან ვირჯინიის კუნძულებიდან. ამას გარდა, ფიზიკური პირების ტრანსსასაზღვრო ოპერაციების მოცულობა, რუსეთის ბანკის შეფასებით, შეადგენს, დაახლოებით, 0,8 მილიარდ დოლარს წელიწადში.¹⁹

¹⁸ National Statistics Office of Georgia official website. URL: <http://www.geostat.ge/index.php?action=0&lang=eng>.

¹⁹ რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის პორტალი. URL: <http://www.cbr.ru/statistics/>.

* United Nation Conference On Trade and Development Statistics. URL: <http://unctadstat.unctad.org>

ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივები

დღესდღეობით მეტად მნიშვნელოვანია კითხვა რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების პერსპექტივების შესახებ. ამაზე პასუხის გასაცემად საჭიროა თანამშრომლობის პერსპექტიული მიმართულებების განსაზღვრა, არსებული და პოტენციური გამოწვევების და საფრთხეების შეფასება და მათი გადალახვის გზების მოძებნა.

რუსი ინვესტორების აზრით, რომლებიც წარმოდგენილი არიან საქართველოს ეკონომიკის საკმაოდ ფართო სექტორში, საქართველოსა და რუსეთს შორის პოლიტიკური კონფლიქტის დარეგულირების შემთხვევაში, ორი ქვეყნის თანამშრომლობას კარგი პერსპექტივა ექნება როგორც ფინანსურ ბაზარზე, ასევე რეალურ სექტორში, ფაქტობრივად, ყველა სასაქონლო ჯგუფში. ყველაზე მეტად პერსპექტიულად მიიჩნევა ხორცისა და ხორცის ნაწარმის, წამლებისა და ფარმაცევტიკული პროდუქციის, რკინისა და ფოლადის, აგრეთვე, საგზაო სატრანსპორტო საშუალებების მიწოდება.

ორმხრივი ურთიერთობების განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე მიზანშეწონილია ურთიერთთანამშრომლობის იმ მიმართულებების გაღრმავება, სადაც უკვე მოქმედებს ურთიერთქმედების გამართული და სტაბილური სქემა. კერძოდ, ვაჭრობის სფეროში რუსეთის კომპანიები კონკურენტუნარიანი არიან რძის პროდუქტების, მეფრინველეობის პროდუქციის, ენერგომატარებლებისა და ელექტროენერჯის მიწოდების ბაზარზე. რუსეთის მომხმარებელი, თავის მხრივ, მიდრეკილია, იყიდოს ქართული წარმოების ისეთი ტრადიციული საქონელი, როგორცაა ალკოჰოლური სასმელი, ჩაი, ხილი, ეთერული ზეთები და მათი ნაწარმი.

ორმხრივი ვაჭრობის პერსპექტიულ მიმართულებებზე საუბრისას, რომელთა განვითარებასაც მეტი დრო სჭირდება, საჭიროა გამოიყოს გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია (მანქანები, სატრანსპორტო და სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობები), ქიმიური მრეწველობის პროდუქცია (საპოხი საშუალებები, მინერალური საწვავი), ასევე, თამბაქო და ცხოველური წარმოშობის ნედლეულის გადამამუშავებით მიღებული პროდუქტები. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საინვესტიციო თანამშრომლობაც სწორედ ამ მიმართულებებით განვითარდება.

მიზანშეწონილად მიიჩნევა თანამშრომლობის გაღრმავება ისეთ სფეროებში, სადაც უკვე დაგროვილია დადებითი გამოცდილება: გა-

ზის სექტორი, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, ენერგეტიკა, ნავთობგადამუშავება, კვების მრეწველობა, ტელეკომუნიკაციები, ფინანსური სექტორი.

ცალკე ყურადღებას იმსახურებს მომსახურების ბაზარი. აქ ტრადიციულად ყველაზე პერსპექტიული ტურიზმია. 2000-იანი წლების ბოლოს ტურისტული გაცვლა რუსეთსა და საქართველოს შორის პრაქტიკულად შეწყდა. თუმცა, მას შემდეგ, რაც 2012 წელს საქართველომ რუსეთის მოქალაქეებს ცალმხრივად გაუუქმა სავიზო რეჟიმი, ამ ქვეყანაში ჩამოსული რუსი ტურისტების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა (75%-ით უვიზო რეჟიმის მოქმედების პირველივე წელს).²⁰

ამავე დროს, არსებობს მთელი რიგი ფაქტორები, რომლებიც ზღუდავს ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებისა და გაფართოების შესაძლებლობებს. რუსეთმა ყურადღება უნდა მიაქციოს ჩინეთ-საქართველოს ერთობლივი პროექტების რაოდენობის ზრდას, ასევე, აშშ-დან და თურქეთიდან ინვესტირების დიდ მოცულობას. გამწვავებული კონკურენციის პირობებში, რუსეთი ან უნდა გამოვიდეს ახალი, უფრო მომგებიანი და კონკურენტუნარიანი პროექტების ინიციატორად, ან განავითაროს თანამშრომლობა მრავალმხრივ საფუძველზე, ჩაერთოს რა უკვე არსებულ ან ხელახლა შექმნილ პროგრამებში.

თუმცა ცხადია, რომ რუსეთ-საქართველოს მომავალ ურთიერთობებს როგორც სავაჭრო, ასევე ინვესტიციების სფეროში, განსაზღვრავს ორი ქვეყნის პოლიტიკური ურთიერთობების განვითარება. კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებამდე ორმხრივი ვაჭრობის მოცულობის გაზრდა პრაქტიკულად შეუძლებელია.

უნდა გავაცნობიეროთ, რომ პოლიტიკური ურთიერთობების მოწესრიგება ხანგრძლივი პროცესი იქნება. სააგენტო „ამერიკის ხმის“ შეფასებით ქართველების 63%-ს ჯერ კიდევ მიაჩნია, რომ რუსეთი ყველაზე დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური საფრთხეა საქართველოსთვის. თუმცა საქართველოს მოსახლეობა სრულიად ემხრობა რუსეთთან დიალოგს.

პოლიტიკური ურთიერთობების მოწესრიგებისათვის, გარდა უმაღლეს დონეზე მოლაპარაკებებისა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოსახლეობასთან ურთიერთობა. როსსტატის მონაცემებით რუსეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს 157 ათასი ქართველი, ანუ, დაახ-

²⁰ Ministry of Internal Affairs of Georgia official website. URL: <http://www.police.ge/index.php?m=199>

ლოებით, საზღვარგარეთის ქართული დიასპორის 40%. გარდა ამისა, რუსულ ენას ფლობს საქართველოს მოსახლეობის მესამედი.²¹ თანამშრომლობის ამ მიმართულებით, კერძოდ, კულტურული გაცვლების განვითარებით, შეიძლება უზრუნველყოფილი იქნას საქონლისა და მომსახურების ურთიერთმიწოდება და მიღწეული იყოს შემხვედრი ფინანსური ნაკადების გაზრდა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ორმხრივი ურთიერთქმედების განვითარებისთვის აქვს სასაზღვრო თანამშრომლობას. ბოლო წლებში ამ მიმართულებით სერიოზული წარმატებები არ აღინიშნება. როსტოვის ოლქისა და ჩრდილო ოსეთის თანამშრომლობა საქართველოს სასაზღვრო რაიონებთან შეზღუდულ ხასიათს ატარებს, თუმცა დიდი პოტენციალი აქვს.

ცალკე ყურადღებას იმსახურებს სრულფასოვანი სატრანსპორტო ურთიერთკავშირის მოწესრიგება. საავტომობილო კავშირის აღდგენის შემდეგ ყველაზე უფრო მეტად აქტუალურია საქართველოს სამხედრო გზის მოდერნიზაციის პროექტები და სრულფასოვანი საჰაერო მიმოსვლის აღდგენა. ამასთან ერთად, საიდუმლო არ არის, რომ საქართველოს მხარე აქტიურად ამუშავებს რუსეთის გვერდის ავლით სატრანსპორტო კორიდორების პროექტებს. საუბარია, უპირველეს ყოვლისა, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტზე, რომელიც სამ ქვეყანას დააკავშირებს ყოფილი სსრკ-ის რკინიგზის ქსელის გვერდის ავლით.

ცხადია, რომ რუსეთისა და საქართველოს ეკონომიკური ურთიერთქმედება დღესდღეობით საკმაოდ შეზღუდული ხასიათისაა. თუმცა, ორმხრივი ურთიერთობების სწორად აწყობის შემთხვევაში ამ სფეროში დადებითი ცვლილებების იმედი ჩნდება. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციური პარტიის „ქართული ოცნების“ გამარჯვებამ და ბ. ივანიშვილისა და დ. მედვედევის საუბარმა 2013 წლის იანვარში დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე რუსეთისა და საქართველოსთვის დიალოგის ახალი შესაძლებლობები დასახა.

²¹ საქართველოში საზოგადოება მოითხოვს რუსული ენის დაბრუნებას სკოლებში// რუსეთის ხმა. 07.02.2014. URL: http://rus.ruvr.ru/2014_02_07/V-Gruzii-obshhestvennost-prosit-vernut-russkij-jazik-v-shkoli-0932/

ქართულ-რუსული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები

საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის დღეს არსებული მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ამ ქვეყნების სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ჩვენს ქვეყნებს შორის არ არის ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობები, ხოლო ჩვენს დედაქალაქებში არ ფუნქციონირებენ საელჩოები და საკონსულოები, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები არ შეწყვეტილა. სწორედ ამ საკითხის განხილვას დაეთმობა აღნიშნული სტატია.

საბჭოთა კავშირის ნგრევის შედეგად ერთიანი ეკონომიკური სფერო დაიშალა. ამ პერიოდისთვის საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკა შედიოდა ამიერკავკასიის ეკონომიკურ რეგიონში, რომელიც, თავის მხრივ, უფრო დიდი საკავშირო ეკონომიკის ნაწილი იყო¹. კავშირის ნგრევა საქართველოსთვის განსაკუთრებით საგრძნობი იყო, რადგანაც აქამდე ერთიან სივრცეზე მიბმული ეკონომიკა გამოცალკევდა. შესაბამისად, ამან გამოიწვია ძველი კავშირების დაკარგვა მომწოდებლებთან და წარმოებული პროდუქციის მომხმარებლებთან. გასაკვირი არაა, რომ აღნიშნულმა და სხვა მრავალმა ფაქტორმა 64%-ით შეამცირა საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 1990 წლიდან 1992-მდე².

ერთი მხრივ, ამან დიდი დარტყმა მიაყენა საქართველოს ეკონომიკას, თუმცა, მეორე მხრივ, გამოიწვია ახალი ბაზრების მოძიების რეჟიმზე გადასვლა. აღნიშნულმა საკმაოდ შეამსუბუქა 2006 წლის ემბარგოს ზეგავლენა საქართველოზე. 2006 წელს შეიზღუდა როგორც სავიზო რეჟიმი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქეებისთვის, ასევე ძირითადი პროდუქციის სახეობების იმპორტი საქართველოდან, მაგალითად, ალკოჰოლური სასმელებისა და მინერალური წყლების.


¹ Закавказский экономический район. Экономико-географический очерк. под ред. А.А. Адамеску, и Е.Д. Силаева. Москва, «Наука», 1973

² Stephen Jones. Georgia: A Political History since Independence. Tbilisi: I.B.Taurus & Co Ltd?. 2013

სავაჭრო ემბარგოს გამოცხადების სხვადასხვა მიზეზი მოჰყავთ. ზოგი ამას უკავშირებს გახმაურებულ მზვერავების საქმეს, როდესაც რამდენიმე სამხედრო მაღალჩინოსანი რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის ბრალდებით დააპატიმრეს. ასევე განიხილება რუსეთი-საქართველო-სომხეთის გაზსადენის საქართველოს მონაკვეთის გასხვისების საკითხი. რუსეთის მხარეს უკვე დიდი ხნის ინტერესი ჰქონდა ამ გაზსადენის ყიდვაზე ან გრძელვადიანი იჯარით აღებაზე³. საკითხზე მიმდინარეობდა მოლაპარაკებები და შეთანხმება მხოლოდ იმის შემდგომ ჩაიშალა, რაც აშშ-ის მთავრობამ საქართველოს გამოუყო ფინანსური დახმარება გარიგების თანხის ფარგლებში.

ემბარგოს და სხვა სანქციებს უნდა დაესაჯა საქართველო რამდენიმე მიმართულებით. განვიხილოთ ეს ასპექტები:

სავიზო რეჟიმის გამკაცრება: რუსეთის ფედერაციაში დიდი რაოდენობით ეთნიკური ქართველი თუ საქართველოს მოქალაქე ცხოვრობს და მუშაობს⁴. მათი შემოსავლების გარკვეული ნაწილი ფულადი გზავნილების თუ სხვა ხერხების მეშვეობით შემოდიოდა საქართველოში. იქიდან გამომდინარე, რომ ხელით გამოგზავნილი ფულის რაოდენობის გაზომვა მეტად რთულია, ჩვენ გვრჩება ერთი ზუსტი ინსტრუმენტი, ფულადი გზავნილები საბანკო სისტემის მეშვეობით. ქვემოთ მოყვანილია რუსეთის ფედერაციიდან საქართველოს მიმართულებით ჩარიცხული გზავნილების დინამიკა წლების მიხედვით:




³ Дмитрий Коптюбенко. ««Газпром» договорился с Грузией». РосБизнесКонсалтинг, 29.08.2005

⁴ Официальный сайт Всероссийской переписи населения 2010 года. Информационные материалы об окончательных итогах Всероссийской переписи населения 2010 года (http://www.gks.ru/free_doc/new_site/perepis2010/perepis_itogi1612.htm)

გრაფიკიდან ჩანს, რომ 2005 წელს ფულადი გზავნილები რუსეთის ფედერაციიდან საქართველოს მიმართულებით 240 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, რაც, 2009 წლის ვარდნას თუ არ ჩავთვლით, სტაბილურად იზრდებოდა და 2013 წელს 801 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა⁵. რუსეთის შრომის ბაზარი ემზარგოს შედეგად არათუ შემცირდა საქართველოსთვის, არამედ, როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, გაიზარდა. ამ თვალსაზრისით ემზარგო არაეფექტიანი გამოდგა და მან, ძირითადად, საქართველოსა და რუსეთს შორის დროებითი მიმომსვლელების ნაკადი შეამცირა. აქვე აღსანიშნავია, რომ 2009 წელი რთული აღმოჩნდა ორივე სახელმწიფოსთვის, რომელთა ეკონომიკური ზრდა ამ წელს შეფერხდა, თუმცა ასეთივე ტრენდი შეინიშნებოდა გლობალურადაც, შესაბამისი მსოფლიო საფინანსო კრიზისის გამო. ეს აისახა 2009 წელს ასევე მშპ-ს უარყოფით ზრდასა და უმრავლეს სხვა მაჩვენებელში ჩვენს ქვეყნებში.


საექსპორტო პროდუქციის მოცულობა: ეს მუხლი ემზარგოს პირდაპირ სამიზნეს წარმოადგენდა, რამეთუ ემზარგოს დაექვემდებარა საქართველოს რამდენიმე ძირითადი საექსპორტო პროდუქტი, ალკოჰოლური სასმელები და მინერალური წყლები. ვნახოთ, რა ზეგავლენა იქონია ემზარგომ საქართველოს ექსპორტის მოცულობაზე:



⁵ National Bank Of Georgia; (<http://nbg.ge/index.php?m=306>)

საქართველოს ექსპორტის ანალიზი გვიჩვენებს საპირისპირო მონაცემებს. ნაცვლად იმისა, რომ ემბარგოს შედეგად საქართველოს ექსპორტი შემცირებულიყო, ის მკვეთრად იზრდება. უფრო მეტიც, საქართველოს ექსპორტი 2003 წლიდან 2013 წლის ჩათვლით 6,5-ჯერ გაიზარდა – 461 მილიონი დოლარიდან 2,9 მილიარდ დოლარამდე⁶. ემბარგომ დროებითი ზეგავლენაც კი ვერ მოახდინა ექსპორტზე, ის 2006-08 წლებში სტაბილურად იზრდებოდა. ქართულმა საექსპორტო პროდუქციამ სწორი რეაგირება მოახდინა გარემოს ცვლილებაზე და რეალიზაციის ახალი ბაზრები მოიძია. საქართველოს საწარმოებმა ამით კარგი გაკვეთილი მიიღეს და მომხმარებელთა ბაზრების დივერსიფიკაცია დაიწყეს. ამან, გარდა პირდაპირი ექსპორტის მოცულობის ზრდისა, სხვა დამატებითი სარგებელი მოიტანა. იმის გამო, რომ რიგი ქვეყნებისა არ იცნობდა და არ იყო მიჩვეული ჩვენს პროდუქციასა და ბრენდებს, მწარმოებლებს მოუწიათ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, რამაც, ზოგადად, ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე დადებითი ზეგავლენა იქონია.

სრულყოფილი სურათისთვის ვნახოთ საგარეო ვაჭრობის სრული მოცულობა:




ჯამში საქართველოს სავაჭრო ბრუნვაც გაიზარდა. ემბარგოს არ მოუხდენია უარყოფითი გავლენა არც ექსპორტის მოცულობაზე და არც – იმპორტისა. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო მცირე

⁶ National Statistics Office of Georgia; (http://geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=geo)

ქვეყანა, ბუნებრივია, ის ვერ იქნება თვითკმარი და ვერ განახორციელებს ფართომასშტაბიანი იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკას, თუნდაც იმ მარტივი მიზეზით, რომ მის ტერიტორიაზე არ მოიპოვება მთელი რიგი რესურსებისა, რომლებიც საჭიროა შიგა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამის გამო, იმპორტის ზრდა გარკვეულ ფარგლებში არ წარმოადგენს საფრთხეს ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისთვის. მცირე შიდა ბაზრის გათვალისწინებით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტია ექსპორტზე ორიენტირებული დარგების განვითარების ხელშეწყობა.

ვნახოთ, რა ხდებოდა ამ მხრივ ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით. ქვემოთ მოყვანილია საქართველოს მშპ-ს მონაცემები 2003-2013 წლებში:



მთლიანი შიდა პროდუქტის ანალიზიც გვიჩვენებს, რომ რუსულმა ემბარგომ ვერ მოახდინა ეკონომიკის ზრდის შენელება. პირიქით, ზრდის ყველაზე მაღალ ტემპებს ამ პერიოდში – 2005-2007 წლებში მიაღწია. თუ საქართველოს მშპ 2003 წელს დაახლოებით 4 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა, 2012 წელს ეს მაჩვენებელი 16 მილიარდ დოლარს მიუახლოვდა⁷.


შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის სავაჭრო ემბარგომ და სავიზო რეჟიმის გამკაცრებამ ვერ იქონია საგრძნობი პირდაპირი ზეგავლე-

⁷ National Statistics Office of Georgia; (http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=118&lang=geo)

ნა საქართველოს ეკონომიკაზე. ალბათ უფრო დიდი გავლენა ჰქონდა 2008 წლის კონფლიქტს საქართველოს საინვესტიციო რეპუტაციაზე, როდესაც ომის შედეგად რისკ-ფაქტორები გაიზარდა საერთაშორისო ინვესტორებისთვის. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს რისკ-ფაქტორები ომის შედეგად რუსეთისთვისაც გაიზარდა, ხოლო საქართველოში მათი ზრდა არა მარტო ომის ფაქტორით იყო გამოწვეული, არამედ, ასევე, დამატებითი შიდა პოლიტიკური სიტუაციით.

2012 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოხდა ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლა. 2013 წლის თებერვალ-მარტში განხორციელდა სამუშაო ვიზიტები თბილისსა და მოსკოვში, რის შედეგადაც გარკვეულწილად, თუმცა სრულად არა, მოხდა ქართული პროდუქციის დაბრუნება რუსეთის ბაზარზე. ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ, თუ რა ზეგავლენა იქონია ამ მოვლენამ 2 ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობებზე.

წილობრივად საქართველოს ექსპორტში რუსეთს შემდეგი წილი უკავია:




თუ 2005 წელს რუსეთის ბაზარი საქართველოს ექსპორტში 1 ადგილს იკავებდა 18% წილით, 2008 წელს ის უკვე საექსპორტო ქვეყნების ათეულშიც ვეღარ შედიოდა. 2012 წლის ბაზრის გახსნის შემდგომ ექსპორტი რუსეთის მიმართულებით კვლავ გაიზარდა და 45 მილიონი დოლარიდან მყისიერ გაოთხმაგდა, 2013 წელს 190 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა⁸. ეს ზრდა, ძირითადად, ისევ და ისევ იმ ალკოჰოლური სასმელებისა და მინერალური წყლების წილზე მოდის, რომელთაც რუსული ბაზარი 2006 წლიდან დახურული ჰქონდათ. ექსპორტმა რუსეთის მიმართულებით 2013 წელს ჯამური ექსპორტის 6,5% შეადგინა. რუსულმა ბაზარმა ვეღარ შეძლო დომინანტი როლის მოპოვება

⁸ National Statistics Office of Georgia; (http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=136&lang=geo)

ქართულ ექსპორტში, რადგანაც საქართველოს კომპანიებმა მოძებნეს ალტერნატიული ბაზრები საკუთარი პროდუქციის რეალიზაციისთვის. ამ ბაზრებზე ქართული ნაწარმი ხშირად უფრო მაღალ ფასებში იყიდება, ვიდრე აპრობირებულ რუსეთის ბაზარზე, რის გამოც ეს ბაზრები პრიორიტეტულად მიიჩნევა. ასევე, არაა მოსალოდნელი ქართული ექსპორტის შემდგომი დიდი წილობრივი ზრდა რუსეთის მიმართულებით. დღეს რაოდენობრივი შეზღუდვები ღვინის ექსპორტზე უკვე მოხსნილია. დარჩა მხოლოდ ხარისხობრივი ბარიერები, ძველი „გოსტის“ სტანდარტებით. არც კომპანიებს სჭირდებათ დამატებითი ლიცენზირება საკუთარი ნაწარმის გასატანად, საკმარისია, უბრალოდ, დააფუძნოთ ღვინის მწარმოებელი კომპანია და დააკმაყოფილოთ ხარისხის მოთხოვნა, რის შემდეგაც კომპანიას შეუძლია გაიტანოს იმ რაოდენობის პროდუქცია, რომლის რეალიზაციასაც მოახერხებს. აქ სხვა სახის შეზღუდვას ვაწყდებით, რაოდენობრივი მაჩვენებლის შეზღუდვისას - ეს არის ღვინისა და ვაზის არსებული რესურსის ლიმიტი. ვაზი არ მიეკუთვნება სოფლის მეურნეობის იმ სახეობას, რომელიც 1 წელიწადში იძლევა ნაყოფს, დღეს არსებული ყურძნის მარაგები კი თითქმის ათვისებულია. შესაბამისად, ახალი მოთამაშის გამოჩენა საქართველოს ბაზარზე იმდენად არ გაზრდის ჩვენს ექსპორტს რუსეთის მიმართულებით, რამდენადაც წილს წაართმევს სხვა კონკურენტ საწარმოებს.




ანალოგიური მდგომარეობა იმპორტის თვალსაზრისითაც:



რუსული იმპორტის წილი უკვე 2005 წლიდან კლებულობს ჯამურ იმპორტში. 2005 წელს იმპორტი რუსეთიდან 380 მილიონ დოლარს შეადგენდა, რაც მთელი იმპორტის 15% იყო. ეს მაჩვენებელი 2013 წელს 590 მილიონ დოლარს შეადგენს, რაც ჯამური იმპორტის მხოლოდ 7,5% არის⁹. ჯერ კიდევ ამაზე ადრე საქართველომ დაიწყო ენერგორესურსების იმპორტის ჩანაცვლება რუსეთიდან სხვა ქვეყნებზე, ძირითადად, აზერბაიჯანი, თურქეთი და ა.შ. და, შესაბამისად, უკვე დიდად შეამცირა რუსეთიდან ენერგო იმპორტი. დროთა განმავლობაში უკვე თავისუფალი ბაზრის პრინციპებიდან გამომდინარე, რიგი საქონლისა, რომელიც შემოდის რუსეთიდან, ჩაანაცვლა სხვა ქვეყნების კონკურენტმა საქონელმა. როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში მოსახლეობამაც და საწარმოებმაც მიიღეს ინფორმაცია სხვადასხვა საერთაშორისო საქონელსა და მომსახურებაზე, რომლებიც შეჩვეულ პროდუქციაზე უფრო ხარისხიანი ან იაფი აღმოჩნდა.

⁹ National Statistics Office of Georgia; (http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=136&lang=geo)



ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, რუსეთმა დაკარგა ლიდერი სავაჭრო პარტნიორის პოზიციები საქართველოსთვის. საქართველოს ექსპორტი, ისევე როგორც იმპორტი, ნაკლებადაა დამოკიდებული რუსულ ბაზარზე. ამავე მიზეზით, საქართველოს ეკონომიკა აღარ არის მიბმული რუსეთის ეკონომიკაზე იმ ზომით, როგორც ეს იყო წინა ათწლეულის დასაწყისში. რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ მომავალში ემბარგოს ან მსგავსი კონტროლების მიღება უკვე იმ ეფექტსაც ვეღარ გამოიღებს, რაც აქამდე ჰქონდა, რადგანაც ქართული საწარმოები მაქსიმალურად ცდილობენ საკუთარი ნაწარმის რეალიზაციის ბაზრის დივერსიფიკაციას, რომ შესაძლო რისკებისგან თავი მაქსიმალურად დაიზღვიონ. რა თქმა უნდა, რუსეთი რჩება საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო ეკონომიკურ პარტნიორად, მაგრამ მის ხელთ არსებული ეკონომიკური ბერკეტები ვეღარ შექმნის ამინდს საქართველოს ეკონომიკაში. შესრულებული ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსულმა ემბარგომ იმდენად დიდი ეკონომიკური ზიანი ვერ მიაყენა საქართველოს, როგორც გააღიზიანა ადგილობრივი მოსახლეობა და გამოიწვია მისი ანტიპატიისა და მტრული განწყობის ზრდა რუსეთის მიმართ.

გარდა ციტრუსების, ალკოჰოლისა და მინერალური წყლებისა, განსაკუთრებული ადგილი რუსულ-ქართულ ურთიერთობებში უკავია ენერგეტიკის სექტორს. განსხვავებით ჩვენი საექსპორტო საქონ-

ლისგან, ეს ის სეგმენტია, სადაც რუსეთის ფედერაციის ინტერესები განსაკუთრებით მკვეთრადაა გამოხატული.

საქართველოს მცირე ქვეყნის სტატუსთან მიმართებაში საკმაოდ კარგი პოტენციალი აქვს ენერგოსექტორში. დარგი მუდმივად ვითარდება და იზრდება. მაგალითად, ამჟამად მიმდინარეობს დამატებით 11 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რაც საგრძნობლად გაზრდის ჩვენი ელექტროენერჯის გამომუშავებას¹⁰. მიმდინარეობს გარდაბნის ახალი თბოელექტროსადგურის მშენებლობა. იგეგმება და პროექტირების ფაზაშია რიგი ახალი, დიდი პროექტებისა.

აღნიშვნის ღირსია, რომ საქართველომ დაიწყო ალტერნატიული, განახლებადი ენერგორესურსების ათვისება. დაწყებულია სატესტო ქარის სადგურის მშენებლობა, რომლის სავარაუდო სიმძლავრე შეიძლება 300 მგვტ იყოს. აღნიშნული პროექტის წარმატების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება ამ პოტენციალის კიდევ უფრო მეტად ათვისება და წარმოების გაზრდა.

გარდა თავად ენერგოგამომუშავების ობიექტებისა, აქტიურად მიდის ინფრასტრუქტურული პროექტები ენერგეტიკის დარგში. მიმდინარეობს და პრაქტიკულად შედგა „შავი ზღვის ელექტროგადამცემი სისტემის რეაბილიტაციის პროექტი“, რომელიც ითვალისწინებს გარდაბანი-ახალციხე-ზესტაფონის მონაკვეთზე 500კვ. ეგხ.-ის (დაახ. 270კმ.) მშენებლობა/რეაბილიტაციას და ახალციხე-თურქეთის საზღვრის მონაკვეთზე 400კვ. გადამცემი ხაზისა (დაახ. 35კმ.) და ახალციხეში 500/400კვ. ქვესადგურის (მუდმივი დენის ჩანართით) მშენებლობას. პროექტის ქართული მხარე თითქმის დასრულებულია. მიმდინარეობს „ჯვარი-ხორგას“ მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის მშენებლობა, „ახალციხე-ბათუმი“ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტი, „სენაკი 1-2“ და ქვესადგურების „მენჯი“ და „წყალტუბო“ რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციის პროექტი და რიგი სხვა პროექტებისა¹¹. აღნიშნული პროექტების მეშვეობით მნიშვნელოვნად გაიზრდება საქართველოს ელექტროენერჯის საექსპორტო და სატრანზიტო პოტენციალი. ასევე, მიმდინარეობს სამხრეთ გაზსადენის რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის პროექტი.

¹⁰ Ministry of Energy of Georgia (<http://energy.gov.ge/presentations%20mediacenter.php?lang=geo#>)

¹¹ Georgian State Electrosystem (<http://www.gse.com.ge/new/?cat=7>)

ზუსტად სატრანზიტო პოტენციალი არის რუსეთის ფედერაციის ინტერესის მთავარი სფერო. დაწყებული საბჭოთა კავშირის ნგრევიდან, მიმდინარეობს სხვადასხვა სატრანზიტო პროექტის განხილვა და რეალიზება, რომლებიც ძირითადად ეგრეთ წოდებული „აბრეშუმის გზის“ კონცეფციას უკავშირდებოდნენ და გრძელვადიან პერსპექტივაში ცენტრალური აზიის ენერგორესურსების ტრანზიტზე იყო გამიზნული¹². ცენტრალური აზიის ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისთვის საკუთარი მდიდარი ენერგორესურსების გატანის ერთადერთი წყარო რუსეთის ფედერაცია იყო. ამის გამო რუსეთის ფედერაცია საკმაოდ დიდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ზეგავლენას ინარჩუნებდა ამ რეგიონზე. დასავლეთის მარშრუტი, რომელიც კასპიის ზღვიდან, აზერბაიჯანის და შემდგომ საქართველოს გავლით დასავლეთის სხვადასხვა მიმართულებით გრძელდება, ამ რეგიონს მეტი დამოუკიდებლობის შესაძლებლობას სთავაზობს.

ბუნებრივი რესურსებით არცთუ ისე მდიდარი საქართველოსადმი დასავლეთის და რუსეთის ასეთი დიდი ინტერესი დიდწილად ამ საკითხით არის გამოწვეული. საქართველოზე ზეგავლენის გავრცელება რამდენიმე საკითხს გადაჭრის რუსეთისთვის. კერძოდ: ცენტრალური აზიის რესპუბლიკებისთვის იკეტება დასავლეთის ალტერნატიული ენერგოკორიდორი; დასავლეთის ენერგოდამოკიდებულება რუსეთზე კიდევ უფრო იზრდება; თავის მხრივ, ეს ამაგრებს რუსეთის პოზიციებს ცენტრალური აზიის რეგიონში დღევანდელზე მეტად; რუსეთზე, ასევე, დიდწილად დამოკიდებული ხდება ენერგორესურსებით მდიდარი აზერბაიჯანი; თავად საქართველოც ხდება რუსეთის გავლენის სფეროში; ერთიანდება რუსეთი-საქართველო-სომხეთი-ირანის სატრანსპორტო კორიდორი. ეს პუნქტები, თავის მხრივ, უკვე მკვეთრად ცვლიან გეოპოლიტიკურ სურათს მთელ კონტინენტზე და თავისი ცვლილებები შეაქვთ გლობალურ ძალთა ბალანსში.

2008 წლის კონფლიქტის ერთ-ერთი ირიბი მიზანი იყო ამ სატრანსპორტო კორიდორის მდგრადობის შერყევა. კონფლიქტის დროს რუსეთმა განახორციელა ეგრეთ წოდებული „გარდიგარდმო დაბომბვა“ მილსადენების გასწვრივ. დაახლოებით 60-მდე ბომბი ჩამოაგდეს მილსადენის მარჯვენა ან მარცხენა მხარეს, რითაც აჩვენეს, რომ საჭიროე-

¹² Mamuka Tsereteli. Azerbaijan and Georgia: Azerbaijan and Georgia: Strategic Partnership for Stability Strategic Partnership for Stability in a Volatile Region. Central Asia-Caucasus Institute & Silk Road Studies Program, 2013

ბის შემთხვევაში მას მწყობრიდან იოლად გამოიყვანდნენ. კონფლიქტის შედეგად რუსული სამხედრო შენაერთები მხოლოდ რამდენიმე ასეული მეტრით არიან დაშორებულნი აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალისგან, რაც იწვევს დამატებითი საფრთხის განცდას. რუსული სამხედროების პოზიციების დაშორება საქართველოს დედაქალაქისგან შესაძლებლობას აძლევთ მათ, განახორციელონ თბილისის დაბომბვა შორი დისტანციის არტილერიის მეშვეობით. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს რუსეთის ფედერაციის მესიჯს დასავლეთის მიმართ, რომ საქართველოზე გამავალი აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანსპორტო კორიდორი არაა უსაფრთხო და რისკების შემცველია ცენტრალური აზიიდან სატრანსპორტო თუ ენერგონაკადების მისაღებად.

საინტერესო მოსაზრება გააჩნიათ ქართველ მეცნიერებს სამხრეთ მილსადენებთან დაკავშირებით. მათი გათვლებით საქართველოზე გამავალი ნავთობსადენებით ჩრდილოეთ ნაკადის მოცულობის მხოლოდ 10% გადის, ხოლო გაზსადენის მეშვეობით კიდევ უფრო მცირე წილი - 2%.¹³ შესაბამისად, ისინი მიიჩნევენ, რომ სამხრეთის მილსადენები არ წარმოადგენენ საფრთხეს ჩრდილოეთის მილსადენებისთვის და გვთავაზობენ ახალ მიდგომას: ჰარმონიზაციის პარადიგმას¹⁴. ჩრდილოეთის და სამხრეთის მილსადენების მომარაგების, ექსპლუატაციის და მოხმარების მეტი კოორდინაციის მიღწევა დაბალანსების ფუნქცია, რომელიც ორივე მხარისთვის უფრო მისაღები და მომგებიანი იქნება.

საქართველოზე რუსეთის ფედერაციის გავლენა მიკროეკონომიკური ხერხებითაც ხორციელდება. ეს გამოიხატება რუსეთის ფედერაციის კაპიტალის შემოდინებაში. საქართველო საბაზრო ეკონომიკის მოდელს მისდევს, შესაბამისად, ჩვენი ქვეყანა არაა წინააღმდეგი კერძო უცხოური ინვესტიციებისა, თუმცა აქ არის ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. რუსეთიდან განხორციელებული ინვესტიციების დიდი ნა-

¹³ Vladimer Papava, Sabit Bagirov, Leonid Grigoriev, Wojciech Paczynski, Marcel Salikhov, and Micheil Tokmazishvil. Energy Trade and Cooperation Between the EU and CIS Countries. CASE Network Reports, No. 83. Warsaw: CASE Center for Social and Economic Research, 2009

¹⁴ Vladimer Papava, and Michael Tokmazishvili. "Pipeline Harmonization Instead of Alternative Pipelines: Why the Pipeline "Cold War" Needs to End." Azerbaijan in the World. The Electronic Publication of Azerbaijan Diplomatic Academy, 2008, Vol. I, No. 10, June 15; Vladimer Papava. "Russian Energy Politics and the EU: How to Change the Paradigm." Caucasian Review of International Affairs, 2010, Vol. 4 (2)

წილი არაა კერძო ბიზნესის კაპიტალი, ის წარმოადგენს სახელმწიფო საწარმოების დაბანდებებს, ანუ რუსეთის სახელმწიფო ინტერესებს ატარებს.

რუსული სახელმწიფო კაპიტალის გავლენა ამიერკავკასიაში სომხეთიდან დაიწყო, სადაც 2002 წელს გაფორმდა ხელშეკრულება „ქონება ვალის სანაცვლოდ“¹⁵. ამ ხელშეკრულების თანახმად, რუსეთს გადაეცა რიგი სომხური საწარმოებისა, მათ შორის, 30 წლის მართვის უფლებით სომხეთის რკინიგზა, შემდგომი 20 წლიანი მართვის უფლებით. საინტერესოა, რომ აღნიშნულ კომპანიას დაარქვეს არა სომხეთის რკინიგზა, არამედ სამხრეთ კავკასიის რკინიგზა, როდესაც ის სამხრეთ კავკასიის რკინიგზის მხოლოდ მცირე ნაწილს მოიცავს¹⁶. ასევე, რუსეთმა გამოუყო აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას 2 მილიარდი რუბლის ოდენობის სესხი აფხაზეთის რკინიგზის მონაკვეთის რეაბილიტაციისთვის. 2013 წელს მიმდინარეობდა საუბრები ამ რკინიგზის ორივე მონაკვეთის საქართველოს მონაკვეთზე შესაძლო მიერთებაზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით International Alert-მა ჩაატარა კვლევა სომეხი, ქართველი, აზერბაიჯანელი და აფხაზი ექსპერტების მონაწილეობით¹⁷. მიღებული დასკვნით ამ რკინიგზის აღდგენა ეკონომიკური თვალსაზრისით არ იქნება მიმზიდველი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დათვლილია მხოლოდ სომხეთი-საქართველო-რუსეთის მონაკვეთის მომგებიანობა და გამტარიანობა. თუმცა კვლევა არ შეხებია არც შესაძლო ტვირთბრუნვებს თურქეთიდან და ირანიდან და არც სამხედრო პოლიტიკურ ასპექტს.

2003 წელს რუსულმა „ინტერ რაო ეეს-მა“ (ИНТЕР РАО ЕЭС) შეიქმნა თბილისის ელექტრომომარაგების მონოპოლისტი, ამჟამინდელი სს „თელასი“¹⁸. ზემოთ, ასევე, მოყვანილი იყო რუსეთის ინტერესი რუსეთისა და სომხეთის დამაკავშირებელი გაზის მაგისტრალის მიმართ. 2004 წელს რუსულმა სახელმწიფო ბანკმა „ვნემტორგბანკმა“ შეიძინა

¹⁵ Haroutiun Khachatrian. “Russian Moves in Caucasus Energy and Power Sectors could have Geopolitical Impact“. Eurasia Insight. Eurasianet, September 25 2003

¹⁶ “Южно-Кавказская железная дорога приступила к работе“. Информационный портал РЖД-Партнер, 2008, 3 Июня.

¹⁷ Mirimanova N., Amiryan V., Bayramov G., Baratelia B., Zade L., Hovsepyan K., Rasulov F., Charaia V. Rehabilitation of the South Caucasus Railway. London, International Alert, 2013. [http://legacy.international-alert.org/sites/default/files/publications/Caucasus_RailwaysRehabilitationPt1_EN_2013.pdf].

¹⁸ Tea Гуларидзе. “Чубайса в Тбилиси встретили акциями протеста“. Civil Georgia, 07.08.2003

სომხური „არმსბერბანკი“¹⁹, ხოლო შემდეგ, 2005 წელს მათვე შეიძინეს მაშინ საქართველოს სიდიდით მესამე კომერციული ბანკი „გაერთიანებული ქართული ბანკი“ - ახლა უკვე „ვითიზი ბანკი“. საქართველოს უმსხვილესი ოქროსა და სპილენძის მომპოვებელი და გადამამუშავებელი კონცერნის აქციათა პაკეტი შეიძინა რუსულმა ჯგუფმა „სამრეწველო ინვესტორები“²⁰. სრული სიის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, თუმცა აღსანიშნავია, რომ ყველა განხორციელებული ინვესტიციის წარმომავლობა ჩვენთვის უცნობია, რადგანაც რიგ შემთხვევებში ინვესტორი კომპანიები ოფშორულ ზონებში არიან დარეგისტრირებული და მათი რეალური დამფუძნებლების დადგენა მეტად რთულია.

რეკომენდაციები:

- სავიზო რეჟიმის გაუქმება, მისი ეკონომიკური არაქმედუნარიანობიდან გამომდინარე;
- რუსეთ-საქართველოს შორის ექსპორტ-იმპორტის პროცედურების შემდგომი გამარტივება და დახვეწა;
- ეკონომიკური სანქციებისა და დაპირისპირების მეთოდის მაგიერ ეკონომიკური თანამშრომლობის კონცეფციის შემუშავება და განხორციელება;
- სამხრეთ კავკასიის გაზსადენების მიმართ ახალი პარადიგმის პოპულარიზაცია.

¹⁹ “Внешторгбанк“ приобрел контрольный пакет акций “Армсбербанка“. Ведомости, 24.03. 2004

²⁰ “Активы Маднеули перешли к российской группе Промышленные инвесторы“. Альфа-Металл, 07.11. 2005



მამუკა არეშიძე – ჟურნალისტი, კონფლიქტოლოგი. „სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის“ გენერალური დირექტორი. „დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის“ დამფუძნებელი. „პალიტრა TV“-ს საავტორო გადაცემა: „კავკასიური პალიტრა“ ავტორი და წამყვანი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი. 1995 – 1999 წლებში საქართველოს პარლამენტის წევრი, კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, 1995 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას საქართველოს

წამყვან უნივერსიტეტებში. სალექციო კურსი: პოლიტიკური კავკასიოლოგია, რეგიონული უსაფრთხოება, პოლიტიკური კონფლიქტოლოგია, პოლიტიკა ეროვნული და რელიგიური უმცირესობების მიმართებაში, ექსტრემალური ჟურნალისტიკა.

არის ევროკავშირისა და გაეროს სხვადასხვა პროგრამისა და პროექტის კონსულტანტი, მათ შორის, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი პროექტი COBERM-ის ფარგლებში: „სამოქალაქო ღირსებისათვის“ (2013 წ.); NDI-ის პროექტი, კავკასიის მთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკანონმდებლო ბაზის შემუშავება (2011წ.); გაეროს პროექტი, სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი – „მშვიდობისა და განვითარებისთვის, რეგიონალური კონტექსტი: „გამოწვევები და პერსპექტივები“ (2011წ.). 2014 წლიდან „კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის“ (ICCN) ქართულ-რუსული დიალოგის ხელშეწყობის პროგრამის კოორდინატორი. არის მრავალი პუბლიცისტური ნაშრომისა და დოკუმენტური ფილმის ავტორი. სახელმწიფო და საერთაშორისო ჯილდოების მფლობელი.



ანდრეი სუშენცოვი – რუსი პოლიტოლოგი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, ამერიკანისტი. დაიბადა 1983 წელს ორენბურგში. დაამთავრა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატი („აშშ-ის პოლიტიკური სტრატეგია საერთაშორისო კონფლიქტებში 2000-იან წლებში ავღანეთისა და ერაყის მაგალითზე“, 2011).

2006 წლიდან – რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობათა მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტის (უნივ.) საერთაშორისო პრობლემების გამოყენებითი ანალიზის კათედრის უფროსი მასწავლებელი. 2007 წელს

– ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის (აშშ) მიწვეული მკვლევარი, 2008 წელს
 – ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის (აშშ) მიწვეული მკვლევარი.
 ავტორი მონოგრაფიისა „აშშ-ის მცირე ომები. აშშ-ის პოლიტიკური სტრატეგია ავღანეთისა და ერაყის კონფლიქტებში“. მ.: ასპექტ-პრესი, 2014. საერთაშორისო კვლევების ასოციაციის (აშშ) წევრი. რუსეთ-ამერიკის ურთიერთობების მომავალზე მომუშავე ჯგუფისა და რუსულ-ამერიკულ ურთიერთობებზე ახალგაზრდა ექსპერტებისთვის გამართული დარტმუტის დიალოგების მონაწილე.



სამრემი მარაქედონოვი – დაიბადა 1972 წლის 18 დეკემბერს ქ. როსტოვში. 1995 წ. წარჩინებით დაამთავრა ქ. როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1999 წლიდან ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატია. 2001წლიდან ცხოვრობს ქ. მოსკოვში. 2001-2010 წწ. მუშაობდა პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ინსტიტუტის განყოფილების გამგედ, შემდეგ კი დირექტორის მოადგილედ. 2006-2010 წწ- ში კითხულობდა ლექციებს მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში: მ.ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში და რუსეთის სახელმწიფო ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში.

2010-2013 წლებში, მიწვეული იყო თანამშრომლად სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრში (ვაშინგტონი, აშშ).

ს.მარაქედონოვი არის კავკასიის ეთნოპოლიტიკური განვითარების, კონფლიქტების, არადიარეზული ქვეყნებისა და უსაფრთხოების სპეციალისტი. იგი გახლავთ რამდენიმე წიგნის, მრავალი სამეცნიერო სტატიისა და პუბლიკაციის ავტორი. ამავე დროს, არის ევროპის საბჭოს, რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივი პალატისა და საერთაშორისო საქმეებში რუსეთის საბჭოს ექსპერტი, მსოფლიო ბანკის კონსულტანტი.



ბადრი ნატყაბაიბი – ქართველი პოლიტოლოგი, კონფლიქტოლოგი.

დაიბადა 1962 წელს ქ. თბილისში. 1984 წელს დაამთავრა ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოსოფიის ფაკულტეტი. 1984-1987 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი.

1996 წელი – საქართველოს პარლამენტის ინფორმაციულ-ანალიტიკური ცენტრის მთავარი სპეციალისტი.


1998 წელი – ტერორიზმისა და პოლიტიკური ძალადობის კვლევის ცენტრის დირექტორი.

დღეისათვის არის სახელმწიფოთაშორისი ტელერადიოკომპანია „მირ“-ის საქართველოს ნაციონალური ფილიალის დირექტორი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს განვითარების კომპლექსური პრობლემის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დსთ-ის ქვეყნებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.



ირინა ბადურაშვილი – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, გამოცდილი მკვლევარი და საერთაშორისო დონეზე აღიარებული ექსპერტი. მას გამოქვეყნებული აქვს ორი მონოგრაფია და 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი დემოგრაფიის სხვადასხვა პრობლემაზე, მათ შორის, უმრავლესობა – რეფერირებულ საერთაშორისო გამოცემებში. მიგრაციის დარგში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სამეცნიერო გამოცემის „International Migration Review“-ს თხოვნით მას, აგრეთვე, შეუსრულებია საქართველოს მიგრაცი-

ის პრობლემებზე სხვა ავტორების მიერ მომზადებული სამეცნიერო ნაშრომების რეცენზირება. ირინა ბადურაშვილი უმაღლესი განათლება მიიღო მოსკოვში და იქვე 1990 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. იგი თავდაპირველად მუშაობდა საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტში რიგ ხელმძღვანელ თანამდებობებზე, რამაც ხელი შეუწყო მის სიღრმისეულ ცოდნას საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პროცესების შესახებ არსებულ საინფორმაციო წყაროებზე და მათ სანდოობაზე. ქ-ნი ირინა ბადურაშვილის სამეცნიერო საქმიანობა უკავშირდება ჯერ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიის და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტში მუშაობას, ხოლო შემდგომ – 1998 წელს შექმნილ არასამთავრობო ორგანიზაციის (მოსახლეობის კვლევის ეროვნული ცენტრი) ხელმძღვანელობას და, აგრეთვე, მნიშვნელოვან საექსპერტო მუშაობას ისეთ ორგანიზაციებთან, როგორცაა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, ევროსაბჭო, ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE), მსოფლიო ბანკი, განათლების ევროპული ფონდი (ETF) და სხვა. 2012 წლიდან ირინა ბადურაშვილი საკონტრაქტო საფუძველზე მჭიდროდ თანამშრომლობს მიგრაციის დარგში ისეთ ცნობილ ევროპულ ინსტიტუტთან, როგორცაა ევროპული უნივერსიტეტის ინსტიტუტის მიგრაციის პოლიტიკის ცენტრი (European University Institute – Migration Policy Centre) და ამავე ინსტიტუტთან არსებულ შუმანის კვლევით ცენტრთან (Robert Schuman Centre for Advanced Studies).



ვლადიმერ იონცევი – მოსკოვის მ.ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის მოსახლეობის განსახლების კათედრის გამგე. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მოსახლეობის განსახლების სოციალ-ეკონომიკური პრობლემატიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი მუშაკი (2010 წ.). ყირგიზულ-რუსული სლავური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (2012 წ.). რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დელეგაციის წევრი გაეროს მიერ ორგანიზებულ მოსახლეობის გან-

სახლების მსოფლიო კონფერენციაზე (1994 წ.). ორგანიზატორი, მონაწილე მოსახლეობის განსახლების საერთაშორისო კონფერენციებისა – „ვალენტევსკიე ჩტენია” .

ა.იონცევი არის მრავალი ნამუშევრის ავტორი რუსეთის მიგრაციული პოლიტიკის საკითხებზე.



ნანა ბემელაშვილი – რეგიონალური პროგრამების ცენტრის ხელმძღვანელი – რუსეთის ფედერაციის (რფ) მეცნიერებათა აკადემიის ამერიკისა და კანადის ინსტიტუტი, პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

1977 წელს დაამთავრა თბილისის ი.ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტის ინგლისური ენის ფაკულტეტი.

1980 წლიდან მუშაობს რფ მეცნიერებათა აკადემიის ამერიკისა და კანადის ინსტიტუტში, აშშ-ის შიდა პოლიტიკის განყოფილებაში, სადაც დაკავებული იყო აშშ-ის რეგიონალური პოლიტიკის შესწავლით, კალიფორნიის შტატის მაგალითზე (საკანდიდატო დისერტაციის თემა: კალიფორნია – აშშ-ის შიდა პოლიტიკურ ცხოვრებაში 1970-80 წწ.), შემდგომ მუშაობა გააგრძელა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის განყოფილებაში.

სპეციალიზაცია: პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური (ენერგოსტრატეგიული) ასპექტები, აშშ-ისა და რუსეთის პოლიტიკა კასპის ზღვის რეგიონში (სამხრეთ კავკასია და ცენტრალური აზია).

არის მრავალი მონოგრაფიის ავტორი პოსტსაბჭოთა სივრცეში აშშ-ის საგარეო პოლიტიკის თემაზე. შრომები გამოქვეყნებული აქვს როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ.



ლევან გინიაი – დაამთავრა კლასიკური ფილოლოგიის ფაკულტეტი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტში (1994), ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიის ინსტიტუტი (1996), ბუდაპეშტის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის მედიაველისტიკის ფაკულტეტი (2000) და ჰარვარდის უნივერსიტეტის განათლების სკოლა (2003). ამჟამად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია. კითხულობს კურსებს კლასიკურ ფილოლოგიაში, გვიან ანტიკურ და შუა საუკუნეების ფილოსოფიაში. აქვეყნებს სტატიებს და მონაწილეობს ფილოსოფიისა და თეოლოგიის შესახებ გამართულ საერთაშორისო კონფერენციებში. მისი მონოგრაფია “იოანე პეტრიწის პლატონური ფილოსოფია“ (The Platonic Theology of Ioane Petritsi) გამოქვეყნდა 2007 წელს აშშ-ი და წარმოადგენს ამ ფილოსოფოსის ნაზრების ერთ-ერთ ყველაზე ყოვლისმომცველ ანალიზს საერთაშორისო მეცნიერული სამყაროსთვის მისაწვდომ ენაზე.



ბაბა (ბაბა) ბაბუნიშვილი – ქართველი ისტორიკოსი, ისტორიოგრაფიის, საეკლესიო ისტორიისა და რუსულ-ქართული ურთიერთობების ისტორიის მკვლევარი. დაიბ. 28.11.1957 თბილისში. 1974-76 წწ სწავლობდა მოსკოვის ისტორია-არქივმცოდნეობის სახელმწიფო ინსტიტუტში. 1979 დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკულტეტი. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი (1997). თანაავტორია წიგნებისა „საქართველოს ეკლესია XIX-XX სს“ (ლონდონი-ბერნი, 2006), „საქართველო და ქართველები“ (თბ; 2013). ავტორია 50 სტატიისა საეკლესიო ისტორიის და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა სფეროში.

არის წმ. ანდრეას სახ. ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ქართული საეკლესიო ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი, რუსეთის მართლმადიდებელი ენციკლოპედიის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი.



ალბ იბზომზაბ – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

მ.ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტისა და ასპირანტურის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო ჯერ ზოგადი ისტორიის ინსტიტუტში, შემდეგ კი მსოფლიო სოციალისტური სისტემის ისტორიის ინსტიტუტში, სადაც მისი შესწავლის საგანს წარმოადგენდა ბალკანეთი, შავიზღვისპირეთი და ამ რეგიონების როლი საერთაშორისო პოლიტიკაში. წლების გან-

მავლობაში ა.იაზკოვა ასწავლიდა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტში.

ამჟამად ა. იაზკოვა ხელმძღვანელობს რფ-ის მეცნიერებათა აკადემიის ევროპის ინსტიტუტს. ის 300-მდე სამეცნიერო ნაშრომისა და პუბლიკაციის ავტორია, არის პასუხისმგებელი რედაქტორი კოლექტიური მონოგრაფიებისა, მათ შორის: „სამხრეთ – აღმოსავლეთი ევროპა, კარდინალური ცვლილებების ეპოქაში“, “ 2007 წელი; „შავი და კასპიის ზღვების აუზი: უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ახალი ფორმატის გზების ძიება“, 2011 წელი. ა.იაზკოვა არის რედკოლეგიის წევრი ჟურნალებისა: „ევროპის მაცნე“ (რუსეთი) და „კავკასია და გლობალიზაცია“ (შვედეთი).



ელენე ბზომზაბ – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

რუსეთის ფედერაციის (რფ) საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეკონომიკური პოლიტიკისა და სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის კათედრის გამგე. არის 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და თანაავტორი, მათ შორის, სასწავლო სახელმძღვანელოების, ლექსიკონების, მონოგრაფიებისა და ა.შ.

ე. ზავიალოვას სამეცნიერო ინტერესთა სფერო ფართო სპექტრს მოიცავს – დაწყებული, რუსეთის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან, დამთავრებული რუსეთის ეკონომიკური პოლიტიკით. ბოლო წლებში ე. ზავიალოვა დიდ ყურადღებას უთმობს ისეთი სამეცნიერო მიმართულებების განვითარებას, როგორცაა ეკონომიკური პოლიტოლოგია. ის თავის საქმიანობაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოების, სახელმწიფოსა და ბიზნესის სხვადასხვა ასპექტის შესწავლას.



ირაკლი მურცხვალაძე – თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველი. სხვადასხვა დროს ეკავა თანამდებობები კერძო და სახელმწიფო დაწესებულებებში. მისი მონაწილეობით მომზადდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“.



Россия - Грузия

Ключевые направления
взаимоотношений

Тбилиси 2014

Международный центр по конфликтам и переговорам
Российский совет по международным делам

**РОССИЯ-ГРУЗИЯ:
Ключевые направления взаимоотношений**

Тбилиси 2014

Общая редакция:

координатор проекта Международного центра по конфликтам и переговорам «Содействие диалогу Россия-Грузия» **М. Арешидзе**;
программный директор Российского совета по международным делам, канд. полит. наук
И.Н. Тимофеев

Книга опубликована в рамках проекта «Содействие диалогу Россия-Грузия» Международного центра по конфликтам и переговорам при финансовой поддержке Правительства Швейцарии.

**Публикация Международного центра по конфликтам и переговорам
в партнёрстве с Российским советом по международным делам**

Выпускающие редакторы: канд. биол. наук **Н.В. Кизикурашвили, А.М. Елисеев.**

Просьба, комментарии и отзывы оставлять по адресам:
www.iccn.ge; welcome@russiancouncil.ru

Высказанные в публикации мнения отражают исключительно личные взгляды и исследовательские позиции авторов и могут не совпадать с точкой зрения Международного центра по конфликтам и переговорам и Российского совета по международным делам



Copyright 2014 by ICCN, RIAC

ISBN 978-99940-805-7-1

Авторские права защищены. При использовании отдельных статей ссылка на книгу и соответствующего автора обязательна.

Содержание

Предисловие	5
Введение	7
<u>ВНЕШНИЕ ИГРОКИ</u>	
АРЕШИДЗЕ МАМУКА	
Политические интересы крупных игроков на Южном Кавказе.....	11
СУШЕНЦОВ АНДРЕЙ	
Внешние факторы в российско-грузинских отношениях.....	25
<u>БЕЗОПАСНОСТЬ/ТЕРРОРИЗМ</u>	
МАРКЕДОНОВ СЕРГЕЙ	
Россия и Грузия против радикального исламизма: общие угрозы и возможности для кооперации	36
НАЧКЕБИЯ БАДРИ	
Проблема терроризма на Кавказе и возможности стран региона для совместного противодействия этому явлению.....	48
<u>ЭКОНОМИКА</u>	
ЗАВЬЯЛОВА ЕЛЕНА	
Взаимодействие России и Грузии в области экономики.....	55
МУРЦХВАЛАДЗЕ ИРАКЛИ	
Российско-грузинские торгово-экономические отношения.....	67
<u>ИСТОРИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ ВЗАИМООТНОШЕНИЙ</u>	
ГЕГЕЛАШВИЛИ НАНА	
Российско-грузинские отношения - дальнейшая стагнация или позитивная динамика?	79

ГИГИНЕИШВИЛИ ЛЕВАН Российско-грузинские отношения в XIX-XX веках: историко-культурный очерк.....	93
--	----

ДЕМОГРАФИЯ/МИГРАЦИЯ

БАДУРАШВИЛИ ИРИНА Миграция населения из Грузии в Россию: улучшение управления миграционными процессами как ценная стратегия взаимовыгодного сотрудничества с основной принимающей страной региона	115
--	-----

ИОНЦЕВ ВЛАДИМИР Демографический фактор в контексте улучшения отношений между Россией и Грузией.....	134
---	-----

КУЛЬТУРНО-ЦИВИЛИЗАЦИОННЫЕ ОТНОШЕНИЯ

АБАШИДЗЕ ЗАЗА Российско-грузинские отношения – православная традиция.....	148
--	-----

ЯЗЬКОВА АЛЛА Россия и Грузия: почему мы нужны друг другу	157
---	-----

Предисловие

Перед Вами очередная публикация на тему российско-грузинских отношений, изданная Международным центром по конфликтам и переговорам (ICCN) в рамках Стамбульского процесса, основоположником и руководителем которого, вплоть до своей кончины, являлся профессор Георгий Хуцишвили. Первая книга под названием «Россия и Грузия: пути выхода из кризиса», вышла в 2010 году, а два последующих издания - рабочая тетрадь «Российско-грузинские отношения: в поисках новых путей развития» и настоящий сборник - были изданы в марте и сентябре 2014 года в партнёрстве с Российским советом по международным делам (РСМД).

